ოთხივე მხრიდან

კრებული ეძღვნება
გამოჩენილი ქართველი მწერლის
არჩილ სულაკაურის
ხსოვნას

გამომცემლობა „მერანი"
1998

არჩილ, ეს პირველი წიგნია, რომელიც შენ არ შეგიდგენია. უფრო სწორად, შენი გემოვნებით, მწერლის დაკვირვებული თვალით არ გადაგიხედავს. მაპატიოს ჯერ შენმა მაღალმა სულმა თუ რაიმე შემეშალა და მერე, — მკითხველმა.

მერი სულაკაური

რედაქტორი	**გურამ გვერდწითელი**
მხატვარი	**სპარტაკ ცინცაძე**

ზოგიერთი წერილი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

© გამომცემლობა „მერანი" 1998

ჩუღურეთიდან გადმოღვრილი სინათლე

აქ არჩილ სულაკაურზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, დღემდე განვლილ გზასა და გამოცდილებაზე მექნება საუბარი და მსჯელობა. ამ ღრმა, მრავალფეროვან, მშვენიერ სამყაროსთან ჩემი დამოკიდებულება მინდა გაგანდოთ, ამ სხვათაგან განსხვავებულ და გამორჩეულ მხატვრულ სინამდვილეზე ჩემი აზრი მინდა მოგახსენოთ.

ახლა მკვლევარებს, უფრო კრიტიკოსებს „ნამდვილ მწერლებზე" ნაკლებ როდი აწუხებთ ის, თუ სათქმელი როგორ გამოთქვან, რა ახალი და ორიგინალური ფორმა გამოუძებნონ მას. ეს ალბათ კარგია. არა, ნამდვილად კარგია, მიუხედავად იმისა, რომ ხოგჯერ (თუ ხშირად არა) აკვიატებულ სურვილად ჩანს და არა ზრის ორიგინალურ, მაგრამ ამასთანავე ორგანულ ყალიბად. მე უბრალოდ გეტყვით ჩემს სათქმელს. თუნდაც იმიტომ, რომ ასე უფრო მეხერხება. იმიტომაც, რომ არჩილ სულაკაურის მხატვრული სამყარო, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, მიუხედავად მისი ღრმა შრეებისა, მეტაფორულობისა და სიმბოლურობისა, მაინც ადა და ელვარეა, როგორც ყველა ჭეშმარიტი თვალი პატიოსანი.

სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც არჩილ სულაკაური თავის შემოქმედებით თანამოძმეებთან ერთად შეუდგა მძიმესა და რჩეულთათვის დაუსრულებელ გზას, ეროვნული მწერლობა რომ ჰქვია. ამ ხნის მანძილზე მან იმდენი რამ შექმნა და შემატა ქართულ მწერლობას, ვერც ბედს დაემდურება და ვერც ამ წლებს. მისი ლექსების, ლირიკული ციკლების თუ პოემების, ზღაპრების, მოთხრობების და რომანების სიმრავლე შეიძლება ისე შთამბეჭდავი არ იყოს (თუმცა დღეისათვის ორ-სამ დიდ ტომს შეავსებს და არც ეს არის ცოტა), მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ არჩილ სულაკაურის თითქმის ყოველი ახალი ნაწარმოები ახალი და მნიშვნელოვანი სიტყვა იყო და არის ქართულ მწერლობაში.

გურამ ასათიანმა მწერლის საიუბილეო (50 წელი რომ შეუსრულდა) დღეებში შენიშნა: „მოხდა ისე, რომ ის (არჩილ სულაკა-

ური, გ.გ.) ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით უსწრებდა წინ ლიტერატურის განვითარებას".

ოტია პაჭკორია კვლავ მის ნოვატორულ ბუნებაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას:

„არჩილ სულაკაური, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად აღიქვამს მის ირგვლივ გამეფებულ და, იქნებ, ჯერ კიდევ ბუნდოვან განწყობილებებს, რაც მასთან გამოკვეთილ და ნათელ ლიტერატურულ კონცეფციად ყალიბდება. სწორედ ამის გამო დგას იგი ბოლო წლების ქართული ლიტერატურის ყოველი ახალი ტენდენციის დასაბამთან... მას შესწევს უნარი შეიმეცნოს და მხატვრულად განახორციელოს ის იდუმალი და ფარული, რაც თითქოს თავისთავად არსებობს და განცდილა, ოღონდ აკლია გამჟღავნება".

არჩილ სულაკაურის შემოქმედებისათვის ასე დამახასიათებელი სიახლე იმთავითვე აშკარა იყო, როცა ჭაბუკი მწერალი პირველ ლექსებსა და პირველ მოთხრობებს აქვეყნებდა. არც დარჩენილა შეუმჩნეველი და აღუნიშნავი მისივ თაობის კრიტიკოსთაგან. მაგრამ დღესაც, ამ განვლილი ათწლეულების გადასახედიდან რომ კვლავ სიახლის გრძნობას გვიტოვებს, ეს მართლაც იშვიათი შემთხვევაა, უტყუარობის სანდო ნიშანია:

ყველას გვახსოვს პოლ ვალერის ცნობილი პარადოქსული ფრაზა: „არაფერი ისე სწრაფად არ ქრება, როგორც სიახლე". მაგრამ ყველას როდი ესმის ეს. მაშინ არც იქნებოდა ასე მოძალებული ყოველ დროში ფსევდონოვატორული მწერლობა. დიახ, მე მგონი, სწორედ ფსევდონოვატორული, თვითმიზნური, ორიგინალომანიით აღბეჭდილი სიახლე იგულისხმება დიდი პოეტის ამ ნათქვამში, და არა ის სიახლე, რომელიც მუდამ თანა სდევს ცხოვრების განვითარებას, მწერლობის განვითარებასაც. განსხვავება იმაშია, რომ ყოველი ჭეშმარიტი სიახლე ძველიდან, ტრადიციულიდან გამოდის და აღმოცენდება (მისი უარყოფის გზით მოხდება ეს, თუ — გაღრმავების), ფსევდონოვატორული კი ხელოვნურია, ძალდატანებითია, უწინაპრია და ამიტომ — უმემკვიდროც.

არჩილ სულაკაურის შემოქმედება, რომლის უპირველეს თვისებად სიახლეს მიიჩნევს ყველა, თავისი ფესვებით ორგანულად არის გამჯდარი, განტოტვილი იმ ნოყიერ, მასაზრდოებელ და მა-

ცოცხლებელ ნიადაგში, რასაც ქართული მწერლობის ტრადიციები ჰქვია. ამიტომ არის იგი მუდამ მწვანე, გაუხუნარი.

მრავალსაუკუნოვანი და მრავალეროვანი მწერლობის უმდიდრესმა გამოცდილებამ, მისი განვითარების ბევრისმთქმელმა ისტორიამ სიახლის, ჭეშმარიტი განახლების უტყუარი ნიშნებიც თვალნათლივ გამოკვეთა. ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მისი უმთავრესი და უპირველესი ნიშანი თავად ცხოვრების მიერ არის ხოლმე მინიჭებული, ამითაა დაღდასმული. სიახლეს, უწინარეს ყოვლისა, მწერლის თანამედროვე ცხოვრების ფეთქვა, მწერლის თანამედროვე ადამიანის სულის ფორიაქი განსაზღვრავს და მხოლოდ ამის შემდეგ — ფორმისეული ნოვაციები.

თანამედროვე მწერლობაშიც (და ასე იყო, როგორც ჩანს, ყოველთვის) სწორედ ის მხატვრული ნაწარმოებები გვაღელვებს ყველაზე მეტად, სადაც ჩვენი დროის სულია გახსნილი, ტკივილი და სიხარულია გამოხატული, აზრი და გრძნობაა გადმოცემული. ეს კი მარადიულიცაა, რადგან ადამიანურია და წარმავალიცაა, რაკი გარკვეული ეპოქის მკვიდრთა კუთვნილებაა. დიახ, ამგვარი ნაწარმოები გვაღელვებს, ის კი, სადაც მხატვრული მოდელი თანამედროვე ცხოვრებისაგან ნაკლებ არის დავალებული, მოწყვეტილია მის ფერებსაც და განცდებსაც, აბსტრაგირებულია, ხელოვნურად არის კონსტრუირებული, მხოლოდ გვაკვირვებს და სხვა არაფერი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მართლაც ოსტატურად არის შესრულებული.

არჩილ სულაკაურის შემოქმედება სწორედაც გვაღელვებს, ესაა მასში უმთავრესი. და ამის შემდეგ თუ გვაკვირვებს კიდეც, აქ საძრახისი უკვე არაფერია. ნამდვილი მწერლობა და ხელოვნება უთუოდ ამ გრძნობასაც უნდა ინვევდეს ჩვენში, რადგან ყოველი დიდი მხატვრული ნიჭი ერთდროულად გასაგებიცაა და საკვირველიც.

აი, ამგვარი ჭეშმარიტი სიახლითაა აღბეჭდილი არჩილ სულაკაურის ყოველი მხატვრული სიტყვა, მოყოლებული პირველიდან დღემდე. ამ მთავარ და პირველ მცნებას, ისევე როგორც პირველ სიყვარულს, მწერალმა არც მერე უღალატა და უგანა, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრად გაიხადა, მას მერე კარგა ხანი გავიდა. ასე რომ, ეს ერთგულებაც და სიყვარუ-

ლიც მყარია, ჯიუტია, ვაჟკაცურია.

ერთხელ ჩვენმა უდროოდ დაღუპულმა საერთო მეგობარმა, ვისი სულის ნათელი მუდამ თანა გვდევს, ედიშერ ყიფიანმა, იხუმრა, — ორმოცს რომ გადააბიჯებ, მერე წლები ისე გარბის, როგორც ხელმოკლე კაცისთვის ტაქსის მრიცხველის ციფრები. არჩილ სულაკაურის ცხოვრების მრიცხველზეც უკვე ჩამოიყარა ორმოცდაათიც და მეტიც.

მახსოვს, უნივერსიტეტის ხალხით გაჭედილი სააქტო დარბაზი სულგანაბული რომ უსმენდა არჩილ სულაკაურს, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტს. იგი სცენაზე იდგა და დაფიქრებით, დინჯად, დაბალი ხმით, სევდიანად და მორცხვადაც, თითქმის ჩურჩულით გვიკითხავდა საკუთარ ლექსებს, პირველ ლექსებს. მერე ერთბაშად იფეთქებდა დარბაზი, ველარ იტევდა ახალგაზრდა პოეტის თაყვანისმცემელი სტუდენტების მოზღვავებულ ემოციებს. და არა მარტო სტუდენტებისას. მგონი მარტო ნიკო კეცხოველი, იმდროინდელი რექტორი უნივერსიტეტისა, დიდი მეცენატი, ქომაგი და მეგობარი ახალგაზრდა მწერლებისა იჯდა ჩუმად. მაგრამ იჯდა ამაყად და კუშტი სახეც ისე გაებადრებოდა, თითქოს საკუთარ ნარმატებას ზეიმობდა გულში. ჭაბუკ პოეტს კი დარბაზი მანამ არ მისცემდა საშველს, სანამ ლექსს „ნუ გათათრდები" არ წაიკითხავდა.

ამ ლექსში უკვე ჩანდა ორიგინალური რითმებიც, იმ დროისათვის მოულოდნელი „ლურჯი (!) ყანებიც", ახლებური მეტაფორებიც და მხატვრული შედარებებიც, მაგრამ ეს მხოლოდ ხიბლავდა მსმენელთ, მათ აღტაცებას კი ლექსის პატრიოტული პათოსი იწვევდა.

ისიც კარგად მახსოვს, უნივერსიტეტელი ახალგაზრდები გატაცებით ვკითხულობდით მრავალჯერ მოსმენილ, ახლა კი კრებულად აკინძულ და დაბეჭდილ ლექსებს ჩვენი მეგობრისას. ვინ იცის მერამდენედ ვფურცლავდით წიგნს, უფრო ზუსტად, მომცრო წიგნაკს და მაინც თითქოს არა გვჯეროდა ეს პირველი სიხარული. არადა, მაშინ მხოლოდ 1951 წლის გაზაფხული იდგა — გაზაფხული ბუნების, გაზაფხული არჩილ სულაკაურის ცხოვრებისა და შემოქმედების, ჩვენი გულების და ოცნებების გაზაფხული. ცარიელი ჯიბეებით და სავსე სულით დააბიჯებდა არჩილი თავის მეგობრებთან ერთად უნივერსიტეტის ბაღში თუ ჩუღურეთის ვი-

წრო ქვაფენილზე, თავს შინაურულად გრძნობდა წიგნის მაღაზიებში, ბუკინისტებთან, და კიდევ — იაფ დუქნებში, რომ საკუთარი გულისნადები, ეჭვი თუ რწმენა, ფიქრი თუ აზრი, სიყვარული თუ იმედი ახლობელთათვის გაენდო.

50-იანი წლები, როცა არჩილ სულაკაური და მისი თაობა მოდიოდა და მკვიდრდებოდა მწერლობაში, როცა იკვეთებოდა და ზუსტდებოდა მათი ლიტერატურული პოზიციები, გარდატეხისა და განახლების წლები იყო, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში წამოწყებული დემოკრატიზაციის პროცესთან იყო დაკავშირებული. მან ბევრწილად განაპირობა და განსაზღვრა არჩილ სულაკაურის, საერთოდაც მისი თაობის მწერლების შემოქმედებითი მიზნები და მიმართულება.

მოყოლებული რევოლუციის ეპოქიდან მეორე მსოფლიო ომამდე, საზოგადოებრივი ქარტეხილები ფართოდ, გლობალურად გაიაზრებოდა მხოლოდ, ქვეყნიერება უჩვეულო და გრანდიოზული მოვლენების შემსწრე და მონაწილე გახდა. ამ რთულმა, წინააღმდეგობრივმა, საოცარმა პროცესმა ყველას, მათ შორის მწერლობასაც თითქოს თვალი მოსჭრა და ისიც სხვას ისერიგად ვეღარ აკვირდებოდა. სინამდვილის მხატვრული წარმოსახვისას მწერლობას დიდი მასშტაბები უფრო აინტერესებდა და პათეტიკური ტონი უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე ადამიანის მიკროსამყაროს, მისი სულის ჩაღრმავებული ხედვა და განსჯა. უდიდეს და უსასტიკეს განსაცდელში, ომში გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა სამყაროს ამგვარი ხედვა და იგი იმ უკიდურესობამდე მიიყვანა, როცა მისი ცალმხრივობა უკვე აშკარა და თალსაჩინო გახდა. ახალი ხედვის ძიების აუცილებლობა მითუფრო დამარწმუნებელი შეიქნა, რომ მომრავლდა კონიუნქტურული ნაწარმოებები, სადაც ყველაფერმა ამან მეტ-ნაკლებად მახინჯი ფორმები მიიღო. მწერლობამ ბევრწილად დაჰკარგა რეალობის გრძნობა, გულწრფელობა. იგი დოგმების ილუსტრაციად უფრო იქცა, ნაცვლად იმისა, რომ ცოცხალი, მფეთქავი ცხოვრება ყოფილიყო მისი შთაგონების წყარო.

ახლა კი მწერლობამ თვალი მიაპყრო უბრალო ადამიანებს, რომელთა ბედშიც იყო გადატეხილი ყველა დიდი საზოგადოებრივი მოვლენა. იგი ცოტა ნაგვიანევად, მაგრამ მაინც მიხვდა,

რომ სინამდვილის წარმოსასახავად იმაზე უფრო საინტერესო, უტყუარ და მხატვრულად მნიშვნელოვან პრიზმას, ვიდრე ადამიანის სულიერი სამყაროა, ვერ იპოვიდა. არჩილ სულაკაური ერთ-ერთი იმ მწერალთაგანია, ვის შემოქმედებაშიც ეს სიახლე მთელი ძალითა და მშვენიერებით გამოჩნდა, ვისი პირველი ლექსებიცა და მოთხრობებიც სწორედ ამითაა შთაგონებული, ვისაც ამგვარი ხედვა მთელი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე გამოჰყვა, ვისთვისაც უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანის სული და ბედი დღემდე რჩება ერთადერთ, ყოველ შემთხვევაში უმთავრეს ინტერესად მწერლობაში, ვინც ყველაზე დიდ ამბებსა და გრძნობაზეც კი მუდამ ჩუმი, უპათეტიკო ინტონაციით გვესაუბრება. ეს სიახლე, რაც ასე დამახასიათებელი0, ნიშანდობლივი გახდა მწერლობისათვის 50-იან წლებში, უკვე აშკარად იგრძნობოდა არჩილ სულაკაურის ჭაბუკობისდროინდელ ლექსებში, იმ ლექსებში, რომლებიც ომისშემდგომ პირველ წლებში დაიწერა, სწორედ იმ წლებში, როცა განსაკუთრებით მოეძალა მწერლობას მაღალფარდოვნება, როცა სულ უფრო დასცილდა იგი უბრალო ადამიანის ყოფას და სულიერ სამყაროს.

ერთ ადრინდელ, 1947 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში („თოვამ იმატა...“), რომელსაც უფრო გვიან პოეტმა უწოდა „ფიქრები თოვლზე, პაპიროსზე და სხვა...“, ადამიანთა ურთიერთთანაგრძნობის, სოლიდარობის, ხელის გაწოდების და შეშველების ჰუმანური სულისკვეთება ყოველდღიურ, ჩვეულებრივ, სულ არაფრით გამორჩეულ ყოფით დეტალში აქვს შენიშნული პოეტს. „პატარა ცეცხლი“ პოეტური სიტყვის წყალობით იმ სინათლედ ანთია, ადამიანის გულს რომ ათბობს და ცხოვრებას ალამაზებს. ამ ახალი და განსხვავებული თვალთახედვის, მსოფლშეგრძნების გამოა, რომ არჩილ სულაკაურის პირველი ლექსები, ისევე როგორც მშვენიერი ლირიკოსი ქალის ანა კალანდაძის პოეტური დებიუტი (ეს ორი რამ კი დაემთხვა ერთმანეთს) ომისშემდგომი წლების ქართული პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ჩანს.

ომის თემა იმ პირველ მშვიდობიან წლებშიც და შემდეგაც არჩილ სულაკაურის და მისი თაობის მწერლებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი თემა იქნება. ამაში არაფერია გასაკვირი. „დაბრუნება სამშობლოში“ ორგანული, ღრმად განცდილი

მოტივია არჩილ სულაკაურისათვის. სწორედ ამ ციკლიდანაა ლექსი „თბილისი“ (1945 წ.). ომიდან დაბრუნებული ლირიკული გმირი თავის სიყვარულს უმჟღავნებს მშობლიურ ქალაქს, ამ აღსარებაში ცოტა მაღალფარდოვანია და ბოლოს ასე ამთავრებს სათქმელს:

ავალ მთაწმინდას,
დავეყრდნობი იდაყვით მთვარეს,
ვით ნაომარი აქილევსი ფარს ეყრდნობოდა.

ეს ლექსი და განსაკუთრებით მისი ბოლო, ანტიკური ხმოვანების აკორდი, მოულოდნელი და მონუმენტური, კოსმოლოგიური შედარებით, იმ სტუდენტური შეკრებების დროს, ზემოთ რომ გავიხსენე, მსმენელთა ერთსულოვან მოწონებას ინვევდა. მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს ლექსი მაინც არ ყოფილა არჩილ სულაკაურის პოეზიისათვის ტონალობის მიმცემი კამერტონი. მისი ნამდვილი ხმა დაბალი და ჩუმი ყოფილა. მისი ლექსის მშვენიერება ეფექტურ პოეტურ ფრაზაში და მეტაფორაში კი არა, ლირიკული გმირის სულის სისადავესა და უბრალოებაში, სიმდიდრესა და სილამაზეშია. ეს ომის თემაზე შექმნილ ლექსებშიც გამოჩნდა, განსაკუთრებით კი იმ ლირიკულ ნიმუშებში, სადაც თითქოს სრულიად მოულოდნელი, დროის შეუსაბამო მოტივებია ამოტივტივებული: საკუთარი სულის სიღრმეებში ჩაკვირვებული კაცის სევდა და წუხილი, თრთოლვა და შფოთვა, დაეჭვება და სიმართლის ძიება, უკმარისობის თუ შიშის გრძნობაც კი. ამოტივტივებულია ის მოტივები, რომლებიც ცოტა გვიან, სულ ერთი ათწლეულის შემდეგ პოეზიის მთავარი საფიქრალი და სათქმელი გახდება.

შემდგომ, მწერლის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში გამრავალფეროვნდება და გამდიდრდება, მეტ სიღრმეებსა თუ მწვერვალებს მისწვდება არჩილ სულაკაურის ლექსი, მაგრამ მისი მთავარი ნიშნები მაინც ჭაბუკობის დროიდან იქნება გამოყოლილი და შემორჩენილი. მწერალი თავადაც გვეტყვის სიამაყით: „მე წამიკითხავს წინაპართა მაღალი სიბრძნე, მე წამიკითხავს წინაპართა ნათელი ლექსი“ (პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილი ლექსიდან, 1958 წ.). დიდი წინაპრების მონატრებასაც მაშინვე დაედო სათავე, როცა „გონიო“ დაწერა (1955), მერე ამას მთელი ციკლი მოჰყვა

მშვენიერი ლექსებისა, ზოგჯერ კი ჩვენ თავად შევნიშნავთ წინაპრებთან შეხმიანებას. „ქართლის გზებზე“ (1951 წ.), „მე შენთვის მინდა..“(1956 წ.) თუ სხვა, არჩილ სულაკაურის სათაყვანო გოგლა ლეონიძის პოეზიასთან გადაძახილი უნდა იყოს. მაგრამ ეს სიყვარული და ერთგულება ტრადიციებისა პოეტს არც ახალგაზრდობაში და არც შემდეგ არ აღმართვია ზღუდედ ქართული ლექსის განახლების გზაზე. პირიქით, სწორედაც საიმედო, მყარ საფუძვლად ექცა. რაც შეეხება სიახლეებს, არჩილ სულაკაურს იგი არასოდეს, არც ადრე და არც გვიან არ უძებნია საგულდაგულოდ (როგორც ეს ბევრს დაემართა) მხოლოდ ფორმულისეულ სფეროში. მისი სიახლე უფრო მსოფლგანცდაშია მოსაძიებელი, რომელიც თავად დრომ მოიტანა, მწერალმა კი უტყუარი ალღოთი ერთერთმა პირველმა შეიგრძნო, შეითვისა და გამოხატა.

არჩილ სულაკაურის ადრინდელი ლირიკიდან არაერთი მშვენიერი ნიმუშის გახსენება შეიძლება, მაგრამ მე ახლა მხოლოდ იმ ლექსებს მივმართავ, რომლებიც ბავშვობის ხანაზე, იმ დროის შთაბეჭდილებებსა და განცდებზეა დაწერილი. ჩემი აზრით, მათ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებათ მწერლის მთლიან შემოქმედებით სამყაროში შესაღწევი გასაღების მისაგნებად. ერთი იმათგანია „ჩემი ქუჩა“ (1956 წ.):

მე მიყვარს ჩემი პატარა ქუჩის
გამოღვიძება და მღელვარება,
როცა თენდება და ერთი მუჭა
მზის სხივი ჰყოფნის აელვარებად.
მე მიყვარს ჩემი პატარა ქუჩა
და სართულები თეთრად ნაგები,
როცა საღამო შემოდის ლურჯად
მსუბუქი ფრთებით ფარშევანგების.
როცა საღამო შემოდის ლურჯად
მე მინდა ძვირფას ოცნებას მივყვე:
იწყება ჩემი პატარა ქუჩა,
ჩემი ბავშვობაც იწყება იქვე.

პატარა ქუჩა, პატარა ძალა
მოდის და მწვანედ სიცოცხლე ხარობს.

და უერთდება ბუმბერაზ ქალაქს,
როგორც მდინარეს პატარა წყარო.

ამ ლექსში გამჟღავნებული სიყვარულიცა და განწყობილებაც არჩილ სულაკაურს, შეიძლება ითქვას, მთელი მისი შემოქმედების მანძილზე გაჰყვა. ლექსებიდან მან პროზაშიც გადაინაცვლა. ამისი საუკეთესო დადასტურებაა „წყალდიდობა" და „მტრედები", „ბიჭი და ძაღლი", „ზევით და ქვევით", „გაბო" და „ლუკა". მწერლის ყურადღება გაუნელებლად არის მიჩერებული თბილისის იმ უბანზე, სადაც გაატარა მან ბავშვობა და სადაც დაიტვირთა იგი პირველადხილული სამყაროს შთაბეჭდილებებით, რაც საკმაოდ უხვიც აღმოჩნდა და მრავალფეროვანიც, ხალისიანიც და დრამატიზმით დამძიმებულიც.

ამ სიყვარულისა და ერთგულების წყალობითაა, რომ თბილისის ძველ უბნებს — ჩუღურეთსა და რიყეს საოცრად გაუმართლა. რაგინდ დიდი მასშტაბებითაც არ უნდა გადავავლოთ მწერლობას თვალი, არჩილ სულაკაურის ეს ნიჭიცა და მის მიერ დახატული, გაცოცხლებული ეს უბნებიც თავისი კოლორიტით ტოლს ნაკლებად დაუდებს ვინმეს ან რამეს.

თანამედროვე მწერლობაში სოციალური პრობლემატიკით, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ანალიზით გატაცების ხანაში გარემოს ხედვისა და ხატვის უნარი თანდათან დაჩლუნგდა, გაფერმკრთალდა. არჩილ სულაკაურის შემოქმედება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ბედნიერად იყოს შერწყმული ერთმანეთში ანალიტიკოსის და მხატვრის ნიჭი. მწერლის საოცრად დეტალური და ნათელი ვიზუალური ხედვის თუ ხატვის გამო არჩილ სულაკაურის მოთხრობების მკითხველი თავს შინაურულ გარემოში გრძნობს. ჩვენ ვხედავთ არა მარტო ქუჩებსა და სახლებს, ეზოებსა და აივნებს, მტკვრის მღვრიე დინებას თუ მის რიყეს, წისქვილებსა თუ დუქნებს, არამედ ისეთ დეტალებსაც კი, როგორიცაა ცაცხვის ხეები, ჭიშკრები, ხის კიბეები, უფრო მეტიც, თითქოს იმასაც კი ვხედავთ, თუ რომელ კიბეს ან აივანს სად რამდენი რიკული ამოვარდნია.

მიუხედავად ამ დიდი ღირსებისა, არჩილ სულაკაურის მოთხრობებში ეს მაინც არ არის პოეტიზაციის მთავარი წყარო. მთა-

ვარი ისაა, რომ ამ უბანში, მტკვრის პირას უბრალო და დიდი ხალხი დასახლებულა, აქ დიდი ვნებათაღელვაცაა, სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი ჭიდილიცა და თუმცა ჩუღურეთი ერთი ნამცეცი ადგილია სამყაროსი,მასში ცხოვრება ისევე დუღს და გადადუღს, ისევე იბრძვის, მარცხდება და იმარჯვებს, როგორც თუნდაც მთელი სამყაროს მასშტაბით.

ანდრე მორუას ზუსტად და შესანიშნავად აქვს ნათქვამი ფრანსუა მორიაკზე: მის შემოქმედებაში „მუდამ ახლდება არა დეკორაციები და არა დასი, არამედ ვნებათა ანალიზი, მწერალი მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე აწარმოებს გათხრებს, მაგრამ ყოველთვის სულ უფრო და უფრო ღრმადა თხრის." მე ვფიქრობ, სრული უფლება მაქვს დავესესხო ანდრე მორუას და იგივე ვთქვა არჩილ სულაკაურზე და მის მხატვრულ სამყაროზე.

პოეტი თუ პროზაიკოსი?! ასე კატეგორულადაც კი დაისვა კითხვა არჩილ სულაკაურის გამო, როცა მან 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ზედიზედ გამოაქვეყნა მოთხრობები. ახლა ამ კითხვაზე პასუხი ნათელია: ორთავ მუზის სული თანაბრად და უღალატოდ ფეთქავს მწერალში. მაშინ კი ეს სულაც არ იყო მხოლოდ რიტორიკული კითხვა, არჩილ სულაკაური იმ დროისათვის უკვე აღიარებული, ცნობილი, მეტიც — თავისი თაობის და საერთოდ ქართული მწერლობის ავანგარდში მყოფი პოეტი იყო. ამან გაამძაფრა ინტერესი, დაბადა ჯერ ეჭვი, შემდეგ კი შიში იმისა, რომ იგი აღარ მიუბრუნდებოდა ლექსს.

საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა, მხატვრული პროზისადმი ინტერესმა არ გაუნელა მას პოეტური გზნება. კიდევ უფრო სასიხარულო კი ის არის, რომ არჩილ სულაკაურმა თანამედროვე ქართულ პროზაშიც ისევე ითავა ახალი გზის გაკვალვა, როგორც ეს ცოტა ადრე პოეზიაში მოიმოქმედა.

არჩილ სულაკაური, როგორც პროზაიკოსი, გურამ რჩეულიშვილთან, ედიშერ ყიფიანთან, ნოდარ დუმბაძესთან, თამაზ ჭილაძესთან და სხვებთან ერთად მოვიდა ქართულ მწერლობაში. მისი პირველი მოთხრობა 1957 წელს დაიბეჭდა. ეს იყო ჟურნალ „ცისკრის" დაბადების წელი და ეგრეთ წოდებულ „ცისკრელთა", ანუ ქართული მწერლობის ახალგაზრდა და ახალი თაობის მოსვლის ხანა. ეს ის თაობაა, ვინც მაშინ ჭაბუკური სითამამით ჩამოჰკრა

განახლების ზარს, ცოტა მოგვიანებით კი, 60 —70-იან წლებში მხნედ შეება ქართული მწერლობის უღელში და გამწევობაც, მთავარი ტვირთის ზიდვაც იკისრა. დიდებულადაც გაართა თავი ამ მძიმე, საპატიო მისიას.

მაშინ კი ისინი ჯერ მხოლოდ ახალგაზრდები იყვნენ, ნიჭითა და იმედით, სურვილებითა და ოცნებებით სავსენი. არჩილ სულაკაური იმ წლებში ჟურნალ „მნათობის" რედაქციაში მუშაობდა. მისი რედაქტორის, ახალგაზრდობის დიდი ქომაგისა და დამრიგებლის სიმონ ჩიქოვანის მზრუნველი მეგობრობით იყო გარემოცული. თავის ახალ ნაწარმოებებსაც მეტწილად ამ ჟურნალში აქვეყნებდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც „ცისკრელთა" თაობას მიეკუთვნებოდა. ამ სახელის ქვეშ მაშინ ყველა ნიჭიერი და ახლის მაცნე თუ მაძიებელი ახალგაზრდა ქართველი მწერალი გაერთიანდა. თუმცა, ახალთაობის დიდი ნაწილი ახლადდაარსებულ ჟურნალ „ცისკარს" მარტო სულით კი არა, შემოქმედებითაც, ბიოგრაფიულადაც უკავშირდებოდა.

იმ დროისათვის ახალგაზრდა მწერლის, განსაკუთრებით პროზაიკოსების შემოქმედება დიდ ინტერესს იწვევს. ეს გასაგებიცაა, მათ მიერ მოტანილი სიახლე არ შეიძლებოდა არც შეუმჩნეველი დარჩენილიყო და არც ერთსულოვანი აღიარების, მონონების საგნად ქცეულიყო. იგი ხომ უკვე დრომოჭმულს, მაგრამ საკმაოდ მყარ ტენდენციებს უპირისპირდებოდა. სამწუხაროდ, ეს ინტერესი უფრო მითქმა-მოთქმაში ჩანდა და არა ჩაკვირვებულ, ღრმა, საფუძვლიან ლიტერატურულ ანალიზში. ზოგი ამ სიახლეებს და მის მედროშეებს ქვეშ-ქვეშ, მზაკვრულად ებრძოდნენ. ამისი საუკეთესო საშუალება კი გულახდილობით და პრინციპულობით შენიღბული ცილისნამება და დემაგოგიაა.

მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა მწერლების უცხოური ლიტერატურით გატაცებაზე (რაც არ იყო საფუძველს მოკლებული და არც ყოველთვის საძრახისი საქმეა), ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებისადმი გულცივობაზე, მათ უგულებელყოფაზეც კი (რაც პრინციპული თვალსაზრისით მართლაც საგანგაშოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამისი მტკიცება საფუძველს მოკლებული იყო), უფროსი და უმცროსი თაობების დაპირისპირებაზე და, წარმოიდგინეთ, ლიტერატურულ ბრძოლაზეც კი

(რაც, ნაწილობრივ გაუგებრობაზე იყო დამყარებული, ნაწილობრივაც არ იყო სიმართლეს მოკლებული, ძირითადად კი დემაგოგთა თავდაუზოგავი მეცადინეობით იყო გაზვიადებული ახალგაზრდათა დასათრგუნავად).

მაშინვე ცხადი იყო, დრომ კი ყველასათვის თვალსაჩინო გახადა, რომ 60-იანი წლების ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას უპირველესად ეროვნულ ნიადაგში ჰქონდა ფესვები გადგმული, იქიდან ღებულობდა სასიცოცხლო ძალას, ისინი პირველ რიგში ეროვნული მწერლობის ტრადიციებზე აღიზარდნენ და დავაჟკაცდნენ. მათი შემოქმედების მემკვიდრეობითობას, ქართულ ლიტერატურულ კლასიკასთან გენეტიკური კავშირის ძიება, ჩაღრმავება, მიკვლევა სჭირდებოდა და სჭირდება, რადგან აქ ზერელე, მარტივ მსგავსებასთან კი არა გვაქვს საქმე (ეს ეპიგონობა იქნებოდა), არამედ — ორგანულ კავშირთან, რაც დიდი ტრადიციების განვითარების, განახლების წადილსაც გულიხსმობს.

ყოველი ახალი თაობა ეროვნულ ფესვებს გარდა უხვად საზრდოობს (და უნდა საზრდოობდეს უსათუოდ) საკაცობრიო კულტურის საგანძურით, მისი სიახლის მთავარი მასტიმულირებელი კი თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო მწერალთა ძიებებია. ასე იყო მაშინაც, როცა არჩილ სულაკაური მოვიდა ქართულ პროზაში. არჩილ სულაკაურის მოთხრობებში იმთავითვე ჩანდა ახალი პროზის დამახასიათებელი თვისებები, რაც შემდეგ სულ უფრო თვალსაჩინო გახდა.

60-იან წლებში, როცა არჩილი და მისი მეგობრები საფუძველს უყრიდნენ ახალ ქართულ პროზას, ახალგაზრდობის მისამართით ხშირად გაისმოდა საყვედურები ჰემინგუეისა და რემარკის გაფეტიშების გამო. ზოგიერთნი, მათ შორის კრიტიკოსებიც, როგორც კი ქართულ მოთხრობაში მოჭარბებულ დიალოგებს შეამჩნევდნენ და თანაც მაგარი სასმელების სახელებს ამოიკითხავდნენ, მის ავტორს რემარკის მიმდევრად აცხადებდნენ. ამით აყალბებდნენ ამ საინტერესო და პოპულარული მწერლის შემოქმედებას, ვისი მთელი მომხიბვლელობაც მის განუმეორებელად, თითქმის ინტიმურად გამოხატულ ჰუმანიზმის ცხოველმყოფელობასა და ძლევამოსილებაშია. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს 60-იანი წლების ქართულმა პროზამ არ განიცადა ამ თუ სხვა გამოჩენილი

თანამედროვე მწერლების მეტ-ნაკლები გავლენა, ნაყოფიერი ზემოქმედება. ჰემინგუეის მთავარი გაკვეთილი დიალოგების უპირატესობის მტკიცებაში ან სხვა ამგვარ რამეებში კი არ გამოიხატება, არამედ მის მიერ ჩამოყალიბებულ და საყოველთაოდ ცნობილ, აღიარებულ „აისბერგის" ფორმულაში. ქართველ მწერლებს, მათ შორის არჩილ სულაკაურსაც აშკარად დაუჯდათ ეს ჭკუაში. მათ შემოქმედებაში მართლაც იგრძნობა ის ჩაძირული, უხილავი დიდი ნაწილი, მთავარი მასა აისბერგისა, რაც ხილულის წონასა და ძალას განსაზღვრავს. ის უკვე სხვა და ნაკლებმნიშვნელოვანი საქმეა, ამას რითი მიაღწევ — დიალოგებით, მონოლოგებით, თხრობით თუ სხვა რამ საშუალებით.

არჩილ სულაკაური პირველ მოთხრობებში (და შემდეგაც, პრინციპულად არც მერე უღალატნია ამისათვის) „აისბერგის" ეფექტს მეტწილად უბრალო, ჩვეულებრივ სასაუბრო, მაგრამ ღრმააზროვანი და მაქსიმალურად დატვირთული, დატენილი, დამუხტული დიალოგებით აღწევს. ამის წყალობით მოთხრობებში მოქმედება დინამიურად ვითარდება. მისი მხატვრული ამოცანა ნათელია: ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში გმირების ხასიათიც უნდა გაგვიხსნას, მათი მხატვრული პორტრეტებიც უნდა გამოკვეთოს, ბიოგრაფიებიც უნდა შეგვატყობინოს, სინამდვილის მართალი სურათებიც უნდა დაგვიხატოს, ცხოვრებისეულ მთავარ ტენდენციებზე, დამახასიათებელ მოვლენებზეც უნდა მიგვანიშნოს და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ უნდა გვითხრას.

ქართული პროზის ის სიახლეები, არჩილ სულაკაურის სახელთან რომ არის დაკავშირებული, უფრო ფორმისეული ხასიათისა როდი იყო, რომლის ამპლიტუდაც აბსტრაგირებიდან ნატურალიზმამდე იხაზებოდა, ან კიდევ მხოლოდ სიუჟეტის აგებაში, ფრაზის ლაკონიზმში, დიალოგებში, ქვეტექსტებში, სიმბოლიკაში, მითოსურ მოდელებში და სხვა ამგვარებში კი არ იჩენდა თავს. რაც მთავარია, სიახლეები მწერლის ინტერესების სფეროში, მისი პრობლემატიკის წიაღში, მხატვრული აზროვნების სიღრმეებსა და ორიგინალურობაში მჟღავნდებოდა. ეს პირველსავე მოთხრობაში — „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" — გამოჩნდა, მერე და მერე კი სულ უფრო ნათელი გახდა.

მთავარი თავისებურება, სიახლე, რომლითაც 60-იანი წლების ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედება იყო აღბეჭდილი, ეს ის ვახლდათ, რომ ისინი ცდილობდნენ უპირატესად შიგნიდან გაეხსნათ და ეჩვენებინათ ადამიანის სულის სილამაზე თუ სიმახინჯე. ცოტა ადრე კი ამავე მიზნისათვის მწერლობა ძირითადად ადამიანის გარე სამყაროსთან დამოკიდებულებას, ცხოვრებისეული მოვლენების განვითარებაში მის მონაწილეობას მიმართავდა და იშველიებდა. ამიტომაც მოხდა, რომ 60-იან წლებში მწერლობაში აქცენტმა სოციალურიდან ფსიქოლოგიურზე გადაინაცვლა. იმ დროისათვის ეს ტენდენცია შეიმჩნეოდა საერთოდ საბჭოთა მწერლობაში, ნიშანდობლივი იყო მისი საუკეთესო, მაძიებელი, ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის.

ისეთი მიდგომა სინამდვილისადმი, — როდესაც ყოფით ამბებში დიდი ადამიანური განცდები ამოიკითხება, უბრალო ადამიანების ერთი შეხედვით ძნელად გამოსარჩევი, მაგრამ სინამდვილეში დიდი ჭეშმარიტი სულიერი სილამაზე იხსნება, — 60-იანი წლების პროზამ მოიტანა თან. მაღალი ჩინის და წარჩინებული გმირების ადგილი მწერლობაში დაიკავეს „უბრალო", „რიგითმა", „პატარა" გმირებმა, რომლებიც თავისი მდგომარეობით და საქმიანობის მასშტაბით კი არა, არამედ ჭეშმარიტი ჰუმანიზმით, კეთილი გულით, ლამაზი სულით გამოირჩევიან და გვხიბლავენ.

არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში თავიდანვე შეიმჩნეოდა ეგრეთწოდებული უბრალო გმირების განსახიერებისაკენ სწრაფვა. მისი მოთხრობების გმირები არიან ახალგაზრდები, სტუდენტები, ჯარისკაცები, კალატოზები, მეწისქვილეები, მეისრეები, მემანქანეები, მეთევზეები და ამდაგვარი ხალხი, რომლებიც არ გამოირჩევიან თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით თუ მოქმედების მსშტაბურობით, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი ადამიანები არიან თავიანთი კეთილი ზნისა და გულის წყალობით. მოთხრობებსა და რომანებში თვალნათლივ შეიმჩნევა მწერლის ფართო ინტერესი, მისი მისწრაფება, ღრმად ჩასწვდეს ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებს, სადაც ყველაზე გამოკვეთილად შეიძლება იხატებოდეს ადამიანის სულის სილამაზე თუ სიმახინჯე, მისი ხასიათის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. არჩილ სულაკაურისათვის ცხოვრებისეული მოვლენა ადამიანის

სულის შესაცნობი საშუალებაა. რასაც არ უნდა ეხებოდეს მწერალი, ომი იქნება ეს თუ ომის წინარე ტრაგიზმით სავსე წლები, ან კიდევ თანამედროვე ცხოვრება, მწერალს იმდენად თვით მოვლენების განვითარება არ აინტერესებს, რამდენადაც ადამიანის სულის მოძრაობა, მისი ხასიათის მონოლითურობა თუ მერყეობა, მისი მთლიანი ზნეობრივი სახე.

არჩილ სულაკაურის პირველი მოთხრობის — „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" (1957 წ.) — თემა ომია. აქ არც გმირული თავგანწირვაა, არც აქტიური შურისგება, ან თუნდაც რაიმე ისეთი ეპიზოდი, სადაც ჯარისკაცის პატრიოტული გრძნობა და სულის სიმტკიცე უშუალოდ, პირდაპირ შეიძლება დაინახოს მკითხველმა. მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველივე ამას მკითხველი აშკარად გრძნობს და ხვდება სულაკაურის მოთხრობაში იმ განცდების მეშვეობით, ღრმა სულიერი ტკივილებისა და აფეთქებული მამაკაცური სინდისის წყალობით, რომელთაც ასე ოსტატურად, ძლიერად, მღელვარედ გადმოგვცემს მწერალი. მწერალი ამ მოთხრობაში დიდ განზოგადებებამდე მიდის. თითქოს პატარა, კერძო ამბავში საერთოდ ბოროტისა და კეთილის საწყისების დაპირისპირებას იძლევა და ღრმად აფიქრებს მკითხველს ამ მარადიულ პრობლემაზე. მხატვრული ხერხი, როცა ავტორი თავის გმირებს სახელებსაც კი არ არქმევს და ასე წარმოგვიდგენს — ჯარისკაცი, ზემდეგი, ქალიშვილი, — საერთოდ ახალი არ გახლავთ. არჩილ სულაკაურმა იგი პირველმა გამოიყენა დიდი ხნის მივიწყების შემდეგ. ამ ხერხის მოხმობა თავად მოთხრობის სპეციფიურობით, მისი მიზანდასახულობის შესაბამისად, ავტორისეული ჩანაფიქრით იყო აუცილებელი და ამდენად არა მარტო ოსტატურად, სავსებით მართებულადაც იქნა გამოყენებული. ამით მწერალმა კიდევ ერთხელ და საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მისი ჯარისკაცი, ზემდეგი და ქალიშვილი მარტო კერძო პიროვნებების ბედის გამომხატველნი არ არიან, არც მხოლოდ ტიპიურ სახეებს წარმოადგენენ, ისინი უფრო დიდი და ზოგადი ადამიანური ბუნების მხატვრულ სიმბოლოებად გვევლინებიან.

„ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" არის მშვენიერი, ღრმად ემოციური ბალადა ჯარისკაცზე, ისევე როგორც ჩუხრაის მიერ იმავე წლებში გადაღებული დაუვიწყარი ფილმი ჟანრის

პირდაპირი მინიშნების მქონე სათაურით — „ბალადა ჯარისკაცზე". ეს ორი ნაწარმოები არამცთუ განსხვავებული მხატვრული მანერით არის შესრულებული, არამედ სულ სხვადასხვა ხელოვნების კუთვნილებაცაა, მაგრამ მაინც ახლობელია, მსგავსია, ნათესაურია იმით, რომ ორთავე პოეტური ბალადაა და მათში ერთგვარი, ზომიერი სანტიმენტალიზმის კვალი არც გასაკვირი უნდა იყოს და არც ღირსების დამაკნინებელი.

სულ სხვანაირად აქვს გააზრებული არჩილ სულაკაურს ომის თემაზე დაწერილი მეორე მოთხრობა „მტრედები" (1959 წ.). მწერალი აქ ღრმა ლირიზმით გადმოგვცემს ახალგაზრდების განცდებსა და გრძნობებს ომის მძიმე წლებში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ 50-იანი წლების დამლევიდან ქართულ პროზაში მომრავლდა და მომძლავრდა ლირიკული ნაკადი. იმათ შემოქმედებაში, ვინც პოეზიიდან მოვიდა პროზაში (ასეთები კი საკმაოდ მრავლად იყვნენ), ეს კიდევ უფრო საგრძნობი იყო. „მტრედებიც" სწორედ ამისი გამოხატულებაა.

„მტრედებში" ავტორი აღარ მიმართავს ზოგადი სიმბოლოების დაპირისპირებას. იგი ყოფით ჩანახატებს გვთავაზობს, სადაც მკითხველი ძალდაუტანებლად ეზიარება ადამიანური უბრალოებისა და თანაგრძნობის, სიკეთისა და სისუფთავის მომხიბლავ სილამაზეს. მწერალი აქ მკითხველზე ზემოქმედებას მხატვრული აზროვნების ფართო მასშტაბებით კი არ ახდენს, არამედ საოცარი ემოციური მუხტით, განწყობილების შექმნით, პოეტური, შეიძლება ითქვას, ინტიმური თხრობით.

მიჩნეულია (სავსებით სამართლიანადაც), რომ 50-იან წლებში მოსულ ლიტერატურულ ახალთაობას უპირატესად ეთიკური პრობლემატიკა, პიროვნების თუ საზოგადოების ზნეობრივი პრინციპები აინტერესებდა. ცხოვრების ამგვარ ჭრილში ხედვა ამ თაობას დღემდე ახასიათებს, თუმცა მათი შემოქმედებითი ინტერესების (მხატვრულ თავისებურებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მეტ-ნაკლები ცვლილებები, ზოგ შემთხვევაში კი — არსებითი ხასიათისაც, სრულიად აშკარაა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც არჩილ სულაკაურის შემოქმედებაა. ზნეობრივი პრობლემები არჩილ სულაკაურის პროზის ქვაკუთხედიცაა, ის საფუძველია, რომელზედაც არის დაყრდნობილი მწერლის მიერ

შექმნილი სამყარო საოცრად საგულისხმო, მრავლისმეტყველი, ღრმა და მშვენიერი (ცხადია, მხატვრული მშვენიერება იგულისხმება, თორემ რეალური, ცხოვრებისეული სიმახინჯეც და მანკიც თავის წილ სივრცეს ამ სამყაროშიც იკავებს).

მხატვრულ სამყაროში ზნეობრივისადმი გამახვილებული ყურადღება სულაც არ გულისხმობს სოციალურისაგან მის დაცლას. ლიტერატურაში მათი გამიჯვნა, განცალკევება, შეუძლებელი თუ არა, დიდად სახიფათო მაინცაა. ისინი ხომ ცხოვრებაში ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებულნი, გადაჯაჭვულნი, ურთიერთს განაპირობებენ ან განსაზღვრავენ. ამ არასასურველი ცალმხრივობით არა სცოდავს არჩილ სულაკაურის შემოქმედება. მეტიც, მწერალმა უკვე ახალგაზრდობის წლებშივე, პირველსავე მოთხრობებში მოგვცა ეთიკურისა და სოციალურის სინთეზის მაღალმხატვრული და მაღალმოქალაქეობრივი ნიმუში, რაც შემდეგაც გამჟღავნდა უფრო მასშტაბურად რომანებში „ოქროს თევზი", „ლუკა" და რამაც ბევრნილად განაპირობა მათი დიდი მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის.

არჩილ სულაკაურმა ერთ-ერთმა პირველმა გაიაზრა მხატვრულად ჩვენი ცხოვრების მძიმე, ტრაგიზმით სავსე მოვლენები. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით და მძაფრი განცდითაა დაწერილი „აბელის დაბრუნება" და „ძველი ამბავი", სადაც მწერალი 30-იანი წლების ბარბაროსული რეპრესიების ტრაგიკულ ვითარებას და მის მძიმე შედეგებს გვიხსნის.

იმ ახალთაობის მწერლებზე, ვისთან ერთადაც მოვიდა არჩილი ქართულ პროზაში, ხშირად გაიგონებდით, რომ მათი შემოქმედება ავტობიოგრაფიულია. ეს იმდენად ცხადი იყო, რომ საკამათოდ არავის გაუხდია. ზოგი მათგანი, მათ შორის არჩილიც, ბევრნილად დღემდე გვინარჩუნებს ამგვარ შეგრძნებას, თუმცა ეს არცთუ იშვიათად ილუზორულია. მწერლის ბიოგრაფია რომ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, განაპირობებს მისსავე შემოქმედებას, ეს ძველი და აღიარებული ჭეშმარიტებაა. არც მეტ-ნაკლებად შეუნიღბავი ავტობიოგრაფიულობაა უცხო, ან იშვიათი ხილი მწერლობისათვის. ესეც ძველთაგანვე ნაცადი ხერხია, რასაც ფართოდ იყენებს თანამედროვე მსოფლიო მწერლობა. ქართველ პროზაიკოსთა მიერ ავტობიოგრაფიული მასალის ამგვარი აშკარა და ხში-

რი მოშველიება, ვფიქრობ, იმის სურვილითაც არის ნაკარნახევი, რომ მეტი გულწრფელობა მიანიჭონ თავიანთ ნაწარმოებებს.

გავიხსენოთ, რომ გულწრფელობის გრძნობა თანდათან სულ უფრო იშრიტებოდა მწერლობაში მოძალებული პომპეზურობის წყალობით. ამდენად, ესეც ახალი თაობის ლიტერატურული დაპირისპირების, არასწორი ტენდენციების უარყოფის, ფუყე ხელოვნურობის დაძლევის, საკუთარი მრწამსის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად იქნა მოხმობილი. მართლაც, ავტობიოგრაფიულობამ, მისთვის დამახასიათებელი უშუალობისა და სიწრფელის წყალობით, დიდი როლი ითამაშა მწერლობასა და მკითხველს შორის სასურველი კონტაქტის კვლავ დამყარებაში, ურთიერთნდობის აღდგენაში, მართლისმთქმელობის რწმენის განმტკიცებაში.

ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამ თაობის მწერლებს ნაკლებად დაჰყვათ ან უნარი, ან სურვილი „გარდასახვისა", „უცხო მასალის" დამორჩილებისა და გათავისებისა. მათ ამისი მშვენიერი ნიმუშებიც საკმაოდ შექმნეს. არჩილ სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", „აბელის დაბრუნება", „ძველი ამბავი" თუ ზოგიერთი სხვა მოთხრობა სწორედ ამგვარი მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა.

ცხადია, მწერალს, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, არ შეეძლო ყოფილიყო უშუალო და ჩაკვირვებული მოწმე 30-იანი წლების მეორე ნახევრის ცხოვრებისა. მიუხედავად ამისა, არჩილ სულაკაურმა ქართულ მწერლობაში არა მარტო ერთ-ერთმა პირველმა წარმოსახა და გახსნა მთელი უსამართლობა, სიმახინჯე, არაადამიანურობა იმდროინდელი რეპრესიებისა, არამედ ეს დიდი მხატვრული შთამბეჭდაობითაც მოიმოქმედა. ორთავე მოთხრობა — „აბელის დაბრუნებაც" და „ძველი ამბავიც" — 1961 წელსაა დაწერილი, ანუ მაშინ, იმ პირველ წლებში, როცა ფარდა აეხადა ჩადენილ დანაშაულს და აქამდე იდუმალებით მოსილი საზოგადოებრივი მოვლენა მთელი თავისი ტრაგიკული სიშიშვლით წარმოდგა. სიმართლის ნათელი ამ ისტორიულ ფაქტსაც დაადგა, თუმცა კი შემაძრწუნებელი სურათები გადაიშალა წარსულისა. არჩილ სულაკაურმაც, ისევე როგორც ყველამ, ღრმად განიცადა ეს ტრაგიკული მოვლენა და სწორედ ამ განცდითაა დაწერილი ორთავე მოთხრობა.

არჩილ სულაკაურის პირველ მოთხრობათა რიგს ეკუთვნის „უკეთუ გაცთუნებდეს“, „ხიდი“, „დიდთოვლობისას“, რომლებიც 1959 -61 წლებშია დაწერილი და აქაც პოზიცია მწერლისა აშკარად ჩანს. ამ მოთხრობებშიც მწერალი თითქოს ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე გვახვედრებს თავის გმირებთან, გვასმენინებს მათ საუბარს, დავას, მწვავე შეხლა-შემოხლასაც, გვაზიარებს მათ ფიქრებს, ეჭვებს, განცდებს. თითქოს მხოლოდ გულმართალი მოწმის თვალით ვხედავთ ყველაფერ ამას, მაგრამ ეს თვალი ღრმად სწვდება ადამიანის შინაგან სამყაროს შრეებს, ზედაპირზე ამოატივტივებს ქვენა გრძნობებს, ხედავს სხვათათვის შეუმჩნეველ სულის ნათელს. ასე წარმოჩენილი ადამიანები და მოვლენები, შთამბეჭდაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უფრო სწორ შეფასებას პოულობენ თავისთავად და ძალდაუტანებლად.

არჩილ სულაკაური ყოველთვის კომპოზიციურად ახლებურად აგებს მოთხრობას, ხშირად მიმართავს მაინტრიგებელ სიტუაციებს, ოსტატურად კრავს განცალკევებულ, თავისთავად, ავტონომიურ ეპიზოდებს, შინაგანი მხატვრული ლოგიკის ძალით ყველაფერს ორგანულად აკავშირებს ერთმანეთთან, უმთავრეს პრობლემასა და უმცირეს დეტალსაც კი. ამგვარი ჯაფა დახვეწილი ფორმით კოკეტობისათვის კი არ არის გაწეული, არამედ მთავარი სათქმელის, მხატვრული აზრის მკითხველამდე რაც შეიძლება მკაფიოდ, სრულად და შთამბეჭდავად მისატანად.

არჩილ სულაკაურისათვის უცხოა, ორგანულად მიუღებელია ხმამაღალი ფრაზა, მით უფრო სახის სნორხაზოვნება. იგი ხშირად თითქოს ყოველგვარი წინასწარი განზრახვისა და ამოცანის გარეშე გვთავაზობს რეალური ცხოვრების მხატვრულ ასლს, მაგრამ ეს მოჩვენებითი მიუკერძოებლობაა. სინამდვილეში ყველაფერი თავიდან ზუსტად და ბოლომდეა გააზრებული, სათქმელი და შეგონება კი საგულდაგულოდ არის შეფარული, შენიღბული. ამიტომაც იგი მკითხველს საკუთარ აღმოჩენად შეიძლება ეჩვენოს და არა მწერლის მიერ შემოთავაზებულად. ასეა მოთხრობაშიც „ხიდი“ სადაც ახალგაზრდების შეხვედრები, საუბრები, გახსენებები სრულიად ჩვეულებრივ ყოფად აღიქმება, მაგრამ სწორედ ამის მეშვეობით მივყავართ მწერალს მისი მთავარი სათქმელის ათვისებისაკენ.

არჩილ სულაკაურის პროზაზე ხშირად ითქმის, პოეტურიაო. ამისი უტყუარი ნიშნები აქ მართლაც თვალსათლივია. პოეტურობა იმდენად მხატვრული პროზის კლასიკური კანონების მეტნაკლებ უგულებელყოფაში, განზრახ დარღვევაში არ მჟღავნდება, რამდენადაც იმ ჭარბ ლირიკულ ნაკადში, განწყობილების პრიმატში, რაც სიუჟეტსაც უფრო ზუსტად, ამბავსაც კი უპირისპირდება და მოულოდნელად მთავარ ფუნქციას კისრულობს პროზაში. ეგრეთწოდებული პოეტური პროზა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, შეიძლება ითქვას, „ავტონომიურ ჟანრადაც" კი ჩამოყალიბდა. ჩემი ღრმა რწმენით, არჩილ სულაკაურის პროზა მთლიანად არ განეკუთვნება მას, თუმცა საერთოდ ძლიერია მასში ლირიკული ნაკადი, ზოგიერთი მოთხრობა კი მხოლოდ ამაზეა დაფუძნებული. ასე მაგალითად, მოთხრობები „ზევით და ქვევით", „დიდთოვლობისას".

არჩილ სულაკაურის ადრინდელი მოთხრობების ლოგიკურ გაგრძელებად, მეტიც, მისი შემოქმედების ამ ეტაპის მთავარი პრობლემატიკის, სათქმელის, საფიქრალის და საწუხარის შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ნაწარმოებად ჩანს მისი პირველი რომანი „ოქროს თევზი", რომელიც 1965 წელს გამოქვეყნდა. აქ სავსებით აშკარად არის გამჟღავნებული ავტორის უკომპრომისო დამოკიდებულება ცხოვრებასთან და ის მაღალი პოზიცია, საიდანაც აკვირდება და აფასებს თანამედროვეობასაც და ახალგაზრდობასაც, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოდის და მკვიდრდება.

მწერალი აქ „დაუნდობელ" რეალისტად წარმოგვიდგა. იგი „ოქროს თევზში", მიუხედავად ჭარბად მოხმობილი სიმბოლიკისა, მაინც აშკარად გვაიძულებს პირდაპირ ვუყუროთ თვალში ცხოვრების სიძნელეებს თუ ბოროტებასაც კი, ღრმად ჩავიხედოთ ადამიანების გულებში, სადაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სათნოება და სიკეთე არ არის დასადგურებული. მწერლის აზრით, რაც უფრო მძიმე იქნება მკითხველისათვის ყოველივე ამის განცდა, მით უფრო მეტად არგებს ეს მის სულს.

„ოქროს თევზი" ქართულ ლიტერატურაში ახალი ტიპის რომანების რიგს მიეკუთვნება, რომელიც სათავეს სწორედ არჩილ სულაკაურის და მისი თაობის მწერლების შემოქმედებაში იღებს. ამ რომანებს მათთვის დამახასიათებელი სიახლეები გამოარჩევს

კლასიკური ქართული პროზისაგან: სოციალური და ზნეობრივი პრობლემატიკის ორგანული დაკავშირება; მითების, სიმბოლიკის, პირობითობის ფართოდ მოშველიება და ამით მრავალპლანიანობის მინიჭება; რეალიზმის ფარგლებში მხატვრული ნაჯვარის შექმნა; ლირიკული ნაკადის სიმძლავრე; ორიგინალური კომპოზიცია რეალობის, პირობითობის, რეტროსპექციის ხშირი მონაცვლეობით; დიალოგებისათვის განსაკუთრებული ფუნქციის მინიჭება და ავტორისეული ტექსტის, მით უფრო კომენტარების მინიმუმამდე დაყვანა. გამოირჩევიან ისინი თავისი მოცულობითაც და მასშტაბებითაც. აქ დროცა და გარემოც შედარებით ლოკალიზებულია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს ავტორებს ფართოდ და, რაც მთავარია, მძაფრად დააყენონ მკითხველის წინაშე თანამედროვე ცხოვრების არსებითი და მტკივნეული პრობლემები. ეს ყველაფერი, ცხადია, „ოქროს თევზზეც" ითქმის.

აქ ყურადღების ცენტრში ახალგაზრდა გმირი დგას. მის საზოგადოებრივ ყოფაზე, შინაგან განცდებზე, ეჭვებსა და იმედებზე, ცხოვრებასთან დამოკიდებულებაზე, ზნეობრივ პრინციპებზე და მათ ჩამოყალიბებაზე, ერთი სიტყვით, მის მთლიან სახეზე მოგვითხრობს არჩილ სულაკაური. არც მას და არც მის გმირს არ აშინებთ ცხოვრების მძაფრი და მკაცრი ხილვა, ისინი გულწრფელად გვიმხელენ თავიანთ დაკვირვებებს, დასკვნებს, რაც სიხარულსა და იმედებს, ხანაც განცდებს აღძრავს მათში.

რომანის პროლოგში ჩვენ ვხედავთ მყუდრო და ტკიბილი ოჯახის თითქმის იდილიურ სურათს. ცხოვრების შფოთვა და დუღილი მას თითქოს არც სწვდება. ოჯახის მამას კეთილ და შრომისმოყვარე კაცად იცნობენ, დედაც მშვიდი და აუღელვებელი ქალია, შვილების მოყვარული, ოჯახის ერთგული, შვილებიც — მირიანი, დათო, თეონა — არაფრით არღვევენ ამ მყუდროებას, რაც ბარამიძეების ოჯახის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითია და იდილიური ოჯახი „დენთის კასრზე" დგას. ასე მიედინებოდა და ასე გაგრძელდებოდა მათი ცხოვრება, რომ ციხე შიგნიდან არ გამტყდარიყო. ეს „დანაშაული" დათოს ედება ბრალად.

მწერალი ღრმად გვაჯერებს იმაში, რომ ბრძოლა მაღალი ზნეობისათვის ღირსია ისეთი მსხვერპლისაც კი, რასაც ოჯახური კე-

თილდღეობა ჰქვია. დათოს არ რცხვენია წინ აღუდგეს ოჯახს, ანგარიში არ გაუწიოს დედის მუდარას, მამის რჩევას. იგი ყოველივე ამის გამო კარგავს ოჯახსაც, სატრფოსაც, ახლობლებსაც, სამსახურსაც, სიმშვიდესაც, რის საფასურადაც იძენს სიმართლის რწმენას, რაც მისთვის ღირსეული საზღაურია. გარეგნულ კეთილსინდისიერებაში შენიღბულ მახინჯ სულს იგი უპირისპირდება შინაგანი გულწრფელობითა და პატიოსნებით, ბოროტებისადმი შეურიგებლობით და იმას უკვე ნაკლებად დაეძებს, თუ როგორ ფორმაში იქნება ყოველივე ეს გამოხატული. მისი ახალგაზრდული უკომპრომისო სული ამას არად აგდებს. „უცნაურ" კაცად მონათლული დათოა სწორედ ამ რომანში ჯანსაღი, მართალი სულის პატრონი და თუმცა მას ძალიანაც უჭირს, მაინც ცხადია, რომ მისი გზა არამცთუ სწორია, არამედ ერთადერთიცაა.

დათო იგრძნობს, მერე კი დაინახავს და დარწმუნდება, რომ მისი მშობლები, მეზობლებიც, ირგვლივ მყოფთა დიდი ნაწილი მხოლოდ მოჩვენებითი კეთილდღეობისათვის და პატიოსნებისათვის ზრუნავენ („სხვამ არ უნდა იცოდეს, რა ხდება შენს ოჯახში"). მთავარია ნიღბის კარგად მორგება, მის უკან თურმე ყველაფრის ჩადენა შეიძლება. მისი ოჯახიც, გარეგნული სიმშვიდითა და წესიერებით შენიღბული, აშმორებული გუბე ყოფილა, სულს რომ უხუთავს ადამიანს. ესაა ოჯახი, რომელმაც არ იცის რა არის პატიოსნება, სინდისი, ადამიანური სიამაყის გრძნობა, სიკეთე, სიყვარული და მაინც ყოველივე ამის მატარებლად და ქომაგადაც კი მოაქვს თავი.

მარტო ეს სიუჟეტური ხაზიც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ სოციალურად, ფსიქოლოგიურად, მხატვრულად საინტერესო, ღრმა და მნიშვნელოვანი ნაწარმოები მიგვეღო. მითუმეტეს, რომ სწორედ „ოქროს თევზში" წამოჭრა არჩილ სულაკაურმა პირველმა კორუპციის, საქმოსნობის, მომხვეჭელობის პრობლემა, რაც ჩვენ ყოფას ეპიდემიურ სენად მოსდებოდა და რასთან თავგამოდებული, დაუნდობელი ბრძოლაც სულ მალე მწერლობის მთავარ საზრუნავად იქცა. ნიკო კორინთელი „შავ ნიკოდ" წოდებული, მისი ამფსონები, რომლებშიც თურმე სწორედ დათოს მამობილს ეკავა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, ქართულ მწერლობაში პირველი და ამასთანავე ღრმად გახსნილი სახეებია,

საზოგადოებრივი ყოფისათვის ამ საშიშ მოვლენას მთელი სიცხადით რომ წარმოაჩენს.

დიახ, ეს ყველაფერი საკმარისი იქნებოდა ერთი რომანისათვის, მაგრამ მწარალი არ დაკმაყოფილდა ამით. მას უფრო დათოს სულიერი წრთობის პროცესი აინტერესებს და ამ ფართო პლანით უკმარისად, ცალმხრივად მიიჩნია ეს ერთი ასპექტი. როგორც ჩანს, ამიტომაც შემოიტანა მეორე და ჩემი აზრით, უმთავრესი მოტივი რომანში, რომელსაც ადამიანთა მარტოობა შეიძლება ეწოდოს. ამგვარი რეალური საფრთხე, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას, ადამიანებს თავს დასტყდომიათ და რაც თანამედროვე მსოფლიო მწერლობის უპირველეს საფიქრალად ქცეულა, არჩილ სულაკაურისათვისაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწუხარია.

როცა დათო სხვების საქციელთან ერთად თავის თავსაც ჩაუკვირდა და გულწრფელად ეცადა საკუთარ გრძნობებში გარკვევას, მთავარი დასკვნის გამოტანას, მან ასე ჩამოაყალიბა მიგნებული მწარე სიმართლე მეგობართან, გელასთან საუბარში:„ყველანი ერთმანეთს ვატყუებთ, საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც... შენც უნდა გეშინოდეს ჩემი, მეც ეგეთი ვარ"

ჰო, მასშიც ყოფილა ჩაბუდებული ეგოიზმი, მის მეგობრებშიც. დათოს ყველაზე მეტად ის შეაძრწუნებს, რომ სხვისი ბედისადმი გულგრილობას იგრძნობს თავის თავშიც და იმ ადამიანებშიც, რომლებიც მისი ცხოვრების თანამგზავრნი არიან. დათო მიხვდა, თუ რარიგ სტყუოდა იგი თავისი ნატანჯი ძმის, მირიანის წინაშე, ვისი სულიერი სიმარტოვითაც ნაკლებ დაინტერესდა, ვისაც ბოლომდე არ ჩაეძია, არ აგრძნობინა, რომ ნამდვილად ძმა, ჭეშმარიტი მეგობარი, სულის ნაწილი იყო მისი.

ეს არ არის ავადმყოფური თვითგვემა. ჩვენ თავადაც არაერთხელ დავრწმუნდით, რომ დათოს ამგვარი ბრალდება საკუთარი თავისადმი საკმაოდ საფუძვლიანია. მეტიც, ის კომპლექსი ძმებს შორის დაპირისპირებულობისა, რაც ასე შეუმჩნევლად და ბოლოს კი მკაფიოდ ჩამოყალიბდა კენსა და დევიში (მიტჩელ უილსონის რომანში „ძმა ჩემი, მტერი ჩემი") აქაც აშკარაა, თუმცა სულ სხვა საფუძველი აქვს მას. დათომ არამცთუ თვალი გაუსწორა ამას, მხოლოდ საკუთარ დანაშაულად მიიჩნია და ამგვარ დაუნდობელ ზნეობრივ თვითგანაჩენშია მისი ძალაც და კეთილ-

შობილებაც. რომანის მთლიან სიუჟეტში ორგანულად არის ჩართული ნოველისმაგვარი ეპიზოდი, რომელიც ამ ადამიანურ ფასეულობათა დევალვაციის იგავურ გამოხატულებას ჰგავს. მოსე მამისთვალოვის და ესთერის ტრაგიკული ისტორია დათოს საკუთარი სულის გაძარცვულობის შემაძრწუნებელ შეგრძნებას უტოვებს.

ასე რჩება მარტო დათო. მარტოა მირიანიც. მარტოა ბუბა ეშბაც, პატარა ზურიკოც, ბევრი სხვაც. ისინი მარტონი არიან, ისევე როგორც მარტოა ოქროს თევზი აქვარიუმში. ეს სიმარტოვე აწუხებთ მათ. მარტოობის განცდა ყველაზე უფრო მტკივნეულია მათთვის.

არჩილ სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი", როგორც ვთქვი, საინტერესო და ორიგინალური აგებულების ნაწარმოებია. ეს არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი თხრობა ამბისა, რასაც თან ახლავს გმირების სულიერი ცხოვრების ფსიქოლოგიური ანალიზი. მწერალი ძალზე ხშირად მიმართავს პირობითობას, სიმბოლიკას, მოულოდნელ ჩვენებებს თუ გახსენებებს, შინაგან დიალოგებს, რეფრენს, რაც ართულებს რომანის სტრუქტურას, მაგრამ არ აბუნდოვანებს სათქმელს. ყველაფერი ეს ავტორს ერთი მთავარი მიზნისათვის აქვს დაქვემდებარებული — უფრო ძლიერ გვაგრძნობინოს და განგვაცდევინოს მისი გმირების შინაგანი ეჭვები და წუხილი, უფრო შთამბეჭდავად გვიჩვენოს და აგვიხსნას, თუ რამ და რატომ დაუკარგა ამ გმირებს სულიერი წონასწორობა.

აკვარიუმში გამომწყვდეული ოქროს თევზიც, რომელიც მთელი ამ რომანის მანძილზე არ ეკარგება მკითხველს მხედველობის თუ ფიქრის არედან, სწორედ ამ მარტოობის მტანჯველი გრძნობის სიმბოლური გამოხატულებაა. ხსნა გაქცევაშია, ამ კედლების დამსხვრევაშია, ასე თავგანწირვით რომ ასკდება ოქროს თევზი. ჯერ მირიანი გარბის ოჯახიდან, მერე დათო. და თუმცა ოქროს თევზი სულს ღაფავს ასფალტზე, მაინც ბედნიერია, რომ ეს მინის კედლები დაიმსხვრა, რომ მისი ამაყი და მშფოთვარე სული თითქოს გადაეცა ადამიანებს, მირიანსა და დათოს.

არჩილ სულაკაურის შემოქმედებითი ცხოვრების და ინტერესების შემდგომი ეტაპი ლიტერატურულ ზღაპარს უკავშირდება. მან ამ ჟანრს ჩვენში მართლაც დიდი ღვაწლი დასდო. მწერალმა

ჯერ „სალამურას თავგადასავალი“ გამოაქვეყნა, შემდეგ კი „ჯადოსნური კაბა“.

იმ უბრწყინვალეს და უმდიდრეს სულიერ საგანძურში, რასაც ხალხური შემოქმედება ჰქვია, რაც ათეული საუკუნეების მანძილზე ხიბლავდა და კვებავდა ადამიანის გონებასა და გრძნობას, ერთი ყველაზე წარმტაცი, მომაჯადოებელი, უბერებელი იყო და არის ზღაპარი. იგი თანა სდევს ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე. ამის მიზეზი მარტო ის არ გახლავთ, რომ ზღაპარს ჯადოსნურ ქვეყანაში გადავყავართ და ამით ჩვენს ფანტაზიას უხვად კვებავს. გაცილებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ თითქოს გასართობად, თავის შესაქცევად შეთხზულ დაუჯერებელ ამბავში მეტწილად დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა ჩადებული. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ ზღაპარში, რაც შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს. ესაა მასში გამოხატული ჭეშმარიტად ეროვნული სული. ამით მოიპოვა მან მართლაც ჯადოსნური ძალა და ადამიანის ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად იქცა. და რაკი ასეა, განა შეიძლებოდა ზღაპარი მხოლოდ ფოლკლორის კუთვნილებად დარჩენილიყო?

„სალამურას თავგადასავლის“ და „ჯადოსნური კაბის“ ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ქართული ხალხური ზღაპრების ტრადიციებზეა შექმნილი და თანაც სრულიად ორიგინალურია თავისი ფაქტურით, სტილით, მხატვრული გააზრებით, სახეთა სისტემით. ბუნებრივია, ქართველმა მწერალმა, თუკი იგი ზღაპრის დაწერას გადაწყვეტს, პირველ რიგში საკუთარ ეროვნულ ფოლკლორს უნდა მიმართოს. ზღაპარი ჩვენი კულტურული საგანძურის ერთი ბრწყინვალე ნაწილია და ასეთი მემკვიდრეობის პატრონს სხვა ერის ფოლკლორზე თვალი არ უნდა დარჩეს.

თუნდაც ის, რომ არჩილ სულაკაურის ზღაპრის გმირი მწყემსია და მას სალამურა ჰქვია, თავიდანვე მიგვანიშნებს ნაწარმოების ეროვნულ საწყისებზე. ხალხურ ზღაპრებში მწყემსები ხშირად გვხვდებიან და ყოველთვის თავისი განუყრელი სალამურით არიან („წიქარა“ გავიხსენოთ). არჩილ სულაკაურის გმირიც მუდამ თავისი სალამურითაა და ქართველი მწყემსის ეს აუცილებელი ატრიბუტი აქაც დიდ როლს თამაშობს მოქმედების განვითარებაში. სწორედ მისი წყალობით გაიცნობს და დაუმეგობრდება

სალამურა ციცინათელების მწყემს გოგონას ბაიას და იმავ სალამურის საშუალებით შეძლებს დაიხსნას თავისი მზეთუნახავი მეგობარი ქონდარეთის საპყრობილედან.

ხალხური ზღაპრების პერსონაჟები გამარჯვებას თავისი საზრიანობის უნარის, სიკეთის წყალობით აღწევენ. ისინი მარტო ჯადოსნურ ძალებსა და ბედს კი არ არიან მინდობილნი, მათ თავისი თავის იმედიც აქვთ. ასეა არჩილ სულაკაურის ზღაპრებშიც.

მწერალი განზრახ უახლოვებს თავისი თხრობის მანერას ფოლკლორულ ტრადიციებს და ამით ერთგვარ ილუზიას ქმნის, თითქოს საქმე ლიტერატურულ ნაწარმოებთან კი არა, სნორედ ხალხურ ზღაპრებთან გვქონდეს. „სალამურას თავგადასავლის" პირველივე ფრაზებიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს წიგნი კი არ გვიდევს წინ, არამედ მთქმელი გვიზის და გვიყვება ამ საოცარ ამბებს. ეს კი მეტ უშუალობას, ტრადიციულ ელფერს, მიმზიდველობას სძენს ლიტერატურულ ზღაპარს.

მაქსიმ გორკი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ზღაპარი მწერალს მარტო ფანტაზიას, გამომგონებლობის უნარს კი არ უვითარებს, არამედ ენასაც უმდიდრებს და უხვეწსო. იგი ურჩევდა მწერლებს, ზღაპრებიდან შეევსოთ თავიანთი ლექსიკა და არ აჰყოლოდნენ საკუთარ „სიტყვაქმნადობის" ცდუნებას. მართლაც, ზღაპრების ენა საოცრად სადა, მიმზიდველი, ამასთანავე მსუყე და ხატოვანია, ფრაზა — სხარტი, მოქნილი, ტევადი. თანამედროვე ქართულ ლიტარატურაშიც გვაქვს ნიმუშები იმისა, თუ ხელოვნური ენით, „სიტყვაქმნადობით" დაწერილი ლიტერატურული ზღაპარი რა მალე მიეცა დავიწყებას სნორედ იმის გამო, რომ მათი ავტორების ორიგინალურობის აკვიატებულმა სურვილმა ეს უპირველესი ტრადიცია გამოაცალა. არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალის" და „ჯადოსნური კაბის"მიმზიდველობა და წარმატება იმან განაპირობა, რომ მწერალმა განზრახ, შეგნებულად დაუახლოვა თავისი ენა ქართული ხალხური ზღაპრის ენას და ამით მეტი უბრალოება, სინათლე მიანიჭა ლიტერატურულ ნაწარმოებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ არჩილ სულაკაურის ზღაპრების ენა საოცრად პოეტური, ლამაზი, მდიდარი და ამასთანავე, სადა და უბრალოა. ეს ოსტატური შერწყმა ენის სიმდიდრისა და სისადავის მწერლის დიდი წარმატებაა.

ხალხურ ზღაპრებში ტრადიციულად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა — კეთილი და ბოროტი. თანაც, მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, იქ ეს სრულიადაც არ არის შენიღბული. ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, როგორც წესი, ფოლკლორში გაშიშვლებულად, აშკარად, თვალნათლივ არის წარმოდგენილი და ჩვეულებრივ სიკეთის გამარჯვებით მთავრდება. არჩილ სულაკაურის ზღაპრები არც ამ შემთხვევაში ღალატობენ ტრადიციებს.

ვფიქრობ, საკმაოდ ითქვა იმაზე, რაც არჩილ სულაკაურის ზღაპრებს ფოლკლორთან აახლოებს. ახლა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი არსად იმეორებს და იყენებს ქართული ზღაპრების სიუჟეტებს. კიდევაც რომ ასე ყოფილიყო, ამაში არაფერი იქნებოდა დასაძრახისი. პერომაც და ანდერსენმაც ბევრ ხალხურ ზღაპარს მიანიჭეს ახალი სიცოცხლე იმით, რომ საფუძვლად გამოიყენეს და ლიტერატურული დამუშავების შემდეგ თავისი შემოქმედების ნაყოფად აქციეს. არჩილ სულაკაური სხვაგვარად მოიქცა. მისი ორივე ზღაპარი თავისი სულით აშკარად ხალხურიდან იღებს სათვეს, მაგრამ ამასთანავე არსად იმეორებს მათ, მთლიანად მწერლის ფანტაზიის ნაყოფია.

„სალამურას თავგადასავალის“ და „ჯადოსნური კაბის“ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აქ შესაშური ზომიერებისა და იუმორის გრძნობით არის მინიშნებული თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთი მხარე. მწერალი მახვილგონივრულად დასცინის თანამედროვე ადამიანების ისეთი თვისებების გამოხატულებას, როგორიცაა ქედმაღლობა, პატივმოყვარეობა, ფლიდობა და თვალთმაქცობა, მომხვეჭელობა და სიხარბე თუ ბევრი სხვა რამ. ამას ყველაფერს აქ ძალდაუტანებლად ამოიკითხავს მკითხველი, განსაკუთრებით კი იმ ეპიზოდებში, სადაც სასახლის კარია აღნერილი, ეს იქნება ქონდარეთის სამეფოში („სალამურას თავგადასავლიდან“) თუ ძველი მონეტების ან ყულაბების ქვეყნებში („ჯადოსნური კაბიდან“).

არჩილ სულაკაურის ზღაპრები აშკარად ახალი და ორიგინალური სიტყვაა თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მაგრამ მარტო ამაში როდია მისი ღირსება. „სალამურას თავგადასავალი“ და „ჯადოსნური კაბა“ მშვენიერთან ერთად უაღრესად სასარგე-

ბლო ნიგნებია ბავშვებისათვის. არც მოზრდილები კითხულობენ მას ნაკლები ინტერესით. ამაზე დიდი გამართლება კი ლიტერატურულ ზღაპრებს სხვა არაფერი შეიძლება ჰქონდეს.

* * *

როგორც ზემოთ ვთქვი, ერთხანს ლიტერატურულ წრეებში (იქნებ მკითხველებშიც) გაჩნდა ეჭვი იმისა, რომ არჩილ სულაკაურის მწერლური ინტერესები 60-იანი წლების შემდეგ მხოლოდ პროზით შემოიფარგლებოდა. ეს მართლაც არ ჩანდა სულ უსაფუძვლო ეჭვად. იმ წლებში ზედიზედ გამოქვეყნებული მოთხრობები, რომანები, ზღაპრები თითქოს დამარწმუნებლად მიგვანიშნებენ ამას. მიუხედავად იმისა, რომ არჩილ სულაკაურმა — პროზაიკოსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ვისაც კი ქართული მწერლობა უყვარს და ესახელება, არჩილ სულაკაურის — პოეტის „დადუმება", სულ ცოტა, სანყენი მაინც იყო. სხვა და მთავრ მოტივებთან ერთად (რაც ერთ სიტყვაში — ღირსებაში იყრის თავს), ამითაც იყო გამოწვეული ის სიხარული, რომელიც თან ახლდა მწერლის ორი პოეტური კრებულის („ოთხივე მხრიდან", „სიჩუმე") გამოცემას 70-იან წლებში. ამ მშვენიერ კრებულებს უმალ მოჰყვა გამოხმაურება, წერილები, სადაც ავტორები თავად ლექსებით აღძრულ ემოციებთან და ფიქრებთან ერთად, არჩილ სულაკაურის პოეზიაში „დაბრუნებით" გამოწვეულ გრძნობასაც გვიმხელდნენ. არჩილ სულაკაურში „ლექსი ყოველთვის ცოცხლობდა რაღაცნაირი მეტაფიზიკური სიჯიუტით. და იგი დაუბრუნდა პოეზიას" — განაცხადა ოტია პაჭკორიამ.

არადა, არჩილ სულაკაური — პოეტი არც არასოდეს „დადუმებულა", არც „განდგომილა" და ამდენად ვერც „დაუბრუნდებოდა" პოეზიას. სწოედ 60-იან წლებში, როცა არჩილ სულაკაურმა თავიდანვე ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველზე თავისი პროზის სიღრმითაც, სიახლითაც და სიუხვითაც, იგი წერდა და დროდადრო აქვეყნებდა კიდეც ლექსებს. იმ წლებშია დაწერილი ისეთი შესანიშნავი ლექსები, როგორებიცაა: „მე თან მოვიტან არაგვის სუნთქვას", „გეძებდი ქარში", „მე ვეკითხები ქსანსა თუ

არაგვს", „მტკვარგაღმა დაგრჩა ბავშვობის კერა", „ფიქრები, როგორც კვამლის ხვიარა", „მაღალი დღე", „ნათელი სული", „კახეთის მთები", „შენ ახლა გძინავს მარადი ძილით", „მთანი მაღალნი", „მწუხრის ზარი", „შენაქოში თქმული ლექსი" და სხვა არაერთი.

იმ თაობის ქართველ მწერალთაგან, რომელსაც არჩილ სულაკაური ეკუთვნის, არაერთმა სცადა ბედი თუ კალამი პროზაში მას შემდეგ, როცა მნიშვნელოვანი პოეტური სამყარო უკვე შექმნილი ჰქონდა და აქაც დიდი წარმატებები ჰპოვა. ამ გარემოებამ მიზეზთა კვლევის ინტერესი აღძრა. „პოეტთა პროზაში გადასახლების" მიზეზი შესაძლოა „აზროვნების ფორმების შეცვლა იყო, ან დაღლა პოეზიით, უფრო სწორად, პოეუტრი დამოკიდებულებისათვის ბრძოლით, რაც ჩვენში არც ისე იოლი საქმეა... შესაძლოა პროზა იმ ფეხშეუდგამ ნაპირად ჩანდა, სადაც უამრავი აღმოჩენა იყო მოსალოდნელი ..." (ოტია პაჭკორია).

ამგვარი ვარაუდის გამოთქმა ალბათ იმათთან დაკავშირებით შეიძლება, ვინც მეტ-ნაკლებად ხელმოცარული დარჩა პოეზიაში. მყარი პოეტური რეპუცატიის მქონე მწერლის, მით უფრო წარჩინებულის და გამოჩენილის პროზით დაინტერესება იქნებ უფრო „მარტივად", ვთქვათ, ნიჭის მრავალმხრივობით, ინტერესთა მრავალფეროვნებით, მოძალებული სათქმელის მიერ თავისთავად ნაკარნახევი ეპიური ფორმების საჭიროებით თუ სხვა ამგვარი მიზეზებით აიხსნებოდეს? სხვა რომ არაფერი, უბრალოდ ძნელი სავარაუდოა, რომ პუშკინს თუ ლერმონტოვს, ან ვაჟას, აკაკის, ილიას პოეზიით დაღლამ, ან პოეტური დამოკიდებულებისათვის ბრძოლის სირთულემ დაანერინა მათი პროზაული შედევრები. კლასიკის გამოცდილებას თუ მივყვებით, იქნებ სწორედ მწერლის უნივერსალიზმი და ჟანრობრივი მრავალმხრივობა უფრო დამახასიათებელ თვისებად ჩანდეს დიდი ნიჭისა, ვიდრე ერთი რომელიმე ჟანრის ან ფორმის ფლობა. ვთქვათ, ის სხვა დრო და სხვა პიროვნებები იყვნენ. ხომ ვერც ბორის პასტერნაკის ან გიორგი ლეონიძის პროზაული თხზულებების დაბადებას ავხსნით მათი ავტორების პოეტური ენერგიის ან ნიჭის დაშრეტით? სხვათა სახელების და შემოქმედების გახსენებაც იოლად შეიძლება, მაგრამ სარწმუნოდ ესეც კმარა. ასე რომ, ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი საერთოდ პოეტთა „მიგრაციის" ასახსნე-

ლად, ვექვობ მართებული იყოს. არც კერძოდ არჩილ სულაკაურიან დაკავშირებით უნდა გამოგვადგეს იგი.

არჩილ სულაკაურის შემოქმედება მთლიანად „სტაბილური ხასიათისა" ჩანს. ეს შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ მწერალი არ ცდილობს ძალით დათრგუნოს საკუთარი მხატვრული აზროვნების თავისებურებები და ჟანრული კანონების შესაბამისად „სუფთად" წეროს. ამიტომაც არის, რომ მედიტაციური ლირიკისადმი შინაგანი ერთგულება არ აიძულებს მას მთლიანად გადაუკეტოს გზა ლექსში პროზაულ ინტონაციებს, საუბრისა თუ განსაკუთრებით მიმართვის ფორმას, ჟანრულ ჩანახატებს. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ არამცთუ არჩილისებური ზომიერების გრძნობით, სწორედ ხაზგასმით ჭარბადაც არის „პროზაიზმები" მოხმობილი თანამედროვე ქართულ, რუსულ თუ ევროპულ პოეზიაში, ზოგიერთთა შემოქმედებაში კი იგი სტილის თვალსაჩინო ნიშანთვისებად იქცა. რაც შეეხება პროზას, საოცრადაა გამთბარი იგი მწერლის პოეტური ბუნებიდან მომდინარე ლირიზმით, განწყობით, თუმცა, ალბათ, არჩილ სულაკაურის მოთხრობები მაინც არ არის პოეტური პროზის ტიპიური ნიმუში. ჟანრების სადემარკაციო მიჯნების ამგვარი დარღვევები არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში მწერლის მთლიანი მხატვრული სამყაროს თავისებურებებსაც ამჟღავნებს და მისი პოეზიისა და პროზის განუყოფლობასაც მიგვანიშნებს.

„სტაბილური ხასიათი"არჩილ სულაკაურის პოეზიისა იმის შედეგიც უნდა იყოს, რომ იგი დაფუძნებულია ისეთ მყარ ფუნდამენტზე, როგორიცაა ქართული კლასიკა. ქართული ლექსის განახლების ბუნებრივი წადილი თუ მოთხოვნილება არჩილ სულაკაურისათვის არასოდეს გულისხმობდა ეროვნული მწერლობის ფესვების გადაჭრას, ვერსიფიკაციული იერის თუ მოტივების უარყოფას. პირიქით, თანამედროვე ადამიანის სულის და აზრის ლირიკული გამოხატვა მისთვის ყველაზე სავსედ სწორედ ისტორიულ ჭრილშია შესაძლებელი. ამიტომაცაა, რომ მის პოეზიას ძალუმად კვებავს ერთიანი და მთლიანი ეროვნული და კლასიკური მემკვიდრეობა.

ამ „სტაბილური ხასიათის" ერთი კონკრეტული გამოხატულებაა ვაჟას მოტივებზე და მონატრებაზე შექმნილი ბრნყინვალე

ციკლი ლექსებისა „მთანი მაღალნი", სადაც წინაპრის ხატი მთელი თავისი სიდიადითა და სიახლოვით წარმოგვიდგება. ვაჟასეული ინტონაცია, პოეტური სახეები, ფრაზები, რაც მთავარია სული კვებავს ამ ციკლს, სადაც უკვდავი სახე გენიალური პოეტისა თანაბრად შთამაგონებლად ჩანს ყველგან და ყველასათვის. ლირიკული გმირი უხმო, უსაზღვრო, ნეტარი მოლოდინით ელის მთებიდან მაცოცხლებელი ვაჟას სულის შემოსვლას და მით ავსებას. მართლაც, რა სასწაულებრივ ძალას უნდა ეთქმევინებინა პოეტისათვის:

„რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა"? ამ ფრაზის ჯადოსნურმა ზემოქმედებამ, მისი უმშვენიერესი და უდიდესი ჰუმანური აზრის გაშიფვრის და განვრცობის ნადილმა შთააგონა არჩილ სულაკაურს ვაჟასეული მადლით აღბეჭდილი ეს სტროფები:

იქნებ ჯობია, მოვიდე წვიმად,
სხვა ცხოვრებისთვის თავი გავწირო
და ვიყო მიწა ულუფა მცირე
და ღრუბლის ოფლით ჯეჯილს ვაწვიმო.

ქართული კლასიკის წმინდა წყაროს ხარბად არის დაწაფებული არჩილ სულაკაური, მაგრამ ამავე დროს ფაქიზადაც, ისე რომ, ერთხელაც არ აუმღვრევია იგი. მისთვის შორეული თუ ახლო წინაპრების სახელები მხოლოდ მოწიწებით არის წარმოსათქმელი და მათთან შეთანხმების უფლებას არც თავის თავს აძლევს და მერე არც სხვას. სატირა ძალზე იშვიათი იარაღია მისთვის და ერთხელ სწორედ იმათ წინააღმდეგ გამოიყენა, ვინც დიდებულ ლანდებს უხამსივით უტყაპუნებს ხელს მაღალ მხრებზე და მათ გვერდით შინაურულად მოკალათებას ლამობს.

არჩილ სულაკაური ლექსში „ახსნა" გულწრფელად და უბრალოდ იტყვის: „ჩემი სათქმელი ისე ძველია, როგორც ყვითელი, ბებერი მთვარე და ახალია, ვით თანამგზავრი". მისი პოეზიაც სავსეა ითქოს დიდი ხნის ნაცნობი თემებითა და მოტივებით, განცდებითა და ფიქრებით, რწმენითა და ეჭვით, სიყვარულითა და სიძულვილით... მაგრამ ამავე დროს ეს ყველაფერი აქ მოულოდნელობის, სიახლის ეფექტით არის აღბეჭდილი, რადგან მისი ლი-

რიკული გმირი ზედროული, მითოსური სამყაროს მკვიდრი კი არ გახლავთ, იგი ჩვენი თანამედროვეა, ვის კონკრეტულ ბიოგრაფიაშიც ტყდება და ირეკლება ადამიანის მარადიული საფიქრალი თუ სანუხარი. ასე რომ, აქ ყველაფერი მხატვრულ მოდელებში კი არ არის მოქცეული, არამედ ცოცხალი ცხოვრებით ფეთქავს, სინედლის სუნი ასდის.

არჩილ სულაკაურს, როგორც პოეტსა და პროზაიკოსსაც, ასე მგონია არ ეთქმის მრავალთემიანი მწერალი. მას უფრო ვარიაციების შექმნა და დამუშავება იზიდავს, ვიდრე თემათა სიმრავლე. მისი პოეტური ბიოგრაფიის მანძილზე არჩილს მუდამ თანა სდევს სამშობლოს, მამულის თემა. იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო ივრცობა და ღრმავდება. ზოგ პოეტს უფრო ხმამაღლა უყვარს, ან ემარჯვება თავისი პატრიოტული სულის გამჟღავნება, ზოგი კი ჩუმად, თითქოს ჩურჩულით გვიმხელს საკუთარ გრძნობებს, ერთნი თუ დეკლარირებას ამჯობინებენ, მეორენი განსჯას ირჩევენ. არჩილ სულაკაურისათვის თავიდანვე უცხო იყო პათეტიკა, მისი ყველაზე ხმამაღლა ნათქვამი ფრაზებიც კი არ განეკუთვნება პოეტურ პათეტიკას. მისთვის, როგორც პიროვნებისათვის (ეს მის ლექსებშიც ცხადდება), არ არის დამახასიათებელი არც ცხოვრებაში და არც შემოქმედებაში ავანსცენაზე დგომა და დეკლარირება. იგი თუ არსებობს, უწინარეს მამულისათვის არსებობს, თუ ხმიანობს, ისევ მამულისათვის ხმიანობს, მისი სულის კვამლიც მამულის ნისლებს ერთვის, მაგრამ ეს ყველაფერი ჩუმად და მადლიანად ხდება.

შენ,
ერთადერთო ჩემო მამულო,
სულ შენგანა მაქვს,
რაიმე თუ მაქვს,
მომეცი ნება, რომ ვიხმაურო,
როგორც ბალახის ფესვებმა,
ჩუმად.

(„შენ, ერთადერთო ჩემო მამულო...“)

სამშობლოს სიყვარული პოეტის ემოციების მთავარი და უხვად მკვებავი წყაროა, მაგრამ ეს არასოდეს, არც თავიდან და არც მერე

არ გამოხატულა აღტყინებასა და ექსტაზში. პირიქით, სულ უფრო მეტად გადაიზარდა პოეტურ ფიქრსა და განსჯაში საკუთარ მოვალეობაზე მთლიანად ქვეყნის, მამა-პაპათა ფუძის, ქალაქისა თუ უბნის, თუნდაც ყოველი მცირედის წინაშე, რისგანაც შედგება მამული. ეს ტენდენცია მის რთული მეტაფორებით და ალეგორიებით ნიშნეულ ფილოსოფიურ ლირიკაშიც გამჟღავნდა და ასეთ სადა, ლაღ ლექსებშიც, რისი მშვენიერი ნიმუშიცაა „მამული".

არ ვიცი, ამას რა ჰქვია,
როცა მთაწმინდა აქვეა,
როცა აქვეა მტკვარი...
ახლავე მივდგებ-მოვდგები,
მაცალე, ვიდრე მოვკვდები,
გადაგიხადო ვალი.
არ ვიცი, ამას რა ჰქვია,
როცა არაგვი აქვეა,
როცა აქვეა ჯვარი...
ახლავე მივდგებ-მოვდგები,
მაცალე ვიდრე მოვკვდები,
გადაგიხადო ვალი.

არჩილ სულაკაურის წინაპრები მთიელები იყვნენ, თუშები. თუმცა მკვიდრი ქალაქელია, მისი სიყვარული თუშეთისადმი მოგონილი კი არ არის, დიდია და გულწრფელი, ამდენად მომხიბლავიცაა, გადამდებიცაა. ჩვენ ვგრძნობთ, რომ მწერლის ყოველი განცდა თუ მისი გამომხატველი ფრაზა მღელვარეცაა და ანკარაც. არჩილ სულაკაურისათვის თუშეთი გასაკვირველი დიდებული კუთხე კი არ არის, მისი გენის და სულის აკვანია. „თუშის ბიჭი ვარ და მინდა მთვარე თუშურ ქუდივით მეხუროს თავზე" („თუშის ბიჭი ვარ"), 1948 წელს დაწერილი ეს ლექსი ერთ-ერთი პირველთაგანია არჩილის პოეზიაში. თუშეთის მოტივს შეუძლებელია გაგრძელება არა ჰქონოდა და უფრო გვიანდელ ლექსებში პოეტის ხედვა და განცდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრად ღრმა და ძლიერია.

პირადად ჩემზე თუშეთის მოტივებზე შექმნილი ლექსებიდან, საერთოდაც არჩილ სულაკაურის პოეზიიდან რაღაც საოცარ,

ბოლომდე აუხსნელ, მაგიურ შთაბეჭდილებას ახდენს „შენაქოში თქმული ლექსი“:

მიტოვებული, მივიწყებული
მაღლობზე იდგა თეთრი საყდარი,
ხოლო გამხდარი, ბებერი ცხენი,
რომელსაც ზურგზე ყვავები ასხდნენ,
იქვე მოწყენით წიწკნიდა ბალახს.
საოცარია მეხსიერება,
მე სულ არ მახსოვს სად ვნახე, როდის,
მაგრამ ხსოვნაში აქამდე ჩამრჩა:
თეთრი საყდარი და თეთრი ცხენი,
მოწყენილი და გამხდარი ცხენი,
რომელსაც ზურგზე ყვავები ასხდნენ.

ამ თითქოს ნეიტრალურ პოეტურ ჩანახატში, სადაც არცერთი სიტყვით არ არის უშუალოდ გამჟღავნებული პოეტის დამოკიდებულება წარმოსახული სურათისადმი, სწორედაც უდიდესი და უნაზესი სიყვარულია ჩატეული. ამ ლექსიდან ისეთი უნაპირო სევდა იღვრება, რომელიც მხოლოდ იმას შეიძლება გააჩნდეს, ვინც მშობლიურ კუთხესთან მარტო გონით და გრძნობით კი არა, იდუმალი სულითაც არის დაკავშირებული. იმ სულით, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის, მოკვდავთ გაუსაძლის გასაჭირს ატანინებს, ყოვლისმძლე მხნეობას მატებს და ასე, ამ გზით ანიჭებს უკვდავებას კერას, მიწას, მამულს. მიტოვებული თეთრი საყდარი, მოწყენილი გამხდარი ცხენი, ბებერ ზურგზე რომ ყვავები ასხდა, თითქოს განწირულების გრძნობას ბადებს, მაგრამ ვიდრე ვიღაც ასეთი სიყვარულით და სევდით ხედავს ამას , სხვასაც მიაქცევინებს ყურადღებას, ვიდრე ღრმად არის იგი აღბეჭდილი მეხსიერებაში, იმედი ცოცხლობს.

არჩილ სულაკაურიც, ერთი ჩვენი დიდი წინაპრისა არ იყოს, „არა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის“ იწვის შემოქმედებითი ცეცხლით. მისი პოეზია სავსეა მინორით, სევდით, ეჭვით, ტკივილით („პირველი თოვლი“, „სარკმელთან ვსხედვართ პატარებივით...“, „უმთვარო ზეცა“, „შემოდგომა“, „დავიწყებული სიზმრები“, „ზოგჯერ მგონია... „, „ზამთარი“, „სიჩუმე“ და მრავალი სხვა). „და შე-

მზარავი ქარის კივილით სხეულს შიგნიდან, როგორც კედლებს, აწყდება სული" („გამოგადევნე უკან ხელები...") — ამგვარი განცდა პოეტისათვის ჩვეული გამხდარა. მას მუქი გრძნობები იმიტომ მოსძალებია, რომ გულაყრილია ცხოვრებაზე, წუწუნი თუ სულის გვემა მოთხვონილებად გადაქცევია. უბრალოდ, მან იცის, რომ წუხილის გარეშე სიხარულის განცდას ვერ ეზიარები, რომ სულის სიჯანსაღე მხოლოდ სულიერი ტკივილის დაძლევით მიიღწევა, რწმენისაკენ გზა ეჭვზე გადის. ეს ყველაფერი თანაბრად ადამიანურია, თავად ცხოვრებისაგან მონიჭებული და ერთ-ერთი მათგანის წაყრუება საბედისწეროც შეიძლება გახდეს. არჩილ სულაკაურის მოქალაქეობრივი და პოეტური პოზიციის გასაგებად მეტად საგულისხმოა მისი ერთი მომცრო უსათაურო ლექსი:

ნუ გეშინია,
შენს აღტაცებას
და შენს სიხარულს არ შევეხები.
არ მინდა შენი ნიჭის მისხალიც,
შენი უზადო ბედნიერების
ცისარტყელიდან
შვიდივე ფერი
შენს სულში დარჩეს ნიადაგ,
ოღონდ
მომეცი ნება,
ანუ უფლება,
აღფრთოვანებულ შენს გულს და ფიქრებს
გადმოვუნერგო ჩემი გულიდან
ეჭვის პატარა,
ცოცხალი ყლორტი...

რა არს ეს, ბოროტი სულის მზაკვრული სურვილი, თუ მოყვასისადმი სიყვარულის გამოხატულება? ვისაც ამ კითხვაზე დაუყოვნებელი პასუხის გაცემა გაუძნელდება, ნუ წაიკითხვას არჩილის ლექსებს, ის ამისათვის არ ყოფილა მზად. მისთვის ლიტონ სიტყვებად დარჩება არჩილის მიერ სხვაგან პირდაპირ და ალალად გაცხადებული გულისთქმა: „მაგრამ მე მინდა მაღალი სულის ფანჯრები იყოს ჩემი თვალები"(„მაღალი დღე").

არჩილ სულაკაურის პოეზია ერთი მთლიანი, მტკიცედ ნაგები სამყაროა, სადაც მოტივების, განწყობილებების, გამოხატვის საშუალებების და ფორმების ნაირგვარობაში ავტორის მყარი მწერლური პოეზია, მრწამსი, მსოფლშეგრძნება ჩანს. ჩანს ცხადად, მიუხედავად იმისა, რომ არჩილის ლექსში სათქმელი იშვიათად ტივტივებს ზედაპირზე, იგი უფრო სიღრმეშია მოსაძიებელი, სიმბოლიკასა და ქვეტექსტებშია ამოსაკითხი. ადამიანური და პოეტური მოვალეობის გრძნობა არჩილისებური ინტონაციით და მეტაფორით ასეთ სახეს იღებს ლექსში „შენ ხარ ვენახი“:

მე წავალ,
როცა
დარეკავს ზარი,
ამ წუთისოფლის
დაღლილი მგაზვრი.
მანამდე სულის
ნაპრალში მინდა,
როგორც ცისკარმა,
გავცვითო ბინდი.

არ მოვტყუვდეთ! სულაკაურის შემოქმედებაში შემოდგომისა და ზამთრის, მიმწუხრისა და ბინდის, წუთისოფლისა და წარმავლობის მოტივები უიმედობის, მელანქოლიური განწყობის შესაქმნელად კი არ ისმის, არამედ სწორედაც იმედისა და რწმენის განსამტკიცებლად. მათ ფონზე, ან მათთან მოულოდნელი დაპირისპირებით უფრო შთამბეჭდავია სიცოცხლის უსასრულობის, ადამიანის სიკეთისა, სამყაროს მშვენიერების ავტორისეული განცდა. პოეტსაც სწორედ ასე, ამ გზით და ამ ხერხით ფრთხილად, სასოებით მოაქვს ჩვენამდე „ბარტყივით თბილი და ჩვილი რწმენა“ განა ამის შესანიშნავი ნიმუში არ არის „შენ ხარ ვენახი“ მთლიანად და მისი ზემოთ მოტანილი სტროფებიც? კიდევ გნებავთ? ინებეთ: „მზე ჩადის... რჩება სითბო და შუქი ფილაქნებსა და ქვის შენობებზე“ („ისე გეძებდი...“), „ეს ფიქრიც თითქოს ტყეა უღრანი და მოლოდინით გარინდებულა...გმადლობ უფალო! ამ ძველ ბუხარში ცეცხლი ანთია კვლავინდებურად“ („ზამთარი“). თუ ახლაც გეეჭვებათ ჩემი ნათქვამი, ისევ არჩილის სტროფებს მო-

ვიხმობ, ოღონდ ახლა უკვე იმ სტროფებს, სადაც არაორაზროვნად არის გამჟღავნებული სამყაროს მისეული ხედვა:

მე სულ სხვა ფიქრი
და ზრუნვა მიხმობს
და არაერთხელ
მითქვამს წინათვე:
ყველა მწუხრის და
სიბნელის მიღმა
მხოლოდ და მხოლოდ
ვხედავ სინათლეს.
(„ახლაც გარდუვალ ბედზე ვსაუბრობ...“)

არჩილ სულაკაურის შემოქმედების ურბანისტული სული იმდენად თვალსაჩინოა, მეტიც, მკაფიოდ არის გამოხატული, რომ ვისაც კი რამე უთქვამს მწერალზე, შინაური თუ გარეშე (არჩილზე კი ბევრ რამ არის დაწერილი ჩვენშიც, უცხოეთშიც), ყველა ერთხმად აღიარებს, ხაზგასმითაც კი აღნიშნავს ამას.

ლექსში „დედა“ პოეტი ასე მიმართავს: „ალბათ იგონებ, თუ წლების იქით როგორ გამზარდეთ შენ და თბილისმა“. სწორედ თბილისია ის ადგილი და გარემო, სადაც იგრძნო და შეიცნო მან ადამიანთა ხასიათები და ურთიერთობები, საიდანაც ხედავს და აკვირდება იგი მთელ ქვეყნიერებას, რაც განაპირობებს მისი შემოქმედებითი სამყაროს თავისებურებებს.

მისი ლექსების დიდი ნაწილი სწორედ ქალაქური შთაბეჭდილებებით, აქ აღძრული ფიქრითა და განცდით არის შთაგონებული („თბილისი“, „მწვანე ზაფხული მიინურა ვიწრო ქუჩებში...“, „ნუშის ხეები...“, „ახლაც ქუჩაში გავალ უდროოდ...“, „წვიმაში“, „პირველი თოვლი“, „მტკვარგაღმა დაგრჩა ბავშვობის კერა...“, „ისევ უთოვლოდ გადის ზამთარი...“ და ბევრი სხვა). იმ ლექსებშიც, სადაც უშუალოდ არ ჩანს თბილისი (ვთქვათ, თუშეთზე რომაა დაწერილი, ან ვაჟას მოტივებზე შექმნილი), მაინც აშკარად იგრძნობა მათი ლირიკული გმირის „ქალაქელობა“ „მე ამ სოფელში ვერავინ მიცნო“ („სოფლად შემოვა...“) იტყვის გულისტკივილით იგი. ან, „მე უფრო ადრე მწყუროდა მოსვლა“ („თუშის ბიჭი ვარ“), ასე გაუმხელს სიყვარულს თუშეთს. ვაჟა-ფშაველას სულით ავსებასაც იგი ქალაქში ელის მთებიდან მონაბერი ქარით.

არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში ურბანიზმი მხოლოდ ან თუნდაც უპირატესად თემატიკით კი არ არის გამოხატული და შემოფარგლული, არამედ უფრო მთავარი და სიღრმისეული ნიშნებითაა აღბეჭდილი მწერლის მსოფლშეგრძნებით, ფსიქიკით, მხატვრული აზროვნების სტილით, სახეთა სისტემით.

და მაინც, ეს განსაკუთრებული ძალით იგრძნობა მწერლის მოთხრობებში და რომანებში, სადაც არა მარტო ვხვდებით, ვგრძნობთ, ვწვდებით ამას, არამედ ვხედავთ, კიდეც. პროზა უფრო თვალსაჩინოდ ავლენს მსგავს ტენდენციებს, ვიდრე სუბიექტური იდუმალებით სავსე ლირიკა, რის გამოც მხატვრული აზრი ბევრად იოლი მოსახელთებელია. მწერლის 60-იანი წლების პროზაში (რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი და როგორც ვნახეთ) მხოლოდ ქალაქის და ქალაქელების ცხოვრებაა წარმოსახული. ამ გარემოსა და ადმიანებს იგი 70-იანი წლების მოთხრობებშიც არსად ღალატობს.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე არჩილ სულაკაურმა თითქოს მოულოდნელი, მისთვის ახლებური პროზაც შემოგვთავაზა. ისეთი მოთხრობების გვერდით, როგორებიცაა „ლუკა" და „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის", მწერლის ადრეულ პროზას ასერიგად რომ ეხმიანება და აგრძელებს, მან გამოაქვეყნა „ღამე ყაბახზე", „ჟამი დასვენებისა" და „პაწაწინა ნიგვზის ტოტი". თუ ჩავუკვირდებით, ამ „ახალ" მოთხრობებსაც .აღმოაჩნდება თავისი ძირები სულაკაურისავე შემოქმედებაში.

მოთხრობას „ღამე ყაბახზე" ნინ წამძღვარებული აქვს ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილიდან მაიკო ორბელიანისადმი: „არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენი... მარტოობით, შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში!"

გენიალური ქართველი პოეტის ექვმიუტანელ, სრულიად აშკარა, მისსავ პოეზიაში საოცარი ძალით გამხელილ სულიერ ობლობაზე, მარტოობისა და სიცარიელის მწვავედ მტანჯველ გრძნობაზეა დანერილი ეს მოთხრობა. მწუხარე განცდა მსჭვალავს ამ მშვენიერ მოთხრობას, სადაც გმირის სულიერი ტკივილი იმ-

დენად მკაცრად შეკრული სიუჟეტური ქარგით, ან მთლიანად ამბის თხრობით არ გადმოიცემა, რამდენადაც დიდი პოეტური ძალით შექმნილი განწყობილებით. სულაც არ არის გასაკვირი ამ ერთი შეხედვით თითქოსდა „მოულოდნელი" მოთხრობის გამოჩენა არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში. მის პოეზიასა და პროზაშიც ძლიერად არის გამოხატული ეს მოტივი. გავიხსენოთ ფრაგმენტი სულაკაურის ერთი უსათაურო ლექსიდან:

ზოგჯერ მგონია — ზღვის ფსკერზე ვცხოვრობ,
ვით დალეწილი ძველი ხომალდი
და მესმის მხოლოდ შენი დუმილი,
სხვა არაფერი,
არავითარი სხვა არ მესმის...

მარტოობა და ამით აღძრული ათასგვარი, თუმცა ერთნაირად და თანაბრად მტანჯველი გრძნობები ადრეც და მერეც იყო და რჩება არჩილ სულაკაურის შემოქმედების ერთ -ერთ მთავარ მოტივად და თემად. ასე რომ, „ღამე ყაბახზე" მწერლის შემოქმედებითი სამყაროს ერთი ორგანული ნაწილია და არა მისი სამუშაო ნაკვეთიდან მოშორებით ამოსული და გახარებული უცო ნაყოფი.

„პაწანინა ნიგვზის ტოტი" ასე ძლიერ არ არის ნასაზრდოვები არჩილ სულაკაურის შემოქმედების საერთო სულით, მაგრამ აქ აღწერილი სამყარო არცთუ სულ უცხოა მისთვის. „ოქროს თევზშიც" და „ლუკაშიც" ვხვდებით ჩვენ დაახლოებით ამგვარ გმირებს თუ პერსონაჟებს, ვისი მთავარი თვისებაც სიხარბეა და ამ ბნელ ვნებისათვის შეუწირავთ ყოველივე ადამიანური.

* * *

არჩილ სულაკაურის შემოქმედებაზე საუბრისას მეტწილად დროისმიერ თანმიმდევრობას ვიცავდი. მხოლოდ „ჩუღურეთის ციკლის" მოთხრობებთან დაკავშირებით დავარღვიე ეს პრინციპი. ეს ციკლი იმდენად მნიშვნელოვანია მწერლის შემოქმედებაში, თანაც მოთხრობები ისე ორგანულად, სიუჟეტურადაც და სახეობრივადაც კი არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ მათი განცალ-

კევება, დაშორიშორება არ იქნებოდა სწორი. ამ ციკლის მოთხრობებია „წყალდიდობა"(1958 წ.), „ბიჭი და ძაღლი" (1960 წ.), ვფიქრობ, „გაბოც" (1960 წ.), უფრო თავისი სულით და სტილით, ვიდრე ზუსტი გეოგრაფიული გარემოთი, „ლუკა" (1972 წ.), „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის" (1979 წ.).

ამავე ციკლს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უკვე წმინდა გეოგრაფიული გარემოს წყალობით შეიძლება მივაკუთვნოთ „ჯადოსნური კაბა", რომლის გმირი გოგონაც სწორედ ჩუღურეთის უბნის ერთი ძველი სახლის სხვენიდან ხვდება ზღაპრულ სამყაროში და აქედანვე უბრუნდება თავის რეალურ ყოფას. მაგრამ ეს მაინც ხელოვნური დაკავშირება იქნება. უფრო მეტი საბაბი გვაქვს ამ ციკლის მოთხრობად ჩავთვალოთ „ღამე ყაბახზე". ერთი შეხედვით ეს საკმაოდ უცნაურ საქციელად შეიძლება ჩანდეს. მიუხედავად იმისა, რომ დროის თვალსაზრისით ეს მოთხრობა საუკუნეზე მეტი ხნით სცილდება წარსულისაკენ „ჩუღურეთის ციკლს", მათ შორის, ვფიქრობ, შეიმჩნევა განნყობილების ერთიანობა. მარტოობა მათი გმირების ბევრნილად საერთო სულიერი მდგომარეობაა. ამას გარდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ ჩუღურეთის აქა-იქ საცოდავად აკიაფებულ, მისთვის ახლობელ უბანში მისდგომია მდინარის რიყეს და მწარე ფიქრებს მისცემია. მთავარი მაინც ისაა, რომ „მტკვარი მისი ბავშვობის მდინარე იყო. ბავშვობიდანვე ესმოდა ეს ხმაური და სულ ეგონა, ამ ხმებით მტკვარი რაღაცის თქმას აპირებდა, წვალობდა, იტანჯებოდა და მაინც ვერ აგებინებდა... დაუხშობელი ხმა იზიდავდა და ეძახდა, აღელვებდა, როგორც ცხოვრება ან ქალი".

იგივე დამოკიდებულება აქვთ მტკვრისადმი „ჩუღურეთის ციკლის" მოთხრობების გმირებს, ასევე მღელვარე, ახლობლური, განუყოფელი. ბავშვობისა და ყრმობის შთაბეჭდილებები, იმ ერთდროულად მძიმე და ნათელი ხანიდან დანახული თუ განცდილი სამყარო მრავალმხრივ არის შემოსული არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში. მწერლისთვის ეს ხსოვნისა და გულში ღრმად გამჯდარი მასალაა, გამოცდილებაა, რომელიც ახლა ფიქრის ქურაში გაუტარებია. ასე მივიღეთ ნაჯვარი ყმანვილური უშუალობის, მიამიტობის და ღრმა ფილოსოფიური ხედვისა, რისგანაც შედგება არჩილ სულაკაურის მოთხრობების დიდი ნაწილის მომხიბლავი და საგუ-

ლისხმო სამყარო. განზოგადების ფრთიან გამოთქმად ქცეული ფრაზა: „იყო კი ბიჭი? იქნებ ბიჭი არაცა ყოფილა?"

არჩილ სულაკაურს ის ნაღდი ფასეულობები, ბავშვობიდან რომ გამოპყოლია, არამცთუ ყალბად არა ქცევია, სულ მცირე დევალვაციაც კი არ განუცდია მას. მისი მოთხრობების გმირებსაც ცხოვრების გზაზე სუფთა სინდისი, კაცთმოყვარეობა, კეთილშობილება მუდმივ თანამგზავრად მოსდევს მოყოლებული ყველაზე პატარიდან, ვინც პირველად ამჟღავნებს პიროვნულ თვისებებს (მოთხრობიდან „ბიჭი და ძაღლი"), ვიდრე იმ გმირებამდე, რომლებიც უკვე ცხოვრების დიდ და მღვრიე ტალღებს შებმიან („ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიანუ", „ოქროს თევზი" და სხვა).

სწორედ ამიტომ არის არჩილ სულაკაურის მოთხრობები საერთოდ, კერძოდ კი „ჩუღურეთულიც", ღრმა დრამატიზმთან ერთად დიდი სინათლით სავსეც, რასაც თანა სდევს მწერლის საოცრად თბილი ლირიზმიც. ეს მართებულად შენიშნა უნგრელმა პავოლ კოიშმა: „არ ვგულისხმობ პროზის ხელოვნურ ლირიზაციას, ტექსტის მეტაფორებითა და სხვა სამკაულებით მორთულობას, ავტორის ლირიზმი მისსავ აზროვნებაშია, მისსავ მსოფლშეგრძნებაშია... ცხოვრებისეულ სილამაზეს ამ შემთხვევაში ლამაზი ბაფთის ფუნქცია კი არ აკისრია, არამედ გმირთა საქციელისა და გრძნობების ესთეტიზაცია..."

„ჩუღურეთის ციკლს" მოთხრობა „წყალდიდობით" დაედო საათავე. თბილისის ამ უბნის, მწერლის ბავშვობის ტკბილ-მწარე კერის როლსა, მნიშვნელობასა და გამოხატულებაზე არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში ამ წერილის თავშივე უკვე მქონდა საუბარი. აქ მხოლოდ იმას დავძენ, რომ „წყალდიდობაც" სავსეა ყოფითი დეტალებით, ცოცხლად გვიხატავს მტკვრის სანაპიროსა და მის ბინადართა ცხოვრებას. ამასთანავე, მძაფრადაა მასში დასმული ადამიანის ზნეობრივი სინმინდის პრობლემა. ერთი შეხედვით, ძველი თბილისის სანაპირო თავისი ტიკებით, პატარ-პატარა ნისქვილებითა და ნავებით, მეწისქვილეებით, მედუქნეებით, მრეცხავებით, ხელოსნებით, მეთევზეებით, რომელთა ცხოვრება მეტწილად პატარა ეზოებსა და უსნორმასნორო ქუჩებში, ან ღია ფართო აივნებზე, ერთმანეთის თვალწინ მიედინება — ყველაფერი ეს, რასაც მწერალი მართლაც კოლორიტის მახვილი

გრძნობით, მსუყე ფერებით გვიხატავს, თითქოს ყოფითი ნაწარმოების შექმნისთვისაა გამიზნული. მაგრამ არჩილ სულაკაურს აქ, პირველ რიგში, ადამიანის ქცევისა და საერთოდ ცხოვრების ზნეობრივი პრინციპების გარკვევა და გამოხატვა სურს.

მაღალი ზნეობა აუცილებლად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენასთან კავშირში როდი ჩანს. იგი ერთნაირად ძლიერად და ლამაზად სჭვივის დიდსა თუ პატარა, იქნებ სულ უმნიშვნელო ფაქტსა და მოქმედებაში. მეთევზე ლადოც სწორედ ასეთი პატარა და უბრალო ადამიანია, ვისაც არც უფიქრია დიდ საქმეებზე. მისი ცხოვრების დღენი ერთგვაროვნად, მოსაწყენად, თითქოს ფუჭადაც მიედინებიან, მაგრამ მკითხველისათვის თვალნათლივს ხდიან ამ გულმართალი და სინდისიანი კაცის პრინციპებს.

ლადო, ეს უბრალო მეთევზე, ერთი ჩუმი და უტყვი კაცი, თავისი ცხოვრებითა და ქცევით ირგვლივ სიკეთესა და სიყვარულს თესავს მხოლოდ. ადამიანს ყველა ვალი გასტუმრებული უნდა ჰქონდეს, ეს ღრმად სწამს ლადოს და ამ პრინციპს მისდევს კიდევაც ცხოვრებაში.რა ვუყოთ, თუ ლადოს ასპარეზი ან მასშტაბები აკლია, მისი ყოველდღიური ყოფა თუ სულიერი სამყარო ამით ნაკლებ საინტერესო ან მნიშვნელოვანი სულაც არ ხდება.

ერთი კი უნდა ითქვას, ლადო ცოტა ინერტულია და იქნებ სწორედ ამის გამოც კარგავს ბევრს ცხოვრებაში, კარგავს თავის ლამაზ და ახალგაზრდა ცოლს იულიასაც. იქნებ მხოლოდ პირადი მაგალითი მაღალი ზნეობისა არ არის საკმარისი და მისი დამკვიდრებისათვის აქტიური ბრძოლაცაა საჭირო. შეიძლება ამგვარი მოსაზრებები თავისთავად და საერთოდ მართალიცაა, მაგრამ ლადო აი ასეთია, როგორც დაგვიხატა მწერალმა — ჩუმად და მარტოდ მთესველი სიკეთისა. ამგვარი ადამიანებიც და ლიტერატურული გმირებიც ღრმა კვალს უნდა სტოვებდნენ ირგვლივ მყოფთა გულებში და თუ ეს ასე არ ხდება, ყოველ შემთხვევაში მათი ბრალი სულაც არ არის.

კიდევ უფრო სევდიანია მოთხრობა „გაბო". ცხოვრების გზაზე შემოზამთრებული ადამიანის ერთფეროვანი ნაღვლიანი ყოფა მწერლისა და მასთან ერთად მკითხველის გულწრფელ თანაგრძნობას იწვევს. ეს გარდუვალი წუხილი მაინც ასატანი იქნებოდა,

გაბოს უფრო მძიმე სატკივარი რომ არ ქონდეს. მწერლის თვალი მოხუცის სულის ბევრად მწვავე ჭრილობას გვიშიშვლებს. მარტოობის განცდა მთელი სიმძაფრით შემოდის მოთხრობაში, უკანასკნელი იმედის, ოცნების მსხვრევა კი ამ თითქოს ნაღვლიან, მაგრამ მაინც უბრალო და ჩვეულ ამბავს დიდი დრამატიზმით ავსებს.

„ჩუღურეთის ციკლს" საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ კვლავ ელოდა გაგრძელება, და მერე როგორი? 70-იან წლებში ჯერ „ლუკა" გამოქვეყნდა, მერე კი „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის"

„ბრმა ლეკვებს" არჩილ სულაკაურის ადრინდელი მოთხრობების, კერძოდ, „წყალდიდობის" ხანაში, გარემოში, პერსონაჟთა შორის დავყავართ. ისევ ის მტკვრის სანაპირო, ჩუღურეთი, სტეფანე და მისი წისქვილი, მწვანე ფრენჩიანი მამაკაცი და ზოგიც სხვა ძველი ნაცნობი პერსონაჟი და ადგილგარემო კვლავ შემოგვხვდება ამ მოთხრობაში. შემოგვხვდება და გაგვახსენებს იმ მშვენიერ სამყაროს, რომელიც მწერალმა ადრე შექმნა და შეგვაყვარა, რომელსაც ახლა კვლავ მიუბრუნდა და ახალი ფერები, ხასიათები, ტკივილები შემატა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩილ სულაკაური ერთ-ერთი იმ ქართველ მწერალთაგანია, ვინც მუდამ უაღრესი პასუხისმგებლობით, სიფაქიზითა და სერიოზულობით ეკიდებოდა სიტყვას, 70-იან წლებში დაწერილი მოთხრობები კიდევ უფრო გვანცვიფრებს მწერლის ენით, ერთდროულად საოცრად უბრალოთი და უმდიდრესით. ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა მწერალი მთლიანად ფლობს სიტყვას და ისიც კარგი ბედაურივით არასოდეს ღალატობს.

არჩილ სულაკაურის გმირები ყოველთვის ღრმად აღიბეჭდებიან ხოლმე ჩვენს მეხსიერებაში. ეს იმიტომ ხდება, რომ იგი მშვენიერი მხატვარია და ცოცხლად, შთამბეჭდავად გვიხატავს მათ პორტრეტებსაც და იმ გარემოსაც, რომელშიც ისინი ტრიალებენ, ცხოვრობენ. ეს იმიტომაც ხდება, რომ იგი ღრმა ფსიქოლოგიცაა და საინტერესოდ გვიხსნის ყოველი გმირის სულის განუმეორებელ თვისებებს, უფრო ზუსტად, გვიხსნის ადამიანურ გრძნობათა, განცდათა მისეულ გამოხატულებას. ამას გარდა, მისი გმირები ყოველთვის რაღაც მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული მო-

მენტით წარმოგვიდგებიან, როცა განსაკუთრებით მკვეთრად ეჟღავნდება მათი ხასიათი, ფსიქიკა, სული...

აქაც, „ბრმა ლეკვებში“ ძველი დაბაღის, ცხოვრებაგალეული ბერიკაცის დიდი სულიერი მღელვარების, საბედისწერო ტკივილის, სიკეთისათვის უკანასკნელი გაბრძოლების მოწამესა გვხდის მწერალი. და ისევ მთელი მხატვრული სისრულით და მშვენიერებით გამოიხატება ჩვენს თვალწინ არჩილ სულაკაურის უბრალო, მაგრამ დიდი ადამიანური სიკეთით სავსე გმირი. ჩვენ ვხედავთ ბერიკაცის კმაყოფილ ფუსფუსს, თავს რომ დასტრიალებს ახლად დაყრილ ჯერ კიდევ ბრმა ლეკვებს, ვხედავთ რიყის ქვით მოკირწყლულ ეზოსა და ქუჩებს, როცა მოხუცი მეწისქვილისაკენ მიიჩქარის სალაფავისათვის ფქვილის სათხოვნელად, ვხედავთ მისი სიხარულით სავსე თვალებს, რაკი მასაც ერგო რაღაც დიდი და კეთილი საქმის სამსახური, მერე კი ვხედავთ ტკივილით დაღდასმულ სახეს, როცა მოტყუებულად იგრძნობს თავს.

„უბირი ვინმე არ გეგონო, სახარება ორჯერ მაქვს წაკითხული“ — ეტყვის ამაყად ბერიკაცი ოქროსსათვალეებიან კაფანდარა ვიღაც უცხო კაცს, ვისიც ვერაფერი გაიგო, მაგრამ ის კი ირწმუნა, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი საქმისათვის სჭირდებოდა ლეკვები. ძველი დაბაღის მთავარი ღირსება იმაშია, რომ მისი გული ღიაა სიკეთისათვის, საიდანაც და ვისგანაც არ უნდა იღვრებოდეს იგი, სახარებიდან თუ გზად შემოხვედრილი ადამიანისაგან, თუნდაც უცნობისაგან.

ახლაც ბოლომდე ირწმუნა ამ კაფანდარა კაცის, ვინც თურმე ანგელოსების და ღმერთის სიზმრებს ხედავდა (ასე ჩააგონა საკუთარ თავს). მისთვის მიცემული სიტყვით სულდგმულობდა ბერიკაცი, დიდი საქმისთვის უზრდიდა ლეკვებს ვიღაც მეცნიერს და ამის შეგნებამ ძველი ძალა და სიხალისე დაუბრუნა. მაგრამ ეს რწმენა ეჭვში ჩაუხრჩო იმ კაცმა, ვისაც მეორე დღეს აღარაფერი ახსოვდა თავისი ბრტყელ-ბრტყელი საუბრიდან სიკეთესა და ცოდვაზე, ვინაც ყოველთვის და იმ დღესაც „გულსგარეთ ლაპარაკობდა, ქვეყანაზე არაფერი არ აინტერესებდა ერთი ჭიქა არაყის გარდა“. ბერიკაცმა კი ეს „გულსგარეთ“ ნათქვამი სიტყვებიც დაიჯერა, იფიქრა, ოქროსსათვალიანმა მეცნიერმა მომატყუაო და სიკეთით სავსე გული შურისძიებით აივსო. ადამიანების ამ

ულირს და ბოროტ ჩვეულებას, „გულისგარეთ" ლაქლაქს ემსხვერპლება ხუთი ბრმა ლეკვიც, მათ მოვლაში ჩადებული სიკეთის მარცვალიც და სიკეთის ჩუმი მატარებელი ძველი დაბაღიც.

დაბოლოს „ლუკას" შესახებ, რომელიც სამართლიანად არის აღიარებული ქართული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. ჩეხი კრიტიკოსი კამილ ხრობაკი ქართული მწერლობისათვის ლეგენდარულს უწოდებს 1977 წელს იმის გამო, რომ ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია" და არჩილ სულაკაურის „ლუკა" გამოქვეყნდა. ნუ გამოვედეკნებით მცირეოდენ ქრონოლოგიურ უზუსტობას, მთავარი აქ ის უდიდესი მნიშვნელობაა, რასაც კრიტიკოსი ამ ნაწარმოებს ანიჭებს თანამედროვე ეროვნულ თუ უფრო დიდი, მსოფლიო მასშტაბითაც.

ამ მოთხრობაშიც არჩილ სულაკაური სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების პრობლემას დასტრიალებს თავს, სწორედ იმ პრობლემას, რომლითაც შემოაღო მან ქართული პროზის კარი და რომელიც დღემდე არ გასხლტომია ყურადღების ცენტრიდან.

მწერლის მხატვრულ აზრს თუ ლოგიკურამდე დავიყვანთ და გავშიფრავთ, რაც არც თუ ისე ძნელი საქმეა, რადგან, მიუხედავად რთული არიქიტექტონიკისა, მითოლოგიური მოტივებისა, სიმბოლიკისა მაინც გამჭვირვალეა მოთხრობის მხატვრული გარსი („თამამად შეიძლება ითქვას; რომ ცოტაა ისეთი ნოველა, რომელიც ამდაგვარი სინმინდით და აზრობრივი სიზუსტით ასახავდეს თანადროულობას თავისი ატრიბუტებიანად" — კამილ ხრობაკი), მაშინ „ლუკაში" მწერლის სათქმელი ალბათ ასეთნაირად ჩამოყალიბდება:

ომმა გააშიშვლა ადამიანთა ბუნება, ხასიათი, სული. ამ უდიდესმა განსაცდელმა დაარღვია ის წონასწორობა, რაც საშუალებას აძლევდა ადამიანებს შეენიღბათ, მიეჩქმალათ, არ გაემჟღავნებინათ იქნებ ზოგჯერ მათთვისაც კი მიწვდომელი და მიუხვედრელი, მაგრამ მაინც სულის სიღრმეში არსებული თუ მთვლემარე გრძნობები და ინსტინქტები. მწერლის მახვილი თვალით დანახული საოცარი კონტრასტულობა ომამდელი და ომისდროინდელი ყოფისა უბრალო კონსტატაციისათვის არ არის აქ მოტანილი. მას ამის მიზეზების გარკვევაც სურს. ყველაზე დიდი განსაცდელი.

ომი იქცა ადამიანებისათვის მძიმე და უტყუარ გამოცდად. „ლუკაში“ არჩილ სულაკაური ამ გამოცდის მოწმედ გვხდის.

მამაკაცები, უფროსებიცა და ახლგაზრდებიც, ვინც ბრძოლისთვის ვარგოდნენ, ფრონტზე წასულან. შინ დარჩენილთა შორის კი დაიწყო ბრძოლა არსებობისათვის და ამან გუშინდელი მეზობლები ორ ბანაკად გაპყო. ზოგთათვის არსებობის, გადარჩენის ერთადერთი გზა ის იყო, რომ თავიანთი ბუნებისათვის არ ეღალატათ, იმადვე დარჩენილიყვნენ, რაც იყვნენ, ისევე სავსე ჰქონდათ სული სიკეთით, სიყვარულით, როგორც ადრე ჰქონდათ. ასეთია ხეიბარი ანდუყაფარი, მეთევზე ლადო (წყალდიდობიდან აქაც რომ გამოგვეცხადა), უკრაინელი ლტოლვილი ბოგდანა. სხვებისთვის არსებობისათვის ბრძოლა მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენის ინსტინქტამდე დავიდა და აქედან ერთი ნაბიჯი აღარც კია ბოროტებამდე. მიამიტი მემტრედე რუბენა, უწყინარი დათიკო ბერიშვილი, ბატონი პოლიკარპე, ადრე კეთილ ადამიანებად რომ ესახებოდა ლუკას, ახლა ნამდვილი სახით წარმოდგნენ და საკუთარი პატარა კმაყოფილებისათვისაც კი უყოყმანოდ სწირავენ თავისსავე გუშინდელ მეგობრებს.

ლუკასთვის მისი თვალთახედვის არეში მყოფი მიკროსამყარო აშკარად ორ პოლუსად გაიყო, სიკეთედ და ბოროტებად. რომელი პოლუსი მიიზიდავს ლუკას, ვისი ცხოვრების გზაც ახლა იწყება, ვინც ცოტა ნაადრევად ყალიბდება დამოუკიდებელ პიროვნებად მკაცრი რეალობის გამო? მისი ტოლი ბიჭები, ალბერტა და ირაკლი, მარტივი ბედნიერების, ანუ კმაყოფილების ცდუნებამ გადასძალა და ბოროტების გზაზე დააყენა, ლუკა კი ანდუყაფარის სულმა მოხიბლა, მისი სიკეთით აივსო, ბედნიერების ჭეშმარიტ გზას დააღგა.

აი ასე დავიდა მწერლის მიერ შეთხზული მთელი ეს რთული და საინტერესო სამყარო სიკეთისა და ბოროტების მარადიული პრობლემის გამოხატვამდე. თავის მხრივ კი, ეს ზოგადი პრობლემა უაღრესად კონკრეტულ ყოფით სიტუაციებში, განუმეორებელ მხატვრულ სახეებსა და ხასიათებში გამჟღავნდა.

არჩილ სულაკაური ამას არ დასჯერდა, სათქმელის მეტი განზოგადების მიზნით მითოლოგიას მიმართა. მეოცე საუკუნის ლიტერატურა და ხელოვნება აშკარად სიმპათიურად არის განწყო-

ბილი ამგვარი ხასიათის მხატვრული აზროვნებისადმი და საოცარი ინტერესით, მრავალნაირად იყენებს მითოსს. მწერალმა „ლუკაში" უძველეს ქართულ ღვთაებას, მთვარეს მიმართა და ეს ალბათ იმიტომაც მოიმოქმედა, რომ სიკეთის სიმბოლოდ სწორედ იგი გამოადგებოდა, რაკიღა ჩვენს წინაპართა წარმოდგენაში ყოველვთის სიახლის, მძლეობის სინონიმი იყო. ეს სიმბოლო რომ ირჩია, მის კონკრეტულ სახეს უკვე ოსირისისა და ისიდას ძველეგვიპტურ მითს დაესესხა.

მწერლისათვის ომი ორი სახელმწიფოს, ორი სოციალური სისტემის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლასთან ერთად, უფრო ზოგადი კატეგორიების, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაცაა. და ამ ვითარებაში სიკეთეს საშინელი განსაცდელი ემუქრება. აი ამ დროს გამოეცხადება ლუკას ნუგეშად და ძალის მიმცემად მთვარისა -- მითის მიხედვით სიკეთის სიმბოლო და მისივ აღსარებით „შემწე ყოველთა ტანჯულთა, ღატაკთა და უპოვართა, ნუგეშისმცემი ყოველთა დაცემულთა".

ანდუყაფარიც, ბოგდანიც, ლუკაც, ლადოც და კიდევ სხვებიც ამ მოთხრობაში სიკეთეს განასახიერებენ, მაგრამ მათ უჭირთ ცხოვრება მოძალებული ბოროტების გამო, რომელიც თანდათან სულ უფრო დიდ და საშიშ მასშტაბებს იღებს. ლუკაში გაღვიძებული შურისძიების გრძნობა ჯერ გაუგებარია და მიუღებელიც მისი სულიერი მოძღვრის, ანდუყაფარისათვის, მაგრამ ბოლოს იგი იძულებული ხდება ხელი აიღოს თავის მრნამსზე, მიმტევებლობაზე. ანდუყაფარი ერთ-ერთ სწორ დასკვნამდე მიდის: „ამ ბოროტებას ახლა კეთილი გულით ვერ შეაჩერებ, იგი გაგთელავს, გაგათახსირებს, მინასთან გაგასწორებს! ამ ბოროტებას ახლა მხოლოდ ძალა თუ უშველის, დიდი, დამთრგუნავი ძალა, რომელიც ჩვენ არ გაგავაჩნია".

ანდუყაფარი იღუპება, მას არ გააჩნია უნარი და ძალა ბრძოლისა, მაგრამ სამაგიეროდ ამ ძალასა და უნარს იკრებს ლუკა, მისი სულიერი მემკვიდრე, ვინც უფრო საღი თვალითა და გონებით ეწაფება ცხოვრებას. იგი ბრძოლის ჟინით ივსება და, რაც მთავარია, არ კარგავს რწმენას იმისას, რომ სიკეთე, სამართლიანობა, გონიერება არამცთუ არსებობს, არამედ გაიმარჯვებს კიდეც. ამით იგი მითოსური ოსირისის ძეს გვაგონებს, მასაც ელის წინ

დიდი ბრძოლა და იმედად მიჰყვება მთვარისას სიტყვები: „წადი და ჩვენებს შეატყობინე, რომ მე აქა ვარ!.. იქნებ დაავიწყდათ, იქნებ შეხსენებაა საჭირო... ჩვენ ხომ უმადურები ვართ და ბევრი რამ, რაც სიკვდილამდე უნდა გვახსოვდეს, გვავიწყდება ხოლმე"

დიახ, ლუკამ უნდა შეატყობინოს თავისიანებს, ადამიანებს, რომ მთვარისა, ანუ სიკეთე არსებობს და ეს სიკვდილამდე უნდა ახსოვდეთ, რომ ახლა ანდუყაფარის მოძღვრება ბოროტების წინაღუდგომლობაზე არას არგებთ მათ, რომ სანტიმენტალური ჰუმანიზმი არასოდეს ყოფილა კაცობრიობის გადამრჩენელი ბოროტებისაგან, რომ ეს მისია მხოლოდ მებრძოლმა ჰუმანიზმმა უნდა იტვირთოს. ამ ჟინით, რწმენით, იმედითაა სავსე ლუკა.

„ლუკაში" მართლაც აშკარად და მთელი ძალით გამოჩნდა არა მარტო დიდად ნიჭიერი, არამედ ასევე დიდად დახელოვნებული და დახვეწილი ოსტატის ძალა. ეს ვრცელი მოთხრობა თუ რომანი ჭეშმარიტად შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში მოწეული მშვენიერი ნაყოფია.

როგორც თავად ამბობს, თუმც თმაში ნისლი გაერია ჩვენს კეთილ მეგობარს, შესანიშნავ პოეტსა და პროზაიკოსს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მყუდრო სავანის მოძიებას. პირიქით, ეს სწორედ ის ნისლია, რომელიც ფიქრად ადგას მწვერვალებს და არჩილ სულაკაურისაგან, უკვე შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში შესული მწერლისაგან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ფიქრიანი და ხატოვანი სიტყვის მოლოდინით ვართ სავსენი.

გურამ გვერდწითელი,
1981 წ.

ფიქრის კაცი

ამ რამდენიმე თვის წინ „ლიტერატურულ გაზეთში" პროფესორმა აპოლონ ცანავამ არჩილ სულაკაური მხცოვან მწერლად მოიხსენია. მემცხეთა, არჩილი და მხცოვანი!.. ბატონი აპოლონი ლიტერატურის ინსტიტუტში შემხვდა და ვუსაყვედურე. გამიჩუმდა, არ შემეკამათა. არა და მართალია კაცი. მხცოვანს ორი მნიშვნელობა აქვს. ერთი, რომ ჭაღარით მოსილზე იტყვიან, მეორე და მთავარი — უწოდებენ პიროვნებას, რომელმაც თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. არჩილ სულაკაურზე ერთის თქმაც ალალია და მეორისაც.

არჩილ სულაკაური, როგორც ყველა ჭეშმარიტი მწერალი, სახეებით მოაზროვნე კაცია. ბევრჯერ მინახავს ღრმად ჩაფიქრებული, თითქოს შეჭირვებული. ალბათ ამ დროს ნაფიქრს, ნააზრევს სახეებად წარმოიდგენს. ფიქრია მისი კაცობის გვირგვინი. იგი ღმრთისაგან მადლცხებულია, ოღონდ ეს მადლი მძიმეა. მის ზიდვას გულიც სჭირდება და გონებაც. ხშირ შემთხვევაში გული სხვას ეუბნება კაცს, გონება — სხვას. არჩილ სულაკაური ის კაცია, რომელსაც გულსა და გონებას შორის ყოველთვის შეუძლია ხიდის გადება.

ერთი რამეცა აქვს არჩილ სულაკაურს ღვთისაგან მიმადლებული. გუმანი არასოდეს ღალატობს. ნახევარ სიტყვაზე ხვდება, ვინ ვინ არის, როგორია ლექსი, როგორია სურათი, როგორია წიგნი... ზოგჯერ ეჭვიც გამჩენია, ადამიანის სულში ჩახედვის უნარიც ხომ არა აქვს-მეთქი. უთქმელად მიგიხვდება ხოლმე, რა გიჭირს, რა გილხინს, რას ესწრაფვი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბევრი იცის, ბევრი ესმის, ცოტას ამბობს. ოღონდ ერთია, რასაც ამბობს, გონივრულია, ჭკვიანურია, ტკბილიცაა და მწარეც.

არჩილ სულაკაურს თანდაყოლილი აქვს მოწინებულობა შემოქმედებისა და შემოქმედთა მიმართ. უყვარს და პატივს სცემს შემოქმედს, რომელმაც თუნდაც მცირედ, მაგრამ თავისებურად გამოხატა ნაფიქრ-ნააზრევი. უყვარს საინტერესო ადამიანები. იცის, ვის რა უკეთებია და ვის რა ძალუძს. ამიტომ მეგობრებში ბედი სწყალობს. სულით ნათესავებს უმეგობრდება და იმიტომ.

მამამისი სამსონი გადასახლებიდან რომ ჩამოსულა, არჩილს უთქვამს, დიდი სიმდიდრე დაგახვედრეო და თავისი მეგობრები წარუდგენია.

არჩილ სულაკაურს, პირველ ყოვლისა, უყვარს ადამიანი. მისი ნებისმიერი ნაწარმოები მე პირადად კეთილგანწყობას მიქმნის ადამიანისადმი, ხან ძლიერს, ხან სუსტს, მაგრამ განზოგადებულს. იგი ადამიანის სულიერი სამყაროს ბნელ კუნჭულებში იხედება და ნანახს თავის მზერას უმორჩილებს. მზერა ნათელია და უტყუარი. ბავშვობიდან ბევრჯერ უხილავს ბნელი, მაგრამ „ყველა მნუხრის და სიბნელის მიღმა მხოლოდ და მხოლოდ" ხედავს სინათლეს. სინათლე არჩილ სულაკაურის თანამდევი, უკვდავი სულია. მისი პოეზიაც და პროზაც ნათლითაა მოსილი, დაყურსულია აზრით, აზრით და მხოლოდ აზრით.

გოეთეს უთქვამს, ხელოვნებათაგან ყველაზე ძნელი კითხვის ხელოვნებაა. არჩილ სულაკაური ნიგნით ნაზარდი კაცია და კითხვის ხელოვნებაში დაოსტატებული. მე ვერ გეტყვით ზუსტად, რა ნიგნებს კითხულობდა იგი ბავშვობაში, ვერც იმას გეტყვით, როგორ კითხულობდა, ერთი რამ ვიცი, იგი უნივერსალური მკითხველია. რა კარგი იქნება დაწერდეს იმ ყაიდის ესეს, ვირჯინია ვულფს რომა აქვს, „როგორ ნავიკითხოთ ნიგნი?" დაწერდეს ყმაწვილებისათვის, რომელთა სიყვარულით შექმნა „სალამურას თავგადასავალი", „ჯადოსნური კაბა" და ქმნის ამჯერად ენციკლოპედიური ხასიათის ნიგნს.

იმ ესეს თუ წერილს არჩილ სულაკაური (თუ დაწერა!..) სათაურად, როგორ ნავიკითხოთ ნიგნიო, არ დაარქმევს, რადგან მის ბუნებაში არ არის ჭკუის სწავლება. ის არ არის მასწავლებელი. მწერალია. ერთადერთი, რაც სწადია, ისაა, რომ მკითხველი თანამოაზრედ, მოკავშირედ გაიხადოს, დაიმეგობროს.

ვთქვი, რომ არჩილი არ არის მასწავლებელი. რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ იგი გზის მაჩვენებელია, სწორი ფიქრის მიმცემია ქვეყნისათვის თავისი ნაღვაწით, თავისი საქმით. მისი ძირითადი საქმე მწერლობაა, მაგრამ სხვა საქმეც უკეთებია წლების მანძილზე. ცხრა წელინადი უძღვებოდა საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულს" ცხრა წელინადი ფიქრობდა, რა გამოეცა და როგორ გამოეცა ქალიშვილთა და ჭა-

ბუკთათვის, ყმაწვილქალთა და ყმაწვილკაცთათვის, სულ პატარებისათვის. არა მარტო ფიქრობდა, ზრუნავდა გამოსაცემად.

„ქვეყნის სარგოდ ფიქრით გაჩენილი" არჩილ სულაკაური საქმის კაცია, სინდის-ნამუსიანი. მან იცის, რომ „საქმეა სიცოცხლე" (ილია). მისი მამულისადმი მიმართვა „ახლავე მივდგებმოვდგები, მაცალე, ვიდრე მოვკვდები, გადაგიხადო ვალი", ლიტონი სიტყვა როდია. იგი მამულიშვილური საქმეებით იხდის ვალს ქვეყნის წინაშე, ოღონდ თავის გამოჩენა არ უყვარს.

ყოველ წელიწადს ცხრა პირი ოფლი უნდა მოგეწურა, ის წიგნები შეგეტანა გეგმაში და გამოგეცა, რაც შენს ქვეყანას, შენს მომავალს სჭირდებოდა. მოსკოველი ბიუროკრატები რამდენიმე გზის აკონტროლებდნენ და აღწევდნენ კიდეც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ეროვნულის შევიწროვებას. წლების მანძილზე გვაძალებდნენ, გამომცემლობაში ჩამოგვეყალიბებინა რუსული ლიტერატურის რედაქცია, რომელიც მოამზადებდა რუსულ წიგნებს. ამ დროს რუსეთის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის რამდენიმე გამომცელობა მილიონობით სცემდა წიგნებს და ათიათასობით შემოჰქონდა საქართველოში. ასე იყო იმ ცხრა წელიწადსაც, როცა არჩილ სულაკაური ედგა სათავეში „ნაკადულს"

ერთ წელიწადს სხვა რამ მოიფიქრეს. გამოსაცემად მომზადებული რუსული წიგნის დედანი გამოგზავნეს და დაგვავალეს, 500 000 ეგზემპლარი გამოეცითო. ეს იმას ნიშნავდა, ქართველი ბავშვებისათვის ლუკმა გამოგვეცალა ჩვენივე ხელით და სხვისთვის ჩაგვეგდო. არჩილმა თქვა, არავითარ შემთხვევაში ამას არ ვიზამო. არ მოგვეშვნენ. იქაური უფროსები აქაურ უფროსებს სთხოვდნენ, აქაურები არჩილს ლამის უჩოქებდნენ, სხვა გზა არა გვაქვს, დავალებაა. არჩილი ეუბნებოდა, მაგ დავალებას, რომც მომკლათ, მაინც არ შევასრულებო. საქმე იქამდე მივიდა, „იქიდან" პირდაპირ არჩილს დაურეკეს, უბრძანეს, გამოეცითო. ტელეფონზე ლაპარაკს ორნი შეესწრნენ, ნონა კალანდარიშვილი და თენგიზ ჩხაიძე. არჩილმა თურმე ჯერ დინჯად უპასუხა, მეხუმრებითო? იქიდან რა პასუხი გასცეს, ამათ არ მოუსმენიათ, მაგრამ არჩილი რომ გაცეცხლდა და მიახალა, არ გამოვცემო და თან ყურმილი დაუკიდა, ამის მოწმენი არიან. მე

კი მახსოვს გაოგნებული ნონა და თენგიზი და უკვე არაჩვეულებრივად დინჯი არჩილი, — ბოლოს და ბოლოს მომხსნიან, მეტი ხომ არაფერიო.

ამას მოჰყვა დაბარება მაღალ ინსტანციებში, მაგრამ არჩილმა „გაუძლო" შემოტევას. სამაგიეროდ 500 000 ეგზემპლარი ქართული წიგნი არ დაუთმო რუსულ წიგნს.

ასეთი რამეები ბევრი გადახდენია არჩილ სულაკაურს, მაგრამ იგი ამაზე არ ყვება. არც იმაზე იცის ლაპარაკი, რა ამაგი გაუწევია ამა თუ იმ საქმეზე, ადამიანზე, ნიგნზე. ამაგის ქმნა თავის მოვალეობად მიაჩნია და ვალს იხდის.

არჩილის დროს „ნაკადულში" ბევრი ორიგინალური წიგნი შეიქმნა, ბევრი ითარგმნა, ბევრი ხელასლა გამოიცა და, რაც მთავარია, ბევრს დაანახა არჩილ სულაკაურმა, რომ ბავშვთა სამყაროზე უკეთესი არა არის რა ამ ქვეყანაზე.

აი, ერთი დასტური:

არჩილ სულაკაური უყვართ სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, დიდებს, პატარებს, უყვართ ნაცნობებს, უცნობებს, ყველას, ვინც მის ქმნილებათა მადლს მისწვდენია.

ლილი გოგოხია

ჰორიზონტი და მნვერვალები

როდესაც შემოქმედის სამყაროზე ფიქრობ, ნება-უნებლიედ ეძებ გასაღებს, ამ სამყაროს წიაღში შესასვლელ კარს რომ გაგიღებს. ვფიქრობ არჩილ სულაკაურის, ამ დაწმენდილი ხმის, რაფინირებული სიტყვის ოსტატის ორფრთა მუზაზე და ასეთ გასაღებად მეჩვენება ჯერ კიდევ 1960 წელს შეთხზული „აბელის დაბრუნება“ და სულ ახლახანს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატია კინტოს არსისა და ჩვენს დედაქალაქთან მისი დაკავშირების შესახებ.

პირველი დამკვიდრების, ყოვლისმომცველი სიკეთის ზეიმის პათოსითაა აღსავსე, მეორე — ნეგაციის, უკუგდების, კრიტიკის პათოსით და ამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო სულისკვეთების ქმნილებებში არის საერთო. ეს საერთო მათი მარტო მაღალი და მხატვრული და შემეცნებითი მნიშვნელობა როდია. ეს არის ეპოქის, ერის, ხალხის, კონკრეტული პიროვნების გადაცდომისა თუ შეცდომის, მათ მიერ ამა თუ იმ მოვლენის არასწორი შეფასებისადმი დროული წინ აღდგომის ვაჟკაცობა და ნიჭი. საჭირბოროტო, აქტუალური, საშური სათქმელის ყველაზე ოპტიმალური, ოღონდ არა მყვირალა, არა რეკლამური ფორმით გაცხადება.

ჯერ კიდევ როდის გვითხრა მწერალმა ცხოვრების დამახინჯებათა შესახებ მართალი სიტყვა. ჯერ კიდევ როდის დაარისხა ზარი შეშფოთებისა, ჯერ კიდევ როდის გვესაუბრა ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველთა ნიღბებს ამოფარებული არაკაცობის შესახებ, მათი ალაგმვის საჭიროებაზე.

და დღეს, როდესაც ყველას გულისკარი შეარხია ეპოქალური მნიშვნელობის „მონანიებამ“, არ შეიძლება არ ითქვას: ამ ღონიერი ფილმისათვის საჭირო ყველა თემა, ყველა მოტივი, რეალურისა და წარმოსახვის „უნაპირო რეალიზმის“ (როჟე გაროდი) ასპექტით შერწყმის ელემენტებიც ძალზე უხვადაა „აბელის დაბრუნებაში“. დიახ, ეს უნიჭიერესად დანერილი ქართული პროზის შედევრი ერის, ხალხის ხსოვნაში იჯდა, იცდიდა ჩუმად, ავტორის მსგავსად კეთილშობილებითა და რაინდული სისადავით აღსავსე, და ახალ ამეტყველებას ელოდა. და ვინ იცის, ვინ გაზომავს და აწონის, რარიგ შეუწყო ხელი ამ მოთხრობამ, რომ „მონანიებამდე“ მისულიყო

ჩვენი მხატვრული აზროვნება? არადა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეგნებით თუ ქვეშეცნეულად, „მონანიების" ცალკეული იდეები ყოველ ჩვენგანში ყოველთვის არსებობდა, განსაკუთრებით კი 1961 წლიდან, „აბელის დაბრუნების" გამოქვეყნებიდან.

ისტორია ჭკუის დიდი მასწავლებელია. მასწავლებელი კი იმიტომაა, რომ მეორდება. და მე ვერაკინ დამარწმუნებს, რომ 1987 წელს გამოქვეყნებული წერილის „ძველი თბილისი და... კინტო" იდეები 20-30 წლის შემდეგ კვლავ ახალი ძალით არ შეგვახსენებს თავს და უფრო დიდი, მტკივნეული პრობლემის სახით არ გამოგვეცხადება. და აქ, ვფიქრობ, დროულად მახსენდება დღესაც ცოცხალი ოტია პაჭკორიას სიტყვები: „არჩილ სულაკაური ზუსტად აღიქვამს მის ირგვლივ გამეფებულ და, იქნებ, ჯერ კიდევ ბუნდოვან განწყობილებებს, რაც მასთან გამოკვეთილ და ნათელ ლიტერატურულ კონცეფციად ყალიბდება" და მართლაც, განა ტექნიკური საუკუნის ფეოდალების („ოქროს თევზი") წარმოსახვით, ისე, როგორც კინტოს ნამდვილი სახის ჩვენებით მწერალი ხალხის ბუნდოვან გრძნობებს არ აკონკრეტებს, არ ასახიერებს?

ომისშემდგომი თაობის მწერალთაგან ბევრს ერთი ნაკლი ახასიათებდა — გრძნობების სპეკულაცია. ისინი ადრე დაკარგულ ბავშვობას მისტიროდნენ და მკითხველს თავს ამით აცოდებდნენ. ამით ხშირად ფონსაც გადიოდნენ, სამაგიეროდ ნაკლებ ზრუნავდნენ ფრაზის დახვეწაზე, სტილის რაფინირებაზე, ჩქარობდნენ, თითქოსდა ჟურნალ-გაზეთების ცარიელი გვერდების შევსება ეწადათ, იმ გვერდებისა, რომლებსაც ომისაგან შეთხელებული ჩვენი ინტელიგენცია ვეღარ ავსებდა. არჩილ სულაკაური ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც ამ საცთურზე ხელი არ წაცდენია, ხარისხი რაოდენობაზე არასოდეს გაუცვლია. ამიტომაა, მწერალს, ზოგი სხვა მოკალმის მსგავსად, არ აწუხებს ადრეული ნაწერების გადამალვის, მიფუჩეჩების, მისგან გამიჯვნის პრობლემა. მისი პირველი და მეორე ლექსიც ისე ლაღად იკითხება და მაღალესთეტურად განიცდება, როგორც გუშინდელი, მისი პირველი თუ მეხუთე მოთხრობაც ისე გვაინტერესებს დღეს, როგორც აგერ სულ ახლახანს დაწერილი. დიახ, ნამდვილი შემოქმედი კიდევაც უნდა ცდილობდეს ახალი, ორიგინალური განცდის აღმოჩენას, დაფიქსირებას და შემდეგ მის მხატვრულ სახედ გარდაქმნას. ამ თვალსაზრისით, მეჩვენება,

სრულიად უსამართლოდაა მივიწყებული, ყოველ შემთხვევაში, ისერიგად არ არის გამოჩინებული „გაბო". რამხელა ფსიქოლოგიური სიმართლეა ამ შედევრში მიგნებული, რა მარჯვედ მოარგო მას მწერალმა სახიერი, ხატოვანი პერსონაჟები, რა ოსტატურად გვიჩვენა ბერიკაცის ნანატრი ოცნების მსხვრევა, გვიჩვენა და დაგვარწმუნა -- მართალია, ზოგჯერ რწმენა კვდება ადამიანში, მაგრამ ის თავის კეთილ კვალს მაინც ტოვებს -- ეს სინათლეა, უცნაური სინათლე, ბრმასაც რომ გზა-კვალს დაანახვებს.

თავის მოთხრობებში არჩილ სულაკაური იდეათა სასაფლაოს კი არ გვათვალიერებინებს, არამედ ამ იდეათა კონკრეტულ სახიერ პერსონაჟებს და ზოგჯერ იმ სიმაღლეზე აჰყავს მხატვრული სიმართლე, პერსონაჟის ტიპი, რომ ის თვითონ იქცევა გარკვეულ იდეად, ფილოსოფიად. ვფიქრობ, მწერლური გამარჯვება სწორედ ესაა — არა ფილოსოფიიდან სახეებისაკენ, არამედ პირიქით, სახეებიდან — ფილოსოფიისაკენ. და ეს ფილოსოფია ცხოვრება უნდა იყოს.

მწერალმა თავისი პოეტური ბუნება და პოტენცია, უნდა ვიფიქროთ, უფრო სრულყოფილად გამოავლინა ცნობილ ქმნილებებში, ესენია: „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", „წყალდიდობა", „მტრედები", „ბიჭი და ძაღლი", „გაბო", „აბელის დაბრუნება", „ოქროს თევზი", „ლუკა".

ამ მოთხრობებზე საუბრის წარმართვა ორი ასპექტით იქნებოდა უპრიანი: ა) მათი კიდევ უფრო მკაცრი შერჩევით ავტორის სახარება — ოთხთავის დადგენა („წყალდიდობა", „აბელის დაბრუნება", „ბიჭი და ძაღლი", „ლუკა"), სადაც რეალური და ირეალური ხილვების ოსტატური შერწყმით მიგნებულია ახალი მხატვრული რეალობა. ბ) ჩუღურეთის — თბილისის ერთი სათუთი უჯრედის (ჯ. ღვინჯილია) ფერდაუკარგველი ხატების წარმოდგენა, სადაც, თამამად შეიძლება ვთქვათ, როგორც იოსებ გრიშაშვილმა გააცოცხლა ხარფუხისა და თათრის მეიდნის მიდამოები, ისე სულაკაურმა — ჩუღურეთის კოლორიტი.

ლამაზად თქვა გიორგი ლეონიძემ — „სიჭაბუკე და ლექსი ერთია", მაგრამ თვითონვე დაარღვია ეს მცნება. იგივე ითქმის „ნუ გათათრდების" ავტორზეც. თავის ჭაბუკურ მშვენიერ ლექსებს სიმწიფეში შესულმა პოეტმა ახალიც ბევრი შემატა და

თავისი ორფრთა შთაგონებით კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ბაჯაღლო ნიჭიერება.

ცალკე საუბრის ღირსია პოეტური ზღაპრები -- „სალამურას თავგადასავალი", რისთვისაც რუსთაველის სახელობის პრემია მიიღო ავტორმა და „ჯადოსნური კაბა" გაჭირდება მათ უწოდო მხოლოდ საბავშვო ქმნილებები, ვინაიდან, შესაძლოა, ნორჩთათვის კი იყოს დაწერილი, მაგრამ მათში დანახული სამყარო, იდეები, ტკივილ-განცდანი საყოველთაონი, უასაკონი არიან. და აქ მართლდება ცნობილი დებულება -- კარგ საყმაწვილო თხზულებებს დიდებიც ინტერესით კითხულობენო.

დღეს ჩვენს წინაშე ხელდამშვენებული შემოქმედი დგას. დგას თავისი საამაყო ლაშქრით — ღირსეული ლექსებითა და მოთხრობებით. ვკითხულობთ მათ და ვგრძნობთ აბელის, ლუკას, გაბოს გაცნობის შემდეგ ვმაღლდებით, მხნენი ვხდებით. კი, მაგრამ, განა რითი გვამხნევებს აბელი, — იკითხავს ვინმე, — იმით, რომ დამარცხდა? დამარცხებული ხომ ვერავის ამხნევებს! იმით, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს პატიოსნებას, ადამიანის სულის წიაღში საიმედოდ გადანახულ სამართლიანობის ღველფს მიქექ-მოქექავს, შეაჩინჩხალებს და ამ შეხსენებითაც ბედნიერსა გვხდის. აი, რით გვამხნევებენ დამარცხებულნი.

და მე 60 - წლის მწერალი აბელს მაგონებს: ის დროსთან ჭიდილში დამარცხებულა, დრო წაუგია, მაგრამ მოუგია მკითხველის სიყვარული — ყველაზე დიდი ჯილდო, მწერლური გარჯის უნიკალური საფასური. და ახლა, როცა გონებით არჩილ სულაკაურის მხატვრულ სამყაროს თავს დავტრიალებ, ვხედავ, მისი ფსიქოლოგიურ-მხატვრული წიაღსვლები ისე ფართოა, მრავალმხრივი და მრავალგანზომილებიანი, თითქოს ვგრძნობ სივრცის უსასრულობას, ხოლო მათი მხატვრული დამუშავება ისე გულდაგულ ხდება, განვიცდი სიმაღლის შეგრძნებას. იქნებ სწორედ ამიტომაცაა, 60 წლის კარიბჭესთან მდგარი შემოქმედის მხატვრულ სამყაროსთან ყოველი მიახლოებისას ასე ძალუმად რომ მიპყრობს ფიქრები ჰორიზონტსა და მწვერვალებზე.

მურმან თავდიშვილი
1987 წ.

რეალობა და რომანტიკა

სლოვაკეთის გამომცემლობა „მაიმ“ ახლახან სლოვაკურ ენაზე ცალკე წიგნად გამოსცა გამოჩენილი ქართველი მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის არჩილ სულაკაურის ორი მოთხრობა, — „ლუკა“ და „ჯადოსნური კაბა“. ორივე მოთხრობა თარგმნა იარმილა ჰლინიკკიმ. წიგნს თან ერთვის პავოლ კოიშის ბოლოსიტყვაობა, რომლის თარგმანსაც აქვე გთავაზობთ.

არჩილ სულაკაურს ამ სამიოდე წლის წინათ ორმოცდაათი შეუსრულდა — იგი თავისი ხალხის საუკეთესო ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია და თავისი ხალხის დღევანდელი ნიშნეული თვისებების გამომხატველიცაა. აი, სწორედ აქ მჟღავნდება მოვლენათა ასახვის მწერლისეული პოზიციის სიღრმე და განუმეორებლობა, უნაპირო ფანტაზია (რომანტიკით გაჯერებული), მიწიერება, სიმართლე და მართლაც ოსტატური თხრობის უნარი. არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში პროზას თუმცა დიდი ადგილი უჭირავს, იგი მაინც პოეტად რჩება. არჩილ სულაკაურმა ლექსებით დაიწყო და არც მერე მიუტოვებია პოეზია (ლექსთა პირველი კრებული ორმოცდაათიანი წლების დამდეგს გამოსცა). ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ პოეტი სულაკაური თავს იჩენს პროზაულ ნაწარმოებებშიც, განსაკუთრებით კი მოთხრობებში. ეს ამ წიგნში შეტანილ ნაწარმოებებშიც ჩანს.

მკითხველი ალბათ შეამჩნევდა, როცა ამას ვამბობთ, არ ვგულისხმობთ პროზის ხელოვნურ ლირიზაციას, ტექსტის მეტაფორებითა და სხვა სამკაულებით მორთულობას. ავტორის ლირიზმი მისსავე აზროვნებაში, მისსავე მსოფლშეგრძნებაშია; ესე იგი, მსოფლაღქმასა და ცხოვრებისეულ სილამაზეშია; მაგრამ ცხოვრებისეულ სილამაზეს ამ შემთხვევაში ლამაზი ბაფთის ფუნქცია კი არ აკისრია, არამედ გმირთა საქციელისა და გრძნობების ესთეტიზაცია, მათი გარესამყაროსა და ცხოვრების ესთეტიზაცია. არჩილ სულაკაურის შემოქმედების კარგმა მცოდნემ ოტია პაჭკორიამ სწორად შენიშნა, რომ არჩილ სულაკაურის მწერლურ სამყაროში რომანტიკულობა შერწყმულია ანალიტიკურთან; ასეთია ოსტატის ხელით დახატული ყველა გმირი და სუ-

რათი. არჩილ სულაკაურს ქალაქური ყოფის მწერალს უწოდებენ, რადგან მისი გმირები უმეტესწილად ქალაქელები, ან ქალაქის განაპირაუბნელები არიან. მართალი ბრძანებაა, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ავტორისათვის იმდენად ქალაქის რომელიმე უბანს კი არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მის ბავშვობას, რომელმაც ამ უბანში განვლო. როგორც ყველა დროის მწერალთა უმრავლესობა, არჩილ სულაკაურიც ცხოვრებას ბავშვობის თვალთახედვით უყურებს. ბავშვობა ხომ ზნეობრივი სინმინდე, ზნეობრივი სიფაქიზეა; და განა მხოლოდ საკუთარი ბავშვობაა ასეთი, საერთოდ, ყველას ბავშვობა ამგვარია. აქ ერთმანეთს ენაცვლება სიკეთე და ბოროტება, ბედნიერება და უბედურება, სიხარული და მწუხარება. მაგრამ მწერალს ბავშვობის ხანა მაინც ბედნიერ ხანად მიაჩნია. აი, სწორედ ეს აკავშირებს ერთმანეთთან ამ ორ პროზაულ ნაწარმოებს (მოთხრობასა თუ ზღაპარს? თუ ორივეს ერთდროულად?). ეს ნაწარმოებები ჟანრობრივად, სტილისტურად, განწყობილებით უეჭველად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგრამ მაინც ბევრი რამ აქვთ საერთო. იქნებ სწორედ ცხოვრებისეული რეალობა და რომანტიკა იყოს მათი დამაკავშირებელი?

რითი გვიზიდავს მოთხრობა? ან ლუკა, მოთხრობა-რომანის გმირი, რომელიც სულმოუთქმელად წავიკითხეთ? ალბათ დიდ მდინარაზე გაშენებული ქართული ქალაქის ერთი გარეუბნის ჩვენთვის უჩვეულო გარემოთი; ალბათ ომის დრამატული პერიპეტიებით, რომელიც მძვინვარებს პატარა ბიჭის — ლუკას თავგადასავალის ფონზე; ალბათ ავტორის თხრობის უნარით, დეტალების საოცარი შეგრძნებით; ალბათ, ამ ცალკეული ამბებით, რადგან იგი ყველას ხვედრია, საერთო და თანამედროვეა. ალბათ ყველაფერ ამით გვხიბლავს „ლუკა", როგორც პროზა, ლუკა, როგორც გმირი.

მე კი მოკრძალებით შევნიშნავ, რომ ეს ამბავი, უპირველეს ყოვლისა, გვხიბლავს ადამიანური გულისხმიერებით. ამ საერთო-სახალხო ამბავში დიალექტიკური ერთიანობაა. ასეთი სულისძვრა იშვიათად თუ ვინმეს განუცდია ომის დროს, როგორც ამ კეთილმა ბიჭმა — ლუკამ განიცადა. ამასთან მისი ბედი მსოფლიოს ყველა ბავშვის ბედს წააგავს.

საჭიროა ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა ომის საწინააღმდეგო პროზა; აქვე უნდა აღვნიშნოთ: ესაა მოთხრობა ომზე და ომის წინააღმდეგ. ოღონდ ეს მოთხრობა მხოლოდ ომის საწინააღმდეგო ლიტერატურის ჩარჩოში რომ მოგვექცია, ამით ძალზე შევავიწროებდით მის ეთიკურ ღირებულებას, ვინაიდან ბოროტება და ომი, სიმდაბლე და კაცის კვლა, სიყალბე და სისასტიკე, ეს ყველაფერი მუდამ ადამიანის წინააღმდეგაა მიმართული. დღესაც ასეა, როგორც ამ ორმოციოდე წლის წინათ იყო.

ლუკა თბილისელი, მდინარის პირას მცხოვრები ერთი უცნობი სკოლის მოსწავლეა, მაგრამ რამდენი ნაცნობი პირველკლასელის სახეს იტევს მისი ბავშვური სული. მის თვლემამორეულ თვალებში, მის დაჭრილ სულში, მის წმინდა გულში ირეკლება ომის საშინელება. აი, რა მოუტანეს კაცობრიობას არაკაცებმა, რამდენი დავიდარაბა და უბედურება დაატეხეს თავს, მაგრამ რაოდენი სინაზე და იმედი გამოსჭვივის ამ ბრწყინვალედ დახატული ბავშვის არსებიდან.

ლუკა კონკრეტულ დროში ცხოვრობს. საინტერესოა, სად ან როდის ცხოვრობს მეორე პროზაული თხზულების გმირი გოგონა? დღევანდელობაში თუ ზღაპარში? ზღაპარში თუ დღევანდელობაში?

მაკა ამხანაგებს დამალობანას ეთამაშება. კარგად დავიმალოო, კიბით სხვენზე ადის. და, ნახევრად დანგრეული სახლის სხვენზე ათასგვარ ხარახურას ნაანყდება: ძველ საათს, ძველ სარკეს, ძველ სკივრს... თუმცა რა საჭიროა მოყოლა, მკითხველმა ხომ ისედაც იცის.

იწყება მოთხრობა-სიზმარი, იწყება ფანტაზია, იწყება ზღაპარი. სკივრში ნანახი ნივთები და ძველისძველი ლითონის ფულები ცოცხლებია, ისე იქცევიან და ლაპარაკობენ, თითქოს ცოცხალი არსებებიაო. სწორედ ისეა, როგორც ზღაპარში. ებრძვიან მეფეებს, სძულთ და უყვართ ერთმანეთი.

თითქოს ყველა ხარბს, მდიდარსა და ფულის მომხვეჭელს გონება დაკარგვიაო. ნეტა რად კარგავენ ადამიანები გონებას?

ერთი შეხედვით თითქოს ზღაპარში ხაზია გავლებული სიკეთესა და ბოროტებას შორის, დღევანდელობასა და გუშინდელობას შორის. გუშინდელნი არიან მდიდრები და მომხვეჭელები,

რომელთაც მრავლად ვხვდებით ზღაპარში; დღევანდელობაა მზის ასული — მაკა, ჩვენი ცხოვრების შვილი, ვინც თავისუფალია სიხარბისა და მომხვეჭელობისგან.

მაგრამ ეს ერთი შეხედვითაა ასე. თუ დავუკვირდებით, ზღაპარი ჩვენთვის, დღევანდელი ადამიანებისთვისაა დაწერილი. სიძველე სხვენზე დაყრილი ხარახურა როდია, სიძველე თვითონ ჩვენშია, ადამიანების არსებაშია, მეტ-ნაკლებად რომ ვემონებით ცრურწმენებს, ოქროს მოჩვენებით ყოვლისშემძლეობას.

აი, ესაა ზნეობრივი აქტუალობა, ამ ზღაპრის აქტუალობა. ზღაპარი სავსეა სიმბოლოებით, მეტაფორებით, თანამედროვე ენაში დაფარული შიფრით. მაგრამ ჩვენ უკვე კარგა ხანია მივეჩვიეთ ზღაპრის ენის გაშიფრვას, და ბავშვებსაცა და მოწიფულ ადამიანებსაც გვგონია, რომ გავიზარდეთ! დიახ, სწორედ ასე გვგონია!

ალბათ ბოლომდე ჩაიკითხეთ, ძვირფასო მკითხველებო, ჩვენთვის ასე თუ ისე უჩვეულო ეს წიგნი. უჩვეულობა იქნებ იმ ქვეყნის სიშორითაც კი იყოს გამოწვეული, სადაც მწერალმა ეს წიგნი დაწერა. არადა, რა ახლობელია ახლა ეს ქვეყანა, რა მართლად და უბრალოდ გველაპარაკებიან ადამიანები. ეს წიგნი ათასნაირ საფიქრალს გაგვიჩენს. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს, ეს ყველაფერია!

ლამაზია საქართველო; ამაყი და გულითადია ქართველი ხალხი; მრავალფეროვანია მისი მწერლობა; და არჩილ სულაკაურიც სწორედ ერთი იმ პოეტთაგანია, ვინც თავის ლექსებით, მოთხრობებით, ზღაპრებით გვახსენებს: ადამიანებო, შეიცანით თქვენი თავი, იყავით უფრო ლამაზი და სრულყოფილი, ვიდრე ხართ!

პავოლ კოიში
1980 წ.

სლოვაკურიდან თარგმნა
გიორგი მაჭუტაძემ

არჩილ სულაკაურის სამყაროში

...ოციანი წლებისა და ოცდაათიანის დასაწყისის შემდეგ ქართულ პროზას არ ღირსებია ნიჭიერ შემოქმედთა ასეთი მძლავრი და რიცხვმრავალი რაზმის შემატება; ლიტერატურის ავანსცენაზე გამოჩნდნენ ახალ-ახალი „მოქმედი პირები". მგოსნები პროზის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ეპიკური ჟანრი დღითიდღე იფართოებდა საუფლოს. რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, ედიშერ ყიფიანი, ოტია იოსელიანი, გურამ რჩეულიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, თამაზ ჭილაძე, რევაზ ჭეიშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ ფანჯიკიძე — მათ გარეშე უკვე შეუძლებელი და წარმოუდგენელი გახდა ქართული პროზის შესახებ ოდნავ მაინც სერიოზული მსჯელობა. მეტიც — ამ ახალ თაობამ შესამჩნევი გავლენა მოახდინა საერთოდ ლიტერატურული პროცესის ხასიათსა და მიმართულებაზე საქართველოში, თან ეს გავლენა დრამატურგიაზე და კინოდრამატურგიაზეც გავრცელდა.

მე შეგნებულად ვახსენე არჩილ სულაკაურის სახელი ეგზომ მრავალრიცხოვან გარემოცვაში... თუმცა ყველა ისინი მაინც ერთ გარკვეულ თაობას შეადგენენ, თანაც მიუხედავად მკვეთრად განსხვავებული ინდივიდუალური იერისა, მათ აშკარად აკავშირებს ერთი გადამწყვეტი გარემოება; სულიერი წრთობა და შემოქმედებითი კრისტალიზაცია იმ „სტრუქტურული ნიადაგით", რასაც თვით ცხოვრების ახალი ისტორიული ეტაპით გამოწვეული საზოგადოებრივი აღმავლობა და სულიერი დულილი წარმოგვიდგენს ხოლმე.

არჩილ სულაკაურის წვლილი დროის ახალ ახმოვანებაში იმთავითვე შესამჩნევი იყო. როგორც დავინახავთ, ისე, ვით იმ ადრინდელმა პოეტურმა შემართებამ შეამზადა მისი ხვალინდელი პროზა და განსაზღვრა ამ პროზის თავისებური ჟღერადობა, ისე თვით პროზამაც არ გამოიჩინა უმადურობა პოეტის მიმართ და შემატა მის გვიანდელ ლირიკას თვისებანი და ძალა, რომელთაც ლირიზმის ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს იგი და დღევანდელი ქართული პოეზიის ავანგარდში ჩააყენეს.

რა ვუყოთ, რომ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული ეს ლექსები სათანადოდ ვერ არიან შეფასებულნი კეისარს კეისრისაო

და მგოსანს კი კუთვნილი მაინც მიეზღვება — ადრე მოხდება ეს თუ გვიან.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის საზოგადოებრივი ფერისცვალებით გამოწვეული ზნეობრივ-სოციალური კომპლექსის გამძაფრების ჟამს ქართული პროზის თავფურცელი არჩილ სულაკაურის პირველმა მოთხრობამ დაამშვენა, „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" — ასე იყო დასათაურებული „მნათობში" 1958 წ., რომელმაც ააღელვა კვლავ ლიტერატურული აზრი და მიიზიდა მკითხველთა ყურადღება. აშკარა გახდა ქართული პროზის ახალი გამოცოცხლება, საერთოდ ლიტერატურული ფრონტის ზნეობრივი პოტენციალის ახალი მობილიზაციის ნიშნები.

და თუ ჩვენ ერთ დროს სასოებით ვიმეორებდით სათაყვანო პოეტის შეგონებას, პოეტურ სადღეგრძელოდ წარმოთქმულს, — „დე, მგოსნად იქცეს პროზაიკოსი, ხოლო მგოსანი ნახევარღმერთადო" — ახლა დაგვიდგა დრო, როცა სიხარულით შევეგებეთ პროზის ტერიტორიაზე მგოსანთა შეჭრას, ხოლო ამ „შემტევი რაზმის" ფალავნად სწორედ არჩილ სულაკაური გამოგვეცხადა.

არჩილ სულაკაურმა 1958 წლით დაწყებული ვიდრე დღემდე, მრავალი მოთხრობა და ნოველა, რომანი შეჰქმნა, თეატრსა და კინემატოგრაფსაც გადაუხადა ხარკი, გზადაგზა ახალი ლექსების წიგნიც დაახვავა, ხოლო იგივე პროზით რუსთაველის პრემიაც დაიმსახურა.

„ტალღებს" — „წყალდიდობა" მოჰყვა, ამას — „მტრედები", „ბიჭი და ძაღლი", „დიდთოვლობისას", „გაბო" და „ხიდი", „უკეთუ გაცთუნებდეს" და „ზეკით და ქვევით", „ძველი ამბავი" და „აბელის დაბრუნება", ამით არჩილ სულაკაურმა თითქოს შეასრულა გარკვეული ჟანრულ-თემატური რკალი დიდი თუ მცირე ფსიქოლოგიური თუ ყოფითი, თუმც მუდამ პოეტური სხივით გაშუქებული მოთხრობებისა, რათა საყმაწვილო ზღაპართა და თავგადასავალთა ჟანრისათვის დაეთმო ყურადღება, აქაც საგულისხმო გამარჯვება მოეპოვებინა და უკვე რომანისათვის ან დიდტანიანი მოთხრობისათვის — რუსები „პოვესტს" რომ უწოდებენ — მოეკიდა ხელი.

მიუხედავად ჟანრულ-თემატური მრავალფეროვნებისა, ისინი უკვე გვაძლევენ საფუძველს „საერთო მნიშვნელივით" გამო-

ვყოთ მათი მთავარი პათოსი თუ სულისკვეთება, რომელიც ამიერიდან არჩილ სულაკაურის მთელს მომდევნო შემოქმედებას გამსჭვალავს. ეს გახლავთ მაღალი სულიერი კულტურის, თვით გრძნობათა და ვნებათა კულტურის, ადამიანის ღირსების, პატიოსნების, სინდის-ნამუსის, ზნეობა-სილამაზის უკომპრომისო დამკვიდრება; ეს გახლავთ ხელოვნების იარაღით ბრძოლა იმისათვის, რომ კეთილშობილებამ გაიმარჯვოს სიმდაბლეზე, კაცურმა კაცობამ — მხეცურ ინსტინქტებზე, ჭეშმარიტად სოციალურმა ზნეობამ და მსოფლშეგრძნებამ — „მეშჩანურ" უსულგულო ეგოიზმზე, თავისუფალი ადამიანის გონებისა და გრძნობათა სიუხვემ — დესპოტურ არტახებზე; ეს გახლავთ პათოსი მშრომელი და შემოქმედი, მოაზროვნე და მგრძნობიარე, ნიჭიერი და დიდსულოვანი ადამიანის თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრებისა — მაღალ ზნეობრივ და სოციალურ საწყისებზე დაფუძნებული საზოგადოების პირობებში; რა თქმა უნდა, ამ თავის შემართებაში არჩილ სულაკაური მარტო როდი იყო — იგი ბუნებრივად იზიარებდა ჩვენს მონინავე ხელოვანთა და საერთოდ ჩვენი ხალხის ისტორიულად მომწიფებულ სულისკვეთებას... ასე გაიბა, კერძოდ, კავშირი არჩილ სულაკაურის „ტალღებსა" და „ლუკას" შორის, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონსა" და „თეთრ ბაირაღებს" შორის, თენგიზ აბულაძის და რევაზ ჩხეიძის ფილმთა, ან ოთარ იოსელიანისა და ელდარ შენგელაიას სადღეისო ქმნილებათა შორის.

არჩილ სულაკაურის პროზა სულაკაურისავე პოეზიის ღვიძლი აღმოჩნდა, მას გამოეყო, მისგან განშტოვდა ან, უფრო ზუსტად, მის ნედლ მასაში ჩამოყალიბდა მყარ კრისტალად. არჩილ სულაკაური ყველაზე აშკარად ვაჟა-ფშაველას სულიერ, ზნეობრივ და ესთეტიკურ სამყაროს ეზიარა, გვიანდელი — ომის შემდგომი წლების — გალაკტიონისა და სიმონ ჩიქოვანის პოეტურ წყაროებსაც დაეწაფა...

შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ვაჟა-ფშაველას არჩილ სულაკაური ლექსების ციკლით შეეხმიანა. ვაჟასეულად სახელდებული „მთანი მაღალნიო", — სწორედ ამ განცდით, ამ მოლოდინითაა გამსჭვალული, ვაჟასმიერი ეპიგრაფითვე პირველსავე ლექსში — „იდგნენ და ელოდნენ... უსაზღვროა მათი მოლოდინიო..."

„...ბინდში მთაწმინდა ჰგავს ფშაველ ეხედარს
და ფიქრიანი ჩარგლისკენ მიდის.
.....
ჩარგლისკენ უხმოდ მიდის მთაწმინდა
და მე ყვირილით ფეხდაფეხ მივდევ!“

„ვარიაციები ვაჟას თემაზე“ — უფრო რეალურ იერს გვივლენენ, უშუალოდ ხატავენ მგოსნის მეტამორფოზას თუ გარდასახვას ვაჟასეულ სამყაროში, ვაჟასავე სახესიმბოლოთა მოშველიებით, რაც მომდევნო ლექსების ეპიგრაფშია ნაგულისხმევი — „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო“.

„...იქნებ სჯობია, მოვიდე წვიმად,
სხვა ცხოვრებისთვის თავი გავწირო
და ვიყო მიწის ულუფა მცირე...
.....
ჩემი წაწლები — ლურჯი იები
მთის ფერდობებზე წვიმად მელიან“.

ახლა კი, ოდეს პოეტის სულმა მთაში ჩამოწოლილი ნისლისა თუ წვიმის იერი მიიღო, მას შეუძლია ყური დაუგდოს ამ მთებში და ხეობებში დატრიალებულ უბედურების ეხოს, შორეული წარსულის გამოძახილს, დღემდე რომ დაძრწის ქარად, ან იდუმალ დუმილად რომ გარინდებულა. ეპიგრაფიც თვით ვაჟას მიერ დასმულ კითხვასავით ჟღერს — „გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ეღოსა?..“ მაგრამ არჩილ სულაკაური თავის თავს უღალატებდა, როგორც ლირიკოსი, ამბის თხრობას რომ შესდგომოდა, ბალადური ეპიკის გაკვალულ გზაზე რომ გასულიყო. მან კი სხვა გზა ამჯობინა, — საკითხავი თითქოსდა უპასუხოდ დასტოვა და თვით ამ უარით, დუმილით, უპასუხობით შექმნა ისეთი განწყობილება, რომელიც თავისთავად აღმოჩნდა ზუსტი პასუხის ტოლფასი — ასე უსიტყვო მუსიკასაც ძალუძს გამოიწვიოს მაღალი და მართალი განცდა სავსებით რეალური მოვლენებისა. არჩილ სულაკაურის ლექსში კი ასეთ უტყუარ განწყობა-განცდას რეალურ ელფერს ჰგვრიან თვით „უარისა“ და „დუმილის“ ასახსნელად შეთხზული მეტაფორები, რომელთაც თითქოს არავითარი თხრო-

ბით-ეპიკური ფუნქცია არ აკისრიათ, მაგრამ ქმნიან თავის ერთობლიობაში, ლექსის „მეტყველ“ მუსიკასთან კავშირში — მეტად ცხად და შთამბეჭდავ სურათს:

„...მე ვერ გიამბობთ,
რა მოხდა ელოს,
ქარები რატომ დაჰქრიან ჭერხოს
ან ეს დუმილი რა დუმილია?..

მაგრამ რაც მოხდა,
ის საუკუნო დუმილად ეყო
მთებსა და...
ელოს“.

„ნისლის პერანგი“ — ჯაჭვის ნაცვლად რომ აცვია ელოს, ქარები „ჭერხოს რომ დაჰქრიან“, ან ვარაუდი, რომ „ეგების ნისლი მხოლოდ ის არის, პაპაჩემს რითაც შეუხვევია ის ნატყვიარი თუ ნაისრალი“, ან კვლავ ის ქარები, ახლა კოშკებს რომ „ხრავენ, როგორც ძვლებს“ და თვით ღამე, რომელიც პოეტს „მკერდზე მკერდით აწვება“ — ყველა ეს მეტაფორა სხვა დროს და სხვა კონტექსტში შეიძლება მხოლოდ ორნამენტულ სამკაულად ყოფილიყო ხმარებული, რადგან ყოველ ამ ორნევრიან შედარებაში ლოგიკური პირველობა „ნისლსა“ და „ქარს“ აკისრია, მომხდარი საშინელების იპოსტასში გვევლინება. მიზანი კი მიღწეულია იმდენად, რომ ეს ლექსი თანამედროვე ქართულ ლირიკაში სნორედ ისტორიულ პატრიოტიკის ნამდვილ შედეგრად გვესახება.

...ვაჟა... იქნებ ფიროსმანიც, აი, ვინ გვაგონდება კიდევ არჩილ სულაკაურის სამყაროში გაშინაურებულად. არის რაღაც „ფიროსმანული“ ამ სამყაროს ზოგიერთ მკვიდრში, განურჩევლად მათი სოციალური რაობისა. ჯარისკაციც, მთელი თავისი სულიერი წყობით, ლადოც და გაბოც, დათოც და ლუკაც ძნელად წარმოსადგენნი როდი არიან მის „სულიერ ძმებად“. ყველა ისინი — გარეშეთათვის „უცნაური მეოცნებეა“ ლადოს „იულია“, „ნავიცა“ და „თეთრი კიბეც“, გაბოს „გუგუტაცა“ და მისი „ორთქმავალიც“, დათოს „ოქროს თევზიც“ და „ბუბა ეშმაც“ — ეს ხომ თავისებურად იგივ სანუკვარი „მარგარიტაა“ ან თუნდაც ის „სამოვარი“, რომელზედაც საწყალი ნიკალა ოცნებობდა...

არჩილ სულაკაურის რჩეულ გმირთა ურთიერთნათესაობაც აშკარაა და საგულისხმო. ასაკის, ხასიათის, საქმიანობის, სოციალური მდგომარეობისა ან ამა თუ იმ ცენზის განურჩევლად, ისინი ერთი კაცური მოდგმის, ერთიანი ადამიანური ბუნების ხალხია. ავტორი არ უფრთხის თავის პერსონაჟთათვის საკუთარი პოეტური აღქმისა და ხილვის უნარისა და ნიჭის გაზიარებას. ამგვარად ავტორის ხმაც გვესმის და მისი ხედვაც გვეცნაურება გმირთა პრიზმაში გატარებული — „ტალღებსა" და „წყალდიდობაში", „მტრედებსა" და „ბიჭსა და ძაღლში", „აბელის დაბრუნებაში", „ოქროს თევზსა" და „ლუკაში".

პერსონაჟთა ურთიერთნათესაობა ავტორისეული სულიერი მრწამსისა და განწყობის მიზიდულობის არეში — აი, რა არის აქ მთავარი. აქ მეტად საგულისხმო „ბიოგრაფიული ჯაჭვის" გაბმაც შეიძლება — პირობითი და სავარაუდო ხასიათისა. ეს პირობითი და სავარაუდო გმირი ჯერ კიდევ მცირეწლოვანია „ბიჭსა და ძაღლში", უკვე ყმაწვილია — „მტრედებში", ჭაბუკია — „ტალღებში". მისი მომავალი ჩვენ შეგვიძლია ან მირიანის ან დათოს ბედს დავუწყვილოთ, ხოლო მისი სოციალური „მისამართის" შეცვლით — ლადოსა და გაბოს ბედს. „თითქოს არსებითად ჩვენს წინაშე ერთი გმირია, რომელიც სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა იერით წარმოგვიდგება".

„ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" — სათაურშივეა ნაგულისხმევი მოთხრობისათვის ნიშნეული დედა-აზრი, კონცეპცია. ამ შემთხვევაში „მიწა" თუ „ნაპირი" — მყარია და ნათელი, „ზღვა" კი ავბედითი სტიქიის სიმბოლო. და თუ „ ტალღები" „ნაპირისაკენ" ილტვიან — ეს დასტურია მხოლოდ იმისა, რომ „კეთილმან" უნდა სძლიოს „ბოროტს", მიიზიდოს მისი „ტალღა" და მოათვინიეროს, მოარჯულოს, განაკაცოს იგი.

ჯარისკაცი — თავისი მეობითა და სხვისი სიყვარულით — „კაი ყმის" ზნეობრივი აღთქმით ასულდგმულებული კაცის განსახიერებად მოგვევლინა, ზემდეგი კი — ფრთაშეკვეცილ, ვიწრო-პრაქტიკულ, ეგოისტურ ინსტინქტების გამსჭვალულ არსებად. ნაწარმოების ფინალში ჯარისკაცი და ზემდეგი ერთად აღმოჩნდნენ, ერთ ნავში და ერთად უნდა დაეღწიათ თავი მტრისაგან. აი, სად გამომჟღავნდა მათი ბუნების, მათი ფსიქიკისა და

ზნეობრივი ინსტინქტებისა თუ მრწამსის სხვაობა. სწორედ აქ, ამ ნაკში ორი საპირისპირო ზნის, განწყობისა და ადამიანური ბუნების მეტოქეობა სულ უფრო და უფრო აშკარა, თან დაძაბული ხდება. „ტალღების" ჩანაფიქრისა და ზნეობრივი კონცეპციის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ აქ ნაჩვენებია ზემდეგის სულიერი აღორძინების, ჯარისკაცის ზნეობრივ სამყაროსთან მისი ზიარების შესაძლებლობა, რაც მოახდინა უკვე მომაკვდავი ჯარისკაცის მოქმედებამ სიკვდილ-სიცოცხლის ორთაბრძოლის ამ უკანასკნელ ზღურბლთან... აქ უკვე მოხდა ზემდეგის სავარაუდო ფერისცვალებაც. ეს უკვე ჩანს „უხილავის ხილვაში", „გაუგონარის გაგონებაში", „ჩაუწვდომელის ჩაწვდომაში". ეს ფერისცვალება თუ გარდასახვა დაეტყო არა მარტო მის სულს, არამედ მის ინსტინქტურ მოქმედებასაც. უკვე თავის თავზე კი არ ფიქრობდა ზემდეგი — მხოლოდ ჯარისკაცზე, ოღონდ როგორმე გაეხანგრძლივებინა მისი სიცოცხლე.

ასე აღმოჩნდა დაკავშირებული „თავისი მეობა" და „სხვისი სიყვარული". ასე მიიღო ზემდეგმა „ესტაფეტა" ჯარისკაცის ხელიდან. ასე შეხვდა იგი უკვე „იმედივით მოსულ განთიადს", რომლის სინათლე მის სულსაც ნვდებოდა — „ნეტავ მასაც ეცოცხლა განთიადამდეო" — ასე გაიმეორა თვით ზემდეგმა ჩურჩულით, თითქოს ლოცულობდა, ჯარისკაცისავე ფიცით — „მე ვიძიებ შურს ღიად დარჩენილი საფლავებისათვისო".

ზემდეგმა დაიჯერა ჯარისკაცის სიმართლე, მიუხედავად იმ სკეპსისისა, რომლითაც გამსჭვალული იყო მანამდე, მან ირწმუნა ჯარისკაცის სიმღერა, აღარ მოეჩვენა იგი არც „ყალბად" და არც „ძაღალფარდოვნად", თუმცა არ იცოდა, რომ ამ სიმღერა-ბოდვაში წარმოთქმული თითქმის ყოველი სიტყვა ჯარისკაცს მანამდე ჰქონდა გულით „გამოტანჯული", რომ მას კიდევ ბევრის თქმაც შეეძლო, რომ „ღიად დარჩენილი საფლავი, დევის ამოშანთული თვალივით რომ უაზროდ მისჩერებოდა ზეცას" — იმ ქალიშვილის საფლავი იყო, რომ მან თავისი თვალით ნახა „მიწიდან ამოჩრილი დაღვლარჭნილი თითები მუშტად რომ შეიკრა, თითქოს ცას დაემუქრაო", რომ „პორტში ჩაძირულ გემებს ზღვიდან ანძები ამოეყოთ დასახრჩობად განწირული კაცის ხელებივით", რომ ხის ჯვრებით მოჩითული თოვლიანი ტრამალი ისე ჩანდა, „თითქოს ყორნები აფრე-

ნილიყვნენ და თეთრ თოვლზე შავ-შავი ნაფეხურები დაეტოვებინათ". ცხადია, რომ ასეთი ხილვა — პოეტის ხილვაა, პოეტური ნატურის მიერ აღქმაა საგნებისა და მოვლენებისა, რომ აქ ჯარისკაცის სულის თანაზიარია თვით არჩილ სულაკაურიც.

ჯარისკაცი, მისი სიმღერაც, მისი ფიციც, მისი გაუნაღდებელი სიყვარულიც, მისი „გამზრდელობაც" ზემდეგის მიმართ, მისი რწმენაც, რომ „სიმართლეს ადვილად გრძნობენ, ხვდებიან", რომ „ზღვა თუ იპარავს ადამიანებს — მინა ინახავს მათ ხსოვნას და რომ „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" — მოელი ეს „მაღალფარდოვანება, ზეაწეული სიტყვები, იდეალიზმი და შემოქმედება" — არანაკლები რეალობაა და თუ გნებავთ „ანალიტიკურ-რეალისტური კვლევის" დიაპაზონი ამ ორი პოლუსით არ შემოიფარგლება...

აქვს არჩილ სულაკაურს ლექსი, რომლის კლასიკური აღნაგობა და შენობის სინათლე გვაძლევს საშუალებას საგანგებო სიცხადით აღვიქვათ მთელი მისი მოქალაქეობრივი, ადამიანური, ზნეობრივი და მხატვრული სულისკვეთება, ასე ვთქვათ, ფოკუსირებული, კონდენსირებული სახითა და ძალით. ამ ლექსითვე დავასრულოთ ეს პირველი „მოგზაურობა პოეტის სამყაროში":

არ ვიცი, ამას რა ჰქვია,
როცა მთაწმინდა აქვეა,
როცა აქვეა მტკვარი...
ახლავე მივდგებ-მოვდგები,
მაცალეთ, ვიდრე მოვკვდები
გადაგიხადოთ ვალი!
არ ვიცი, ამას რა ჰქვია,
როცა არაგვი აქვეა,
როცა აქვეა ჯვარი...
ახლავე მივდგებ-მოვდგები,
მაცალეთ, ვიდრე მოვკვდები
გადაგიხადოთ ვალი.

გიორგი მარგველაშვილი

არჩილ სულაკაური

პოეტი და პროზაიკოსი, მეზღაპრე..., არჩილ სულაკაური ერთი იმათგანია, ვინც თავის შემოქმედებაში მთლიანად გამოხატავს თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და კულტურის ხასიათსა და მის მიღწევებს.

ქალაქი, წიგნი, მდინარე — ის კონტურია, სადაც არჩილ სულაკაურის განწყობა, ფიქრი და განცდა თავსდება.

იგი ქალაქის პირმშოა, ურბანიზმი მისი მშვიდი და ბუნებრივი თვისებაა.

„წიგნი" აიძულებს ხშირად მოვლენები მხოლოდ გონების თვალით განჭვრიტოს.

მდინარე ტრადიციული მითოლოგიური სახეც არის, ყოველი არსის წარმავლობის სიმბოლოც და საკუთარი ცხოვრების განუყოველი ნაწილიც, რადგან მდინარე „დღენიადაგ მოედინებოდა მის თვალთა წინაშე".

დაიბადა არჩილ სულაკაური 1927 წ. თბილისში, კინოდრამატურგის ოჯახში. სწავლობდა უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, დაამთავრა 1951 წ. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში.

მთელი მისი ბიოგრაფია თითქოს არც ისე მდიდარია და შემოიფარგლება რამოდენიმე თარიღით: სწავლობდა, შრომობდა, შექმნა ოჯახი, იყო ლიტერატურული ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილე, ამჟამად გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორია... ლიტერატურული მიღწევები და აღიარება ერთბაშად არ მოსულა, არც — სეზონურად, მოვიდა პროფესიონალური სერიოზულობით და მყარად.

პირველი ლექსები 1946 წ. დაიბეჭდა, პირველი კრებული — 1951 წ. 1957 წ. გამოქვეყნდა პირველი მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან". ამას მოჰყვა მისი მოთხრობების კრებულიც.

1971 წ. მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ბოლო ხანს გამოქვეყნდა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვრცელი მოთხრობა „ლუკა".

არჩილ სულაკაური, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად აღიქვამს მის ირგვლივ გამეფებულ და, იქნებ, ჯერ კიდევ ბუნდოვან განწყობილებებს, რაც მასთან გამოკვეთილ და ნათელ ლიტერატურულ კონცეფციად ყალიბდება. სწორედ ამის გამო დგას იგი ბოლო წლების ქართული ლიტერატურის ყოველი ახალი ტენდენციის დასაბამთან (ეს არ არის გაზვიადება — ასე იყო პოეზიაში, როცა მედიტაციური ლირიკისათვის იღვწოდა; ასე იყო პროზაში, როცა ანალიტური თვალსაზრისის დაფუძნებას ლამობდა, როცა ცდილობდა მოთხრობა-ზღაპრის ჟანრის დამკვიდრებას).

მთავარი ისაა, რომ მას შესწევს უნარი შეიმეცნოს და მხატვრულად განახორციელოს ის იდუმალი და ფარული, რაც თითქოს თავისთავად არსებობს და განცდილია. ოღონდ აკლია გამჟღავნება. უფრო ზუსტად, იგი თავისი შემოქმედებით ყოველთვის გამოხატავდა რაიმე საერთო თვისებას, საერთო ტენდენციას, საერთო კულტურულ მისწრაფებას, ყოველთვის ცხადად ესმოდა თაობის სულიერი ცხოვრების მელოდია, განწყობილება; ის იყო ერთ-ერთი უპირველესი თანატოლთა შორის და ყოველთვის იზიარებდა მათ ღირსებასა თუ ნაკლს, სხვათა შორის, სწორედ მათ წიაღში გამოიკვეთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი შემოქმედებითი ინტელიგენციისა.

არჩილ სულაკაურისათვის დამახასიათებელი რომანტიკულისა და მკაცრი ანალიტურობის შერწყმა განფენილია თაობის ეთიკურ მრწამსზე, სათავეს მყარი პოეტური ტრადიციებისა და მძიმე, მაგრამ ჰეროიკული ეპოქის წიაღში რომ იღებდა (სამამულო ომის წლები).

ეს იყო ინფორმაციის ახალი ფორმების გაჩენის ხანაც და საკმაოდ ღრმა დაფიქრებას მოითხოვდა საიმისოდ, თუ რა სახით, რაოდენ ბუნებრივად შეერწყმოდა ყოველივე ეს, ჩვენთვის დამახასიათებელ აზროვნების სტილს, სამყაროს უკიდურესად პოეტიზირებულ წარმოსახვას, ემოციურობას.

არჩილ სულაკაური ურბანისტული სტილისტიკის დასამკვიდრებელ გზებს ეძებს, ყოველგვარი ფუსფუსის, ხელოვნურობის ზენოლის გარეშე; მისი „ურბანიზმი" რამდენადმე განსხვავდება უკვე დამკვიდრებულ ცნებისაგან. თუ შეიძლება ასე გამოვხატოთ — ის ქალაქელი ბიჭია, რომელიც თავის სამყაროს აღიქვამს პოეტურ-ზღაპრულ სახეებში, ღრმად შეიცნობს თავისი ქალაქის

სტილსა და ხასიათს. ის მკაცრი, უბრალო, რაციონალურია, მაგრამ ამავე დროს მეოცნებეც. გაურბის იმ ე. წ. სტილიზაციას, რომლის მეოხებითაც ხანდახან ყალიბდება ნახევრად პასტორალური მირაჟი კოლორიტულობისა და თვითმყობადობისა.

არჩილ სულაკაურის პროფესიონალიზმი ლიტერატურული ცხოვრების სტაბილურობისაკენ სწრაფვაა, რაც ისევე მოიცავს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას, როგორც შემოქმედებითი ინტენსიობის წუთებს.

არჩილ სულაკაურის პროზა თემატურად და პირობითად ასე შეიძლება დავყოთ: „ჩუღურეთული ციკლი", („წყალდიდობა", „მტრედები", „ხიდი", „ბიჭი და ძაღლი", „ლუკა", „ზევით და ქვევით"), ზღაპარი-მოთხრობები („სალამურას თავგადასავალი", „ჯადოსნური კაბა") და მოთხრობები, რომლებიც არ ეკუთვნის ამ ციკლს, მაგრამ იდეური განწყობილებით, ორგანულად არის დაკავშირებული ჩუღურეთული მოთხრობების ერთიან კონცეპციასთან („დიდთოვლობისას", „აბელის დაბრუნება", „ღამე ყაბახზე" და ა. შ.).

არჩილ სულაკაურის ფეტიშთა სავანე ჩუღურეთია: თბილისის ერთი ძველი უბანი. ჩუღურეთი „აღთქმული ქვეყანაა". სახელდება პირობითია, რადგან იგი მაინც წარმოსახვით შექმნილი ქვეყანაა; რეალურად არსებული და ამავე დროს ფანტასტიკური სამყარო, რომელსაც მისცა ეთიკური ტრადიცია, შეუქმნა სოციალური სტრუქტურა და ცხოვრების სტილი.

არჩილ სულაკაური ყოველთვის ინარჩუნებს კავშირს თავის ბავშვობასთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი საკუთარი ბავშვობის სიღრმიდან მოდის, სადაც არც ბედნიერი უფლისნული და არც ნებიერი ბიჭი არ ყოფილა.

არჩილ სულაკაური გაურბის კონკრეტულ მოგონებებს, რადგან გრძნობს, პირადი, საკუთარი მისი ბავშვობა ჯერ კიდევ არ არის ლიტერატურა (იგი არც იხსენებს ბავშვობას, იგი აღადგენს თავისი ბავშვობის ფანტასტიკურ ქვეყანას), და მაინც, ყოველთვის უფრთხილდება კავშირს ბავშვობასთან, როგორც ცხოველ შთაბეჭდილებათა წყაროს.

არჩილ სულაკაურის გახსენებანი პოეტიზირებულია, მაგრამ თავისებურად, უცნაურადაც კი: პოეტიზირებულია ტკივილი, სულის თრგუნვა; პოეტიზირებულია ბიოგრაფიული სიზუსტის

უარყოფით, წარმოსახულისკენ სწრაფვით. თავისთავად საინტერესოა იდუმალი დრამატიზმით დამუხტული მიკროსამყარო, სოციალურად დიფერენცირებული, თავისი ზნეობრივი კულტურითა და მორალური კანონით („წყალდიდობა", „ბიჭი და ძაღლი").

არჩილ სულაკაურს თხრობაში ყოველთვის შეაქვს მძაფრი სოციალური მოტივი, იგი სოციალურად აქტიური მწერალია.

ამავ დროს იგი შესანიშნავი პოეტია, სწორედ ეს უწყობს ხელს პროზაულ სტრუქტურაში შეიტანოს პოეტური მეტყველება, პირობითობა, რაღაც ლირიული დაეჭვება ზოგიერთი მოვლენის სიზუსტის მიმართ.

„იქნებ" პოეზიიდან შეგნებით გადმოტანილი სიტყვაა. არჩილ სულაკაური ამ სიტყვის მეოხებით ქმნის წარმოსახულსა და ნამდვილს შორის გავლებულ მიჯნას.

არჩილ სულაკაურის მოთხრობებში თითქმის ყოველთვის დომინირებს ზნეობრივი შემობრუნების ტენდენცია... აქვე დადგინდა სულიერ ღირებულებათა მემკვიდრეობით გადაცემის ტენდენცია, იმის შეგნება, რომ ადამიანი ადამიანს უტოვებს ეთიკურ კანონს. ამ შემთხვევაში მწერლის მიზანდასახულობა, მისი ალღო, ტექტონიკა შესანიშნავია...

სამოციანი წლების ქართულმა პროზამ გავლენების ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ეტაპი გადალახა. გავლენები იმდენად პირდაპირი და ხელშესახები იყო, რომ დაინტერესება გამოიწვია არა მარტო პროფესიონალების მხრივ, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოების მხრიდანაც.

ამ პროცესის წარმოდგენა არჩილ სულაკაურის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. იგი რამდენადმე ცივია, მშვიდი, მიზანდასახული, არც თუ ძალიან ენდობა სპონტანურობას, ბრწყინვალე მთხრობელია და თანამოსაუბრე, გიპყრობს დაბალი, მგრძნობიარე ხმით და დახვეწილი იუმორით. როგორც წესი, იგი უარყოფს სიტყვის ექსტენსიურ ენერგიას; უფრო და უფრო მკვეთრად იკვეთება სიტყვის აზრობრივი კონტური და იმორჩილებს პოეტურ მეტყველებას, ენობრივ კულტურას, თხრობის ხელოვნებას.

მისი პროზის სტილი მუშავდება ისევე სკრუპულოზურად, როგორც მისი პოეზიის, ლექსთა წყობის ფორმები.

ის თავის საქმეში შეყვარებული კაცია და ამ სიყვარულს შემოქმედებისადმი დაკვირვებული მეთვალყურის ჩუმი აღფრთოვანების შეგნებული მსახურების ფორმა აქვს.

ლიტერატურის ისტორიისათვის უფრო ღირებულია რა (შედეგი), ვიდრე ვინ (პიროვნება).

სხვა საქმეა თანამედროვე მწერლის შემოქმედების გაანალიზების ცდა. ამის გამოც ვარჩიე ლიტერატურული პორტრეტი...

მე ვფიქრობდი იმ ცნობიერ საფუძველზე, ზნეობრივ კულტურასა და ეთიკაზე, საიდანაც არჩილ სულაკაურის შემოქმედება აღმოცენდა, რაც ესოდენ ახლობელია ჩემთვის, რადგან საერთო მოგონებების წიაღიდან მოდის და ანგარიშგების გრძნობაც საზიაროა. ხოლო რაოდენ ღირებულია ყოველივე ამის მხატვრული უკუფენა, რაოდენ მძლავრია არჩილ სულაკაურის წარმოსახვა, ამის განსჯა უფრო დროის საქმეა.

მოვლენ თაობები, მათთვის არჩილ სულაკაურის შემოქმედება ის არ იქნება (არც შეიძლება იყოს), რაც ჩემთვის.

ჩვენ ვეძიებდით, უარვყოფდით, გავცბუნებულვართ, მოგვწონებია კიდეც... ბოლოს იქნებ სიამაყეც ვისწავლეთ. მათ არაფრად დასჭირდებათ ჩვენი სიამაყე თუ აღტაცება, რადგან თავის თავსა და თავის მომავალში მოიძიებენ საოცარს.

ამიტომ — არც ერთი სიტყვა აღტაცებისა, ეს წერილი მოსაგონარი ან მემორიალი არ არის, და არც ჩვენ მოვყრილვართ იმ ასაკის, რომ საოცრება მომავალში არ ვეძიოთ.

ჩანაწერები არქივიდან:

„აქვს არჩილ სულაკაურს ერთი თვისება. იგი ყოველთვისა და ყოველ სიტუაციაში მწერლური პრინციპებით ცხოვრობს. იქნება ეს სუფრა, სხდომა, მეგობრებთან ურთიერთობა თუ მარტოდ ყოფნა. და ეს რწმენა თუ ცხოვრების სტილი მოდის მშვიდი რწმენისაგან, რომ მართლა მწერალია და სხვა არავითარი საქმე ამქვეყნად არა აქვს. იგი უფრთხილდება თავის თავსა და თავის სახელს, უფრთხილდება რაღაცნაირი შინაგანი სიამაყის შეგნებით და არავის არ აწუხებს. არ ძალადობს, მხოლოდ პატივისცემას მოითხოვს და ჩემი აზრით, იმსახურებს კიდეც ამ პატივს.

მე მომწონს არჩილის შინაგანი სიამაყე და ზომიერების გრძნობა. მომწონს ისიც, რომ თუ უყვარს ვინმე, უყვარს ჭეშმარიტად, მშვიდად, ერთგულად".

„თუ ჭეშმარიტ პროფესიონალიზმზე მიდგება საქმე, არჩილ სულაკაური, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ნათლად გამოკვეთილ პროფესიულ ღირსებებს ფლობს. მასში ეს პროფესიულობა ნიჭთან ერთადაა დაბუდებული, ორგანულად გამჯდარი მთელ მის არსებაში. სწორედ ამიტომაა, ისინიც კი, ვისაც მისი მწერლობის ერთიანად აღიარება არ სურს, მაინც პატივს სცემენ მას, რადგან იგი იმ მცირეთაგანია, ვინც ერთიანად ამართლებს ცნება მწერალს".

„არჩილ სულაკაურის აზროვნების სტილი წმინდა ლიტერატურულია, ანუ იგი განუხრელად და დღენიადაგ ლიტერატურით ცხოვრობს. სწორედ ეს ანიჭებს მის პიროვნებას მნიშვნელობას — ეს და კიდევ ის, რომ მსჯელობისას აზრს ყოველთვის მყარ, ლოგიკურ კონსტრუქციას ანიჭებს. არაფერს ამბობს ისე რა, უბრალოდ, ლაპარაკისათვის... უფრო ღრმა აზრს ანიჭებს ყოველ ფრაზას, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მისი მსჯელობა ყოველთვის ავტორიტეტულია".

ოტია პაჭკორია

არჩილ სულაკაურის მოთხრობები

ჩვენში უკვე ცნობილ ქართულ სახელთაგან დიდ ყურადღებას იმსახურებს არჩილ სულაკაური. მისი ვრცელი მოთხრობა „ლუკა" ეს-ესაა გამოვიდა ჩეხურად. სულაკაური მიეკუთვნება იმ ოსტატთა პლეადას, რომლის დაძაბული ინტერესი მიმართულია ადამიანის ზნეობრივი სამყაროსაკენ. ქართული ლიტერატურის და ენის წამყვანმა სპეციალისტმა და მთარგმნელმა ვაცლავ ჩერნიმ ჩეხურად წარმოგვიდგინა სულაკაურის რჩეული მოთხრობები სათაურით — „შეუვსებელი სიყვარული".

არჩილ სულაკაური არ ირჩევს ერთმნიშვნელიან, უკვე კარგად ცნობილ, დასრულებული სახის ცხოვრებისეულ მოვლენებს. პირიქით, მისი სტიქიაა ადამიანის ზნეობრივი და სულიერი გარდატეხის ხანა, წარსულის არამყარი სიმშვიდიდან, რწმენიდან ახალ, მტკიცე მიმართულებისაკენ გარდამავალი ხანა. მწერალი გვიხატავს წარსულის სურათებს, მათთან დამოკიდებულებას და მათ გამოძახილს, რომელსაც ადამიანი ძველი, ჩვეული ინსტინქტით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი ოსტატურად იჭერს ყოველდღიური ყოფის გასაოცარ წუთებს, რომლებიც, გავა ხანი და, განსაკუთრებით ძვირფასნი ხდებიან. ავტორი გარკვეული დისტანციიდან, მშვიდად და ზუსტად იხსენებს და ნოსტალგიით გვიხატავს დროის დინებაში ჩაკარგულ ბურუსით მოცულ სახეებს...

სულაკაური არკვევს მორალურ კანონებს, რომელთა გარკვევაც, ესოდენ აუცილებელია. მოთხრობები ემყარება არა მოქმედების გარეგნულ განვითარებას, არამედ უფრო აზრის შინაგან დინამიკას, პერსონაჟთა გრძნობებსა და განწყობილებას.

გარდა მოგონებისა, მოთხრობებში ხშირად ვხვდებით ერთგვარ ფანტაზიას და თვით დეტექტივის ელემენტებსაც. მთხრობელი ზოგჯერ მიკერძოებულიცაა. ხშირად ვექცევით ჩეხოვისებურ ატმოსფეროშიც, როცა გმირთა სურვილები და შესაძლებლობანი რაღაცნაირად დაუკმაყოფილებელი რჩება. სულაკაურის გმირები საკუთარი მხრებით ატარებენ მოგონებათა ერთგულ ბორკილებს. წრე შეკრულია. ადამიანები სამუდამოდ შორდებიან ერთმანეთს. ამაში თითქოს არაფერია ტრაგიკული, საბედისწერო და განსაკუთრებული. ეს ხდება ჩვეულებრივ და ყოველდღიუ-

რად. ადამიანს მეხსიერებაში ყოველთვის მყარად აქვს აღბეჭდილი მისთვის ძვირფასი სახეები. სულაკაურის სიყვარული თითქოს დრამატულია, მაგრამ გატაცებებს უმაღლესი ადამიანურობის შესაძლებლობათა წარმოჩენით. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ავტორი ადამიანისა და ხვალინდელი დღის რეალისტურად მკაცრი წარმოსახვით აძლიერებს სიცოცხლის რწმენას.

ზდენევ პეხალი
„რუდე პრავო“, 1985 წ.

მზეთუნახავი ეგებეგა მზეს

არჩილ სულაკაურის ზღაპარი, „სალამურას თავგადასავალი“ შეთხზული, თავიდან ბოლომდე გამოგონილი ამბავია, მაგრამ მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ ვერცერთ ტყუილს ვერ ამოიკითხავთ, ვერცერთ მხატვრულ სიცრუეს ვერ ნაანყდებით. ამის მიზეზი გახლავთ ჟანრის კანონების ზუსტი დაცვა და ცხოვრების რეალური მოვლენების მოდელირების უნარი. როდესაც პატარა, ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში აგებენ მომავალი, ნამდვილი კაშხლის მოდელს, ზუსტად უნდა იქნას დაცული ყოველი მასშტაბური გარდაქმნა; მოდელირებული კაშხლის საგუბარს, რომელსაც ონკანის წყალიც კი ჰყოფნის ასავსებად, კედელიც შესაფერი სისქისა უნდა ჰქონდეს, წნევაც და სიღრმეც, თორემ ლაბორატორიის ჭერქვეშ დაშვებული შეცდომა გავა გარეთ და დაანგრევს დიდ, ნამდვილ კაშხალს. მაგრამ თუ მოდელი სწორად მუშაობს, იმუშავებს ნამდვილი კაშხალიც.

ასევე სწორად „მუშაობს“ „სალამურას თავგადასავალის“ ზღაპრული მოდელი სინამდვილისა. ეს ზღაპარი რომ რეალისტური პროზის ენაზე გადაგვეთარგმნა, ალბათ მივიღებდით სათავგადასავლო რომანს, რომელსაც ექნებოდა გარკვეული სოციალური ფონი — ფეოდალური წყობილება თავისი მონარქიული იერარქიით, ან სხვა... და აქედან გამომდინარე ყველა ატრიბუტი — ბოროტება, ყვლეფა, მლიქვნელობა, ინტრიგა, და მეორე მხრივ, — უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხი, მათი რჩეული გმირები, სიყვარული, მეგობრობა და ბოროტების დამარცხება, ისევე, როგორც ეს „სალამურას თავგადასავალშია“.

არჩილ სულაკაური ორმაგი სიძნელის წინაშე იდგა: ნაწარმოებში ამოქმედებულ ზღაპრულ ელემენტებს და გაადამიანებულ არსებებს არ უნდა დაერღვიათ არც რეალური დედნის, არც ზღაპრული პირობითობის კანონები, ერთდროულად უნდა ყოფილიყვნენ რეალურნიც და ზღაპრულნიც, რადგან, როგორც ბრანდესი წერს ანდერსენის ზღაპრების ანალიზისას, მსოფლიოს არცერთ მეფეს, რაც არ უნდა ძლევამოსილი იყოს იგი, არ ძალუძს ერთი ზედმეტი ფოთოლი შეასხას ხეს. ამიტომ არც ზღაპარში შეუძლია ეს მეფეს. მას სხვა ფუნქციები და თვისებები აქვს.

ასევე — „ნიქარას" ზღაპარში გადაგდებულმა სავარცხელმა არ შეიძლება გააჩინოს, მაგალითად ზღვა, სავარცხელმა — ტყე, ან მთების დაკბილული მწვერვალები უნდა გააჩინოს.

მეორე სიძნელე ის გახლდათ, რომ არჩილ სულაკაურის ზღაპრის ქსოვილში, მსგავსად „გულივერის მოგზაურობისა" რამდენიმე მასშტაბია შერწყმული. ეს არის ქონდრის კაცების ქვეყანა. იმდენად პატარაა, რომ იგი შეიძლება ერთ ნაბიჯად არ ეყოს ჩვეულებრივი აღნაგობის მოგზაურს. და რადგან ქონდარეთი და გარშემო მიდამოები ასე მინიატურულია, მას, ჭირდება არა მხოლოდ ვიზიონალური, აზრობრივი მასშტაბების მისადაგებაც. ეს პირობა ბრწყინვალედ აქვს შესრულებული ავტორს — სალამურა თუ მწყემსია, იგი ჭიამაიების მწყემსია, მზეთუნახავი ბაია კი — ციცინათელებისა. ქონდარეთის ბრძენი კინა-ლოკო ლოკოკინას ნიჟარაში ცხოვრობს, ქონდარეთის უმაღლესი სამეფო ჯილდო ქონდრის ფოთოლია, ხოლო ჭიამაიას ნაღრძობი ფრთის შეხვევა მხოლოდ ობობას ქსელის ძაფით თუ შეიძლება.

ასევე ბოლომდეა დაცული ზღაპრის პირობითობა ჯამბაზი ალე ჰოპის ქალაქში, სადაც ყველაფერი შებრუნებითაა აგებული — ხალხი მაღლა გაბმულ თოკებზე დადის, ეს ამ ქალაქის ქუჩებია, და ბუნებრივია, რომ სახლების სართულების ნუმერაციაც ზემოდან ქვემოთაა მიმართული; პირველი სართული უკანასკნელია; უკანასკნელი — პირველი. ამიტომ ამ ქალაქში სასჯელის უმაღლესი ზომა ფეხით დაკიდებაა და არა კისრით ჩამოკიდება.

ზღაპრის ავტორი ისე ზუსტად ხატავს სამეფო კარს, თითქოს ისტორიის გაკვეთილს უხსნიდეს მოსწავლეებს; მეფეს ქონდარი ჰქვია, და ამ სიტყვიდან ნარმოშობილ სახელს მხოლოდ ორი ადამიანი ატარებს კიდევ — დედოფალი ქონდარინე და უფლისწული ქონდარუხი (ქონდართუხუცესი წოდებაა). ასე რომ, მეფური სისხლი შეურყვნელია, დაცულია ფეოდალური მემკვიდრეობის პრინციპი. მხოლოდ დედოფალი და ერთადერთი უფლისწულია სამეფო ტახტის მემკვიდრე. ყველას გადაყენება და დასჯა შეიძლება, თვით პირველი ვეზირისაც კი, ყველას ციხეში ჩალპობაა მოსალოდნელი — სამეფო გვარის ნარმომადგენელთა გარდა.

სხვადასხვა ზომის საჭრეთლითაა გამოქანდაკებული პირველი ვეზირი — გაიძვერა, ფლიდი, პატივმოყვარე, ცბიერი და, ამა-

ვე დროს, მშიმარა ქონდართუხუცესი. იგი მოგვაგონებს კინოკომედიის ცნობილი ოსტატის, მაქს ლინდერის პაროდიას კარდინალ რიშელიეზე, მაგრამ არჩილ სულაკაურის ზღაპრულ რიშელიეს, ამ სასახლის ინტრიგების სულისჩამდგმელს, ჯაშუშების ნაცვლად ჯადოსნური ჯამი ემსახურება, რომლის ნყალობით იცის, ვინ, სად, რას ლაპარაკობს და რა შეთქმულებას უნყობს მეფეს. აი, ქონდართუხუცესი ჯადოსნურ ჯამს ყურს მიადებს და ესმის, როგორ უკითხავს თავის ახალ ლექსებს პოეტი ჰილარიო ბუერა უფლისწულ ქონდარუხს. ეს კრიმინალია! ლექსები მზეთუნახავ ბაიასადმია მიძღვნილი. მეფეს კი ნაბრძანები აქვს უფლისწულს აღარავინ გაახსენოს სიზმარში ნანახი მზეთუნახავი. განრისხებული ქონდართუხუცესი პოეტს ურძანებს დაწვას ლექსები. ამის შემდეგ ზღაპარში სწერია: „პოეტის საბედნიეროდ, იქვე გიზგიზებდა ბუხარი!"

თითქოს პირიქით უნდა იყოს: „პოეტის საუბედუროდ, იქვე გიზგიზებდა ბუხარი!" რადგან ჰილარიო ბუერა მთელი ღამე ნვალობდა და იტანჯებოდა ლექსების წერაში, ჩაეძინა, და მხოლოდ დილით დაამთავრა უკანასკნელი, 23-ე ლექსი. უზომოდ კმაყოფილი იყო თავისი თავისა და სიამაყით აღვსილმა წაუკითხა ახალი ქმნილებანი უფლისწულს. მიუხედავად ამისა, სწერია: „პოეტის საბედნიეროდ, იქვე გიზგიზებდა ბუხარი" და უეცრად ხვდები, ამ ერთადერთი სიტყვით როგორ გააშიშვლა ავტორმა პერსონაჟის შინაგანი არსი, თითქოს გარედან ოქრომკედით მოქარგული ხელთათმანი გადმოაბრუნა და ბინძური, დაფლეთილი სარჩული დაგვანახა — იმდენად ღაჩარი, მშიშარა ყოფილა პოეტი, პირველი ვეზირის ბრძანებისთანავე რომ არ დაეწვა ლექსები, ოდნავადაც რომ დაეყოვნებინა, მას მოჰკლავდა ელდა მომდევნო წამზე ფიქრისა... და ეს გამოუსნორებელი მლიქვნელი მადლიერია ბედისა (ღმერთს თავისი რჩეულები ჰყავს), რომ იქვე გიზგიზებდა ბუხარი და თვალისდახამხამებაში შეასრულა უფროსის ბრძანება, შეიმცირა მისი მრისხანების ხანგრძლივობა. დღეს ტკბილად ჩაეძინება, რადგან აღარავინ აღარ ეყოლება ქვეყნად მისდამი მტრულად განწყობილი.

ყველაზე პოეტური და ამავე დროს, დრამატული სცენის პრეტენზიას აცხადებს ზღაპარში ციცინათელების დატყვევებული მზე-

თუნახავის, ბაიას მოგვრა მეფე ქონდარ XV-ის სასახლეში. ნაზი, სათნო, უმწეო ბაია, სასახლის ბრწყინვალებითა და უმეცრებით გაოგნებული, დგას შუა დარბაზში, ხარბად და ხეპრულად მაცქერალი კარისკაცებით გარშემორტყმული. იგი უფლისწულის გასართობად მოიყვანეს აქ, უნდა შეასრულოს ყველა კაპრიზი ამ ძილში გაზრდილი ტახტის მემკვიდრისა. ბაია აქ ჰგავს და არც ჰგავს დედინაცვლის სახლიდან გამოპარულ ტრადიციულ გერს, სასახლის მეჯლისზე რომ შეიპარა გადაცმული. ბაიას აქ სულ სხვაგვარი უფლისწული დახვდა. მას არავინ სთავაზობს, პატარა ფეხზე მოიზომოს ოქროს ქოში. აქ უარესად ეპყრობიან, ვიდრე დედინაცვალი ეპყრობა გერს, აქედან იგი ველარ წავა ღამის 12 საათზე.

ამ ეპიზოდში ბაია ჰგავს ყველა ზღაპრულ, თუ რეალურ ტყვე ქალს, რომლის სილამაზე აინტერესებთ მხოლოდ, სული კი არა. ბაია აქ გახსენებთ, თუ გნებავთ, ქართველი ქალის წარსულ ბედსაც, ტყვედ წასხმულს და ჰარამხანის კედლებში გამოკეტილს. ეს ეპიზოდი, თავისი პოეტურობით, დიდი საბალეტო სპექტაკლის ტოლ ემოციებს იწვევს.

„სალამურას თავგადასავალი", ნაწარმოები, რომელიც ჩემი აზრით, შეიძლება მივიჩნიოთ ძველი, მომხიბვლელი ქართული ზღაპრების აღორძინებისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ ძლიერ ნაბიჯად, იერთებს თავის თავში როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ელემენტებს. ავტორი ამას ახერხებს ძალდაუტანებლად, ბუნებრივად, მკითხველისათვის შეუმჩნეველად. არ ყვირის არც ტრადიციისადმი ერთგულების გამო. ამიტომ ერთიდაიგივე ზღაპარში შეხმატკბილებულად თავსდებიან საპყრობილეს კოშკში გამომწყვდეული მხეთუნახავი და ამერიკული კოვბოური ფილმების გმირთა ხსენება, ფლიდი, გაიძვერა ვეზირი და ირონია თანამედროვე აბსტრაქტული ქანდაკების თაყვანისმცემელთა მიმართ, თოკების ზღაპრული ქუჩა და ცხვირის პლასტიკური ოპერაცია.

სიმართლემ, ავტორმა რომ მიაგნო, თითქოს ნიშნად მადლობისა, უნარი მიანიჭა მას, შეუთავსებელი ცნებები შეეთავსებინა. სიმართლემ, მზისაგან განსხვავებით, არა მარტო ხილული საგნებიდან, ავტორის ფანტაზიიდანაც გამოდევნა ჩრდილი, ქაღალდზე დააფინა სიტყვებად და ხილული გახადა.

ეს უხსოვარი დროიდან მომდინარე სიმართლეა, კაცობრიო-

ბის მიერ დღემდე ჯერ კიდევ მიუღწეველი და იდეალური სახით ჯერ კიდევ განუხორციელებელი. ეს არის საყოველთაო მეგობრობა, სიყვარული, ადამიანისათვის დახმარების ხელის განვდენა, ოღონდ ამ ნაწარმოებში ახალი ფორმით და ახალი სიტუაციებით გამოხატული.

დახმარება, მიშველება ადამიანის თანდაყოლილი ინსტინქტიცაა, ისევე, როგორც დედის ფხიზელი ძილი ჩვილის გვერდით, როცა ქუჩაში შემთხვევით კაცი ეცემა, უბოროტესი მტერიც კი უნებურად ერთ-ორ ნაბიჯს გაირბენს მისკენ მისაშველებლად...

„სალამურას თავგადასავალი" კი ახსენებს ყველას, ბავშვსაც და მოზრდილსაც, მომდურავსაც და მოკეთესაც, რომ უნდა მიეშველო ადამიანს, უნდა გაიჭირვო, ათას ფათერაკს გაუძლო და დაეხმარო თვით უცნობსაც კი, მით უმეტეს, თუ მას არასოდეს უნახავს მზე. ზღაპარში ბაიას ეხმარება სალამურა, სალამურას-- მჭედელი დაჰკადაჰკა, მჭედელს — ცომიზელია, ცომიზელიას — თოკიგრეხია. მშვენივრად მიგნებული ეს ზღაპრული სახელები კიდევ ერთი დამსახურებაა არჩილ სულაკაურისა.

„სალამურას თავგადასავალი" თემა სიყვარულისა და მეგობრობისა, სახელდობრ, დატყვევებული მზეთუნახავისა, საყვარელი ქალის დახსნის თემა, გაბატონებული იყო ქართულ ფოლკლორში, ქართულ ეპოსში და მან თავის უმაღლეს წერტილს, თავის აპოგეას „ვეფხისტყაოსანში" მიაღწია.

როგორც შესანიშნავ ქართულ ზღაპარში მზეთუნახავის ტყვეობიდან გამოხსნა არ იყო ნაწარმოების თვითმიზანი, ასევე თავის ზღაპარშიც არჩილ სულაკაური პოულობს ბუნებრივ გაგრძელებას — ბაია ულამაზესი გოგონაა, სათნო, უმანკო, მაგრამ თუ ამ სილამაზესა და სათნოებას ბედნიერება თან არ ახლავს, თუ იგი სიმართლის სხივით არ არის განათებული, მცირეა მისი ფასი და სალამურა ართულებს დათქმულ ფიცს, თავის თავსა და ბაიას რომ მისცა; სულ მუდამ ღამის სიბნელეში მცხოვრებ მზეთუნახავს იხსნის ტყვეობიდან და მერე თვალს უხელს, აჩვენებს მზის ამოსვლას, დღის მშვენიერებას, ჭეშმარიტებას ანდობს, ცხოვრების სიმართლეს აზიარებს. აჩვენებს მზეს, თითქოს აგემებს აკრძალულ ხილს სიკეთისა და ბოროტების ხიდან, რომლის შემდეგ იწყება ყველა ადამიანური მნუხარება და ყველა ადამიანური ბედნიერება.

საინტერესოა, იმ ფინალამდე რა სადად და ძალდაუტანებლად მივყავართ „მზეთუნახავის“ ცნებას, რომელიც, ჩემი აზრით, ახლებურად გამოიყენა არჩილ სულაკაურმა. არ მახსოვს, ქართულ ზღაპარში მზეთუნახავის სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ ღამის საათებით შემოფარგლულიყოს. მზეთუნახავი არაჩვეულებრივი სილამაზის ქალის სინონიმია მხოლოდ. ავტორმა ამ სიტყვის შინაარსიც გამოიყენა — ციცინათელების მზეთუნახავ ბაიას მართლა არასოდეს უნახავს მზე... იქნებ იმიტომ კი არ შეარქვა ხალხმა ლამაზ ქალს მზუთუნახავი, რომ მზე არ ჰქონდა ნანახი, არამედ ლამაზი რომ იყო, სწორედ იმიტომ არ ანახვებდნენ მზეს. თითქოს „სალამურას თავგადასავალის“ ავტორმა შეგნებულად თუ ინტუიციით, მზეთუნახავი გამოიხსნა ძველი ზღაპრებიდან და აჩვენა მზე, და, რაც მთავარია, მარტო ფიზიკურად კი არა, სულიერად გაათავისუფლა, საკუთარი თავი დააპატრონებინა.

სუფთა, ზღაპრული დეტალია უფლისწული ქონდარუხის რწმენა იმის შესახებ, რომ თუკი შემწვარ-მოხრაკულები ესიზმრება და გამოღვიძებისთანავე მზარეულს მართლაც მოაქვს მისთვის, ასევე უნდა „მოართვან“ სიზმრად ნანახი მზეთუნახავიც. საინტერესო და ტრადიციულია ბრძენი კინა-ლოკო, ერთიდაიმავე შეკითხვაზე, თუ სად შეიძლება პოვნა მზეთუნახავი ბაიასიო, ერთიდაიმავე პასუხს რომ გაიძახის: „ღამე!“ მსგავსად ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა, რომელსაც მგზავრმა ჰკითხა, ამა და ამ ქალაქამდე რამდენ ხანში ჩავალო, და ფილოსოფოსმა უპასუხა: იარეო! სასაცილოა სცენა სასახლის ჭიშკარში ჩახერგილი მლიქვნელი ელჩებისა, ყველას რომ უნდა პირველმა მიირბინოს მეფესთან და ახაროს საამო ამბავი, დახასიათება ქარბორბალასი: „ის ისეთი ღონიერი იყო, რომ მეხსიერება არც სჭირდებოდაო“. თვალწინ გიდგას ჯანით სავსე, მაგრამ უჭკუო, ხეპრე კაცი; მრავალმნიშვნელოვანია ფრაზა, ქონდარხელებისა, როცა გაჰყურებენ გახარებულ ბაიას, პირველად რომ დაინახა მზე; ჩვენ უკვე მივეჩვიეთ და ისე ლამაზი არ გვეჩვენება მნათობიო. გამახსოვრდება ბრძენი კინა-ლოკოს ნათქვამი: „მაინც რატომ განვსხვავდებით ასე ერთმანეთისაგან, ჩვენ ხომ ყველანი ქონდრისკაცები ვართ?“

აქვს თუ არა ნაკლი „სალამურას თავგადასავალს“? შეიძლება ავტორი ზედმეტ უნდობლობას იჩენდეს ნორჩი მკითხველებისა-

დმი და ცოტა ზედმეტად ხსნიდეს მოვლენებს, ანდა ხანდახან ზედმეტი იყოს უშუალო მიმართვა იმავე მკითხველისადმი, მაგრამ ეს ავტორის ზედმეტი სიფრთხილის ბრალია მხოლოდ.

„სალამურას თავგადასავალმა“ მე მომამზადა იმ აზრის აღსაქმელად, რომ არჩილ სულაკაურის ახალი ნაწარმოები ოდნავადაც არ ფერმკრთალდება გამოჩენილი თანამედროვე მეზღაპრეების ჩუკოვსკის, ჯანი როდარისა და დონალდ ბისეტის ზღაპრების გვერდით.

ედიშერ ყიფიანი

წლის საუკეთესო ლექსი

ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად, ჩემის აზრით, უნდა მივიჩნიოთ არჩილ სულაკაურის „გოდება“, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ (№8) დაიბეჭდა და ჩვენი ქვეყნის უმძიმეს სატკივარს განზოგადოებული სახით წარმოსახავს. აქ ძმათა შორის ომის ტრაგედია კოსმიურ სიმაღლეზეა აზიდული და თავისებური ასპექტით ეხმაურება დავით გურამიშვილის ცნობილ საგოდებელ ლექსებს. თითქოსდა ერთდაიმავე მოვლენამ — ძმათა შორის სისხლის ღვრამ („ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი“) დიდი მანძილით დაშორებულ ორ პოეტს თანაბარი ძალისხმევის ლექსები დააწერინეს.

არჩილ სულაკაურის „გოდება“ ერთი ამოსუნთქვითაა ნათქვამი. ტკივილებით გაჯერებულ სტრიქონებს პოეტმა თავისი დაგლეჯილი გულიც ამოატანა, რათა უფრო ღრმად, მძაფრად გვაგრძნობინოს მომხდარი საშინელება. მე არ მეგულება სხვა ლექსი, ასე სრულყოფილად რომ წარმოაჩენდეს საქართველოს დღევანდელ მძიმე წილხვედრილობას. აქ ყოველი სიტყვა, სტრიქონი „ოქროს საბლითაა“ მოზომილი. არსად იგრძნობა შტამპი და ტრაფარეტი. ყველა შედარება, ეპითეტი თუ მეტაფორა პირდაპირ პოეტის გულისგულიდანაა ამოღებული. მთელს ლექსს რეფრენად გასდევს სტრიქონები: — „ქართველები ზეიმობენ ქართველების დამარცხებას“, რომელიც აღნიშნული ლექსის („გოდების“) ძირითად დვრიტას წარმოადგენს.

აპოლონ ცანავა
1992 წ.

ღია წერილი არჩილ სულაკაურს

მხოლოდ სიკეთემ, ჩემო ბატონო არჩილ, მხოლოდ სიკეთემ, გონზე მოსვლამ, სატანის განდევნამ ჩვენი სულისა და სხეულისაგან უნდა გვიხსნას, ჩვენ ათეისტებად ქცეულნი, ქრისტეს გზიდან აცდენილნი დაგვსაჯა მან, დიდმა იესომ ჩვენი უმეცრებისათვის, ყველა უკეთურებამ დაისადგურა ჩვენში... დავკარგეთ ის, რითაც ვამაყობდით — სიკეთე, სიყვარული, რაინდული ზრდილობა და სული. „პატრიოტულად" დავანგრიეთ, დავლეწეთ, ავაფეთქეთ რაზედაც კი ხელი მიგვიწვდებოდა, ჩვენი უბედური სამშობლოს, ყოველი ჩვენგანის საერთო ქონება.

ეს არ ვიკმარეთ, სამშობლოს დაშლაც მოვინდომეთ ნაწილ-ნაწილ. ამ სამარცხვინო ბრძოლაში ერთმანეთს დავერიეთ და დავხოცეთ, თითქოს ჩინელებივით მრავალნი ვყოფილიყავით. ამ ერთმანეთის ღალატში, ძიძგილაობაში აფხაზეთიც ხელიდან გამოგვეცალა, ბატონო არჩილ... სამშობლო მხოლოდ სიტყვიერ ცნებად დარჩა.

ბატონო არჩილ, თქვენ შესანიშნავ ლექსში რამოდენა სიყვარული და ტკივილია:

ქართველი რომ ქართველს
ესვრის,
ტყვია ხვდება საქართველოს...

როგორ მწყინს, რომ ბევრს არ ესმის ეს... იმ დროს, როცა აურაცხელი უსახლკაროდ დარჩენილი ქართველი ხიზნად არის თავის სამშობლოში...

მე მჯერა მტკიცედ, ახლა მაინც დავფიქრდებით იმაზე, თუ რამდენი ზიანი მივაყენეთ ჩვენი შეცდომებით სამშობლოს. სირცხვილია სხვას დააბრალო შენი დანაშაული. ჩვენ ყველამ დავაშავეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად. სწორედ ამ შეგნებულმა დანაშაულებებმა მიგვიყვანეს ძმათამკვლელ უბედურებამდე:

ქართველები ზეიმობენ
ქართველების დამარცხებას.

ჩვენდა სავალალოდ ასეც მოხდა, მძიმედ დავჭერით საკუთარი ქვეყანა, დავარბიეთ და დავაქციეთ. გვეყოფა, რაც ვითამაშეთ მეუგნებელი დემოკრატია და გამოვავლინეთ ყველა უზნეობა. ნამდვილი დემოკრატია კი, ადამიანის უმაღლესი უფლებების კანონიერი დაცვაა და ამ კანონებს ყოველი ადამიანი განურჩევლად უნდა ემორჩილებოდეს...

ჩემო ბატონო არჩილ, დავიჩოქოთ, ვთხოვოთ უფალს გვაპატიოს უმეცრება, ავმაღლდეთ, ვცეთ ერთმანეთს პატივი, გავუყოთ ლუკმა მშიერს, სუსტი და უსუსური დავიფაროო, არ დავაყოვედროთ სიკეთე, ვიცხოვროთ იმ ათი მცნებით და განვიკურნებით ყველა უკეთურებისაგან.

ბატონო არჩილ, ვკითხულობ ამ თქვენს „გოდებას" და მადლიერების გრძნობით ვივსები.

დოდო ჭიჭინაძე
1994 წ.

წერილი შორიდან ძვირფასო და დიდად პატივცემულო ბატონო არჩილ!

წარმოიდგენთ თუ როგორ გავიხარეთ თქვენი საუკეთესო საჩუქარით! ამ დიდი განძისათვის და ასეთი კარგი წარწერისათვის წიგნში ჩემს მიმართ. ჯერჯერობით სხვა არა შემიძლია რა გარდა ჩემი მამულიშვილური წმინდა ქართული გულ-თბილი მადლობა ამ წერილით გადმოგიგზავნოთ!

თქვენი წიგნი იმ ნუთს ლილი პაპე-გეგელაშვილს წავუკითხე (დანყება). მიუხედავად იმისა, რომ ლილი მისი ერთადერთი ვაჟიშვილის ულლის (ულრიხის) 29 ნლის გარდაცვალებით სულ ტირილში არის და მისი თვალებში ცრემლი არ შრება — თქვენი „სალამურას თავგადასავალმა" გაახარა და გააცინა!

მართლაც რომ მშვენიერია! გისურვებთ მრავალ წარმატებას და სიხარულს! გავიგე პროფესორ ბატონი გურამ რამიშვილისაგან, რომ თქვენი ნაშრომი, „სალამურა" კინო ფილმად გამოდის.

მე დარწმუნებული ვარ — დღევანდელი ხალხთა მეგობრული ურთიერთობაში თქვენი „ვაჟი" სალამურა ბევრი ენებზე ილაპარაკებს და მთელი დედამიწას შემოივლის ფილმის სახით! ამით თქვენ ყველას აჩვენებთ ქართული სიტყვათა სილამაზეს, ქართველი ბავშვებს და ქართველი ერის სიკეთეს!

კიდევ გისურვებთ თქვენი ნიჭის ვაშლას — გაფურჩქვნას და მრწამს სალამურა მრავალი დებს, ძმებს, შვილებს და შვილისშვილებს მიიღებს ლიტერატურის გზაზე!

ჩვენ აქ „თავს ვატყუებთ", ვითომ სამშობლოსათვის ვშრომობთ. აბა, ძირფასო ბატონო არჩილ, სხვის მიწაზე შრომა არ არის ადვილი! ჩვენი ფუძე და სარძიკველი საქართველოს კულტურაა მისი შინაარსით და სილამაზით. ჩვენი სულიერი საკვები აქ ქართველი ერის კეთილშობილება არის!

გაიგებდით ვამზადებთ საბავშვო ზღაპრებს გამოსაცემად! „ქართული სამზარეულო" წიგნზე ახლა ტელევიზიონშიც ილაპარაკეს. საბავშვო ზღაპრებიდან რომელიმეს აჩვენებენ! მრავალი გაზეთი დასხერს და ამით ლილი და მე გახარებული ვართ! საწყალი ულლი გვაკლია. ის იყო მართლა ქართულად აღზრდილი

კეთილი ვაჟკაცი. აბა, ბედმა ეს უბედურება მოგვცა, ყველაფერს რომ დავამთავრებთ და ლილი სულიერად თუ გამაგრდა, მაშინ დავიწყებთ თქვენი კარგი „სალამურას" გადათარგმნას. ახლა ჩემი სტუდენტი და მეგობარი წამოვიდა თბილისში, პროფესორი ვინფრიდ ბოედერი, ქართული ენის ცოდნა რომ გააღრმავოს! იქნებ ბატონი აკაკი გელოვანმაც გაიცნოს და თქვენც. კეთილი ახალგაზრდა არის, მან თარგმნა „გივერგლივ" გამოქვეყნებული ჯერ არ არის! გიგზავნით ქართული კეთილი სურვილებს და დიდი მადლობას. იქნებ 3-4 ცალი „სალამურას თავგადასავალი" გამომიგზავნოთ, გადავსცემ სახელმწიფოს და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს თქვენი სახელით.

დიდის პატივისცემით თქვენი ნიკოლოზ ჯანელიძე

დასავლეთ გერმანია

ავტორის სტილი დაცულია

საიუბილეო წერილები და მისალმებები

დაბადების 50 წლისთავზე

ნირშეუცვლელად!

თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა იმ დღიდან, როდესაც არჩილ სულაკაური პირველად ვნახე. გიორგი ლეონიძის მრევლს მოჰყვებოდა რუსთაველის პროსპექტზე.

ქუჩები მზით იყო სავსე. გაზაფხულის ჩახჩახა დღე იდგა თბილისში. მიუხედავად ამისა, ორივეს ფარფლებიანი ქუდი ეხურა („შლიაპები" მაშინ დიდ პატივში იყო საერთოდ). ოღონდ არა ისე, როგორც სხვებს: თუშური ქუდებივით ჰქონდათ მოგდებული კეფაზე.

ძალიან კარგ ხასიათზე იყვნენ ორივენი. გამიკვირდა: დიდი ხნის მეგობრებს ჰგავდნენ, ტოლებივით ექცეოდნენ ერთმანეთს.

მხცოვან პოეტს ახალბედას მხარზე არ ედო ხელი. და მაინც, როცა ამ სურათს ვიხსენებ, მაგონდება მისი ცნობილი სტრიქონები, ვაჟა-ფშაველამ რომ „დალოცა" ჭაბუკობაში ამ სიმბოლური ჟესტით.

გიორგი ლეონიძემ და სიმონ ჩიქოვანმა თავიდანვე სცნეს არჩილის ნიჭი, დაუჯერეს მას და გულით ენდნენ.

როგორც პოეტი, „პირველ სხივში" გავიცანი, მახსოვს მისი პირველი პოემა. ამ პოემაში მზე სასონარკვეთით იმტვრევდა თითებს.

მსგავს მეტაფორებს ახლა ხშირად შეხვდებით ქართულ ლექსში. იმდროისათვის ეს იყო ნამდვილი სიახლე.

არჩილ სულაკაურის ლექსების მთავარი თვისება მისი სიტყვისა და აზროვნების თვითმყოფობაა. და ამავე დროს — იშვიათი თანხმობა წინამორბედ ტრადიციებთან. აქ შეზავებულია, კერძოდ, მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ორი, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი სტიქია: ლეონიძის რძიანი სიტყვა და ჩიქოვანის ბასრი საჭრეთელი.

ორივე ამ პოეტთან მას აახლოებს ძირითადად ის, რაც ვაჟასგან მოდის.

პირადად მე სრულქმნილი ჰარმონიის ნიმუშად მის პოეზიაში სნორედ ვაჟა-ფშაველას მოტივებზე შექმნილი ციკლი მიმაჩნია.

ამ კაცს არასოდეს არ „უხმაურია", არასოდეს ცდილა ხელოვნურად გამოეწვია ინტერესი თავისი პერსონისადმი.

მაგრამ მას ძლიერი, უტეხი ხასიათი გამოიჩნდა და ამავე დროს — ახლის განსაკუთრებული აღღი.

როგორც პროზაიკოსი, ის იშვიათი ბედის ოსტატია, თუ „ბედში" გუმანსაც ვიგულისხმებთ და იმასაც, რომ ასეთი ხასიათის მწერალი თვითონ ირჩევს თავის გზას.

არჩილ სულაკაური თავისი პირველი მოთხრობიდანვე თავისი ლიტერატურული ცხოვრების წინა ხაზზე დგას. უფრო მეტიც: მოხდა ისე, რომ ის ყოველთვის რამდენიმე ხაბიჯით უსწრებდა ნინ ლიტერატურის განვითარებას.

ახლა ჩვენ ვხედავთ: მისი „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", მართლაც, ახალი დინების შემოჭრას მოასწავებდა ქართულ პროზაში, უწინარეს ყოვლისა, მხატვრული აბსტრაგირების უჩვეულო, იმ დროისათვის თითქმის უპრეცედენტო მასშტაბით.

„ოქროს თევზით" არჩილ სულაკაურმა ბევრ თავის თანამოკალმეს დაასწრო იმ სპეციფიურ უმსგავსობათა მხილებაში, რაც დღეს საყოველთაო განკიცხვის საგნად იქცა.

და აი, „ლუკა"! — დღეკანდელობის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი ნაწარმოები თავისი ზნეობრივი მაქსიმალიზმით. ამ მოთხრობაში მეტია „ხორცი", ცხოვრების ის თბილი სუნთქვა, რაც „ტალღებში" არსებითად უგულებელყოფილი იყო. მაგრამ თავისი მხატვრული სტრუქტურით ესეც სიმბოლური მოთხრობაა, ეს არის მდიდარი, სისხლხორცეული, სულიერი გამოცდილების განზოგადება.

ლუკას სულის სიჩვილეს ათასი ტლანქი ხელი ემუქრება, მაგრამ მისი ციხე-სიმაგრე აუღებელია, რადგან ლუკას სულიერმა მამამ „სიკეთის მშვენიერმა ოსტატმა და მოსარჩლემ, ანდუყაფარმა ის მეომრადაც გაზარდა.

ორმოცდაათი ნელი მნიშვნელოვანი მიჯნაა მხატვრისათვის. არჩილ სულაკაური აქაც რამდენიმე ნაბიჯით უსწრებს იმ თაობას, რომელიც მასთან ერთად მოვიდა ქართულ მწერლობაში.

მისი ბიოგრაფია, მისი მწერლური „ყოფა-ქცევა" მთელი მი-

სი ცხოვრება ლიტერატურაში სანიმუშოა მომდევნოთათვის.

როცა შენს წინ ასეთი მეკვლე მიაბიჯებს ნირწეუცვლელად, დინჯად, დაჯერებით, უფრო ნაცლად გრძნობ, რა დიდ და მძიმე გზას ადგახარ, რა მშვენიერია მიზანი და რამხელა ნებისყოფაა საჭირო, რომ სინამავლის მსგავსად შენც არც ერთი წუთით არ დაგავიწყდეს, რისთვის მეუდექი აღმართს.

ჩვენ იუბილეს არ ვიხდით, ჩვენ უბრალოდ თბილ სიტყვას ვეუბნებით მეგობარს, რომელიც დიდხანს ვატარეთ გულით, რათა ერთხელ მაინც გვეთქვა საჯაროდ.

გურამ ასათიანი

„როცა აქვეა მტკვარი“

ჩვენ ჯერ კიდევ ერთი ფეხი ქალაქის პროსპექტზე გვიდგას, ხოლო მეორე — სოფლის ორღობეში. მე მინახავს მთა-თუშეთში არჩილ სულაკაურის სოფელი ფარსმა, რომელიც მის პოეტურ ხილვებში ხან ნისლს იხვევს და ხან მზით განათებული კაშკაშებს. და მაინც მთელი ჩვენი ცხოვრება თბილისს ეკუთვნის, სადაც ჩვენმა გაურკვეველმა მისწრაფებებმა ხორცი შეისხა. თბილისი ჩვენი სულია, ჩვენი არსებობაა და ეს გრძნობა მხოლოდ ერთი სიტყვით არ გამოიხატება. ამიტომ ამბობს არჩილ სულაკაური ერთ ლექსში: „არ ვიცი, ამას რა ჰქვია, როცა მთაწმინდა აქვეა, როცა აქვეა მტკვარი...“

ის ეზო მტკვრის პირას, სადაც არჩილ სულაკაურმა ბავშვობა გაატარა, ახლა აღარ არსებობს. ეზო იყო ბუნებრივი სცენა, რომელსაც აივნები იარუსებივით გადმოჰყურებდა. ამ იარუსების წინ ყოველ დღე თამაშდებოდა სცენა, რომელსაც ბავშვის გაფართოებული თვალები მღელვარებით შეჰყურებდა. იცინოდნენ აივანზე ასული გლიცინიის მტევნები, კრამიტის სახურავზე დაგოგმანებდნენ მტრედები და იქვე მტკვრის პირას ბადეებს შლიდნენ მეთევზეები. ამ ეზოდან ალბათ მწერალი ან მეზღაპრე უნდა გამოსულიყო და გამოვიდა კიდეც.

ჩვენთვის თბილისი ჩვენს თვალებში ჩარჩენილი ეზოები და ქუჩებია, ორ ხიდს შორის მოქცეულ უბანში ჩასახული მშვენიერების და სიკეთის წყურვილია, ხეთაგუროვის ქუჩაზე მიმავალი მამის ლანდია, ჩვენი დიდი და ფიქრიანი მდინარის მტკვრის იდუმალი ჩურჩულია. ამ მდინარესთან საცხოვრებლად ისტორიამ რაღაც უმცირესი მონაკვეთი მოგვიზომა, მოვედით თუ არა, მაშინვე შეუმჩნევლად ჩაგვითრია, დაგვეუფლა ჩვენ და დაეუფლა ჩვენს მეხსიერებას. ჩვენს ბავშვობაზე ჭექა-ქუხილით გადაიარა ომმა და ბედმა ერთმანეთს უნივერსიტეტის კედლებში შეგვახვედრა, რის შემდეგ მუდამ ერთად გვევლო, ჩვენს მზერაში ერთი და იგივე სხვადასხვანაირად გადამტყდარიყო, ერთი და იგივე სატკივარზე გვეფიქრა და სხვადასხვანაირად აგვესახა. არჩილ სულაკაურმა შესძლო და ქაღალდზე გადაიტანა ჩემი თაობის ფიქრი და ამიტომ ჩემთვის მისი ნაწერი ძვირფასი და მახლობელია.

იმავე ლექსში, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ არის დაწერილი და რომლის ნაწყვეტიც ზემოთ მოვიტანეთ, იგი სამშობლოს ეუბნება: „ახლავე მივდგებ-მოვდგები, მაცალე, ვიდრე მოვკვდები, გადაგიხადო ვალი...“ ეს სტრიქონები იმის დასტურია, რომ დარჩენილი ვალის გადასახდელად არჩილ სულაკაურს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი და დასაწერი.

გივი გეგეჭკორი

გმადლობთ, არჩილ

ერთხელ, კერძო საუბარში აკადემიკოსმა ნიკო მუსხელიშვილმა თქვა: — ჩვენ არ გვცალია, გეთაყვა, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ავუხსნათ რატომ არის 7x7 ორმოცდაცხრა ან 9X9 ოთხმოცდაერთი, ამიტომ გამრავლების ცხრულას რვეულის უკანა ყდაზე ვბეჭდავთ და ზეპირად ვასწავლით ბალღებს. შემდეგ, როდესაც იზრდებიან, ისინი თანდათან ხვდებიან ამ ციფრთა კომბინაციის არსსა და საიდუმლოს.

განსვენებული აკადემიკოსის ეს ნათქვამი იმიტომ გამახსენდა, რომ 1946 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში მივედი, მათი წევრების სია სწორედ ასეთი გაუგებარი, მაგრამ აუცილებლად სასწავლო ცხრულა გახლდათ ჩემთვის.

არჩილ სულაკაური უპირველესი იყო მათ შორის და ალბათ ამიტომ, შემდეგ, როდესაც „გავიზარდე", ჩავხვდი ამ ურთულესი კაცის სულის არსსა და საიდუმლოს, მაგრამ ჩავწვდი კი ბოლომდე?

30 წელი გავიდა მას შემდეგ. ოცდაათი წელიწადია ჩვენ ვუკითხავთ ერთმანეთს ლექსებსა და მოთხრობებს და ოცდაათი წელია გაუთავებელი შინაგანი თრთოლვა და შეგირდის შიში მაქვს მის მიმართ. ამის მიზეზი ალბათ ისიც გახლავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში მე არ მახსოვს არჩილის სუსტი ლექსი ან სუსტი მოთხრობა, — ჩემი კი რამდენიც გნებავთ.

ყოველი მისი ნაწარმოები, ჩვენს ყმაწვილკაცობაში ჩემზე რაღაც სულის შემძვრელ იდუმალ და რაღაც დიდი აღმოჩენის მაგვარ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაშინ ჩვენ ყველანი რაღაცას ვეძებდით, რაღაცის დაუცხრომელი ძიების სურვილი გვაწვალებდა, ეს დალოცვილი კი იდგა ტრიალ მინდორზე და საღაც დაპკრავდა ბარს, ყველგან რაღაც განძი, ძვირფასი სამკაული ან მხოლოდ მისთვის ამოსაცნობი პალიმფსესტი და ეტრატი ამოჰქონდა.

მე იგი უკვე დაბრძენებული დამხვდა უნივერსიტეტში და როდესაც ლიტერატურულ წრეში გამოდიოდა, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს იგი მწერლობის დიდ ხელოვნებას კი არ ეუფლებოდა, არამედ აქეთ გვასწავლიდა და ყველაფერი ეს, საღღაც გულის სირღმეში ეწყო ძალიან ღრმად და როგორც კარგი

მეურნე იმ მძიმე ომის წლებში, იძულებულ მომჭირნეობას დაჩვეული კაცივით მშვიდად, წინდახედულად, გამიზნულად, მაგრამ საოცრად კეთილი და ალალი გულით გვილაგებდა წინ.

მხოლოდ შემდეგ, იმ მძიმე 30 წლის მანძილზე, როდესაც ერთი კილო შავი პური 8 თუმანი ღირდა, როდესაც ნავთის რიგში მდგომებს ფეხზე გვეძინა, მას შემდეგ, როდესაც ამღვრეული მტკვრის ტალღებიდან ერთად ამოგვყავდა ლაყუჩებამოსილული მურნა და ჭანარი, იმ წყალდიდობის შემდეგ, რომელმაც „პესკას" უკანასკნელი წისქვილი მოსტაცა, მას შემდეგ, რაც პატარა ბიჭს ერთგული ძაღლი ნაართვა მაწანწალა ძაღლებზე მონადირე დაუნდობელმა მედროგემ, მას შემდეგ, რაც აბელი დაბრუნდა, აქვარიუმი გატყდა და ოქროს თევზმა ქვაფენილზე სული დაღაფა, მას შემდეგ, რაც ჯარისკაცის მიერ გათხრილ და ღიად დარჩენილ საფლავში ჩავიხედე, ლუკას დამალული ცრემლი დავინახე, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კავკასიონის ქედზე შეფენილ სოფელ შენაქოში, გედივით მოფარფატე ქათქათა ეკლესიის ეზოში, თეთრი, ბებერი ცხენის ზურგზე მსხდომი ორი ყვავი ვიხილე და მასთან ერთად ვიტირე, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მან თავის ხალხს სთხოვა — მაცალეთ მივდგებ-მოვდგები და ყველა ვალს გაგისტუმრებთო, — მე მივხვდი, რას წარმოადგენს ჩემთვის არჩილ სულაკაური და მე ჩავწვდი, ისე, როგორც შემეძლო, მისი სულის არსსა და საიდუმლოს.

ამასწინათ ფილარმონიის დიდ დარბაზში არჩილმა შესანიშნავი ლექსი წაიკითხა, რომელიც ასე მთავრდებოდა: — მიყვარხარ! და როდესაც დარბაზში ტაშმა იგრიალა, არჩილმა დარბაზს მადლობა მოახსენა: გმადლობთ, რომ დამიჯერეთო.

მე ვიცი, ჩემო არჩილ, შენ გჯერა ჩემი სიყვარულისა და ამიტომ მადლობას მოგახსენებ: — გმადლობთ!

ნოდარ დუმბაძე

კვლავ მშვიდობის მაცნედ

1946 წლის 14 ივნისის გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაიბეჭდა რამდენიმე ახალგაზრდა ავტორის, და მათ შორის ჩვენი — ჩემი და არჩილ სულაკაურის პირველი ლექსები. გაზეთის მთელ გვერდს, სადაც ეს ლექსებია დაბეჭდილი, საერთო სათაურად „ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედება“ აწერია. აქ დაბეჭდილია არჩილის ორი ლექსი. იქვე, გაზეთის მეორე გვერდზე ცნობილი მწერლისა და კრიტიკოსის ვანო წულუკიძის წერილსაც გადავავლე თვალი. წერილს „ლიტერატურული ახალგაზრდობა“ ჰქვია. არჩილ სულაკაური ყველაზე ახალგაზრდაა ამ პოეტებს შორისო — წერს იგი — მე მაშინ... ოცდაორი წლისა ვიყავი, არჩილი, ალბათ, — ცხრამეტისა!

ჩვენი თაობის სუნთქვა ომის საშინელებით იყო დამძიმებული და განა შეიძლებოდა ამ საშინელებას ჩვენს სულსა და გულში ტყვიასავით არ გაევლო?

„მარად გიცავდი,
ყველგან გიცავდი,
კავკასიიდან კარპატებს იქით!

ვიგერიებდი ტყვიების ალერსს,
მე არ შემეძლო იქ სიკვდილი, გინდაც მდომოდა...
ავალ მთაწმინდას,
დავეყრდნობი იდაყვით მთვარეს,
ვით ნაომარი აქილევსი ფარს ეყრდნობოდა“.

ეს სტრიქონები არჩილის ზემოხსენებული გაზეთის ნომერში დაბეჭდილი ლექსიდანაა, ლექსს „თბილისი“ ეწოდება.

ომის მრისხანე თემა, უკვე ოცდაათი წელია, რაც ჩვენს გვერდით კვლავ კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცივით მოაბიჯებს — დაღლილი და უძინარი, მშიერი და მწყურვალი, მაინც დაჟინებით მოგვყვება და ჩაგვჩურჩულებს: „მიწა ინახავს ადამიანთა ხსოვნასო“ და... იწერება არჩილ სულაკაურის მშვენიერი მოთხრობები ადამიანთა ხსოვნისა — „ტალღები ნაპირისაკენ მი-

ისწრაფიან", „მტრედები", „ლუკა", და სხვ. იწერებიან ეს მოთხრობები იმიტომ, რომ მიწა ადამიანთა ხსოვნასთან ერთად ომის საშინელი ხსოვნას ინახავს და გვაფრთხილებს — კვლავ აღარ შეაშფოთოს მისი სიმშვიდე მავანთა და მავანთა მიერ ჩადენილმა უგუნურებამ!

არჩილ სულაკაურმა პირველთა შორის აღიმაღლა ხმა იმ მეშჩანური და ობივატელური გადმონაშთების წინააღმდეგ, რამაც ასე საგრძნობლად მოიკიდა ფეხი ომის შემდგომი პერიოდის „მაძღარი ცხოვრებით" თავგზადაკარგულ ზოგიერთთა ფსიქიკაში.

დიდია არჩილ სულაკაურის დამსახურება, როგორც საზოგადო მოღვაწისა — საქართველოს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადული" (რომლის დირექტორიც იგი გახლავთ) მისი მთავარი რედაქტორობით სცემს „ქართულ პოეზიას" 15 ტომად; „ნაკადულმა" ბევრი საინტერესო წიგნი მიაწოდა ჩვენს მოზარდ თაობას და კვლავაც მრავალ საინტერესო ლიტერატურას ჰპირდება მათ.

პატივცემულო არჩილ! გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით გამარჯვებებს... დაე, მტრედები კვლავ დაფრინდნენ ჩვენი სახლების სახურავებზე მშვიდობის მაცნედ!

ანა კალანდაძე

ბედნიერი თარიღი

ზოგჯერ ასე მგონია, რომ არჩილ სულაკაურს, პოეტსა და პროზაიკოსს, მუდამ ბედნიერი გზა ჰქონდა. იქნებ იმიტომ, რომ მისმა პოეზიამ უმალვე მოინადირა ჩვენი მკითხველის გული. ასევე სასიხარულო იყო მისი პროზაში გამოჩენა.

არჩილ სულაკაურის მოთხრობათა კრებულები თემატურად მრავალმხრივი და მდიდარია. სიუჟეტის გაშლა, ფორმა თითოეული ნაწარმოებისა ყოველთვის უნაკლოა. მთავარი ღირსება მისი მოთხრობებისა, ქართული პროზის ამ უძველესი ჟანრისა, რომელსაც არა ერთი და ორი შესანიშნავი სიტყვის ოსტატი ამშვენებს, ისაა, რომ ავტორი მათ ახალი თვისებებით ამდიდრებს; ყოველი ჭეშმარიტი ოსტატი პროზისა ასერიგად ამდიდრებს, აკეთილშობილებს და უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს ქართული მოთხრობა.

არჩილ სულაკაურის მოთხრობები მკითხველის გულთან ახლოს მიდიან, აფიქრებენ და სულიერ საზრდოს აძლევენ მას.

50 წელი ბედნიერი თარიღია, რადგან ხშირად სწორედ აქედან იწყება კიდევ უფრო ნათელი გზა შემოქმედებისა.

არჩილისათვის ამ ბედნიერ დღეს ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მის ადამიანურ ღირსებებზე: მისი რაინდული ბუნება, მისი პატიოსნება და კეთილშობილება არ შეიძლება არ გვხიბლავდეს. არჩილი, როგორც ადამიანი და შემოქმედი, ბევრისთვისაა ახლობელი და საყვარელი — ესეც ხომ ბედნიერებაა ადამიანისათვის!

არჩილ სულაკაურის განვლილი გზა იმის მთქმელია, რომ მომავალი კიდევ უფრო ნათელი ექნება. მინდა სიკეთის მთესველ ამ გულწრფელ ადამიანს ვუსურვო სიკეთე და ბედნიერება.

სერგო კლდიაშვილი

პირველთაგანს თანატოლთა შორის...

არჩილ სულაკაურს ხშირად უთქვამს — ჩვენ ობოლი ძმებივით ვზრდიდითო ერთმანეთს! ეს სიმართლეა და ამ სიტყვის მიღმა დიდი სულიერი ერთიანობა, ზნეობრივი ნვრთნა, ერთმანეთის გამო პასუხისმგებლობა იგულისხმება.

ჩვენ ობოლი ძმებივით ვზრდიდით ერთმანეთს, — ასეთია ძველი ქართული ზღაპრის ინტონაცია... და მაინც, ჩვენ შორის ერთმა უფრო ადრე მიაღწია სრულყოფას; ადრე გახდა პროფესიონალი მწერალი, პირველმა იგემა გამარჯვებათა სიხარული და იწვნია სიძნელეთა სუსხი; პირველი შემობრუნდა ჩვენკენ — შედგა, შეიცადა, მოგვიწოდა და გაგვამხნევა... ყოველივე ამის გამო ჩვენ ვამბობთ — არჩილ სულაკაური პირველთაგანია ჩვენ შორის; იგი ყოველთვის გამოხატავდა თაობის საერთო თვისებას, საერთო ტენდენციას, საერთო კულტურულ მისწრაფებას; ყოველთვის ცხადად ესმოდა თაობის სულიერი ცხოვრების მელოდია, განწყობილება; იგი წინამდგომთა რიგს ეკუთვნოდა და თავგანწირვით, ოღონდ უხმაუროდ, დინჯად ეზიდებოდა ჭაპანს.

დიდი ხნის წინათ, უკვე ასე ითქმის, დიდი ხნის წინათ, ცხოვრობდა მტკვრის პირას ერთი აუჩქარებელი, სიტყვაძუნწი ყმანვილი და ჯიუტად ებრძოდა სიტყვას... წერდა მშვენიერ პოემებს და შემდეგ არ აქვეყნებდა, წერდა ზღაპრებსა და მოთხრობებს... ეძებდა თავის წიგნს, თავის ლექსსა და თავის მეგობრებს; იმ მეგობრებს, ვისთან ერთადაც უნდა გაევლო ცხოვრება და ერთხელ შორი გზიდან შემობრუნებულ მამას ასეთი სიტყვებით წარუდგინა ისინი — სულ ესაა, რაც შევიძინე! ამ სიტყვებში ნატამალი არ იყო ირონიისა, ეს იყო ღრმა რწმენა, რომ უმეტესსა და უმაღლესს ვერას შეიძენდა.

და დღეს, როცა ხანდაზმულობის მიჯნას მივატანეთ, არჩილ სულაკაური განსაკუთრებით უფრთხილდება ძველსა და ნაცად ურთიერთობებს; უფრთხილდება ძველ მოგონებებს, რომლის პოეტური ბინდიდანაც ამოდიან მისი გმირები; უფრთხილდება იმ ზნეობრივ კანონს, ერთხელ რომ იწამა; იმ სულიერ სიმდიდრესა და სიუხვეს, რისი მფლობელიც იგია. სწორედ ამის გამოა არჩილ სულაკაური დღესაც პირველთაგანი თანატოლთა შორის.

ოტია პაჭკორია

ოთხივე მხრიდან

ჩემს ბავშვობას ომის მხოლოდ მცირე დანალექმა მოუსწრო. ომის საშინელება ჩვენ წიგნებითა და კინოფილმებით განვიცადეთ. ახლა დრო არ არის იმაზე ვიმსჯელო, კარგი იყო თუ ცუდი ის წიგნები... ეგ კი იყო მხოლოდ, ყველა წიგნი ერთმანეთს გავდა, ყველა გმირი მეორის ტყუპისცალი იყო.

და უცებ „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ გაუჩნდა ქართველ მკითხველს, გამიჩნდა მეც და დღესაც ერთ-ერთ უსაყვარლეს მოთხრობად დარჩა. უცანურია, ხანდახან ომზე თუ ვსაუბრობ რატომღაც ეს მოთხრობა მახსენდება. ამ მოთხრობიდან ვხედავ ომის შემაძრწუნებელ სურათს.

სნორედ ამ მოთხრობით ინყება, ბატონო არჩილ, ჩემი თაყვანისცემა თქვენი მწერლობისადმი; მერე სხვებიც გამოჩნდა: „ბიჭი და ძაღლი“, „წყალდიდობა“, „ოქროს თევზი“, „სალამურა“, „ლუკა“ თუ „გაბო“ და სხვები...

კიდევ ერთი უცნაურობა მჭირს; ჯერ არ გამივლია რიყესა თუ ხარფუხში, თქვენ მადლიერებითა და სითბოთი არ გამხსენებოდეთ. ლანქერისაგან აწყალდიდებულ მტკვარს და მოჭრიალე წისქვილებსაც კი ვხედავ.

უნდა გამოვტყდე, თქვენი ლექსები გვიან შევისისხლხორცე და შევიყვარე. ეტყობა, იქ დაბუდებულ ტკივილს ასაკიც მეტი სჭირდებოდა და მონიფულობაც.

და ახლა, როცა 50 ნელი შეგისრულდათ, დიდი სიყვარულით და გულწრფელობით მინდა მოგილოცოთ და თქვენს ოთხივე მხრიდან გაშლილ ირგვლივეთს დღეგრძელობა და გამარჯვება ვუსურვო.

ავთანდილ ჩხიკვიშვილი

ნიჭი მამულის სიყვარულისა

არჩილ სულაკაური ჩვენი თაობის სათავეებთან იდგა ყოველთვის არა მხოლოდ წლოვანებით, არამედ თავისი მნიშვნელობით, და ეს პოზიცია მას შემდეგაც არ დაუკარგავს.

გუშინდელ დღესავით მახსოვს არჩილის დებიუტი ქართულ მწერლობაში, ჩვენი შეხვედრები, უნივერსიტეტი, მწერალთა სასახლე, არჩილის პატარა სახლი ჩულურეთში. თითქოს არაფერი, და ოცდაათმა წელმა სიზმარივით გაიქროლა იმ დღეებიდან მოკიდებული.

არჩილი დღეს სახელოვანი ქართველი მწერალია, საზოგადო მოღვაწე და, როგორც სიჭაბუკის წლებში, მას არც ახლა განელებია ჟინი ბრძოლისა, სწრაფვა სიახლეთა ძიებისაკენ.

აღსანიშნავია, რომ არჩილ სულაკაურს, როგორც პიროვნებას, მწერალს, იმთავითვე ჰქონდა ზოგი ის თვისება, რომლისთვისაც სხვებს წლები სჭირდება და მხოლოდ გამოცდილებით მოდის. არჩილის პირველი გაცნობისთანავე მე მომეჩვენა, და ვგონებ არც შევმცდარვარ, რომ მას უკვე მოესწრო თავის თავში დაეთრგუნა მოუმწიფებელი აზრებითა და საეჭვო განათლებით ფონს იოლად გასვლისაკენ მიდრეკილება, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი შემთხვევაა ახალგაზრდობის წლებში.

მის სიტყვას ყოველთვის ფასი ჰქონდა, რადგან ფიქრსა და დაკვირვებაზე იყო აღმოცენებული. ეს შესაშური თვისება ბეჭედივით აზის მის მშვენიერ ლექსებსა და ცხოვრებისეული ცოდნით გაჟღენთილ მოთხრობებს, მთელს მის შემოქმედებას.

სიტყვის ხელოვნებაში სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, — მე მგონი ეს საკამათო არ უნდა იყოს, — უწინარეს, სერიოზულ განათლებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. არჩილ სულაკაურის განათლების ხარისხის მაჩვენებელი იმთავითვე სნორედ ის იყო, რომ იგი არა მარტო იცნობდა, არამედ ათვისებული, გაშინაგანებული ჰქონდა მისთვის სათაყვანებელ მწერალთა ქმნილებები და, რაც მთავარია, ყოველ მათგანთან ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი, ემოციური დამოკიდებულება. ყოველივე ამან, ეჭვსგარეშეა, უმთავრესი გავლენა იქონია მისი მხატვრული აზროვნების დონეზე, სტილის შეგრძნებაზე, რაც მწერლური ოსტატობის ქვაკუთხედს შეადგენს.

არჩილ სულაკაურმა ქართული მწერლობის კარიბჭე ლექსებით შემოაღო, მისი ლექსების პირველი კრებული კი 1951 წელს გამოვიდა. მასთან ერთად სიხარულით ვფურცლავდით წიგნს მისი მეგობრებიც. მას შემდეგ დიდმა დრომ განელო, ყველა ჩვენთაგანმა ქართული ლიტერატურის, ქართული მწერლობის სხვადასხვა სფეროს მივაშურეთ, და მაინც კარგად გვახსოვს მეგობრის პირველი წიგნი — დასტური აღიარებისა.

შემდეგ და შემდეგ ნათელი შეიქნა, რომ კრებულში ყველა ლექსი არ იყო თანაბარი სიძლიერისა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ წიგნში არის რამდენიმე ისეთი ლექსი, რომელიც დღესაც ინარჩუნებს ღირებულებას, იმ თვისებებს ავლენს, რაც მომდევნო წლებში ასე ღონივრად იჩენს თავს არჩილ სულაკაურის პოეზიაში: „როცა საღამო შემოდის ლურჯად, მე მინდა ძვირფას ოცნებას მივყვე: თავდება ჩემი პატარა ქუჩა, ჩემი ბავშვობაც თავდება იქვე“ ეს სიტყვები ამ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდანაა და მასვე მხარს უმშვენებენ ლექსები „დედა“, „გმირი“, „საღამო ზღვაზე“, ომზე, სამშობლოზე, ინტიმური ლირიკის მშვენიერი ნიმუშები.

არჩილს იმ ხანებში ჰქონდა ინტონაციური ხასიათის თუ ამღერებაზე აგებული ლექსები („ქართლის გზაზე“ და სხვ.), მაგრამ უმთავრესად მაინც ღრმად მოფიქრებულ სახეს ენდობოდა, რომელშიაც განცდა აზრისმიერი, ზუსტი პოეტური ფრაზებით ვლინდებოდა. კიდევ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა მის შემოქმედებაში მომდევნო წლები, როცა პოეტური სათქმელი უფრო მრავალფეროვანსა და მასშტაბურ ფორმებში გახმიანდა.

ეტაპური მნიშვნელობისაა, ჩემი აზრით, არჩილის პირველი მოთხრობები, რომლებიც 50-იანი წლების მიწურულიდან ზედიზედ გამოქვეყნდა. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მისი ეს მოთხრობები აღმოცენდა იმ ახალ სახელებთან ერთად, რომელთაც ახალ ფსიქოლოგიურ დონეზე სცადეს მოვლენათა ანალიზი და ადამიანის ღრმა სულიერი შრეების წარმოსაჩენად ულტრათანამედროვე მოდელები მოსინჯეს. არჩილ სულაკაური ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის და ამგვარ ძიებათა კვალი სათანადოდ არის აღბეჭდილი მის პოეტურ პროზაში. ამასთან, ჩემი აზრით, ისიც არ არის დასავიწყებელი, რომ გმირთა ემოციური წყობის

გადმოცემის ხერხებითა და თხრობის ძალზე თავისებური მანერით ამ მოთხრობებმა (განსაკუთრებით, „ტალღები ნაპირისაკენ მიისწაფიან“, „მტრედები“, „აბელის დაბრუნება“) თავის დროზე ნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინა მისი თაობის სხვა მწერალთა შემოქმედებაზეც.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ არჩილ სულაკაურის პოეტურ თვისებას არ განსაზღვრავს სათქმელის ფორმა, ლექსშია იგი გამჟღავნებული თუ პროზაში. ამიტომ ყოველთვის უნიადაგოდ მეჩვენებოდა მსჯელობა იმაზე, როდის ან რატომ გადაინაცვლა მან პოეზიიდან პროზაში. მის საუკეთესო მოთხრობებში იგი, უწინარეს, ისევ და ისევ პოეტად წარმოგვიდგება. მე აქ ძირითადად ეგულისხმობ მთლიანად მხატვრულ სურათს და არა მხოლოდ კონკრეტულ პოეტურ სახეებს, რომლებითაც მართლაც ასე უხვია მისი პროზაული ქმნილებები. ამ მოთხრობებს მისხალითაც არ აკლია ე.წ. ცხოვრებისეული მასალა, ზოგჯერ მისი „შემოტევაც“ კი იგრძნობა, მაგრამ მწერალი არ ღალატობს საკუთარ ხელწერას და პოეტური თხრობის უზადო ნიმუშებს გვთავაზობს. ამის დასტურია აგრეთვე მისი შედარებით ბოლოდროინდელი ნამუშევარი „ლუკა“, რომელიც პოეტური პროზის საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობაში.

სულ ახლახან არჩილ სულაკაურმა ქართველ მკითხველს შესთავაზა ლექსების კრებული „ოთხივე მხრიდან“. აქ მართლაც მისი ნიჭის ახალი ნახნაგები მოსჩანს. თვითგამოხატვის მძაფრ ჟინთან ერთად აშკარად იგრძნობა პოეტური ხედვის მეტი სიფართოვე, პლასტიკური სახეებისაკენ ლტოლვა. გონით განათებულ ამ მშვენიერ ლექსებში თითქმის ყოველი ფრაზა დატვირთულია ღრმა და მრავლისმეტყველი მინიშნებებით, რაც მათი ავტორის ოსტატობის ახალი საფეხურის ნათელი მახასიათებელია.

დღეს იგი სახელმოხვეჭილი მწერალია, ქართული სალიტერატურო პრესის მეთაური ორგანოს „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, არაერთ საშვილიშვილო საქმეთა წამომწყები და თაოსანი. რომელთა შორის შეუძლებელია არ მოვიხსენიოთ ქართული პოეზიის თხუთმეტტომეული, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენში ამ ტიპის გამოცემებს.

მოძრაობაში დინჯი, საუბარში თავშეკავებული, რაღაცნაირად

თბილი ღიმილით მომზირალი თვალები ასეთივე დარჩა არჩილი თავის ნახევარსაუკუნოვან მიჯნაზეც. „ახლავე მივდგებ-მოვდგები, მაცალე, ვიდრე მოვკვდები, გადაგიხადო ვალი“

მოვალეობის ამ დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა იგი ყოველთვის თავის ხალხს, მამულს, მშობლიურ მწერლობას.

„მამულის სიყვარული განგების მიერ ბოძებული უდიდესი ნიჭია.“

დაე, ეს მაღალი ნიჭი არ მოკლებოდეს მომავალშიც ჩვენს მეგობარსა და მწერალს არჩილ სულაკაურს.

სარგის ცაიშვილი

პატივცემულო არჩილ!

მეც დიდი სიხარულით ვუერთებ ჩემს ხმას ჩვენი ერის გამოძახილს, გილოცავთ დაბადებიდან 50 წლისთავს, გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ, ბედნიერ, სასახელო ცხოვრებას.

დაე მუდამ დიდების შარავანდედით ყოფილიყოს გაბრწყინებული თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზა!

ნება მიბოძეთ, მოკლედ გადმოგცეთ ორიოდე ეპიზოდი თქვენი მამა-პაპათა ცხოვრებიდან, რაც თქვენს პირველსამშობლო ფარსმასთან არის დაკავშირებული.

სულაკაურები ფარსმის უძველესი მკვიდრნი ყოფილან. ეს თქვენი პაპის მიბეილ (ხუტო) სულაკაურისა და სხვა ფარსმანელი მოხუცებისაგან მსმენია. დანარჩენი გვარები ძირითადად ძნელბედობის ჟამს კახეთიდან გახიზნული ოჯახებისაგან წარმოქმნილა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფარსმის თავში არსებულ ტყის კორომს დღესაც სულაკაურთ ტყეს ეძახიან. დედაჩემის გადმოცემით გვიან დრომდე (რევოლუციამდე) სოფელი ტყეში წასვლის ნებართვას თქვენი პაპისგან ღებულობდა. მეორე ფაქტი: ფარსმაში არსებული ოთხი საგვარეულო ციხე-კოშკიდან ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და მკვიდრად ნაგები „სულაკაურთ ციხეა"...

თვით პაპათქვენი ჯანსაღი აღნაგობის, კეთილი გულის, პატიოსან მშრომელ მოფუსფუსე მოხუცად ჩამრჩა მეხსიერებაში. ამავე დროს იგი თავისი დროისათვის საკმაოდ ნაკითხი, გონებაგახსნილი, ენამჭევრი კაცი ყოფილა. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ხშირად მინახავს იგი წიგნზე დახრილი, თავის საფიქრალით გატაცებული. წიგნი ტყავის ყდაში ჩასმული და ფურცლებგაყვითლებული იყო, თანაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ახლო არავის გვაკარებდა. ოღონდ მოგვესმინა, და ისე გატაცებით გვიყვებოდა ამბებს საქართველოსი და კერძოდ ჩვენი თუშეთის წარსულიდან, თითქოს მისი თანატოლები ვყოფილიყავით. როგორც შემდგომში მივხვდი, ეს წიგნი ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორია უნდა ყოფილიყო.

დამამახსოვრდა ასეთი შემთხვევა: ჩვენს სოფელში (ფარსმაში) ცაძიკიძე ვალიკოს სახლის შუა დარბაზი წმინდა მაცხოვრის

ადგილად იყო მიჩნეული. იქ შესვლას განსაკუთრებით მანდილოსნები ერიდებოდნენ. გადმოცემის თანახმად ამ ოთახში მეფე ერეკლეს უცხოვრია ერთი წელი.

ერთხელ, როგორღაც ისტორიის მასწავლებელს ვკითხე ამის შესახებ კლასში. მასწავლებელმა გაიცინა: ასეთი რამ ისტორიაში არსად ხსენდება, ალბათ ფარსმანელებს ეს ამბავი დაესიზმრათო. ზაფხულში მთაში ასვლისთანავე შევჩივლე მიხეილ პაპას, ასე და ასე შევრცხვი კალსში-მეთქი. ახლა მან ჩაიღიმილა ულვაშებში: იმ შენს მასწავლებელს ისტორია არა სცოდნიაო. ამ სახლში ნამდვილად ცხოვრობდა ერეკლე მეფე თავის დედასთან — ელენე დედოფალთან ერთადო. ოღონდ ეს ერეკლე II კ ი არ იყო, არამედ პაპა მისი ერეკლე I; ნაზარალი ხანად ნოდებულიო.

შემდგომში, როცა თვითონ დავინტერესდი საქართველოს ისტორიის შესწავლით, მივხვდი, თუ რაოდენ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა მიხეილ პაპას თავისი ერის წარსულისა.

კიდევ ერთი ეპიზოდი:

1933 წელს ფარსმას ეწვია მამათქვენი სამსონ სულაკაური, რომელიც ბავშვობიდანვე სოფლიდან წასული ყოფილა. ამჟამად იგი თბილისში ცხოვრობდა და ალბათ უკვე ცნობილიც იყო, როგორც კინორეჟისორი. ამჟამად მას ფარსმის მოსავლის აღების დღეობა „ათნიგენობა" უნდა გადაეხადა, ეს შეხვდა მას წილისყრისას. არ მახსოვს, როგორ ჩატარდა დღეობა, ალბათ საუცხოოდ, რადგან სოფელს რამდენიმე წლით წასული შვილი დაუბრუნდა სტუმრად და რას დაამადლიდა მას გართობასა და კაიგულობას.

მახსოვს, გალავნის ყორეზე ამოკაწრული პწკარები, რომელიც იტყობინება, რომ მავან-მავანმა ამადა ამ დროს გადავიხადე ფარსმის დღეობა და ფრიად კმაყოფილი ვტოვებ ჩემს სოფელსო. მახსოვს მისი გაცილება სოფლიდან. მთელი სოფელი გაჰყვა გადასახედამდე. გამოთხოვების ჟამს მან ქუდი მოიხადა, ჯერ გაღმა ნაშალ ციხეს დაუქნია ქუდიანი ხელი, შემდეგ გარემოზღუდულ მთებს შემოატარა და მაშინ დავინახე, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა; უეცრად მოახტა ცხენს, ამხანაგს აღარ დაელოდა, და ჭენებით დაეშვა დაღმართზე...

ეს რამდენიმე მოგონება ჩამრჩა მეხსიერებაში თქვენი მამა-პაპაo,ა წარსულიდან, რომელთა საგვარეულო ხემ ფარსმაში იხარა და ფესვი თბილისამდე გაიდგა...

გისურვებთ, პატივცემულო არჩილ, ჯანმრთელობასა და დაუშრეტელ ენერგიას ჩვენი ერის სასახელოდ.

კოსტა ქააძე

მკათათვის პირველი დღე

არჩილ სულაკაურისათვის მე ბევრი რამ მომილოცავს: კარგი ლექსი, კარგი მოთხრობა, კარგი ზღაპარი, რუსთაველის პრემია...

აი, დღეს კი 50 წლისთავს ვულოცავ. უცნაურია, თითქოს ესეც მისი შექმნილი იყოს — საკუთარი 50 წელი!

ამ ხნის განმავლობაში წლებს მაინც თავისი უკეთებიათ: ფეხქვეშ გამოუცლიათ მიწის უზარმაზარი სივრცე, რომელიც სამუდამოდ ჩვენი გვეგონა, მაგრამ ჩვენ მუდამ ბედნიერები ვიყავით იმით, რომ წლებს კი არა — დროს ვგრძნობდით, ერთბაშად, მთლიანად, მთელი ძალით, როგორც პოეტი ამბობს: „ოთხივე მხრიდან!“ დრო კი გულზე გადაგვდიოდა და, როგორც ნილოსი, ზედ იმ ცხოვრებისეულ შლამს ტოვებდა, საიდანაც ახალი სიცოცხლე აღმოცენდება ხოლმე. ამიტომაც, ის, რასაც წლები გვტაცებდა, თურმე ჩვენს არსებას ემატებოდა.

დღეს მივხვდი ამ სიტყვათა მაგიურ მნიშვნელობას:

— წლები გვაკლდება, მაგრამ ჩვენ ვიზრდებით!

ადამიანის ცხოვრებაში დგება ჟამი, როდესაც ის საკუთარ არსებაში ეძიებს თავის ნამდვილ სახეს, რათა მღელვარებისაგან ათრთოლებული თითებით მიეფეროს ბავშვის მზედაუკრავ კანს, სახეს ანგელოსისას და არა არსებობისთვის მებრძოლი ნადირისას, დიდია ეს სურვილი, აუტანელია, როგორც სულის ქავილი, სისხლის ტკივილი... და აი მაშინ ვეძებთ და ვეძახით ჩვენი ბავშვობის უმწიკვლო სიზმრებს. ეს ერთი ძლიერი სტიმულია საერთოდ პოეზიისა, რომელიც სხვადასხვა პოეტის ქმნილებებში სხვადასხვანაირად ისხამს ფრთებს.

„არა იმიტომ, რომ დავიღალე
და მინდა, ძილში მოვითქვა სული.
ო, ღმერთო, ერთხელ მაჩვენე, კიდევ
ძველი სიზმარი,
ო, ერთხელ, ვიდრე
მარადიული ძილი მეწვევა,
ვიდრე ჯერ კიდევ
შემიძლია გამოღვიძება!“

წერს არჩილ სულაკაური და ეს ნატვრა, ეს ღაღადისი მთელ მის შემოქმედებას სრულიად ახალ ტონალობას ანიჭებს, ქმრის პირველ აკორდს ჰანგისას, რომელიც გამოცდილი ოსტატის ჯიუტი ქმედების წყალობით თანდათანობით ღრმა, ძლიერ და მომხიბლავ მელოდიად გადაიქცევა.და აი მან, ამ ბოლო ღროს, მაინც ნახა ერთი იმ სიზმართაგანი: ეს არის მშვენიერი მოთხრობა (მე მას პოემას ვუწოდებდი, თავისი მუსიკალურობის გამო) „ლუკა" — მოლანდება ბავშვობისა, ანუ იმ კარის ფრთხილი შეღება, რომლის იქითაც ყველაზე სანატრელი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ძვირფასი ბაღი შრიალებს...

არჩილ სულაკაურის მოთხრობა თუ ლექსი უსათუოდ ცხოვრებისეული მოვლენითაა შთაგონებული, მაგრამ ზოგჯერ ეს მოთხრობა თუ ლექსი თვითონ მოვლენასაც კი უსწრებს წინ და ჩვენ პოეტის წინათგრძნობასავით გვევლინება. მისი ლექსი „მე ვერ გიამბობ, რა მოხდა ეღოს" — ქვითინი მთა-თუშეთის მიტოვებულ სოფლებზე — დაახლოებით ოცი წლით ადრე გამოეხმაურა ჩვენი მწერლობის დღესდღეობით მეტად აქტუალურ თემას.

ქართული ზღაპრის სრა-სასახლის, ჩვენი ბავშვობის შუა ეზოში რომ დგას, ერთ კედელზე მან პატარა ბიჭი მიახატა, რომლის სახელიც დღეს ყველამ იცის. ამგვარად, თუ სიცოცხლეს მხოლოდ წლებით გავზომავთ, 50 წელი, შეიძლება, სიბერის დასაწყისად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ იმ დროით გავზომავთ, რაზედაც ზევით მოგახსენებდით, მაშინ ეს არის დასაწყისი იმ მკათათვისა, რომელმაც ყველაზე დიდი სიხარული უნდა მოუტანოს შემოქმედს.

თამაზ ჭილაძე

საქმითმეტყველი

ახლა, 90-იანი წლების კარიბჭესთან, სრულიად გამოიკვეთა ღვაწლი და დამსახურება იმ ლიტერატურული თაობისა, რომელსაც წილად ერგო, ისტორიულ გარდატეხათა კვალდაკვალ, მანამდის უცხო და ახალი ხმების დამკვიდრება მშობლიურ ლიტერატურაში. თითქმის მსოფლმხედველობრივი ცვლილებების დონეზე მომხდარი იმ გარდატეხების, იმ სულიერი შემობრუნების ერთ-ერთი მაცნე, თავისი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი, არჩილ სულაკაური, ახლა სამოცი წლისა გახლავთ!

ღირსეულად დაფასებულია ღვაწლი, შემოქმედება, მოქალაქეობრივი პატიოსნება, მწერლის ძნელი და დამღლელი გზა! ყველა წოდება თუ ტიტული, რაც ამ გზის გამვლელ მწერალს მოუხვეჭია, ნამდვილად „ალალი და უსაყვედუროა"...

დღეს, როცა მისი უმცროსი თანამოკალმენი, მოკრძალებით მივმართავთ ბატონ არჩილს, იგი სრულიად დამსახურებული კავალერია ამ ძირძველი და მოწიწების გამომხატველი სიტყვისა! მხოლოდ ასაკის გავლითა და წელთა ხანდაზმულობით არ მოიპოვება ამ სიტყვის უფლება. ბატონ არჩილს მრავალი ძვირფასი თვისება დაანათლა განგებამ: ნიჭი შემოქმედისა, მოქალაქისა, მამულიშვილისა! არა ბრჭყვიალა და მყვირალა ნიჭი, არამედ დაუნჯებული, უხმაურო, მაგრამ ჯიუტი ნიჭი. ამ სიჯიუტით ებრძვის იგი ქართულ სიტყვას აგერ უკვე ორმოცი წელია და ამ ჯიუტი სიყვარულის ნაყოფიც, მისი შემოქმედებაც ამიტომაა ასე ცხადი და თვალსაჩინო. დღეს სამოცი წლის მწერლის ჭკვიან და გამჭრიახ მზერაში მართალია სიჭაბუკის მგზნებარება აღარ გამოსჭვივის, სამაგიეროდ სიბრძნის მშვენიერებით გვხიბლავს. ამ მზერაში ილანდება პოეტის მიერ განვლილი გზის მთელი სიმძიმე. ილია ჭავჭავაძის ქვეყანაში მწერლობა ადვილი არასოდეს ყოფილა და არც არჩილ სულაკაურს უვლია ვარდ-ყვავილებით მოფენილი გზით. აქ არ ვგულისხმობთ რაიმე გარეგან, ეგრეთწოდებულ მე-

ქანიკურ სიძნელეებს. მხედველობაში გვაქვს ის სულიერი ბრძოლები, ის შინაგანი უხილავი გრადაციები, ის ზნეობრივი მაქსიმალიზმი, რომლითაც მთლიანადაა გამსჭვალული არჩილ სულაკაურის შემოქმედება. მას, როგორც მწერალს, აღელვებს ყველა ის ზნეობრივი პრობლემა, რომლითაც დღეს მისი ქვეყანა ცხოვრობს. ღრმად სწამს, რომ მყარი ზნეობრივი საფუძვლების გარეშე ერისა და ქვეყნის წინსვლა შეუძლებელია, ღრმად სწამს, რომ მწერლის სიტყვას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი და მაშინ აღწევს მიზანს, როცა ერთია მწერლის სიტყვა და საქმე; ღრმად სწამს და თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით კარგად ადასტურებს იმასაც, რომ ქართველ მწერალს უფლება არ აქვს მხოლოდ საკუთარი მწერლური ინტერესებით შემოფარგლულმა, სადმე მყუდრო ყურეს შეაფაროს თავი და ნარცისული თვითკმაყოფილებით გულდამშვიდებულმა შორიდან უყუროს საზოგადოებრივი თუ სამწერლო ცხოვრების ბობოქარ მორევს. თავისი ცხოვრების კრედო ხომ სადა, გამჭვირვალე სტრიქონებით გაგვიმჟღავნა:

„მაცალე, ვიდრე მოვკვდები,
გადაგიხადო ვალი“

ამ ვალს არავინ არ სთხოვს არც ერთ მწერალს და არც არჩილ სულაკაურს. ეს ვალი ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე საკუთარი სინდისითა აქვს ნატვირთი ყველა შემოქმედს და სინდისი ხომ ის უმაღლესი სამსჯავროა, რომლის წინაშეც თვით უმცირესი სიყალბეც კი არ იმალება.

არჩილ სულაკაურს, სამოცი წლის გადასახედზე მდგარ, ნაშრომ-ნაღვაწ მწერალს შეუძლია სუფთა მოქალაქეობრივი სინდისით გახედოს თავის გამოვლილ გზასა და სამომავლო ასპარეზს. ღირსეულად განვლილი წლების გამოცდილება, უეჭველია, ერთგვარად გაუადვილებს სახვალიო სავალს. ადვილი ალბათ არც ეს იქნება. ადვილი ამ ქვეყნად არაფერია, მითუმეტეს მწერლისათვის, მითუმეტეს ქართველი მწერლისათვის.

ის კი არადა, უბრალო საგაზეთო წერილის დაწერაც კი არაა ადვილი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ამასწინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი მისი შესანიშნავი

„კინტო" წავიკითხეთ. დავრწმუნდით, რომ ქართველი მწერალი სულ მუხლჩაუხრელ მეზვრესა თუ მებაღესავით უნდა იყოს ხელებდაკაპიწებული, რომ ეროვნულობის წმინდა სხეულს დროულად მოაშოროს ნებით თუ უნებლიეთ მოძალებული სარეველა. ასე იღვწოდა ყოველთვის ქართული მწერლობა. ამ მისიით ცხოვრობს არჩილ სულაკაური, ამ დიადი მწერლობის სახელით, მისი ფარით და მახვილით.

— ბატონო არჩილ!

გვინდა ჩვენი ჟურნალის მრავალათასიანი მკითხველის სახელით მოგილოცოთ ძვირფასი თარიღი! „ცისკრისათვის" დიდად სასიხარულოა, რომ თქვენ უდგეხართ სათავეში ჩვენს სახელოვან „მნათობს" და ხელს უწყობთ სნორი ლიტერატურული ატმოსფეროს დამკვიდრებას, ჰქმნით ნორმალური სამწერლო ცხოვრების ამინდს.

კვლავაც დიდხანს ეღვაწოს თქვენს მადლიან კალამს!

„ცისკრის" რედაქცია
1987 წ.

სიტყვა არჩილ სულაკაურზე

მართალია, დღევანდელი ქართული მწერლობა ასაკის განურჩევლად ერთი საერთო რაზმია, მაგრამ მის შიგნით ჩვენ მაინც ვარჩევთ რამდენიმე თაობას.

ერთ ასეთ თაობას — ოციანი წლების მიწურულს დაბადებულთა — ეკუთვნის და მეწინავეობს გამოჩენილი ქართველი პოეტი და პროზაიკოსი, არჩილ სულაკაური.

რა შემიძლია ვთქვა არჩილ სულაკაურზე? თითქმის ყველაფერი, რასაც საკუთარ ძმაზე ვიტყოდი. განა საკვირველია? — ორმოცი წლის მეგობრობა და ერთად ყოფნა გვაკავშირებს.

ლაღად შემოაღო არჩილ სულაკაურმა ქართული ლიტერატურის მაღალი კარი ორმოციანი წლების შუაგულში.

დიდ კულტურულ ტრადიციაზე ამოზრდილ მის პოეზიას თან მოჰყვა თბილისელი ბიჭის განუმეორებელი პიროვნულობა, სულის სიღრმე და სისპეტაკე.

ამას დაემატა იმგვარი შორსმჭვრეტელი კაცისა და შეჭმარიტი პოეტი-პროფესიონალის სიყვარული და ზრუნვა, როგორიც სიმონ ჩიქოვანი იყო.

და გაუმართლა კიდეც: მთელი ეს ორმოცწლოვანი ურთულესი გზა არჩილმა ისე განვლო, რომ დღეს სამოცი წლის ვაჟკაცს შეუძლია პირნათლად წარსდგეს მშობელი ერის წინაშე.

ნამდვილი მწერლის მთელი ცხოვრება უმძიმესი, თავაუღებელი შრომაა. ასე გულდაგულ შრომობს ქართულ ლიტერატურაში არჩილ სულაკაური — მაღალი პროფესიონალიზმი მისი ერთი მთავარი ღირსებაა.

მის მიერ განვლილ გზას თუ თვალს გადავავლებთ, ერთგვარ პარადოქსს აღმოვაჩენთ: ეგრეთწოდებულ „სამოციანელთა" წინამორბედი თვით გახდა მათი ერთ-ერთი ლიდერი ისე, რომ არაფერი შეცვლილა მის შემოქმედებაში ორმოცდაათიანი წლების იმ გარდატეხის შემდეგ, რომელმაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება განახლებული გზით წაიყვანა.

ამის მიზეზი ისაა, რომ არჩილის უკვე ადრეული შემოქმედება ჭარბად შეიცავს თვისებებს, რომლებიც სამოციან წლებში საყოველთაოდ დომინირებული გახდა. ეს კი, მოგეხსენებათ, ნამდვილი ტალანტის თვისებაა.

არჩილ სულაკაურის ძირითად ინტერესთა სამყარო მოიცავს ლიტერატურის ორ მთავარ ჟანრს — პოეზიას და პროზას. ორივეში შექმნა მან თავისი ორიგინალური სამყარო, რომელიც მისი პიროვნულობის ნაყოფია.

მეტად ზოგადად ეს სამყარო ხასიათდება ქართველი ხალხის უკანასკნელი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების მხატვრული ასახვით, რომელსაც საფუძვლად უდევს ზნეობრიობის პრინციპი და გამოირჩევა ნერის უაღრესად დახვეწილი, ნატიფი კულტურით — კლასიკური სისადავით, ადამიანის შინაგანი ცხოვრების უღრმეს შრეებს რომ წვდება.

ისე, როგორც ზოგიერთი სხვა, პრინციპულად არც მე ვანსხვავებ არჩილ სულაკაურის პოზიციას ლექსისა და პროზის მიმართ.

მართალია, თვით არჩილის შემოქმედებაში ისინი სხვადასხვა შინაგანი კანონებით არსებობენ, მაგრამ, ასე ვთქვათ, ზოგადმეთოდოლოგიური მიდგომა მათდამი ავტორისა მთლიანია, როგორც თვით არჩილის შინაგანი ბუნებაა მთლიანი: პოეტური საწყისი ბატონობს ორივეში.

აქ მე ვგულისხმობ არა ეგრეთწოდებულ „პოეტურ პროზას", რომელიც აგრეთვე სხვა პრინციპს ეყრდნობა, არამედ პოეტის პროზას, რომლის საწყისია არა უბრალოდ ამბის თხრობის სურვილი, არამედ პოეტური იმპულსი, მთელს თხრობას რომ განუმეორებელ ელფერს ანიჭებს — ორგანულადაა შერწყმული ეპოსი ლირიკულ საწყისთან.

ამდენად, მე შემიძლია გამოვთქვა კიდევ ერთი რამდენადმე პარადოქსული აზრი, რომ არჩილ სულაკაურის მოთხრობები პროზად დაწერილი პოემებია.

ამის მკაფიო მაგალითებია ადრეული მოთხრობებიდან „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", ხოლო შედარებით ბოლო პერიოდისა — შესანიშნავი „ლუკა" და სულ ახლახანს დასტამბული „თეთრი ცხენი"...

დღეს არჩილ სულაკაური ქართული ლიტერატურის მშვენებაა.

მისი მაღალმხატვრული და წმინდა ეროვნული ქმნილებანი მრავალმა ენამ და სხვადასხვა ხალხმა გაითავისა. ამით მან ერთხელ კიდევ განამტკიცა ის შეუვალი პრინციპი, რომ ზოგადკაცობრიულისაკენ გზა მხოლოდ მაღალეროვნულობაზე გადის.

არჩილის სულ პირველად გამოქვეყნებული ლექსებიდან მუდამ მახსოვს სტრიქონი: „ავალ მთაწმინდას, დავეყრდნობი იდაყვით მთვარეს, ვით ნაომარი აქილევსი ფარს ეყრდნობოდა“...

და მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობა გაფრინდა, კიდევ ბევრი ბრძოლა მოელის, რადგან მისი ცხოვრების აზრი მუდმივი ბრძოლა და მუდმივი ჭიდილია.

თენგიზ ბუაჩიძე

ერთი ლექსის ნაკვალევზე

ოცდახუთი წლის წინათ, თუშეთში მოგზაურობისას, თითქოს პირველად შევხვდი არჩილ სულაკაურს. დამქანცველი გზის ბოლოს, როცა ღამის გასათევად მიგვიწვიეს თუშებმა, ერთბაშად გავიგე, რომ თურმე არჩილის წინაპართა სოფელში, ფარსმაში ვყოფილვართ. კედელი იმ ოთახისა, სადაც ღამე გავათიეთ, მოფენილი იყო ჩვენგვარ „მოგზაურთა" წარწერებით და ნახატებით. ვინ არ ყოფილა აქ: მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, კინორეჟისორები...

მეორე დღეს ფეხით ჩამოვყეთ პირიქითა ალაზნის ხეობას და როცა ერთ სოფელში შევედით, ერთ განმარტოებულ სახლს მივადექით და მასპინძელს დავუძახეთ, ხმა არავინ გაგვცა.

მერე მეორე სახლთან დავიძახეთ...

არც იქიდან გამოგვეხმაურა ვინმე.

და ერთბაშად შევდრკით:

მიტოვებული სოფელი!

ეს იყო ჩემი პირველი თავზარდამცემი შეხვედრა მიტოვებულ სოფელთან.

უბის წიგნაკში გაჩნდა ჩანაწერი:

„ორნი ვიყავით, კარავი თან არ გვქონდა და ღამის გათევა სოფელში გვერჩივნა. მივყვებოდით ბილიკს და არც კაცის ჭაჭანება ჩანდა, არც სულიერის ხმა ისმოდა. იმ სოფლის იმედი გვქონდა და დაღამებამდე ჩასელას ვჩქარობდით.

მზე უკვე ჩადიოდა.

ბოლოს ერთ ფერდობს თავზე მოვექეცით და ლოდზე ჩამოვჯექით.

ესეც სოფელი!

ქვემოთ, ხეობაში, სოფელი გადაიშალა.

აღარსად მიგვეჩქარებოდა, ვისხედით და ვისვენებდით.

მერე ფერდობი სირბილით ჩავიარეთ და ბინდისას სახლს მივადექით.

დავიძახეთ,

პასუხი არავინ გაგვცა.

შუა სოფელში მეხდაკრულივით შევჩერდით.

— მიტოვებული სოფელი!

ბინდში ეხლაღა შევნიშნეთ ჭინჭარმოდებული ეზოები, მონგრეული ყორე, უკარფანჯრო სახლები, უკრამიტო კავები, ჩატეხილი საყვავე, ბალახიანი ბაკი.

სოფელში არ ყეფდნენ ძაღლები.

არ ყიოდა მამალი...

ხმა აღარ ამოგვიღია.

მიტოვებული სოფელი სასაფლაოს ჰგავს და იქ ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლება.

ის ღამე, თუშეთის პატარა სოფელში გათეული, სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში და სამუდამოდ ჩამრჩა ის ლექსიც, რომელიც მთის შუაღამის სიჩუმეში წამოტივტივდა და რომელიც არჩილ სულაკაურს ეკუთვნის. ლექსს ჰქვია „ეღო". ლექსისთვის პოეტს პატარა სქოლიოც დაურთავს: „ეღო — სოფელი მთათუშეთში, დიდი ხნის წინათ მიტოვებული, გაპარტახებული..." ლექსის თავში კი ეპიგრაფადაა წამძღვარებული ვაჟას სტრიქონები: „გვიამბე ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ეღოსა!." აი, ეს ლექსიც:

მე ვერ გიამბობთ, რა მოხდა ეღოს,
გზები ხმლებივით ან რამ გაცვითა,
მე ვერ გიამბობთ, რა მოხდა ეღოს
ან ჯაჭვის ნაცვლად
ნისლის პერანგი რატომ აცვია...
მე ვერ გიამბობთ, რა მოხდა ეღოს.
ქარები რატომ დაჰქრიან ჭერხოს,
ან ეს დუმილი რა დუმილია?
ეგების ნისლი მართლა თბილია,
ეგების ნისლი მხოლოდ ის არის,
პაპაჩემს რითაც შეუხვევია
ის ნატყვიარი თუ ნაისრალი?
მე ვერ გიამბობთ, რა მოხდა ეღოს.
ქარები კოშკებს, როგორც ძვლებს, ხრავენ
და მკერდზე მკერდით აწვება ღამე...
— გვიამბე რამე!..
— გვიამბე რამე!..
მე ვერ გიამბობთ, რა მოხდა ეღოს,

მაგრამ რაც მოხდა,
ის საუკუნო დუმილად ეყო
მთებსა და...
ელოს...

ეს პატარა ლექსი, „ელო", იყო პირველთაგანი, თუ სულ პირველი არა, იმ მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა შორის, რომელნიც მერე და მერე დაინერა მიტოვებული სოფლების გამო. მიტოვებული სოფლების თემა „მოდური" გახდა. და როგორც ყოველმა მოდურმა თემამ, ბოლოს უსიამოვნო სახეც კი მიიღო: ყველა წერდა, დიდი და პატარა, ისინიც, ვისაც არასოდეს გამოეცადა ფარღალალა სახლებთან შეხვედრის სიმწარე.

არჩილ სულაკაურის ის ლექსი, რომელიც პოეტის ახალგაზრდობის ნლებში უშუალო განცდილი სევდის გამო შეიქმნა, კვლავ არ კარგავს თავის პირველქმნილ მშვენიერებას.

და მე მინდა დღეს, როცა ჩვენს საყვარელ მწერალს არჩილ სულაკაურს უკვე დაბადების 60 ნლისთავს ვულოცავთ, სნორედ ის ერთი ლექსი გავიხსენო, იმ ლექსთან დაკავშირებული ჩემი განცდა და ვუსურვო ავტორს — არასოდეს დაეკარგოს იმ ლექსში გაცხადებული პირველქმნილი მშვენიერება, ძნელად მისაღნევი უბრალოება, სიცოცხლის რნმენა და ნამდვილი ადამიანური სევდა.

თამაზ ბიბილური

გამარჯვებას ვუსურვებ

უზენაესი ბედნიერებაა, როცა უმღერ ქვეყანას, რომელმაც იცის შენი ფასი, რომელსაც უყვარხარ, რომელიც გიყვარს და რომლის გულისთვისაც ცოცხლობ და რაინდობ.

არჩილი თბილისში დაიბადა და გაიზარდა, თანაც ისეთ უბანში, საცა, გინდა თუ არ გინდა ხალხთა მეგობრობის ორდენის წევრი უნდა გახდე, დღეს სამოცი წლის თავზე იგი ოფიციალურად გახდა ამ დიდი ორდენის წევრი.

გადაუღებლივ წვიმს და
მივდივარ
ჩემი საგზალი მიმაქვს
დასავლით.
წვიმისთვის ხელი ჩამიკიდია,
ქუჩაში მიმყავს უმცროს
დასავით.

ხომ ლამაზია, ხომ კარგადაა ნათქვამი? კარგადაა და ასე მხოლოდ არჩილ სულაკაური წერს — მშვენივრად, ლაღად, დახვეწილად, განსაკუთრებული მზრუნველობით, სიტყვებისადმი ერთგულებითა და პატივისცემით.

არჩილ სულაკაური ჩემი ძვირფასი მეგობარი და საყვარელი შემოქმედია.

ორმოცი წლის წინ წავიკითხე მისი პირველი ლექსი „ნუ გათათრდები", წავიკითხე და სულში ნათელი ჩამეფინა.

და შენაც სული აზიდე ცამდის,
დაცემულმა და გზებზე ნათრევმა,
— ნეტა რას ერჩი, თათარო,
მაგ ბიჭს,
ქართველია და არ გათათრდება.

ასეთ ლექსებს ბავშვობიდანვე ვანიჭებდი მნიშვნელობას, მომწონდა პატრიოტული ლექსი. ყოველთვის მსგავსებას ვეძებდი ლექსსა და მის ავტორს შორის და რა კარგია და რა დიდებული,

რომ აღმოვაჩინე, რომ არჩილი და მისი ლექსი საოცრად გვანან ერთმანეთს.

მე დღესაც ყურს მიხედნის ნათქვამი ქეთევანისა, თუ ნათქვამი დავითისა, ნათქვამი რუსთაველისა თუ ნათქვამი ილია ჭავჭავაძისა, „ნუ გათათრდები", „ნუ გათათრდები"...

ეროვნული დამკვიდრებისათვის იბრძვის კაცობრიობა დღიდან თავისი მოსწრებისა, დღიდან დაბადებისა სიკვდილის დღემდე.

თუ ეროვნულ დამკვიდრებასა და თვითმყოფადობას პოეტმა არ შეუწყო ხელი, მაშინ რის მაქნისია ზეგარდმო ნიჭი, რომელიც უზესთაესმა ჩაუსახა პოეტს და მოღვაწეს! არჩილ სულაკაური იყო და გამორჩეულ კაცად დარჩა თავის თაობაში, ნათელი გონებით, მუყაითობით, ახალი აზროვნებით, მოღვაწეობით და რაც მთავარია ნიჭით.

არჩილ სულაკაური დღეს ის ბრძენი შემოქმედია, რომელსაც ჭკუა მოეკითხება, არჩილ სულაკაურს უფლება აქვს თავისი ჭეშმარიტი შემოქმედება დროშად წარუმძღვაროს ჩვენი საყვარელი მამულის მომავალს, მივესალმები ჩემს ძვირფას ძმას, გამარჯვებას ვუსურვებ.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ხატი სიტყვისა

დააკვირდით, როგორ დადის არჩილ სულაკაური, დააკვირდით მის დინჯ, დარბაისლურ ნაბიჯს და ბიბლიურ იერს, მის დაღლილ ღიმილს და გაოცებულ თვალებს დააკვირდით და მიხვდებით, რომ შეუძლებელია წარმოიდგინოთ შემოქმედის მიწიერი პორტრეტი უფრო სხვაგვარი.

არავინ იცის, თუ რა გავლენას ახდენენ პერსონაჟები თავის მწერალზე, ანდა საერთოდ ახდენენ თუ არა გავლენას, ესეც არ ვიცით, მაგრამ აშკარაა, რომ რაღაც საკრალური კავშირი არსებობს მათ შორის;

რაც დრო გადის, ეს საიდუმლო თანაზიარობა სულ უფრო საგრძნობი ხდება და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მწერალი სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა პერსონაჟების მიერ შექმნილი ხატი.

არჩილ სულაკაური — ვითარცა ჭეშმარიტი შემოქმედი — თავისმა სიტყვამ შექმნა და როცა შვიდჯერ სამოცდაათი ნელიც გავა, ის ისევ ის იქნება, რაც დღეს არის, რადგან მისმა გმირებმა იგი უკვე შექმნეს სახედ და ხატად თვისა.

დღეს რომ 70 წლის არჩილ სულაკაურია, ის არის ხატი ათასი წლის არჩილ სულაკაურისა.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

ბატონო არჩილ!

გულითადად გილოცავთ ღირსსახსოვარ იუბილეს.

დღეს განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით გიხსენებენ, გესალმებიან და გილოცავენ თქვენი მკითხველები, თქვენი შესანიშნავი ლექსების, მოთხრობებისა და რომანების თაყვანისმცემლები და შემფასებლები, მათ შორის, აჭარიდან.

სასიამოვნოა, რომ შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რომელიც სამშობლოს მოახმარეთ, თქვენ დიდი სითბო, სიყვარული და მეგობრობა გაკავშირებდათ აჭარასთან, — საქართველოს ამ მშვენიერ მხარესთან.

უდაოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთნაირად ნაყოფიერი იყო თქვენი შემოქმედების ყველა ეტაპი, რომლებიც საქვეყნო აღიარების ნიშნად შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიებით, აგრეთვე, სხვა ჯილდოებითაა აღნიშნული. მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაზე დიდი ჯილდოა სიყვარული, რომელიც მოიპოვეთ ერის წინაშე უმნიკვლო და ჭეშმარიტად მამულიშვილური შემოქმედებითი მოღვაწეობით.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას, ახალ წარმატებებს სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით თქვენი
ასლან აბაშიძე

სანთლად ანთებული სული

ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი თაობის პოეტთაგან სამი გამორჩეული პოეტი ჩემი სიყრმისდროინდელი მეგობარია. ერთი მათგანი არჩილ სულაკაურია, ვისი ამ ქვეყნად არსებობა სამშობლოს სიყვარულივით ძვირფასია ჩემთვის.

არჩილი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე იყო, მე კი მეორეზე, როცა გავიცანი. ლექსმა გვაპოვნინა ერთმანეთი და დღემდე ლექსია ჩვენს შორის საქვეყნო სიყვარულისა თუ ტკივილების მიმტან-მომტანი. მაშინაც ასეთი იყო: ჩუმი, უხმაურო, დინჯი და აუჩქარებელი ნაბიჯით მოსიარულე; დაუდევრად ჩამოშლილი თმები მაშინაც ასე უფარავდნენ ჭკვიან შუბლს და ადრევე დაგროვილი სევდა შიგნიდან მოსწოლოდა მის ფიქრიან და გაოცებაგადავლილ თვალებს. ტუჩები მუდამ გამოუცნობი ღიმილით ჰქონდა შემოხაზული და როცა რამეს გიყვებოდა, მაშინ უნდა მიხვედრილიყავი, მწარე იყო ის თუ ტკბილი.

რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ! რამდენჯერ ამობრიალდა მზე ღა რამდენმა მეხმაც იჭექა ჩვენს ცაზე! ის იგივეა, რაც იყო მაშინ და „გულში ახლაც ის გრიგალია, ამოვარდნილი სიჭაბუკეში“ ეს არის კაცი, რომელმაც სამშობლოსათვის ტანჯვას ბედნიერება დაარქვა და „მე საყვედურს ვით გეტყოდი, გინდაც ასჯერ მოგეკალი“-ო, უთხრა მას.

უმწიკვლოდ და უხინჯოდ იარა ბავშვობიდან სიბერემდე. არ მახსოვს, სადღაც გადამცდარიყოს, რაღაც ისეთი შეშლოდეს, მოუშორებელ ლაქად რომ გაჰყოლია ბევრს. ყოველთვის ისეთი მეგობრები ჰყავდნენ და ჰყვანან, ერთმანეთის ღირსნი რომ არიან. უმრავლოს საქართველოს მისებრ გულწრფელი, გულმხურვალე და გულშემატკივარი მამულიშვილი! ისეთნი, მის ნავსადგურში სამტროდ შემოსულ უცხო ხომალდს რომ ნაფოტებად აქცევენ და მისი ხელით დარგულ ხეზე შემომსხდარ ყვავებს აუქშევენ!

ძვირფასო არჩილ! გილოცავ გრძელსა და ნარეკლიან გზაზე სახელოვნად განვლილ მძიმე წლებს და უღრმეს მადლობას გნირავ ყველაფრისათვის: შენი ტკივილიანი ლექსებისათვის, შენი

მშვენიერი პროზისათვის, რომელიც შენივე ბრწყინვალე პოეზიის ტოლფასია; იმ გულისხმიერებისათვის, რასაც შენ პირადად ჩემდამი ავლენ და, რაც მთავარია, იმ თავგანწირულობისთვის, რასაც ერისკაცობა ჰქვია.

მრავალჟამიერ — სიცოცხლეს შენსას!

მარი აბრამიშვილი

სადღეგრძელო

ძმაო არჩილ! გილოცავ დაბადების დღეს, მრავალი მომელოცოს.

ასეც იქნება, რადგან შენ უასაკო კაცი ხარ. იცოცხლებ იქამდე, სანამ ღმერთი ქართველი ერის არსებობას ისურვებს.

არსად გაფრენილა შენი ულალი მიმინო... ის შენთან არის და იქნება მარად, რადგან, მას შემდეგაც კი, როცა ჩვენი თაობა ნავა, შენი ლექსი და პროზა მომავალზე ისეთსავე კეთილ ზეგავლენას იქონიებს, როგორსაც ახდენდა და ახდენს აწმყოზე.

აღარას ვიტყვი შენს გაუხუნარ ნიჭსა და მამულიშვილობაზე — ელეგანტური სულის პიროვნება ხარ და ამ მშვენიერებას უშურველად ასხივებ მუდამ. ასეთები ხართ სულაკაურები. დაითვალოს მტერმა და მოყვარემ, რამდენი ღირსეული პიროვნება გამოვიდა თქვენი გვარიდან, თუნდაც შენი დედ-მამის ოჯახიდან, ვისთვისაც უპირველესი სალოცავი სამშობლო, ერი და მშვენიერება იყო.

ბრძენს უთქვამს, კაცი ცოცხლობს იქამდე, სანამ რაიმე ფუნქციას ასრულებსო. შენი ფუნქცია მარადისია და მარადისი ხარ შენც.

ბარაქალა, საქართველოვ, რომ არჩილ სულაკაური აჩუქე შენს აწმყოსა და მომავალს.

გმადლობ არჩილ, რომ შენს სულს მაზიარე.

ჭაბუა ამირეჯიბი

ბევრი რამის გამო მიყვარს ჩემი უფროსი, კეთილი მეგობარი არჩილ სულაკაური და ამ თვისებათაგან უმთავრესი ისაა, რომ მთელი ცხოვრება დაუზოგავად, უანგაროდ შესწირა წმინდა საქმეს — შემოქმედებას, ქართულ მწერლობას. მუდამ დამკლავებული, შემართული იყო და არასოდეს უზრუნია საკუთარი ნაწერების რეკლამაზე, სახელის შოვნაზე, რომ მერე, როცა საიუბილეო თარიღი მოეახლებოდა, დიდების მაცდუნებელ სხივებს მიფიცხებოდა.

ნერის სადა, უპრეტენზიო მანერას ხელი არ შეუშლია მისთვის, ყოფილიყო თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტ სიახლეთა ერთ-ერთი პირველი შემომტანი, თავისებური გზის გამკვალავი.

პოეტს ღრმად ჩარჩენია მეხსიერებაში და მეც სამუდამოდ დამახსომდა მისი მშობლიურ კუთხის — თუშეთის — მიტოვების, გაპარტახების გულსაკლავი და ამავე დროს მრავლისმეტყველი, მშვენიერი სურათი, რომლითაც იწყება და მთავრდება „შენაქოში თქმული ლექსი“:

თეთრი საყდარი და თეთრი ცხენი,
მოწყენილი და გამხდარი ცხენი,
რომელსაც ზურგზე ყვავები ასხდნენ.

ჟერარ დე ნერვალი ამბობდა — კარგი პროზაიკოსი ვერ გახდები, თუ კარგი პოეტი არა ხარო. არჩილ სულაკაურის პირველივე მოთხრობები (ყველას გვახსოვს მწერლის მაშინდელი დიდი ნარმატება) და შემდგომ საუცხოო რომანები, აგრეთვე, ლაღი ფანტაზიითა და ხალასი იუმორით აღსავსე საყმანვილო ზღაპრები („სალამურას თავგადასავალი“, „ჯადოსნური კაბა“, „ცისფერი ირემი“) ამ აზრის საუკეთესო დადასტურებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ამჟამად იგი მუშაობს მოგონებათა ტიპის თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წიგნზე — „თბილისური ჩანახატები“, — რომლის რამდენიმე ნაკვეთი გამოქვეყნებულია და პირველი შთაბე-

ქდილება ისეთი გახლავთ, რომ დოკუმენტური პროზის ძლაზე თავისებურ, ბრწყინვალე მაგალითად გვესახება.

სანიმუშოა მისი მოქალაქეობრივი, ზნეობრივი სიმტკიცე, სიმართლის პირში თქმის ასე გაიშვიათებული უნარი. როდესაც ე. ნ. „ეროვნული მოძრაობის" მღვრიე ტალღამ განსაკუთრებით იმძლავრა და ერთი ხანობა საქართველოს დამაქცეველი ეს ქონდრისკაცები, ბნელი ძალებისა და ბედის ირონიის წყალობით ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, არჩილმა სწორედ იმ დროს, „მნათობში" ლექსების მრისხანე ციკლი გამოაქვეყნა და შეუფარავი პირდაპირობით დახატა ამ ვიგინდარების გულისამრევი, შემზარავი „სილოდა", ქუჩებში გამართული ისტერიული ღრიანცელი. იგი ახლაც იმავე შემართებით ებრძვის ჩვენს სინამდვილეში ავთვისებიან სიმსივნესავით ფესვებგადგმულ უმსგავსობას და ერის ჯანსაღ ნაწილს მოუწოდებს, ყველაფერი ვიღონოთ, რათა სულიერი გახრწნილებისაგან, უზომოდ მოძალებული კორუფციისაგან გაიწმინდოს საქართველო.

გვახარებს, გვეამაყება, რომ ჩვენს შორის დადის, ფიქრობს, ქმნის, ჭირისუფლობს ქართულ მწერლობას, ღირსეულად უძღვება ჩვენს უპირველეს ჟურნალს — „მნათობს" — დიდად განათლებული და გულისხმიერი, ყველა ჩვენთაგანის ახლობელი ეს ჭარმაგი ვაჟკაცი.

მინდა იგი იმავე სიტყვებით გავამხნევო, რომლითაც ერთ, შედარებით ადრინდელ ლექსში თავის თავს შეუძახა:

გულო, არ გაცვდე, გამაგრდი,
ჯავრმა არ გჭამოს მტრისამა!
არც მეტი, არცა ნაკლები,
რასაცა მხედავ, ისა ვარ.

ამგვარი გაუტეხელი ხარ და ასეთი მიყვარხარ, ძმაო არჩილ!

ემზარ კვიტაიშვილი

ძვირფასო ძმაო არჩილ!

მე შენ მაშინაც კარგად გიცნობდი, როცა არ გიცნობდი.

მე შენ მაშინაც დიდ პატივს გცემდი, როცა ნანახი არ მყავდი და როცა შენი ლექსები, მე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა — ზეპირად ვიცოდი.

გავიდა დრო და გაგიცანი.

გავიდა კიდევ მცირე ხანი და ჩვენ დავმეგობრდით.

ამ მეგობრობას და ნამდვილ ძმურ სიყვარულს ორი რამ განაპირობებდა: შენი დიდი ტალანტი და შენი დიდი კაცობა.

მე დიდ პატივს ვცემ შენს უბრწყინვალეს პოეზიას!

მე დიდ პატივს ვცემ შენს უბრწყინვალეს პროზას!

მე დიდ პატივს ვცემ შენს ორატორულ ნიჭს, რომელიც აგებულია არა მქუხარე მჭერმეტყველებაზე და ტრიბუნიდან ტემპერამენტის გადმოღვრაზე, არამედ პირიქით, მშვიდ შინაგან სილრმეზე, დინჯ და შთამბეჭდავ მანარეზე, ასე რომ ხიბლავს და ატყვევებს მსმენელს.

მე დიდ პატივს ვცემ შენს პატიოსნებას, პრინციპულობას, ვაჟკაცობას. შენ გაქვს მომადლებული ყველაზე დიდი თვისება, სხვისი ნიჭით გახარებისა, სხვისი გამარჯვებით ზეიმისა.

70 წელი სოლიდური თარიღია, მაგრამ არ შეგეშინდეს, ქართული მწერლობის ბევრმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა შეგასწრო ახალ ათეულში, ბევრიც უკან მოგდევთ.

მრავალი ახალი ათეული წელინადი მოელოცოს შენთვის ქართველ ხალხს, ხალხს, რომლის სიყვარულსაც უძღვნი შენს ტალანტს და შენს შემოქმედებას.

გურამ ფანჯიკიძე

ბატონო არჩილ,

დაბადების სამოცდაათი წელი მინდა მოგილოცოთ, სიბრძნის ასაკი, თუმცა სიბრძნე და სიბრძნისთვის დამახასიათებელი სიცხადე და სინატიფე ყოველთვის იყო თქვენი პოეზიისა და თქვენი პროზის ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება.

თქვენ შესანიშნავად გააგრძელეთ თქვენი დიდი მასწავლებლების გზა, ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი თქვენი ახალი სიტყვით, თქვენი ახალი მიდგომით ადამიანთან, სინამდვილესთან, ჭეშმარიტებასთან.

თქვენ იტვირთეთ ჩვენი დიდი მწერლების ტვირთიც — საზოგადო მოღვაწის ტვირთი და მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს არ ცდილობთ სხვებზე წინ დადგომას, მუდამ თქვენი ერის კულტურის ავანგარდში ხართ, ამბობთ და აკეთებთ იმას, რასაც ხალხი და დრო ითხოვს.

დიდი მადლობა ყოველივე ამისათვის.

აქვე, ნება მიბოძეთ დაბადების დღე მოგილოცოთ თქვენ და თქვენს ოჯახს არამარტო ჩემი და ჩემი მეუღლის, არამედ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების სახელით, იმ ბავშვების სახელითაც, რომელთა ყმაწვილობის მუდმივ თანამდევად იქცნენ თქვენი ზღაპრული, მაგრამ საოცრად ნამდვილი პერსონაჟები.

ედუარდ შევარდნაძე

შენ არჩილ სულაკაური ხარ!

70 წლის ძმაო არჩილ, მოგესალმები და გეტყვი „ვეფხისტყაოსნიდან“: „ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა...“ შენ კვლავაც შენს მშობლიურ მინაზე ამაყად დგახარ და „ამაყად ყივი“.

მეც შენსავით უამრავი „ვეფხისტყაოსანი“ მაქვს, მაგრამ მაინცდამაინც ის მოვიძიე, რომლის რედაქცია, შესავალი წერილი და ლექსიკონი, შენი უახლოესი მეგობრის, სარგის ცაიშვილისაა. სარგისის წერილში საუბარია ქართველი კაცის ხასიათზე, ზნეობრივ ნორმებზე და ესთეტიკურ იდეალებზე — ვინ იცის, იქნებ შენზე ფიქრობდა, როცა ამ წერილს წერდა? ვაჭარბებ? — არა, შენი ხასიათი პირწმინდად ქართველი კაცის ხასიათია.

მე შენ ყოველთვის ასეთი მახსოვხარ: „მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, ლაღი, შვებული“. ნორმად და ნიმუშად მიმაჩნდი როგორც პოეტი, პროზაიკოსი, მოღვაწე და პიროვნება... შენ, რაინდი... მუდამ გამზადებული იყავ, რუსთველურად იყავ გამზადებული ცრემლისათვის და ტკივილისათვის, ისევ ზენაარის მადლით — „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ „შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა“ ამ ნათქვამს რომ ერწმუნოს კაცი, არ ვიცი, რამდენი ფუთი მარილი უნდა ჭამოს, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით ორმოცდახუთი წლის ჩვენი ულალატო მეგობრობა სრულიად საკმარისია, რომ კაცის ცოდვა-მადლი გაიგო. ასე რომ მე შენ თითქმის საკუთარი თავივით გიცნობ, ძმაო არჩილ.

ახლა დიდ რუსთველს შეევეშვათ და მიწაზე დავბრუნდეთ... პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა შენი პირველი წიგნი გამოვიდა, ეს მაშინ უფრო დიდი ზეიმი იყო ახალგაზრდა ავტორისათვის, ვიდრე რომელიმე თარიღი, რომელიც წითლად იყო აღნიშნული ჩვენს იმდროინდელ კალენდრებში... შენ მე ვერის ხიდზე შემხვდი, ამაყი და გახარებული შემხვდი და მითხარი: პირველი წიგნის ჰონორარი ავიღე და წამოდი, თითო ჭიქა დავლიოთო... ორთავენი აღმართს ავუყევით და ზემელზე „გემოს“ მივაშურეთ... შენ უკვე ცნობილი „პირველსხიველი“ იყავი, უკვე პოეტური კრებულის ავტორი, მე მიხაროდა შენს გვერდით ყო-

ფნა. შენს პოეტურ მადლს თავიდანვე პატივს ვცემდი, ამდენად უფლებამოსილებაც მქონდა სადღეგრძელო აღფრთოვანებით მეთქვა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩვენ ერთადა ვართ ქირშიც და ლხინშიც... მშვენიერ მერიზე დაქორწინდი და გამეხარდა. გიგი და ლაშა შეგეძინა და გამეხარდა, რუსთაველის პრემია მიიღე და გამეხარდა, არასოდეს შეგშლია და მიხარია, არ ბერდები და მიხარია, მთაშიც სახელი გაქვს და ბარშიც. მაშ რაღა დაგრჩა? რაც დაგვრჩა, ის მომავლისაა, უფლის ნებაა და სხვის არავის... შენნაირი კაცის სიცოცხლე უფრო მრავალჟამიერია, ვიდრე უბრალო მოკვდავისა... კაცის დაბადების დღე ლოცვისაა, ჰოდა, იცოცხლე დიდხანს! იცოცხლე შენი უბედური ქვეყნისთვის, მე მჯერა, რომ მოესწრები მის გამთლიანებას...

გაგიმარჯოს! შენ საამაყო კაცი ხარ, შენ არჩილ სულაკაური ხარ!

ერთი პატარა ლექსი მოგიძღვენი, შენ გაიგებ ჩემს ტკივილს, ის შენი ტკივილიცაა.

მამულს გარშემო
ყვავ-ყორანთა გუნდი უვლიდა,
ხოლო წარწერა, ცისფერებით,
ვნახე ურბნისსა —
როცა უფალი გვედავება
ცეცხლის გულიდან,
რატომღაც, ცეცხლის გვეშინია —
არა უფლისა.

უფალმა დაგლოცოს, ძმაო არჩილ!

ჯანსუღ ჩარკვიანი

სათქმელის შესავალი

როცა შენი გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამჟღავნება გინდა, ალბათ, ყველაზე ძნელი სიმაღლის პოვნაა, რადგანაც, ის, ვის მიმართაც უნდა გამჟღავნდე, ახლობლადაც რომ მიგაჩნდეს, გინდა თუ არ გინდა, მაინც ღირებულების ნიშნით უნდა წარმოაჩინო. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა აუცილებლად ობიექტური უნდა იყო, როცა იმპრესიონიზმი და გულითადობა შეიძლება ნაკლებ დამაჯერებელი აღმოჩნდეს, რადგან საგანი, თავისი ინდივიდუალობის გამო, ყოველთვის რაღაც სიმაღლეზე იმყოფება. საგანიცა და საგნის სამყაროც, მისი ჰაერიცა და მისი ქალაქიც... აი, იმ სინათლეზე იმყოფება იგი, იქ შეიძლება მისი ხილვა, იქ უკავშირდება იგი საკუთარ თავსაც და თავის არქეტიპსაც, თავის დროსაც და თავის მომავალსაც. ესაა სულთა და გონებათა სამყოფელი, ეს არის, რაც მისია, რაც მისგანაა, რაც მას, ისტორიის ყდებს შუა შეინახავს. ადამიანი, რომელიც შენს გვერდითაა, რომელსაც ხვდები, რომელსაც შორდები; მერე ისევ ნახულობ და კვლავ გაეყრები, რომ იცვლება თქვენს თავზე ცა, იცვლება ხმელეთი, იცვლებიან წელიწადის დროები; ადამიანი, რომელთანაც გაკავშირებს წარსული, აწმყო და რომელზეც მაინც ვერ იტყვი სიტყვას, მაინც ვერ დაწერ ერთ წინადადებასაც, თუ იგი სახედ არ მოგეევლინა. სახედ უნდა იხილო, ყველა გაელვებას რომ შეუკრავს და მთლიანს მოგაწვდის... და რაკი ეს ყოველივე ერთ რომელიმე აწმყო-წუთში ხდება — ყველაფერი წარსულია, წარსულად გადაიქცევა შენს პეშვში, შენს სიტყვაში, შენს გონებაში, „პოეზია მოგონებაა, მოგონებაა იმის, რაც იყო“... სიტყვებიც ცხოვრების ჩვევების დარად მზამზარეულ წიაღიდან ამოცვივიან... წარსულიანი სიტყვები — მხოლოდ ზოგიერთი შეიძლება იყოს ახალი, რომელიც რაღაც ცვლილებებს გაუწყებს და გეჩვენება, რომ შენც გაახლდი. ხოლო, როცა შენ ვინმესადმი შენი გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამჟღავნება გინდა, როცა შენ მასში ინდივიდუალურს ეძებ, მაშინ შენშიც ადექვატური გრძნობები აიშლება... ესა და ეს თვისებები ამ პიროვნებისა ყველასათვის ცნობილია — ფიქრობ შენ, მაგრამ შესაძლოა არ იციან, რომ... და შენ თვლი გონებაში, თითებზე კი არ თვლი, მწე-

ვრებს აპოვნინებ. იმ უნარს აპოვნინებ, რომელიც მცნობია. მაგალითად, შეთხზავ ასეთ რამეს: — რატომ არა აქვთ ჩვენში ჯოისი წაკითხული? — იმიტომ, რომ იგი არჩილ სულაკაურს არ წაუკითხავს. სინამდვილეში შენ არ იცი, წაკითხული აქვს თუ არა არჩილს „ულისე", არც ის იცი, თუ რამდენ კაცსა აქვს იგი ჩვენში წაკითხული. სინამდვილეში ეს სცენა იმიტომ დადგი, რომ გაითამაშო ის წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელსაც შენში ყოველთვის იწვევდა არჩილის დამოკიდებულება წიგნთან, არჩილის კითხვა. არიან შემოქმედნი, მთელი არსებით მხოლოდ საკუთარ შემოქმედებით „მე"-ს მიჯაჭვულნი, რომლებსაც ეძნელებათ თავისი თავის მიღმა, თავის გარე-სინამდვილეში, თავის გარე-დროში. არჩილის პიროვნული „მე" ყოველთვის ეტოქება მის შემოქმედებით „მე"-ს, და ცდილობს გამოსძალოს ავტონომია. ის თანდაყოლილი ინსტინქტით მიელტვის ცხოვრებასაც და ხელოვნებასაც და არც ერთს არ უთმობს მეორეს, იმიტომ კი არა, რომ დაბნეულია ან აკლია ნებელობა, იმიტომ, რომ ორივეს ხედავს, ორივეს მიიჩნევს. ორივე ხელოვნებაა, ხელოვნება, რომელსაც მიიღებ, ან არ მიიღებ, მიენდობი ან უარყოფ. ცხოვრება რომ ხელოვნება არ იყოს, მაშინ მას არ ეყოლებოდა ისეთი დიდი მიმბაძველები, როგორც ბიბლია და ჰომეროსია და კიდევ უთვალავ მკრეხელთა არმია. ცხოვრება რომ ახალი იყოს, მაშინ იგი გაგვიკვირდებოდა, მაშინ მას ვერ გავუძლებდით, მაგრამ ადამიანის ხერხემალს არქეტიპები და ისტორიული გამოცდილებები აკავებენ, უთუოდ ისინია, რომ გვაძლებინებენ, რომ გვაჩვევენ, რომ გვამყოფებენ. ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ, რა თქმა უნდა, ძველია და რადგანაც ადამიანია ახალი, ცხოვრება — კითხვაა. შენ ახალი მკითხველი ხარ და შენ კითხულობ წინაპართა თანდასწრებით და ახალი ადამიანის კითხვაც — სიახლეა და, გადაიშლება ფურცელი ისტორიისა. დიდ ნანარმოებად გვეელინება ის, რომელიც ემთხვევა იმას, რაც ჩვენ არ ვიცით. არჩილისთვის კითხვა მესამე სტიქიაა — ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან ერთად. არჩილი რომ არა, ბევრ ვინმეს მრავალი რამ დარჩებოდა წაუკითხავი. არჩილი ამ საქმის გზის გამკვალავია და ლიდერობაც იმიტომ დაუთმეს, რომ შეუმცდარი ალღო აქვს. სიახლე აბჯარზე მსუბუქი როდია. ამას გარდა, სიახლე არ გამოიგონება,

სიახლე იზრდება იმაზე, რაც უკვე არის. არჩილი სულ ცოტა სამჯერ მაინც იყო ახალგაზრდა, რადგან მისი ნაბიჯები ლიტერატურაში, ყოველთვის ახალი იყო, იმ შემოღობილ-შემონაღმულ მიწის ნაგლეჯზეც კი, იგი რაღაც არაბუნებრივი ნიჭის თუ პირველი რეაქციის ზღაპრული უნარით, ახერხებდა გათანაზიარებოდა თავის თანამედროვე სამყაროს. მას ასეც კი შეუძლია განმარტოს თავისი კრედო: „მე ვდგავარ სიახლეზე" ადამიანმა და ცხვარმა შექმნა კაცობრიული ამბავი. არჩილი საერთოდ მცნობი კაცია, წელან რომ ვახსენე, მას აქვს „პირველი რეაქციის" თუ გამოცნობის უდიდესი უნარი — სხვებს რომ ჯერ ფიქრიც არ დაუწყიათ, მან უკვე იცის. ეს უნარი არჩილისა ყოველგვარი ნიჭის ტოლფასია. მე მხოლოდ აღმოვაჩინე მასში ეს ნიჭი. ნაწარმოები იქნება, წიგნი იქნება თუ ცხოვრება იქნება, პირველად არჩილი აღმოაჩენს ხოლმე და მის გარშემო საზოგადოებაც ისე ჰყავს მინდობილი, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მან დაკარგოს ეს უნარი. ცხვარი კაცის ცხოვრების თანაზიარი, მეცხვარეებს ჰყავთ ხოლმე ერთგვარი ნიჭის კაცი, რომელსაც „მცნობს" ეძახიან. მცნობის ნიჭი ისაა, რომ დოლობის დროს ათას სულ ერთმანეთში არეულ ცხვარ-ბატკანში დედაშვილობით გამოარჩიოს ცხვარიც და ბატკანიც და ისინი ერთმანეთს მიჰგვაროს. ეს წარმოუდგენელი სცენაა — ათასი სული ცხვარ-ბატკანი ბღავილით ერთმანეთს რომ ეძებს და მხოლოდ ერთ კაცს შესწევს ძალა ნუგეშის მოტანისა. დიდი ნუგეშია ნიჭი, დიდი მალამოა და კაციც კაცის წამალი არის. მე ბევრჯერ მიგემნია არჩილის წამლობა, ბევრჯერ დამდებია გულს მალამოდ იმისი სიბრძნე და ახლა, ჩემო სიახლეთა მძებნელო, წარსულზეც გვიამბე, გვიამბე, რა ყოფილა 70 წელი, რას ნიშნავს, რა არაკია, რასთან უფრო ახლოა, წუთთან თუ საუკუნესთან, დაჯექ და გვიამბე, ოღონდ გულს კი ნუ გაგვიტეხ.

ბესიკ ხარანაული

არჩილ სულაკაურის ხსოვნას

გამორჩეული და ღირსეული პიროვნების სიკვდილი ყოველთვის დიდ ტკივილად გახმიანდება ხილმე ადამიანის სულში, მით უფრო, თუ ასეთ პიროვნებასთან თანამშრომლობისა და ერთად ბრძოლის წლები გაკავშირებს, მაგრამ ეს ტკივილი ბევრად მძაფრია და გაუსაძლისი, თუ ამ სიკვდილთან შეჩვევაც ვერ მოასწარი. როდესაც არჩილ სულაკაურის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი შევიტყე, სწორედ ამ მძაფრმა და გაუსაძლისმა ტკივილმა ამავსო.

აღარ არის ჩვენთან შესანიშნავი ქართველი მწერალი, იმ ნაწარმოებთა შემქმნელი, რომელთაც არა მარტო გამოხატეს ჩვენი დროის წამყვანი ტენდენციები, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს კიდეც ჩვენი მწერლობისა და ჩვენი ყოფის განვითარების ესა თუ ის გზა, არჩილ სულაკაურის სახით ჩვენ მხოლოდ განუმეორებელი პიროვნება კი არ დაგვაკლდა და არც მხოლოდ დიდი მწერალი, არამედ იმ მოლოდინის ჯადოსნური განცდაც, რომელსაც მუდმივად ველოდით ამ ღრმა ადამიანისაგან.

მისი ნაწარმოებები ჩვენი სულიერი საგანძურის ის სიმდიდრეა, რომელიც მუდამ აამაღლებს ბავშვებსაც და უფროსებსაც, მაგრამ ჩვენ მასთან უშუალო ურთიერთობის დანაკლისს მაინც ვერაფერი ვერ აგვინაზღაურებს.

როცა ჭეშმარიტი შემოქმედი მიდის ცხოვრებიდან, მისი ადგილი ყოველთვის შეუვსებელი რჩება.

ჩვენს სულს კიდევ ერთ უკურნებელ ტკივილად დააჩნდება არჩილ სულაკაურის ამ ქვეყნიდან წასვლა.

ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ მან პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის ნინაშე და იგი წინაპრებს სახელიანი და ხელდამშვენებული მიუვა.

ედუარდ შევარდნაძე
30.10.97 წ.

არჩილ სულაკაური

ქართულმა მწერლობამ, მთელმა ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი თვასაჩინო შემოქმედი დაკარგა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი არჩილ სამსონის ძე სულაკაური.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ამშვენებდა არჩილ სულაკაურის თავისთავადი, დახვეწილი და მაღალნიჭიერი შემოქმედება ქართული მწერლობის საგანძურს. მის ყოველ ნაწარმოებს მოუთმენლად ელოდა ქართველი მკითხველი, დიდიც და პატარაც.

არჩილ სულაკაური იმ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით განსაზღვრავენ ეროვნული ლიტერატურის დონეს, მთელი მისი შემოქმედება ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებითაა ნასაზრდოები და სამშობლოს სიყვარულითა და უკეთესი მომავლისადმი რწმენით არის გაჟღენთილი. მის პოეზიასა და პროზაში ადამიანი თავისუფლდება იმ არტახებისაგან, რომელშიც იგი ტოტალიტარულ რეჟიმს ჰყავდა მოქცეული. განთავისუფლების ეს პროცესი ხშირად ტრაგიკული იყო და ამაღლებული. არჩილ სულაკაურის მოთხრობები „ბიჭი და ძაღლი", „მტრედები", „ლუკა", „აბელის დაბრუნება", „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის", „წყალდიდობა" და მისი რომანები „ოქროს თევზი", „თეთრი ცხენი" სწორედ ამიტომ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. მისი ნაწარმოებების გმირები, თითქმის უკლებლივ, სიკეთის დამკვიდრებას ემსახურებიან. მწერლის სცენარების მიხედვით, არაერთი საინტერესო ფილმია გადაღებული. მის შემოქმედებას დიდი ინტერესით ეზიარა უცხოელი მკითხველიც.

შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, არჩილ სულაკაური ნაყოფიერ საზოგადოებრივ, მოღვაწეობას ეწეოდა. იგი მუშაობდა ჟურნალ „მნათობის" პროზისა და პოეზიის განყოფილების გამგედ და პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო შემდეგ, 1982 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – მთავარ რედაქტორად.

სათავეში ედგა გამომცემლობა „ნაკადულს" და როგორც დირექტორი, წარმატებით ემსახურებოდა ქართული საბავშვო წიგნის გამოცემას.

არჩილ სულაკაურის სახით საქართველომ დაკარგა სასიქადულო მამულიშვილი, შესანიშნავი მწერალი და ჭეშმარიტი მოქალაქე.

კიდევ ერთი ღირსეული კაცი შეემატა ზეციურ საქართველოს. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ი. ანდრიაძე, ვ. ასათიანი, ჭ. ამირეჯიბი, ა. გოგელია, კ. იმედაშვილი, თ. კვაჭანტირაძე, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, დ. მჭედლური, რ. მიმინოშვილი, ა. სანებლიძე, ე. შენგელაია, ზ. შენგელია, ბ. შოშიტაიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, გ. წერეთელი თ. წივწივაძე, რ. ჭეიშვილი.

ჩვენი არჩილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ; ქართველმა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არჩილ სამსონის ძე სულაკაური.

ნახევარი საუკუნის მანძილზე არჩილ სულაკაურის თვითმყოფადი და თავისთავადი შემოქმედება ამშვენებდა ქართული მწერლობის საგანძურს, ახალი ფერებითა და სახეებით ამდიდრებდა მას. ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ელოდა მწერლის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენას, რადგანაც იცოდა, რომ არჩილ სულაკაური იმ მცირერიცხოვან შემოქმედთა ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის დონეს. ამავე დროს მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი ნაწარმოები უკეთესი საქართველოს რწმენითა და იმედით იყო გამსჭვალული და იმ უკეთესი საქართველოს მოახლოებას ემსახურებოდა.

არჩილ სულაკაური დაიბადა 1927 წლის 15 თებერვალს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1946 წელს, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1951 წელს დაასრულა. 1951-1954 წლებში არჩილ სულაკაური სწავლობდა ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. მას შემდეგ იგი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. 1957-1973 წლებში მუშაობდა ჟურნალ „მნათობის" პროზისა და პოეზიის განყოფილების გამგედ და პასუხისმგებელ მდივნად. 1973-1982 წლებში სათავეში ედგა გამომცემლობა „ნაკადულს" და როგორც დირექტორი უშურველად ემსახურებოდა ქართული საბავშვო წიგნის გამოცემას, საბავშვო ლიტერატურის წინსვლასა და აყვავებას. 1982 წელს იგი მთავრ რედაქტორად დაუბრუნდა ჟურნალ „მნათობს" და გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ამ ურთულეს წლებში არჩილ სულაკაურს ცდა არ დაუკლია, რათა ჟურნალი „მნათობი" ჭეშმარიტი ფლაგმანი ყოფილიყო თანამედროვე ქართული მწერლობისა და ღირსეულად წარმოეჩინა მისი განვითარების დონე. მიუხედავად არნახული გაჭირვებისა, არნახული

სიძნელეებისა, არჩილ სულაკაურმა შეძლო „მნათობის" გადარჩენა და მისი სახის შენარჩუნება...

არჩილ სულაკაური სამწერლო სარბიელზე 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გამოვიდა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. დებიუტი ფეხბედნიერი აღმოჩნდა და პოეზიით განებივრებულ გემოვნებიან ქართველ მკითხველს ახალი, თვითმყოფადი შემოქმედის დაბადება ამცნო, შემოქმედისა, რომლის პოეზია ეროვნული ლიტერატურის ფესვებზე ამოზრდილიყო. ამავე დროს ეს პოეზია ნოვატორობის უტყუარი ნიშნითაც იყო აღბეჭდილი.

არჩილ სულაკაურის პოეზიის უპირველეს დანიშნულებას მშობელი ქვეყნის, მშობელი ერის უანგარო სამსახური წარმოადგენს. სწორედ ამ გრძნობითაა გაჟღენთილი მწერლის ყველა პოეტური კრებული — „ჩემი ქუჩის დღესასწაული", „ლექსები", „საგზალი", „ოთხივე მხრიდან", „შემოდგომის მზე"...

ამავე დროს ბრწყინვალე პროზა დაუტოვა სახსოვრად მშობელ ქვეყანას. მკითხველმა შეიყვარა მისი პირველივე მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", შეიყვარა მასში გამოკვეთილი მძაფრი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პათოსისათვის, რაც მთელი მისი შემოქმედების ლაიტმოტივს წარმოადგენდა.

არჩილ სულაკაურის მოთხრობები („ბიჭი და ძაღლი", „მტრედები", „ლუკა", „აბელის დაბრუნება", „ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის", „წყალდიდობა"...) და რომანები („ოქროს თევზი", „თეთრი ცხენი") სამართლიანად დამკვიდრდა ქართული მწერლობის საგანძურში.

არჩილ სულაკაურის ნაწარმოებების გმირები, ფსიქოლოგიურად დამაჯერებლად გამოკვეთილი პერსონაჟები, რომელთაც ზნეობრივი ტვირთის ზიდვა აკისრიათ, თითქმის უკლებლივ სიკეთის დამკვიდრებას ემსახურებიან. მათი ზნეობა ეთიკის სიღრმიდანაა ამოზრდილი.

დინჯი, დაკვირვებული თხრობის მანერა, ნათელი, გამჭვირვალე სტილი, ფაქიზი ენობრივი ქსოვილი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მწერლის შემოქმედებით გამარჯვებებს.

ქართველი ბავშვების სამაგიდო წიგნებად იქცა არჩილ სულაკაურის ზღაპრები „სალამურას თავგადასავალი" და „ჯადოსნუ-

რი კაპა", რომლებშიც სამყაროს ზღაპრული, პოეტური აღქმა კარგადაა შენივთებული რეალურ სინამდვილესთან. სწორედ ამ გარემოებამ დიდებისთვისაც ფრიად საყურადღებო გახადა ეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. არჩილ სულაკაურის სცენარების მიხედვით არაერთი საინტერესო მხატვრული ფილმი გადაიღო კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა"

არჩილ სულაკაურის მრავალფეროვან და მრავალწახნაგოვან შემოქმედებას ინტერესით ეზიარა ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, რუსი, უნგრელი, ჩეხი, ბულგარელი, პოლონელი მკითხველიც.

არჩილ სულაკაურის შემოქმედება წარმოადგენს XX საუკუნის მინურულის მოაზროვნე მოქალაქის დაფიქრებას სამყაროზე, ადამიანის სულის გადარჩენაზე, ზნეობაზე, ბოროტისა და კეთილის მარადიულ ბრძოლაზე. სწორედ ბოროტების, უზნეობის და უხაშსობის წინააღმდეგაა მიმართული დიდი მხატვრული ძალით აღბეჭდილი პოემა არჩილ სულაკაურისა „ანდერძი", რომელშიც ძალუმად გამომჟღავნდა მწერლის მოქალაქეობრივი მრწამსი.

არჩილ სულაკარი დიდი პიროვნება გახლდათ, დინჯი, დარბაისელი, მუდამ სამშობლოს ბედზე დაფიქრებული...

მისი ღვაწლი, სამშობლოს ერთგული შვილის ღვაწლი, ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია — უპირველესი და უძვირფასესი ჯილდო ყველა ქართველი შემოქმედისათვის. გულით გაუხარდა, როცა მის უამრავ ჯილდოებს ამასწინათ ღირსების ორდენი — თავისუფალი და სუვერენული საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ორდენი შეემატა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

დიდია ჩვენი მწუხარება, ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ამიერიდან მისი სული ზეციურ საქართველოს შეუერთდება და იქიდან დაიცავს მის სათაყვანებელ სამშობლოს.

ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, ზაზა აბზიანიძე, გივი ალხაზიშვილი, გურამ ბენაშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გეგეშიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ გვერდწითელი, ვაჟა გიგაშვილი, ნოდარ გურეშიძე, გურამ დოჩანაშვილი, შოთა ზოიძე, ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თვარაძე, ჯუმბერ თითმერია,

კობა იმედაშვილი, ოტია იოსელიანი, ანა კალანდაძე, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, თამაზ კვაჭანტირაძე, ემზარ კვიტაიშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, მურმან ლეჩანიძე, დათო მაღრაძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრელაშვილი, დავით მჭედლური, გიორგი ნატრიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ანზორ სალუქვაძე, ლია სტურუა, მიხეილ ქვლივიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ნუგზარ შატაიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, ნუგზარ წერეთელი, თამაზ წივწივაძე, გიორგი ციციშვილი, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, ვახტანგ ჭელიძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, ბესიკ ხარანაული, მირონ ხერგიანი, ვახტანგ ჯავახაძე, რევაზ ჯაფარიძე, ჯემალ ჯაყელი.

თავისუფლების კულტის მსახური

არჩილ სულაკაურმა ამქვეყნიური არსებობა ისე მოულოდნელად დაასრულა, რომ ტკივილმა ვერ მოასწრო მის სხეულში შეღწევა.

ტკივილი ჩვენ დაგვრჩა მოსანელებლად.

ლიტერატურის სამყაროში დრო და არსებობა ფარდობითი ცნებებია და ღმერთმა უწყის, უფრო მეტი წილი არჩილ სულაკაურის არსებისა საიქიოს არის თუ სააქაოს. ყოველ შემთხვევაში, ამქვეყნად დარჩა მისი შესანიშნავი შემოქმედება, მისი ნაღვაწი, სახელი, კაიკაცობა — საუკუნო სიცოცხლის გარანტია.

სიცოცხლისა და თავისუფლების კულტის დამკვიდრებას ემსახურება მისი სიტყვა ტოტალიტარიზმის ზნეობის პერიოდიდან დღემდე და დღეის იქითაც.

ვინც მას ახლოს იცნობდა, არ შეიძლება არ შეემჩნია, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა მისი ბედისწერა, მისი შინაგანი პასუხისმგებლობა, მისი მემკვიდრეობითი ვალი იყო და კიდეც მთელი არსებით, ჯიუტად მიემართებოდა თავისუფლებისაკენ, როგორც ბიბლიური დევნილი აღთქმული ქვეყნისაკენ და ამ ძნელ, ეკლიან გზაზე ნამითაც არ დაუკარგავს რწმენა, არ გასჩენია ეჭვი და უიმედობა, მისი გადამდები ოპტიმიზმის წინაშე უძლური იყო ყოველგვარი სკეფსისი და „რეალისტური" კომფორმიზმი.

არჩილ სულაკაურის სულიერი წყობა ყოველმხრივ ამჟღავნებდა ბუნებრივ კავშირს წინაპართა ზნეობრივ ტრადიციებთან და ამიტომაც იყო შინაგანად მტკიცე, უკომპრომისო, ღირსებით აღსავსე, სხვისი ღირსების დამფუძნებელი. ისე უფრთხილდებოდა ადამიანურ ფასეულობებს, როგორც პოეტურ სტრიქონს. ის იყო კაცი, რომელიც გამუდმებით თავის თავს ეძებდა და ჰქონდა იმის უნარიც, რომ გამოეხატა პოვნისა და მიგნების უჩრდილო ბედნიერება.

არჩილ სულაკაური ერთნაირი შემართებით მოღვაწეობდა როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ, აქედან გამომდინარე, ორი ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია, მწერლობა და საზოგადოება არ დაუყვია სხვადასხვა სფე-

როებად, არ გაორებულა, ერთი იყო მისი მრწამსი, მთლიანი იყო მისი ბუნება, და მხოლოდ სიკვდილმა შეძლო მისი არსების განწვალება: მარადისობაშია მისი ნათელი სული, ამქვეყნად მისი ნათელი სიტყვა.

ლიტერატურული გაერთიანება „ოტარიდი“

ახლაც გადაუღებლად წვიმს და თქვენ მიბრძანდებით, თქვენი საგზალი მიგაქვთ დასავლისაკენ, თანაც ხელი ჩაგიკიდიათ წვიმისათვის და ქუჩაში უმცროს დასავით მიგყავთ.

თქვენი საგზალი კი სამშობლოსთვის ვალში დაბრუნებული, ერთი ნაკითხვით დასამახსოვრებელი და ამღერებული ლექსებია, სალამურაა, ჩვენს პატარებს რომ ასდევნებია კეთილ სულად, თქვენი ლუკაა, თქვენი მთაწმინდა და მტკვარია, ზემოთუბანი და ქვემოთუბანია, შუაბაზარი და გარეთუბანია, ელია და ჩულურეთია, ღვინის აღმართი და ბამბის რიგია, მეტეხი და ნარიყალაა, ჩულურეთის ნითელკრამიტიანი სახურავებისა და მტკვარზე დაკიდული წისქვილების პოეზიაა, თითქოსდა სამუდამოდ რო გააქრო ულმობელმა ყოვლისდამამხობელმა დრო-ჟამმა და თქვენმა კალამმა შემოუნახა შთამომავლობას.

არადა, ვითომცდა არ იცოდით, ამას რა ერქვა, როცა ეს ყველაფერი იქვე იყო, თქვენს გვერდით და, აფორიაქებული და შეწუხებული ამბობდით, — ახლავე მივდგებ-მოვდგები, მაცალე, ვიდრე მოვკვდები, ვალი გადავიხადოო.

თავი მევალედ წარმოგედგინათ და მთელი სიცოცხლე ცდილობდით მის გადახდას, როგორც ურჩი და გაკერპებული მევალე კი არა, არამედ დღენიადაგ აწრიალებული, დარდიანი, წუხილიანი, რათა რაც კი კარგი და ჩინებული გაგაჩნდათ, ის მიგეტანათ სამშობლოს ვალად თუ ტარიგად.

რა დიდი ინტერესით ვეცნობოდით თქვენი უმცროსი თანამოკალმენი გაზეთ „ლიტარატურული საქართველოს" „ოტარიდის" წევრებით წარმოდგენილ ნომრებში, რომლის ერთი საჩინო წევრთაგანიც თქვენ ბრძანდებოდით, თქვენი მოთხრობის „კერპთაყვანისმცემლების" ცალკე თავებს და ვხვდებოდით, რომ პაროდიითა და გროტესკით შეზავებული, საკმაოდ უჩვეულო, ამასთან საჭირბოროტო ამბავიც მიგეტანათ მამულის ვალში და იმასაც ვგრძნობდით, სიბერე შორს გახლდათ თქვენგან — ეს ხომ ლომის ნახტომი იყო, რომელიც ვაი, რომ გედის სიმღერად იქცა, ნეტავი, თუ გაასრულეთ მაინც?..

ახლა კი, თქვენი ვალი გადახდილია, გადაუღებლად წვიმს და

მიბრძანდებით, თქვენი საგზალი მიგაქვთ დასავლისაკენ, თანაც ხელი ჩაგიკიდიათ წვიმისათვის და ქუჩაში უმცროს დასავით მიგყავთ.

ჩვენ კი მეტი რა დაგვრჩენია, სხვა რა ძალგვიძს, მხოლოდ თქვენეულ სიტყვებს თუ დაგადევნებთ:

— ღმერთო, ძლიერო, უბოძე ძალა, რომ აიტანოს დუმილით სავსე სიცარიელე, მკვდრის მზე და ვერცხლისფერი მიდამო!..

ცისკრელები

ჩინებული მწერალი და ჩინებული კაცი

უფალმა ინება, არჩილ სულაკაური შემოქმედი ყოფილიყო და მიამადლა ნიჭი სახით მეტყველებისა. კაცობის მადლიც სცხო.

უფლის ნებით მადლცხებულმა არჩილ სულაკაურმა ამ წუთისოფელში შვიდი ათეული წელი დაჰყო და ჩინებული მწერლის სახელი დაიმკვიდრა.

ჩვენ, ნაკადულელებს, საყმაწვილო წიგნის ჭირისუფალთ, წილად გვერგო, შვიდი ათეული წლიდან ერთი ათეული წელი არჩილ სულაკაური ჩვენი გზის მაჩვენებელი, ჩვენი მეთაური ყოფილიყო.

იმ დროს წიგნი უფრო გაუჭირვებლად იწერებოდა, ვიდრე გამოიცემოდა. ყველაფერი მოსაპოვებელი იყო, დაწყებული გამოცემის უფლებიდან გავრცელების უფლებით დამთავრებული. არაფერს ვამბობთ წიგნის საშენ მასალასა და პოლიგრაფიაზე.

მეთაურის დიდი ძალა, ენერგია, დრო მიჰქონდა თათბირიდან თათბირზე ნანწალს, გაუთავებელ სხდომებს, უაზრო კრებებს...

ვიცოდით, რომ არჩილ სულაკაურს ეჯავრებოდა წარამარა სიარული თათბირებსა თუ კრებებზე, თუმც არასოდეს დაუჩივლია. ერთხელ საუბარში ნამოსცდა, თათბირზე რომ ვზივარ, მე ჩემს საფიქრალს ვუტრიალებო.

რა იყო მისი საფიქრალი?

იგი ფიქრობდა, როგორ, რა გზით დამკვიდრებულიყო ადამიანური ღირსების გრძნობა და ეროვნული თვითშეგნება ყმაწვილთა ცნობიერებაში. ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ ბავშვობიდანვე უნდა ჩაფენოდა საფუძველი ადამიანში ადამიანურ და ეროვნულ ფასეულობებს.

ასამდე თანამშრომელი დავუხვდით „ნაკადულში" არჩილ სულაკაურს. ყველას ჩვენეული ხასიათი, ჩვენეული ცნობიერება გვქონდა ჩამოყალიბებული. თვითონ არ იყო ჩვეული ამდენ ადამიანთან მუშაობას. მცირე ჯგუფი ესადაგებოდა მის ბუნებას.

ასი კაციდან ზოგს პირადად იცნობდა, ზოგს პირველად შეხვდა, ამას ხელი არ შეუშლია, ყველას ერთგვარად შეხვედროდა, არ გაურჩევია ძველი თუ ახალი ნაცნობი. მალე გაეცნო საქმეს. გაერკვა სიტუაციაში, მიდგა, მოდგა, თავისი აზრი ჩამოუყალი-

ბდა ყოველ ჩვენგანზე. თანდათანობით გამინაყრდა. რამდენიმე თვეში იცოდა, ვინ რაზე წუხდა, ვის უქირდა და ვის ულხინდა.

მალე მიხვდა, რომ ას კაცში ერთი არ იყო, თავისი საქმე არა ჰყვარებოდა, კეთილსინდისიერად არ გარჯილიყო.

საქმისადმი სიყვარული ადამიანის დიდი ღირსებაა და არჩილ სულაკაურმა სნორედ ამ ღირსებაზე დაყრდნობით წარმართა ჩვენთან ურთიერთობა. ამიტომაც შევიყვარეთ იგი.

ჩვენგან რომ წავიდა, თავის საყვარელ ჟურნალ „მნათობს" დაუბრუნდა. ძალიან დაგვენანა. გული დაგვეთანაღრა. ვიტირეთ, დამშვიდობებისას თვითონაც ცრემლები მოერია. შეგვეჩვია, შევეჩვიეთ და სულაკაურად კი არა, სულაქაურად ვიხსენიებდით.

მაშინდელი დამშვიდობება მართლა დამშვიდობება არ ყოფილა, ისევ ისევე ვხვდებოდით, ისევ ისევე ვსაუბრობდით საერთო სატკივარზე.

ახლა კი მართლა დაგვემშვიდობა, სულთა სამყაროს გზას გაუდგა. ჩვენ ვტირით და გზას ვულოცავთ მარადიულობისაკენ მიმავალ საყვარელ არჩილს.

ნაკადულელები

გამოსათხოვარი

... არჩილ სულაკაური შესანიშნავად უთავსებდა მაღალმხატვრულობაზე ზრუნვას პროფესიონალი მწერლის საქმეს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის იყო დახვეწილი ესთეტი, უნატიფესი გემოვნების მწერალი — პროზაიკოსი, პოეტი, ესეისტი და, ამავე დროს, კაცი, რომლის ზნეობრივი სახე და სიტყვა ქვეყნის ბედ-იღბალს განსაზღვრავდა.

არჩილ სულაკაური წლების მანძილზე რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს". მისი ხელშეწყობით არაერთმა ნიჭიერმა პოეტმა თუ პროზაიკოსმა გაიკაფა გზა და დაბეჭდა ჟურნალის ფურცლებზე საინტერესო ნაწარმოებები. არჩილ სულაკაურის სამყარო მდიდარია და მრავალფეროვანი. მან სრულიად თავისებური გმირი შემოიყვანა ქართულ ლიტერატურაში — კეთილშობილი, სიცოცხლეზე შეყვარებული და ფაქიზი სულიერებით აღსავსე. ეს იყო რეალური, ცხოვრებისეული გმირი... არჩილ სულაკაურის ფრაზა უაღრესად მრავალფეროვან ემოციურ რეგისტრებს და ელფერებს აღბეჭდავს. მის მოთხრობებში ფაქიზი ემოციურობით შეფერილი შტრიხები პერსონაჟების სახასიათო ფსიქოლოგიურ შტრიხებს ერწყმის...

... ის იყო სულით ხორცამდე მწერალი, მხატვარი, სიტყვის უდახვეწილესი ოსტატი. მისი ღრმა ცხოვრებისეული და ესთეტიკური გამოცდილება ნატიფად არის განფენილი მის მცირე თუ ვრცელ მოთხრობებში, რომანებში, ლექსებში, წერილებში... იგი მძაფრად გრძნობდა სულიერი და უსულო ფორმების დინამიურობით სავსე არსებობას, ნატიფ პლასტიკას, სინათლის ხარისხს, შუქ-ჩრდილებს, ნახევარტონებს. და რაც მთავარია, სიტყვის მგძნობიარე ბუნების იშვიათობით ყოველივე ამას სიცოცხლეს შთაბერავდა ... მის ნაწარმოებებში მკაცრი ცხოვრებისეული რეალობის ფონზე ჩანდა შინაგანად სუფთა, ზნეობრივი გმირის სახე... ამ მრწამსისათვის არჩილ სულაკაურს არასოდეს უღალატია. მისი გმირი, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლეზე და ადამიანობაზე უსაზღვროდ შეყვარებული სულგრძელი კაცია. ასეთი იყო თვითონ.

ამ ზნეობრივ მაგალითზე გაიზრდებიან მომდევნო თაობათა მკითხველები.

„კავკასიონი" — „არილი"

"ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ჟღალი მიმინო"

მოულოდნელად გარდაიცვალა არჩილ სულაკაური. თავისი ამ ქვეყნიდან წასვლით ამ შესანიშნავმა მწერალმა თან წაიღო რაღაც ძალზე ძვირფასი და ენით აუწერელი, ე. წ. 60-იანელთა მონაპოვარს რომ წარმოადგენდა. ეს იყო რომანტიკასთან შერწყმული ნოსტალგია, წიგნიერებასთან შენივთებული მედიტაცია, რეალიზმთან გაშუალებული მეოცნებეობა...

არჩილ სულაკაური ურბანისტი გახლდათ — მის შემოქმედებაში ქალაქი განსაკუთრებული განცდით სუნთქავს. მწერლისათვის ჩუღურეთი მხოლოდ თბილისის ერთი უბანი კი არა, მთელი სამყარო იყო, რომელსაც მდინარე მტკვარი ანიჭებდა სასიცოცხლო ენერგიას, დროის მდინარებასა თუ წარმავლობის სიმბოლურ მნიშვნელობას. მაგრამ იმავდროულად მდინარეს მუდამ აჩნდა უცვლელობისა და მარადიულობის დაღი.

არჩილ სულაკაური იშვიათად სტაბილური მწერალიც იყო, რაც პროფესიონალიზმის უდავო ნიშანია. იგი თანაბრად მოღვაწეობდა პროზაშიც და პოეზიაშიც, მაგრამ პროზაც და პოეზიაც მისთვის მხოლოდ მწერლობის სახეობები კი არა, თვითგამოხატვის ფორმები იყო. ესეც 60-იანელთა დამახასიათებელი თვისებაა, რაც არჩილ სულაკაურის შემოქმედებას ასე ანათესავებს მისი თანათაობელების ხელოვნებასთან.

მის შემოქმედებაში თანაარსებობდა რომანი და ზღაპარი, მოთხრობა და მითი, მას მუდამ იზიდავდა ზღაპრის პოეზია და პოეზიის ზღაპრულობა. მითოსი მისთვის მართლაც სამყაროს მოდელი იყო — ზღაპარი ხომ ეთიკური ფორმულაა. მითით იგი სიტუაციას განმარტავდა, ზღაპრით გვმოძღვრავდა. ამას ჯერ კიდევ ოტია პაჭკორიამ მიაქცია ყურადღება.

არჩილ სულაკაურმა მართლაც რამდენიმე ანთოლოგიური პროზაული ოპუსი დაგვიტოვა: "ოქროს თევზი", "ნყალდიდობა", "აბელის დაბრუნება", "ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", "მტრედები", "გაბო", თუ "ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის" და სხვა. ეს ის სიმაღლეებია, რომელთანაც სწორება ძნელად შესძლო შემდეგი თაობის ქართულმა პროზამ. "სალამურას

თავვადასავალიც" (რისთვისაც მას რუსთაველის პრემია მიანიჭეს) ლიტერატურული ზღაპრის შესანიშნავი ნიმუშია. რაც შეეხება პოეზიას, არჩილ სულაკაურმა ქართულ პოეზიას რამდენიმე ნარუშლელი ლექსი დაუტოვა. ბოლოს კი ინკოგნიტოდ ალა ვიიონისეული "ანდერძიც" დაწერა და ბევრი მითქმა-ბოთქმის შემდეგ მაინც გამოამჟღავნა თავი. ეს ქართული მწერლობის ერთ-ერთი ნარმატებული მისტიფიკაცია იყო. არჩილ სულაკაურმა მკითხველს თავი განსაკუთრებით ერთი ლექსით დაამახსოვრა, რომლის ეს სტრიქონიც "ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ჟღალი მიმინო" — ლამის მთელი მისი თაობის სავიზიტო ბარათად იქცა. ახლა კი მართლაც გაფრენილა მისი ჟღალი მიმინო... გაფრენილა კი?!

ზაზა აბაშიძე

გმადლობთ, ძმაო არჩილ!

„ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ყლეული მიმინო.“.
ა. სულაკაური

გმადლობ იმისთვის, რომ ქართველ ერს ეკუდავი პოეზია და პროზა დაუტოვე; გმადლობ, რომ მრავალ ადამიანს ვაჟკაცობის, მოქალაქეობისა და საშობლოს პირუთვნელი სამსახურის მაგალითი უჩვენე; იმისთვისაც გმადლობ, რომ სულაკაურთა სახელოვანი გვარის სინდის-ნამუსი ღირსეულად ატარე და მას კიდევ ერთი საამაყო სახელი შესძინე; დიდი მადლობა, რომ ჩემი სამწერლო გზის პირველი დამლოცავი და მოამაგე ხარ.

ქართველი და უცხოელი მკითხველისთვის არაერთხელ მიამბია, მაგრამ აქაც უნდა გავიმეორო, რომ ჩამომავლობამ იცოდეს, როგორი უნდა იყოს ადამიანი, როგორი იყავი შენ ახალგაზრდობაში და მთელი სიცოცხლის მანძილზე.

თექვსმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ 1959 წლის დეკემბრის ბოლოს დაებრუნდი, იანვრის დასაწყისში „მნათობში“ პატარა მოთხრობა წავიღე. დერეფნის პირველივე კარი შევაღე. ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩემს კითხვაზე, — მოთხრობა მოვიტანე, ვის უნდა მივმართო-მეთქი, არჩილ სულაკაურთან მიმასწავლა, — პროზის განყოფილების გამგეაო. შევედი, ვიკითხე, — ბატონი არჩილ სულაკაური რომელი ბრძანდებით-მეთქი? შუატანის, გაცრეცილ, ნაცრისფერპალტოიანმა, წასასვლელად გამზადებულმა, ახალგაზრდა კაცმა მითხრა, — მე გახლავართო.

ვაცნობე, რისთვისაც ვიყავი მისული, მითხრა, — დატოვეთ, ორი კვირის შემდეგ მობრძანდითო. პალტოს უბიდან მოთხრობა ამოვიღე, მაგიდაზე დავუდე. მოკეცილი ქაღალდი გადაიშალა, არჩილმა თვალი შეავლო, ავტორის გვარსახელი წაიკითხა და მკითხა, — რომელი ჭაბუა ამირეჯიბი ბრძანდებით? მივუგე, — სეხნია არა მყავს-მეთქი. დაბრძანდითო, თავადაც დაჯდა და კითხვას შეუდგა, რამდენიმე ადგილი ხელახლა გადაიკითხა, თავი ასნია და მითხრა:

— მწერალი ყოფილხარ, ძმაო!

„მნათობის“ რედაქტორი მაშინ ბატონი სიმონ ჩიქოვანი იყო. არჩილმა მოთხრობა წაულო, ნახევარი საათის მერე დაბრუნდა ვიზით, — „დაიბეჭდოს პირველ ნომერში ს. ჩიქოვანი“. იანვრის პირველი რიცხვები იყო და პირველი ნომერიც კაიხნის აწყობილი. არ ვიცი, არჩილმა ვისი რა ამოიღო, მაგრამ ჩემი პირველი მოთხრობა ათას ცხრაას სამოცი წლის პირველ ნომერში გამოაქვეყნა...

ამ ორი თვის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ სამოცდაათი წლისთავი მივულოცე. რა ვიცოდი, რომ ამ წერილსაც მალე დავწერდი!

ეს წელინადი მწერლების სამგლოვიარო წელიწადია. ჯერ ზაურ ბოლქვაძე წავიდა, მერე გურამ ფანჯიკიძე, ახლა არჩილ სულაკაური, არც ჩემი ჯერია შორს.

იქ გავაგრძელოთ ჩვენი ძმობა, არჩილ სულაკაურო, დიდო კაცო, დიდო მწერალო, უებრო, ძმაკაცო და უსაყვარლესო პიროვნებავ!

რა ადრე და მოულოდნელად წახვედი, არჩილ!

ჭაბუა ამირეჯიბი

გემშვიდობები

გემშვიდობები...

რის მაქნისია ახლა რაღაც სიტყვების მიგნება, მერე მათი დალაგება და გამოქვეყნება?!

რა ხმას მოგაწვდენ, ვით აგიხსნი როგორ მიმაჩნდი?

მე ეს ყველაფერი მაღიზიანებს, იმიტომ, რომ რაც არ უნდა ვთქვა, ვერ მოვახერხებ შენს საკადრისს, შენს შესაფერისს.

ჩემთვის ყველაფერი იყავი, მეგობარიც და მასწავლებელიც, შენზე ვსინჯავდი ყოველ სტრიქონს, ყოველ საღებავს და ჩასაფრებული ვისმენდი რას მეტყოდი, რა ხმით, რა ინტონაციით გამომიტანდი განაჩენს.

ამ ოცდახუთი წლის მანძილზე თუ რამ დამინერია, ყველაფერს ჯერ შენ გაკითხებდი და მერე ვაძლევდი სიცოცხლის ნებას, იმიტომ, რომ მინდოდა შენსავით ზუსტად მიმეგნო თითოეული მარცვლისათვის, თითოეული განწყობისათვის.

ახლა ვერც ვერაფერს ვწერ და რომც დავწერო, ვის წავაკითხო? ან ვინ დარჩა ჩემს გარშემო, ვისაც ვენდობი?!

ყველა თავის თავს ტირის და მეც, ცოდვილი, ვტრიალებ ცოდვილთა შორის, რადგან ხვალ და ზეგ ისევ ისე მივეცემი ქვეყნის დინებას, ვითომც არაფერი არ მომხდარა...

— „ესეც ასე,
ჩაიარა დღემ,
ფანჯარასთან ისევ ისე წვიმს“...

დიდი მწერლების შორი-ახლო და მათთან ერთად მომინია ცხოვრება. ეს არ არის ცოტა, ეს ძალზე ბევრია!

შენც მიდიხარ, დიდი მწერალი და სპეტაკი მოქალაქე.

წვიმს... ფანჯრის მინას ფრინველი დაეჯახა და შევკრთი! იქნებ შენი ჟღალი მიმინო იყო ჩემდამი საყვედურებით გალუმპული, რომ სიცოცხლეშიც ვერ მოგაგე მოსაგებელი, რომ ყოველთვის ხვალისათვის ვდებდი შენს საფერებელ პურსა და მარილს...

მე შენ მიყვარდი, მიმაჩნდი და გერიდებოდი. შენც გიყვარდი და ამაყი ვარ ამით!

ნუ დამძრახავ, თუ ერთი ცრემლიც არ გადმომვარდა, მე, შენს

უხიაგ მონაეკესა და მეგობარს, ამ ცხოვრების ცბიერებითა და სიყალბით გაკერპებულს.

მშვიდობით!

მეც რიგში ვდგავარ!

რეზო ამაშუკელი

დიდი მიზეზი მნუხარებისა

სამწუხაროდ, ღამთავრდა ქართული მხატვრული სიტყვის კიდევ ერთი დიდი ხელოვანის ამქვეყნიური სიცოცხლე — დამთავრდა იგი დიდი შემოქმედებითი წარმატებების, საერთო აღიარებისა და მეგობართა თუ თაყვანისმცემელთა სიყვარულის უნეტარესი განცდების ჟამს. საერთო სულიერი კრიზისის ჩამოდგომის მიუხედავად, მისთვის ჯერ კიდევ მაინც არსებობდა მწვანე ახასხასებული სულიერების ოაზისი, არც თუ მრავალრიცხოვან უახლოეს მეგობართა და თანამოაზრეთა სახით, რომელთა ურთიერთობების სიმხურვალეშიაც იქარვებდა უზნეობით განაწამები ქვეყნის მასში გადმოსულ ტკივილსა და მწუხარებას.

მისთვის არასოდეს დამდგარა შინაგანი სიმყუდროვითა და ყოფითი კეთილდღეობით, თუნდაც წამიერი გატაცების ჟამი.

თხემით ტერფამდე პოეტი და ამიტომაც ვნებამოქარბებული მაქსიმალისტი, იგი იმ შემოქმედის „როლს“ ანსახიერებდა, რომლისთვისაც მიღწეული არასოდეს იყო საბოლოო მიზანი.

მუდმივი ძრწოლა და შინაგანი შემოქმედებითი განგაში მისი „ჩვეულებრივი“ არსებობის ლაიტმოტივს წარმოადგენდა.

მხოლოდ გამოცდილებით მიღწეული ვირტუოზულობისა და უმაღლესი რანგის ინტელექტის ბედნიერ შერწყმას შეეძლო ეშვა მნერლის უკანასკნელი ნლების მხატვრული შედევრები.

იგი ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, ვინც მძაფრი ანალიტიკური გონებით აღქურვილი ქვრეტდა დროის უსასტიკეს მოვლენათა დაფარულ აზრსა და შინაგან ბუნებას — გრძნობდა ისტორიული სინამდვილის საბედისწერო მაჯისცემასა და დრამატიზმს.

არჩილ სულაკაურის, როგორც, პოეტისა და პროზაიკოსის, როგორც მოაზროვნის, მსოფლმხედველობრივი სიმაღლიდან უნიკალური სიღრმითა და აქტუალობით გაცხადდა სიკეთისა და ბოროტების, სიმართლისა და უსამართლობის, სიცოცხლის აზრისა და სრული უაზრობის ფილოსოფიური არსი და მათი პერმანენტული შეუთავსებლობა.

საგულისხმოა უკანასკნელი ნლების ეროვნულ ტრაგედიათა მის სულში გახმიანების უჩვეულო სიმძლავრე.

მწუხარე მოლოდიებად ამოთქმული მონოლოგები გვარწმუნე-

ბეს, რა ღრმა და შემზარავია ჭეშმარიტი შემოქმედის სულში არეკლილი ეროვნულ-საზოგადოებრივი ტკივილები, რა წარმოუდგენლად დიდია მწუხარე პოეტის ლოცვა-აღსარების შინაგანი აზრი და მნიშვნელობა.

ეს არის სამშობლოზე და ადამიანის ბედზე მგლოვიარე იმ ჭირისუფლის მედიტაციები, რომელიც ღრმად ჩასწვდომია ქვეყნის უბედურების ფესვებს შეუგრძვნია და ბოლომდე გაუცნობიერებია ერისა და მასთან ერთად საკუთარი სულის ტრაგიკული ბედისწერა.

ეს შემოქმედის ის სიმაღლეა, საიდანაც პროტაგონისტი უკვე ერის სრულუფლებიან მსაჯულად გვეელინება, რათა აუწყოს მას (ერს) საკუთარი შეცოდებანი და სამართლიანად განსაჯოს მის უძღებ შვილთა დაფარული ცოდვა-ბრალი.

სწორედ ამგვარად აირეკლება ჩემს ცნობიერებაში არჩილ სულაკაურის სულიერ-ინტელექტუალური სილუეტი.

ალბათ, ბუნებრივია, განსაკუთრებული მონინება იმ პიროვნების მიმართ, რომელიც თუნდაც გარდაცვალების შემდეგ „გაიძულებს" ღრმად დაგაფიქროს მისი ამქვეყნიური არსებობის მაღალ დანიშნულებაზე იმ დიდ სულიერ მისიასა და ღვთისგან ბოძებულ სასჯელსა თუ ჯილდოზე მწერლის შემოქმედებითი სიცოცხლე რომ ჰქვია.

და ბოლოს:

ერთი დიდი მწერლით, ერის ერთი დიდი ჭირისუფლით ნაკლებია დღეს საქართველო.

აი, რა უნდა იყოს უპირველესი მიზეზი ჩვენი საერთო გლოვისა და მწუხარებისა.

გურამ ბენაშვილი

ამაგდარი

— ორჯერ ნავიკითხე, ღიმილით მითხრა და მაღლა შემართა ხელი: ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებათა“ ერთი ფრაგმენტის („დრო“) თარგმანს გულისხმობდა, ორიოდე დღის წინ რომ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“. სასიხარულო იყო ჩემთვის ეს სიტყვები, თუმცა პირველად როდი გავუხარებივარ თავისი ყურადღებითა და გულისხმიერებით. მახსოვს, რა დიდი ამაგი დასდო ჩემ თარგმანების გამოცემას, როცა გამომცემლობა „ნაკადულს“ ხელმძღვანელობდა და არც „მნათობის“ რედაქტორობისას მოუკლია ყურადღება მათთვის. თუმცა განა მარტო მე, ბევრ ქართველ მწერალს შეუძლია მადლიერების გრძნობით ჩამოთვალოს ბატონი არჩილის იშვიათი გულისხმიერების, ადამიანური სითბოსა და მზრუნველობის მაგალითები.

ეს სითბო ქარში მოშრიალე თავთუხებივით ამწიფებს მისი მშვენიერი მოთხრობებისა და ლექსების მშვიდ, სადა და დარბაისლურ სტრიქონებს, სადაც ყველაზე მკაფიოდ და კოლორიტულად იკვეთება მწუხარე და სევდიანი სამშობლოს საოცნებო მთაბარი, ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან შორეული თუ ახლობელი წინაპრების ნათელი სახეები და მღვრიე ნისლიდან მდუმარე მხედრებივით გამოდიან მამაპაპათა დაკოჟრილი ხელით ნაშენი ჩვენი უბერებელი ტაძრები და ჟამთა სიავით ნახევრად დაქცეული ციხეები...

ქართული მიწა, ქართული სული იყო მისი საფიცარი ხატი, კიდევ ერთი სიცოცხლე მიინავლა და ჩაქრა ამ ხატის წინაშე; კიდევ ერთმა სულმა შეაღო საუკუნო სამყოფლის კარი. ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

ბაჩანა ბრეგვაძე

რა გაძლევს!

არჩილ სულაკაურის ამ ქვეყნიდან წასვლა, ვით უფრო ასე უეცრად და საღსალამათის წასვლა, მთელი საქართველოს სანუგეშარი და საგოდებელია. ჩვენს ქვეყანას, ქართველ ერს, ეროვნულ კულტურას ერთი დიდი ადამიანი და მწერალი დააკლდა, დააკლდა კაცი, მართლაც სავსე ქართული ჰატიოსნებით, სინდის-ნამუსით, კეთილშობილი, სიყვარულიანი გულით. ასეთი, ამ ბუნებისა იყო იგი მაშინაც, როცა ბავშვობაში ჩულურეთში რიყეზე მეთევზეებს დასდევდა, მაშინაც, როცა ქაბუკი თავის გულისთქმას პირველ ლექსებს ანდობდა, მერეც და ახლაც, როცა მისი ხშირი ქათქათა ჭაღარა, დარწმუნებული ვარ, ჩემსავით გულში ნათელს ულვრიდა ყველას, არაკაცების გარდა.

ამ ქვეყნად დიდი და კეთილშობილი სულის ადამიანები საკმაოდ არიან, ღმერთმა ამრავლოს, მათშიც კი გამოირჩეოდა არჩილი, მე არ მახსოვს ჩვენი მეგობრობის ნახევარსაუკუნოვან მანძილზე მისი, თუნდაც უნებლიედ წამომცდარი არასათქმელი სიტყვა, შემთხვევით, მისდა უნებურად ჩადენილი საჩოთირო საქციელი. მშვიდი, წყნარი და კეთილი კაცი იყო, მაგრამ შემართებული და უკომპრომისო, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მანკიერების მიმართაც კი. გარდაცვალებამდე სულ ორი დღით ადრე „მერანში" სტუმრად მოსულ ქალაქის თავკაცებს გულმხურვალედ არწმუნებდა, რუსთაველის პროსპექტს ნუ წაართმევთ ფეხით მოსიარულეებს და კაფეების მაგიდებით ნუ ჩახერგავთო. თუ ვისმეს თბილისელი ეთქმის, პირველ რიგში არჩილი იმსახურებს ამას მარტო თავისი დიდი მოქალაქეობით, მწერლური და პიროვნული ღისრებით კი არა, არამედ იმითაც, რომ რაღაც გასაოცარი სიყვარულით უყვარდა მშობლიური ქალაქი, ეს ნათლად ჩანს მთელ მის შემოქმედებაში. მისი ბოლო თვეებსა და დღეებში დაწერილი მშვენიერი პროზაულ-პოეტური ჩანახატებიც ხომ სწორედ თბილისსა და თბილისელებს მიეძღვნა.

ასეთი ზნეკეთილი იყო არჩილი, როგორც პიროვნება, რაც ბევრმა, ვინც პირადად არ იცნობდა მას, შეიძლება არც იცოდეს, როგორც მწერალს კი მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, კარგად იცნობენ და ისიც იციან, რომ მისი შემოქმედება

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისა და პროზის ერთი ძვირფასი, მშვენიერი და გრანიტივით მტკიცე ქვაკუთხედია.იმიტომაც გვაქვს საგოდებლად საქმე ყველას, ლიტერატურისა და საქართველოს მოყვარულთ, რომ დაუმთავრებელი და დაუწერელი დარჩა არჩილის არაერთი ჩანაფიქრი, მშვენიერ ნაყოფად რომ მწიფდებოდა მასში.

ჩვენ კი, მის საძმოს, რა უბედურებაც დაგვატყდა თავს, ძნელი წარმოსადგენი არაა. ამ საძმოდან თითო-ოროლაღა შემოვრჩით, ადრევე დავიწყეთ დაკარგვა და ახლა არჩილიც წავიდა. ბოლო ხანს ხშირად იტყოდა, ედიშერი (ყიფიანი), სარგისი (ცაიშვილი), ნოდარი (დუმბაძე) მომენატრენო. ჰოდა, მიუვიდა კიდეც მათ. რა გაძლებს უამმეგობრებოდ ამქვეყნად! ხანდაზმულობის ყველაზე მწარე ტკივილი მეგობართა გამოკლება, სულაც უმეგობროდ დარჩენა ყოფილა, მაგრამ ამისი წამალიც არის. წუთისოფლის წუთისოფლობის წყალობით ჩვენც მალე მიუვალთ მათ.

გურამ გვერდწითელი

ერთადერთი გზა

ორმოცდახუთი წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ: ცხრამეტი წლისა ვარ, მეორე კურსის სტუდენტი. უნივერსიტეტის ვესტიბიულში ვდგავარ და არჩილ სულაკაურს ველოდები, „პირველი სხივისათვის" ლექსები მაქვს მიტანილი და შესარჩევად არჩილისათვის გადაუცია. აი, გამოჩნდა კიდეც და ჩემი ლექსებიდან ერთი არჩეული ლექსი გამომინოდა.

მე იმ დღეს, რა თქმა უნდა, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენ მთელი ცხოვრება ერთად უნდა გვევლო, რომ მე მისი ახლობელი და მეგობარი უნდა ვყოფილიყავი, რომ ბევრჯერ ჩუღურეთში მისი ძველი სახლის კიბეები უნდა ამევლო, რომ დღემდე ერთი ჭირითა და ლხინით უნდა გვეცხოვრა, რომ არაჩვეულებრივი მთხრობელისა და მეზღაპრისათვის მოჯადოებულს უნდა მესმინა და ახლა ცხარე ცრემლებით უნდა დამეტირა...

ცნობილი აზრია, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება სიკვდილის შესახვედრად მზადებაა. არჩილისათვის სიკვდილთან შეხვედრა მოულოდნელიც იყო და არც იყო მოულოდნელი. მან იცოდა, რომ „ო, როგორ ტყდება შიგნიდან ციხე, ადამიანიც ისე ინგრევა.... „ ციხე შიგნიდან გატყდა და ჩვენ დავკარგეთ არჩილ სულაკაური. უარჩილოდ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდება და ძალიან ძნელი იქნება.

ერთ ლექსში იგი ამბობს: ამასწინათ თამაზ ჩხენკელმა მითხრა — დროა, ბებერო, ჯოჯოხეთისთვის განემზადოო! მეც, სხვა რა გზა მაქვს, ვემზადები, უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე, ცეცხლს ვეფიცხებიო... არჩილ სულაკაური ცეცხლსაც ეფიცხებოდა და ამავე დროს ჩაუქრობელ ცეცხლსაც ანთებდა. ამ ჩაუქრობელი ცეცხლის პატრონისათვის, შემოქმედების ჯვარზე გაკრული წმინდა და ტანჯული სულისათვის, მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს — სამოთხის გზა, რომელიც მისი ჩაუქრობელი ცეცხლით გამთბარი ადამიანების გულზე გადის.

გივი გეგეჭკორი

სულ შენგანა მაქვს

შენ,
ერთადერთო ჩემო მამულო,
სულ შენგანა მაქვს,
რაიმე თუ მაქვს.
მომეცი ნება, რომ ვიხმაურო,
როგორც ბალახის ფესვებმა,
ჩუმად —

ამ სიტყვებში არჩილ სულაკაურის ცხოვრების ძარღვია გამონასკვული. ჩუმად ხმაური უზენაესი ნიჭია — ნიჭი შენივე ნაკლისა თუ ღირსების შეცნობისა, სხვათა წყლულების საკუთარ სხეულზე შეგრძნებისა. აქტიური გონება არ ყვირის. იგი რეაგირებს — რეაგირებს დაუყოვნებლივ და უგანგაშოდ. ამ თვისების წყალობით იქცა არჩილ სულაკაური ჩვენი ზნეობრივი ცხოვრების ნათელ გზამკვლევად.

ეროვნული ოდისეას გმირია არა მისი პროდუქტი, არამედ — შემოქმედი, არა შედეგი, არამედ — მიზეზი. ამიტომაც არჩილ სულაკაური ჩემი და ჩემი თაობისათვის არის არა ლექსების, მოთხრობებისა და რომანების უბრალო მთხზველი, არამედ ცხოვრების სტილი, მორალური სჯულმდებელი, ერის სულიერების, საზრისისა და სიბრძნის გამომხატველი.

მარკუს ავრელიუსი წერს — „კაცი იმდენი ღირს, რამდენსაც მისი საფიქრალი იწონისო". არჩილ სულაკაურის საფიქრალი მუდამ იყო ადამიანი. მისი პირველივე მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" ომსა და ნგრევას გვიხატავს. ოღონდ ეს არის არა საგნობრივი, არამედ სულიერი სამყაროს ნგრევა. ტრაგიკული დრამა გათამაშებულია არა ყოფიერების, არამედ ცნობიერების ავანსცენაზე. ორმოცდაათიანი წლების ქართულ პროზაში არჩილ სულაკაურმა გურამ რჩეულიშვილთან ერთად პირველმა ჩამოახია თავის გმირებს სოციალურ გრიმასად ქცეული გახევებული ნიღბები. ცნობილია, რომ ამგვარი სითამამე — ტაბუდადებული იდეოლოგიური კლიშეების გაუქმება, თავის დროზე დიდ რისკთან და სულიერ მამაცობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც არჩილ სულაკაურის შემოქმედებასთან შეხვედრა

მძიმე გამოცდაა — გამოცდა საკუთარი ნებისყოფისა და ზნეობრივი პოზიციისა. უნდა აღინიშნოს ამ უეჭველად დიდი კაცის ერთი თვისებაც — მის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში ძვირად შევხვდებით აუნონავ, ანაზდეულად დაცდენილ სიტყვას, თუმცა, თვითონ საკუთარ თავზე გაცილებით მოკრძალებული აზრისაა:

„ვერ მოვიშორე ტკივილი,
ვერ გავიცინე გულითა.
მხოლოდ ქუჩები დავცვითე
უაზრო სიარულითა".

არჩილ სულაკაურის „უაზრო სიარული" აზრისძიების მტკივნეული პროცესია, რომელიც მოულოდნელად შეწყდა. ამ პროცესის ღირსეული შეფასება მომავლის საქმეა. თუკი, რა თქმა უნდა, ჩვენმა ერმა ნერა-კითხვა საბოლოოდ არ დაივიწყა.

ზაზა გოგია

„... ვიღაცას, ალბათ! არ ჰყოფნის სითბო ან არ ენდობა ამ მზიან ამინდს...“

თქვენი ლექსის გმირივით ვზივარ ფანჯრის რაფაზე ძვლებამდე მზით ვერ გამთბარი და თქვენი დიდი შემოქმედებიდან სხვა არაფერი მომდის თავში.

ძია არჩილ, თუკი დღეს ვინმეს თქვენი სითბო მოაკლდა, თუკი დღეს ვინმეს თქვენი სითბოს გარეშე სხვათა სითბო აღარ ეყოფა — ეს თქვენი ძმის, ნოდარ დუმბაძის ოჯახია.

ამბობენ, დრო განკურნავსო ტკივილს — მონატრებას რა ეშველება? უახლოესი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის ტოლფასს და ზოგჯერ უფრო გაუსაძლისს.

მე თქვენით ვიკლავდი მამის მონატრებას, თქვენით ვიყავი იმედიანი. აკი გემუდარებოდით კიდევაც, როცა ძია სარგისს (ცაიშვილს) ვემშვიდობებოდით, უთქვენოთ სიცოცხლე ფასს კარგავს, გემუდარებით დიდხანს იცოცხლეთ, ნუ გაგვწირავთ ჩვენ, თქვენს შვილებს, ძმისშვილებს-მეთქი.

დღეს ჩვენ ვეღარ ვენდეთ მზიან ამინდს. ქეთინოს, მანანას, თათიას, ცირას, სოლიკოს, ბაოს, ლელოს, ლევანს, აღარ გვყოფნის სითბო.

„ერთი კაცი მიდიოდა
მოწყენილი ასე,
მეგობარი დაჰკარგოდა
წუთისოფლის გზაზე.“

წუთისოფლის გზაზე დაკარგული შენი მეგობრის შვილებს, ძია არჩილ, შენი მოწყენა მოგვენატრება.

ქეთინო დუმბაძე

მწარე სინამდვილეა!

რამდენიმე თვის წინ „ლიტერატურულ საქართველოში", რომელიც ისევ მთლიანად დაეთმო ოტარიდელებს, გამოქვეყნდა შენი ერთი უსათაურო ლექსი, რომელსაც ასეთი მინაწერი ჰქონდა „კაფე „თბილისის" ნოსტალგია" მახსოვს, ლექსმა, რატომღაც, თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, — ამაფორიაქა, შემაშფოთა რაღაცამ.

მინდა ლექსი უმნიშვნელო შემოკლებით (მომიტევებს შენი სული!) შევახსენო მკითხველს: „მოჩვენებაა თუ სიზმარი, სულერთია, რაც უნდა იყოს, მე ნათლად ვხედავ. მთვრალი ლანდი, — ცხადია, ჩემი, დაბორიალებს იმ კაფეში, რომელიც ახლა დანგრეულია, — დაბორიალებს... თამბაქოს ბოლით და ალკოჰოლით გაბრუებულ ინტერიერში, მაგიდებსშორის დადის, — დაბინდულ მზერით ეძებს მეგობრებს და ვერ პოულობს. ვერც იპოვნის, რადგან ისინი, დიდი ხანია, სხვაგან, ჩრდილების ქვეყანაში გადასახლდნენ და დაიმკვიდრეს სამკვიდრებელი... მათ ალბათ უკვირთ, რო არ ვეძებ იქ, სადაც წესით უნდა ვეძებდე"...

ლექსი თითქოს გაჟღენთილი იყო იმ ავის მომასწავებელი, საშინელი წინათგრძნობით, რომელიც ალბათ მალე უნდა აღსრულებულიყო... აღსრულდა კიდეც! შენ იპოვნე შენი მეგობრები და დასახლდი მათთან ერთად „სამუდამო მხარეში", — ჩრდილების ქვეყანაში...

ეს, სამწუხაროდ, არც მოჩვენებაა და არც სიზმარი, ჩემო არჩილ, ეს უკვე მწარე სინამდვილეა! მშვიდობით!

ანა კალანდაძე

ილიას კვალზე მავალი

რამდენიმე თვის წინ დაბადების სამოცდაათი წელი მივულოცეთ; ახლობლებმა, მეგობრებმა ორიოდე სიტყვით აღვნიშნეთ მისი დამსახურება მშობლიური მწერლობის წინაშე, თანადგომა და სიყვარული გამოვხატეთ, ახალი გამარჯვებები ვუსურვეთ შემოქმედებითი ყინითა და მომავლის გეგმებით აღსავსეს... დღეს კი, მოულოდნელი, თავზარდამცემი ელდის შემდეგ არჩილ სულაკაურის ძვირფას ცხედარს ვემშვიდობებით.

უცნაური რამ მოხდა: დაღუპვის წინა დღეს, 25 ოქტომბერს, დილით, დავურეკე და ვუთხარი, მინდა გნახო, შინ თუ იქნები-მეთქი. ესიამოვნა, არსად არ მივდივარ, ვზივარ და ვმუშაობო.

კარი თვითონ გამიღო, მისებურად გამიღიმა, სამუშაოდ მოწყობილ პატარა ლოჯიაში შემიძღვა. საწერ მაგიდასთან დავსხედით. ბევრ რაღაცაზე ვილაპარაკეთ. გამხიარულდა, გახალისდა.

ერთი კვირის წინ რუსულ ჟურნალში დაბეჭდილი ჯუზეპე ლამპედუზას ჩვენთვის უცნობი ბრწყინვალე მოთხრობა „ლიგია" გავატანე წასაკითხად და ახლა იმაზე ვეკითხებოდი, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა. გამეხარდა, რომ მასაც ძალიან მოსწონებოდა. ეტყობა, ადრევე ნაფიქრი ასეთი აზრი გამოთქვა — მოთხრობის ჟანრი გაცილებით ძნელია, გენიალური რომანები მსოფლიოში ბევრად მეტია დაწერილი, ვიდრე გენიალური მოთხრობებიო. არ შევკამათებივარ. მერე მითხრა, მეოცე საუკუნის მოთხრობებიდან ყველაზე უფრო ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა" მომწონს, ამაოების თემაზე მსგავსი არაფერი დაწერილაო.

ცოტა ხნით გრძელ, ღია აივანზე გავედით, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიას რომ გადაჰყურებს. არჩილის ხმაში სინანული ვიგრძენი:ადრე ძირს მშვენიერი ბაღი იყო, მაღალი ალვების მწკრივიც იდგა, ერთიანად აჩეხეს, გარაჟები და ეს ყაზარმასავით უსახური ბეტონის კორპუსი ააშენესო...

მართლაც საშინლად ამახინჯებდა გადასახედს გუდრონით გადალესილი ერთნაირი გარაჟები და ტლანქი, ჩაჟამებული შენობის ჩონჩხი.

ლოჯიის მომიჯნავე ოთახში, წიგნების თაროზე, არჩილისათვის ძვირფასი, გარდაცვლილი ადამიანების ფოტოებია გამწკ-

რივებული: პავლე ინგოროყვა, სიმონ ჩიქოვანი, ნოდარ დუმბაძე, ოტია პაჭკორია, სარგის ცაიშვილი... რა გულდასაწყვეტი, ძნელად შესაგუებელია, რომ მათ რიცხვს თვითონაც მიემატა.

სისადავე და უბრალოდ თქმის ხელოვნება იყო მისი სტილი. არასოდეს უძებნია მყვირალა სახელი და ზიზილ-პიპილები. სიცოცხლეში არავინ შეუნუხებია. პატივი და დიდება მომაგეთო. დაუცხრომლად იშრომა, იღვაწა ხმალამოღებულ ჭირისუფლად ედგა ქართულ სიძველეებს, ქართულ კულტურას, მათ აუგს არავის გააბედვინებდა. უნამუსოდ მიტაცებული შიდა ქართლი და აფხაზეთი მისი ერთი უმთავრესი სადარდელი და სატკივარი იყო. იმედი არასოდეს გადაუწურავს; ხშირად უთქვამს, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ჩვენი უძველესი მიწები უსათუოდ უნდა დავიბრუნოთო.რა დაგვავიწყებს, როგორი თავდადებით, რა ღირსეულად უძღვებოდა ასეთი გაჭირვების ჟამსაც ქართული მწერლობის უპირველეს ჟურნალს, დედაბოძად მიჩნეულ „მნათობს". მახსოვს, ერთხელ სიმონ ჩიქოვანის ხატოვნად ნათქვამი გაიხსენა: ყოველი ნომრის სასტამბოდ მომზადება ახალი სპექტაკლის დადგმასავით არისო. იქვე დაატანა — მაშინ ვერ ჩავწვდი ამ ნათქვამის მთელ აზრსა და მნიშვნელობას; მე თვითონ რომ მომიწია რედაქტორობა, მივხვდი, რამოდენა ტვირთი და პასუხისმგებლობა ყოფილაო.

არჩილ სულაკაურს მთელიარსებით ეჯავრებოდა გამოთაყვანებული ბრბოს მიერ აღზევებული, სიგიჟის ტალღებზე მოქანავე, გულისამრევად გაბერილი კერპები, ბოლო წლებში ჩვენდა ჭირად, ასე მომრავლებული, ქულების დამგროვებელი პოლიტიკანები და თავისი მძაფრად სატირული ლექსით, პროზით თუ პუბლიცისტური წერილებით მრავალ მათგანს ჩამოგლიჯა „ეროვნული მოძრაობის ლიდერის" ოსტატურად მორგებული ნიღაბი.

რაოდენ დასანანია, რომ დაუმთავრებელი დარჩა მისი დიდი, მეტად თავისებური, საუცხოო გროტესკით შეზავებული მოთხრობა „კერპთაყვანისმცემლები", რომელზედაც ასეთი გატაცებით მუშაობდა და რომელშიც ცრუ-პატრიოტთა, მუცლით მეზღაპრეთა დაუვიწყარი გალერეა შექმნა.

მემუარული ხასიათის ბოლო წიგნი „თბილისური ჩანახატები" (სამწუხაროდ, ვერც ამის დასრულება მოასწრო) ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, რაც ამ ჟანრში ქართულ ენაზე დაწერილა.

რამდენს გვპირდებოდა არჩილ სულაკაური ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუვლენელი უმდიდრესი შესაძლებლობებით, როგორ ამშვენებდა თავისი გაუბზარავი კაცობით, თავისი მრავალმხრივი ნიჭით ქართულ მწერლობას.

მისი ერთადერთი საფიცარი და სალოცავი საქართველო იყო. იგი დიდი ილიას კვალზე მავალი ჭეშმარტი მამულიშვილი გახლდათ — მართალი, პირში მთქმელი, უკომპრომისო და არჩილის ყველა ახლობელს სამუდამო ტკივილად დარჩება, რომ მისი სიკეთით, ადამიანთა სიყვარულით სავსე გულის ფეთქვა ასე საბედისწეროდ შეწყდა.

ემზარ კვიტაიშვილი

მშვიდობით, მაესტრო!

წლევანდელი ზაფხული და შემოდგომა თავზარდამცემი აღმოჩნდა. დრომ, საწუთრომ ზედიზედ სამი მძიმე ჭრილობა მომაყენა. ჯერ იყო და ძვირფასი ზაურ ბოლქვაძე მივაბარეთ დიდუბის პანთეონს. შემდეგ დაუდეგარი გურამ ფანჯიკიძის მოულოდნელმა სიკვდილმა გაგვაოგნა. ახლა არჩილ სულაკაურის ჯერ კიდევ თბილ ცხედარს დავსტირით. რა ვთქვა, რით ვანუგეშო ჩემი უმრნემესი ძმები გიგი და ლაშა სულაკაურები, როცა თავად მჭირდება ნუგეში და თანადგომა.

ბატონი არჩილი ჩემთვის დიდი ქართული მწერლობის ცოცხალი მოჰიკანი იყო. სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის მემკვიდრე და თანაგუნდელი. არჩილ სულაკაურის ქალაქური რიტმითა და ყოფით განათებული ლექსები, მოთხრობები, რომანები ფიქრისა და ოცნების საშუალებას გაძლევდა. მწერლური პროფესიონალიზმის საიდუმლოს გასწავლიდა. მისი ნათელი ნიჭის თაყვანისმცემელთა შორის, მეც ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ, ვინც ასე აფასებდა და ერთგულობდა ბატონი არჩილის შემოქმედებას სამი ათეული წლის მანძილზე.

ბევრი ლამაზი, დაუვიწყარი საღამო მახსოვს არჩილის გვერდით. ბიჭვინთა, გაგრა, სოხუმი... ძველი დიოსკურია, მისი ზურმუხტისფერი შემოგარენი.

ამ რამდენიმე დღის წინათ რუსთაველის გამზირზე შემხვდა ოპერის თეატრის წინ. გვერდით სტუმარი ქალბატონი მომყვებოდა, ერთმანეთი მოვიკითხეთ. ორიოდე სიტყვით ახლახან გამოქვეყნებული დიდი „სეფედავლეც“ ვახსენეთ, მერე მოვუბოდიშე.

— მაესტრო, სტუმარი ქალბატონის ტყვე ვარ, მაპატიე, მეჩქარება-მეთქი!

გამიღიმა, გადამკოცნა, სიგარეტანთებული მარჯვენა ხელი დამიქნია და თავისი ვერცხლისფერი ჭაღარით თვალს მიეფარა.

რას ვიფიქრებდი, უკანასკნელად რომ ვხვდებოდი. რა ვიცოდი, ჩემს უფროს ძმასა და მოძღვარს სულეთს მიმავალი თეთრი ცხენი უკვე შეკაზმული ჰყოლია და კოსტავას ქუჩის ბოლოს ელოდა.

ვუშველიდი კი?!

მშვიდობით, მაესტრო!

გენო კალანდია

მშვიდობით, ძმაო არჩილ!

გული დამძიმებულია მოულოდნელი, სრულიად დაუჯერებელი სიკვდილით! წარმოუდგენელია — აღარა გვყავს საყვარელი არჩილ სულაკაური — დიდი მნიშვნელობის კაცი ჩვენს ქართულ მწერლობაში, ჩვენს ქართულ კულტურაში, მთელ ჩვენს ქართულ საზოგადოებაში...

არჩილ სულაკაური მიდის და, ამავე დროს, სამუდამოდ რჩება ერის მეხსიერებაში, როგორც მაღალი მწერლური ზნეობისა და ურყევი საერო პრინციპების მამულიშვილი, კაცური ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობით შემკობილი პიროვნება, ამავე დროს ტოლერანტობის, უღალატობის, თავდადების გრძნობით დაჯილდოებული კაცი...

არჩილ სულაკაური იყო პიროვნება, რომელსაც საშიში კაცებისათვის შეეძლო პირში ეთქვა: — „მეფე — შიშველიაო!"

არჩილ სულაკაური ახლა სჭირდებოდა შეჭირვებულ თავის ქვეყანას, ახლა გვჭირდებოდა არჩილი ჩვენ, მის მეგობარ ქართველ მწერლებს, როგორც სიბრძნით დატვირთული კაცი და ქართული მწერლობის ჭკუისსაკითხავი მესვეურთაგანი...

სამუდამო ნათელი, ძმაო არჩილ, შენს სახელს!

მურმან ლებანიძე

ვნუხვართ!

ბატონ არჩილ სულაკაურს დავით კლდიაშვილის იუბილეზე შევხვდი რამდენიმე დღის წინ.

ჩვეული სიდინჯით ილაპარაკა დიდი მწერლის ღვაწლსა და დამსახურებაზე, მის შემოქმედებაზე.

საიუბილეო სუფრას აღარ დაელოდა, ბატონ თამაზ წივწივაძესთან ერთად ბათუმში მიემგზავრებოდა.

ხვეწნა-მუდარამ მაინც გასჭრა, გზად სახელდახელო სუფრა გველოდა.

რატომღაც მოწყენილი იყო. ღვინომაც ვერ აუშალა ლაპარაკის საღერღელი, ჩუმად ყოფნას ამჯობინებდა.

ორი დიდი დავითი, კლდიაშვილი და კაკაბაძე მარტო იმერეთის არ გეგონოთო, გაგვაფრთხილა, დედა მეც იმერელი ქალი მყავდა, აქაურობაც განსაკუთრებით ამიტომ მიყვარსო, თქვა და დაგვემშვიდობა.

როგორ ვიფიქრებდით, რომ ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა, უკანასკნელი გასაუბრება.

ნავიდა ჩვენგან ღირსეული, დიდი ძმა. ნიჭიერი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. კაცი — სავსე სიყვარულით, დახუნძლული სათქმელით და საფიქრალით.

დაგვიტოვა რუდუნებით შექმნილი მართალი წიგნები, დიდი სევდა, რომლითაც სავსეა არჩილ სულაკაურის მოთხრობები, ლექსები, მთელი მისი შემოქმედება.

ქუთაისი და ქუთაისლები თანაუგრძნობენ ქართულ მწერლობასა და არჩილ სულაკაურის ოჯახს დიდი დანაკლისის გამო.

უშურველი იყოს ბატონი არჩილისათვის მშობლიური მიწა, რომელზედაც იგი ამაყად დააბიჯებდა და უხაროდა, რომ ამ მიწის შვილი იყო.

თეიმურაზ ლანჩავა

სიკვდილი ვერ გაახუნებს

არჩილთან ჩემი მეგობრობის ხანგრძლივობამ ნახევარ საუკუნეს კი გადააჭარბა, მაგრამ ორი ათასი წლის ერთად შეხვედრამდე დრო მაინც არ გვეყო. გონებით ყველამ კარგად უწყის, რომ ყველა დაბადებული კაცი სიკვდილის კერძია, მაგრამ არჩილის ანაზდეულმა წასვლამ იმდენად დამზაფრა, გამაოგნა და სახტად დამტოვა, რომ მისი სიკვდილი ვერა და ვერ დავიჯერე. აზრი, რომ ველარასოდეს შევხვდები, ვნახავ და გავიხარებ, გულისჩამწყვეტი, მტანჯველი და დამთრგუნველია. კარგად მესმის, რომ ის რაც ღვთის განგებით წაიშლება და დაინთქმის სამუდამოა, აღარასოდეს განმეორდება და აღდგება, მაგრამ აფორიაქებულ გონებას ამისი დაჯერება არ უნდა. არჩილის სიკვდილი ლახვარივით მომხვდა გულში, რადგან იმწამს, უნივერსიტეტის ბაღში, მწვანედ შეღებილ სკამთან, ამ ორმოცდაათი წლის წინანდელი სურათი გამახსენდა, დიახ, ჩვენ ერთმანეთი თანაკურსელებმა გაგვაცვნეს. კარგად მახსოვს შოთა ვადაჭკორიამ ჩვენი გაცნობისას რატომღაც ასეთი სიტყვები წარმოთქვა — „შეყვარებული პოეტი არჩილ სულაკაური". ჩემს ნინ 18-19 წლის ლაზათიანი გარეგნობის, ინტელიგენტური შესახედაობის ყმანვილი იდგა. იგი ჩემზე ოდნავ დაბალი იყო, კარგად ჩაკუნთული, მომღიმარი. ჩვენი გაცნობა ძია გიორგის (ტანც გეურქას) დუქანში აეღნიშნეთ, მელიქიშვილისა და პეტრიაშვილის ქუჩები რომ ერთმანეთს კვეთს, დაბლაჩასასვლელ სარდაფში. ქეიფის სურვილი და მადა იცოცხლეთ, კარგი გვქონდა. თელავის ჩამოსხმა, ნითელი ხუთი ნომრით აღვნიშნეთ და განვამტკიცეთ ჩვენი სამარადისო ძმობა. სიმღერაც კი ვცადეთ, მაგრამ ხმები ვერ შევანყეთ, არ გამოვიდა. ფული არც ერთს არ გაგვაჩნდა, მაგრამ ძია გიორგიმ სტიპენდიის მიღებამდე თავის რვეულში ჩაინიშნა ჩვენი დანახარჯი.

არჩილს მერე მწერალთა კავშირში ვხვდებოდი, 1967 ნლიდან კი „მნათობში" კარგა შვიდი ნელინადი მოვათიეთ ერთად. ამას თან მოჰყვა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის სისტემაში მუშაობა. არჩილი ამ დროისათვის უკვე აღიარებული, ცნობილი პოეტი და მწერალი გახლდათ. დინჯი, დაკვირვებული, საოცარი ალღოს პატრონი კაცი, კარგად იცოდა ყველა მწერლის ღირსებაცა და ნა-

კლიც, მაკრამ მისგან, მწერლის აუგი და პირუკან ჩამოლაპარაკება არავის სმენია. ერთი კია, მის მხატვრულ ქმნილებებს რომ ვკითხულობდი და მისგან შეთხზული ტიპაჟის ხასიათებს ვეცნობოდი, იქ აღმოვაჩენდი ხოლმე ჩვენს საერთო ნაცნობთა დამახასიათებელ თვისებებს. გრიგოლ ორბელიანზე რომ ჩემი წიგნი გამოქვეყნდა არჩილმა მომილოცა და მითხრა: „აი, მტრები ეხლა ნახეო" მისი ნათქვამი მაშინ ვირწმუნე, როცა ლიტერატურის ისტორიაში მომუშავე ერთმა აკადემიკოსმა, ჯერ გაზეთში გამოაცხო ჩემს წიგნზე „სახელდახელო შენიშვნები" და პირად საუბარში კი ასეთი გულწრფელი სიტყვები მითხრა: „ჩვენს ბოსტანში რატომ შემოიჭერიო". მხატვრულ ლიტერატურაში ჩახედულმა და გათვითცნობიერებულმა ყოველმა კაცმა კარგად იცის, რომ მწერლობა ღვთისაგან ბოძებული ნიჭია და მისი სემინარული მუშაობით ათვისება არასდიდებით არ ხერხდება. არჩილი „მნათობში" პროზის განყოფილებას განაგებდა. მისი პირდაპირი მოვალეობა ის გახლდათ, ჟურნალში შემოტანილ მხატვრულ ნაწარმოებებზე თავისი პირუთვნელი აზრი გამოეთქვა და ნაწარმოების ავკარგზე თუ დადებითი აზრისა იყო დაბეჭდვის ვიზა მიეცა. არჩილი ყველასაგან საოცრად დახვეწილი გემოვნებითა და ალღოიანობით გამოირჩეოდა, ძალზე პრინციპული, გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეეძლო და ამას დაურიდებლად აკეთებდა. როცა მისი ლიტერატურული განაჩენით უკმაყოფილო, დანუნებულ ნაწარმოებთა ავტორები, არჩილს ახსნა-განმარტებებს სთხოვდნენ, იგი არც იმათ დაზარდებოდა ხოლმე, მათთან ერთად მოიკალათებდა მაგიდასთან, ჩაუჯდებოდა ნაწარმოებს და თავის შენიშვნებსა და მოსაზრებებს, დანის პიზე გავლით, სათუთად, ფაქიზად და დიდი სიფრთხილით ჩამოუყალიბებდა ხოლმე, რომ ავტორთა თავმოყვარეობა არ შეელახა. ერთი ასეთ საუბარს მეც შევესწარი. ერთი დანუნებული მოთხრობის ავტორს არჩილი მშვიდად ეუბნებოდა, — „ხომ გაგიგონია, რაოდენ დიდი მწერალი იყო ლევ ტოლსტოი და ალბათ ისიც კარგად იცი, ყოველ მამას როგორ ახარებს თავისი შვილის წარმატება, ჰოდა, როცა ლევ ტოლსტოის შვილმა მოთხრობების წერას მიჰყო ხელი, გაეცნო რა საკუთარი შვილის ხელნაწერებს ლევ ტოლსტოიმ შვილს უთხრა: „გიჯობს ხელი უფრო შესაფერ საქმეს მოჰკიდოო. მწერ-

ლობა, ჩემო კარგო, ისეთი ხელობა გახლავს, ყველა მწერალმა საკუთარი გზით უნდა იაროსო."

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ჭეშმარიტ პოეტთა და პროზაიკოსთა რიგებში დიდი სიმჭიდროვე სუფევს, არჩილ სულაკაურმა შეძლო მათ შორის საპატიო ადგილის მოპოვება და იქ დამკვიდრება, თავისი დარბაისლური ქართულით, თავისი ფრაზით, სტილით, შემართებული აზრის სიცხადით— გამოხატულებით. არჩილი იმ პროზაიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა გმირები ქვეყნად უპირატესად სიკეთის დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ და მას, როგორც მწერალს, აუცილებლად მიაჩნდა ამ სიკეთის ქმნის საფანელი ეჩვენებინა, რადგან კარგად უწყოდა, რომ გულწრფელად თხრობა სწორედ იმას გულისხმობს, რომ მწერალი ვალდებულია თვითონაც ბოლომდე გულწრფელი იყოს.

არჩილ სულაკაური ისეთი რანგის მწერალი გახლავთ, რომ სიკვდილი მის მწერლურ სახელს ვერ გამოახუნებს, მისი წიგნები შემორჩება ქართველი მკითხველის თაროებს, ხოლო მის „სალამურას" ქართველი ბავშვის მეხსიერებიდან ძე ხორციელი ვერ ამოშლის.

ელგუჯა მალრაძე

მაღალი ნიჭით ცხებული

არჩილ სულაკაურის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსი ასე მთავრდება: სამოცისაა ახლა ის ბიჭი, მტკვარმა რომ გაზარდა და მაღლა იწევს სულ მისი სიტყვის და საქმის მაზანდა".

კარგად მიწინასწარმეტყველა: ბოლო ათწლეულში მართლაც დღითი-დღე იზრდებოდა, ღრმავდებოდა და მრავალფეროვნდებოდა არჩილ სულაკაურის შემოქმედებითი პალიტრა, მისი საზოგადოებრივი და მწერლური თვალსაწიერი.

იგი დღენიადაგ თავისი სამშობლოს არითმიულ მაჯისცემას აყურადებდა, ესწრაფვოდა მისი სატკივარისათვის ეწამლა; მოძმეთ მუდამ იქითკენ ახედებდა, საიდანაც ეროვნული საფრთხე იყო მოსალოდნელი. იგი თავისი მშობელი ხალხის ზნეობრივი დეფორმაციების ფხიზელი დარაჯი და სიტყვითა და საქმით მისი ინტერესების ხმალამოღებული დამცველი იყო.

ო, რამდენ ახალ, დიდებულ ქმნილებებთან ზიარების სიამოვნება მოგვაკლდა ჩვენ, ყველას, ვინც მისი მაღალი ნიჭით ცხებული ნაწარმოების პუბლიკაციას ასეთი ცხოველი ინტერესით ველოდით.

ტაგუ მებურიშვილი

ჯვართან მისული სურო

ჩემო ძვირფასო ძმარ არჩილ! შენი არ იყოს, არც მე ვიცი რა ჰქვია იმას, რომ 24 და 25 ოქტომბერს გათენებამდე შენს ლექსებს ვკითხულობდი. ადგილადგილ ვინიშნავდი კიდეც შენთვის სათქმელს... 26 ოქტომბერს, დილით, გადაშლილ წიგნში, გვერდი ჩავინიშნე და ემზარ კვიტაიშვილმაც დარეკა... „მნათობის" სექტემბრის ნომერს თურმე უკანასკნელად მოაწერე ხელი, მაგრამ არც ემზარმა და არც მე მაშინ არაფერი ვიცოდით... შენზე ვისაუბრეთ კარგახანს...

რა წინათგრძნობამ გადმომაღებინა თაროდან შენი თხზულებების პირველი წიგნი... მაინცდამაინც 24 და 25 ოქტომბრის ღამეები რამ მათენებინა და დილამდე სულმოუთქმელად რა ძალამ მაკითხა შენი სევდიანი და მშვენიერი ლექსები? „არ ვიცი, ამას რა ჰქვია", არჩილ!

დღეს შენ დიდების მიწას მიგაბარებენ, გეტყვიან მრავალ გულწრფელ და ტკივილისაგან დამძიმებულ სიტყვას. ყველაფერს მართალს გეტყვიან!ამიტომაც მე არაფერს ვიტყვი შენს მწერლურ თუ საზოგადოებრივ ღვაწლზე. მინდა გითხრა მხოლოდ ის, რისი თქმაც ვერ მოვასწარი, რაც ვერ გითხარი ვერც საჯაროდ, ვერც სუფრასთან და ვერც ჩვენი პირისპირ საუბრების დროს შემოგბედე...

შენ იმ იშვიათ კაცთა რიგს ეკუთვნოდი, რომელთაც სიტყვაძუნწს უწოდებს ქართული ენა. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ცნება „ძუნწი" პოზიტიურ შინაარს იძენს! შენ სრულიად გამორჩეული სიტყვაძუნწი იყავ მთელს სამწერლო ოჯახში. ამ გამორჩეულობის მიზეზი შენი ცხოვრების წესი, შენივე ფესვები და პრინციპები იყო. დღეს ბევრს, უკვე წარსულად სახსენებელ წლებში, უპრინციპობით, უსაფუძვლობით გამორჩეულსა და დაწინაურებულს, გულდანდობილად ჰგონია, რომ მთელს ქართულ საზოგადოებას მძიმე სკლეროზი სჭირს და აღარაფერი ახსოვს! შენ ყოველწამიერად გახსოვდა, რომ განვლილი ცხოვრების შემფასებელი ერია და მსაჯული — უფალი, შენ ეს ყოველთვის იცოდი!

სწორედ ამ ცოდნამ გამოგარჩია უცოდინართაგან, უღმერთოთაგან, კაცთმოძულეთაგან, სწორედ ამ ცოდნამ გაქცია სიტყვაძუნწად და მჭმუნვარე კაცად, რომელსაც ისე უხდებოდა ღი-

მილი, როგორც გაბმული წვიმების შემდეგ უცებ გამოჭიატებული მზე — თბილისს. ამ ცოდნამ შენ რჩეულთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი მიგიჩინა — სანდო და კომპეტენტური კაცი ცოტა იყო და დღესაც ცოტაა ჩვენში!

შენს სამეგობროში არც ერთი კაცი არ ყოფილა შემთხვევით შემოხეტებული, ოცდაათი ნელინადი შევცქეროდი შენს ურთიერთობებს და არც ერთხელ არ მინახავს შენი ციხე შიგნიდან გატეხილი.

შენ არ ყოფილხარ მარტოოდენ პოეტი, მარტოოდენ მწერალი და საზოგადო მოღვაწე — შენ ისეთი ლიტერატორი იყავი, ურომლისოდაც ლიტერატურული ცხოვრების წარმოდგენაც კი არ შეიძლება... იმ დროს, როცა ბევრი „მწერალი" ერთ წიგნს რომ წაიკითხავდა, მეორეს უკვე თავად წერდა, შენ ამკვიდრებდი ლიტერატურული ცხოვრების შენეულ ხატს, მწერლობისა და ადამიანთა შორის ურთიერთობის შენეულ სტილს... შენში ჰარმონიულად ცხოვრობდა საქართველოს წასულიც, აწმყოც და მომავალიც, უღალატოდ ცხოვრობდა, არჩილ! გარეგნულად შეუვალი, მკაცრი და შუბლშეკრული, მკვახე (თუმცა ყოველთვის კორექტული!) სიტყვის მთქმელიც, გასაოცრად სათუთი და ფაქიზი იყავ, უთქმელად, უსიტყვოდ შეგეძლო გეგრძნობინებინა მოყვასისათვის თანადგომაც, პატივისცემაც, სიყვარულიც... და უთქმელადვე აგრძნობინებდი მავანთ, რომ სადაც შენ იყავ, იქ მათი ადგილი არ იყო!

ჩემო კარგო, ჩემო სათუთო ძმაო, როგორ მინდოდა 26 ნოემბერს როცა თამაზ ჩხენკელსაც 70 წელი შეუსრულდებოდა, როგორც ყოველთვის შენ გეთქვა მისი დაუდგრომელი სიცოცხლის სადღეგრძელო. აი, მაშინ იქნებ შემომეკადრებინა შენთვის და გამეჩხერებული სამეგობროს გასაგონად მეთქვა უმთავრესი სათქმელი: თამაზ ჩხენკელმა, ბაჩანა ბრეგვაძემ, ზურაბ კიკნაძემ, რამაზ პატარიძემ, ოტია პაჭკორიამ, და რა თქმა უნდა, შენ, არჩილ, ფასდაუდებელი ამაგი დასდეთ ჩემს სიცოცხლეს, თუკი რამ ღმერთმა სიკეთე მიბოძა, თქვენის მეოხებით აღორძინდა, გზა და კალაპოტი იპოვნა და შრომით, ტკივილითა და მოთმინებით ცხოვრება შემაძლებინა...ნეტავ ვინმე თუ გამოჩნდება კიდევ, ვინც სიტყვაძუნწი სიკეთით ამდენი მადლის ქმნას შეიძლებს? არ ვიცი, არჩილ... მშვიდობით! „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები..."

იზა ორჯონიკიძე

ელდა და ტკივილი დაგვიტოვე

გუშინ არჩილს ტელევიზორში ვუყურებდი. იგი ქართულ მწერლობაზე ლაპარაკობდა, ისეთი ტკივილით და სიყვარულით, როგორც სულ ცოტა ხნის წინ მწერალთა კავშირში, ან „ლიტერატურულ საქართველოში". და ის ერთი საათი ვერავინ ვერ დამარწმუნებდა, რომ არჩილ სულაკაური აღარ არის, რომ ვერასოდეს ვეღარ გავიგონებ მის ტკბილ-მწარე ქართულს, მნიშვნელოვანს, მძიმეს, თითქოს ყოველ წუთში, ყელიდან ქვას იღებს და მის ადგილას ვარდი იხატება.

არჩილი თავისი თაობის გაწვალებულ, უმამო ბავშვობაზე ლაპარაკობდა და მაშინ ვიფიქრე, რომ ღმერთი იყო მათი მამა, ამ შესანიშნავი მწერლების, მათ, ხომ, სიტყვებზე ბატონობის უფლებას აძლევდა, გაორკეცებულს, სახლში უკაცობის გამო, ხოლო მათ დედებს — ერთი პურით და ხუთი თევზით ბევრი ადამიანის გაძღობის უნარს.

იქნებ სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ასეთი მტკივნეული და ძვირფასი არ იქნებოდა არჩილ სულაკაურის სიტყვა. მის კაცურ, გაუხარებელ გმირებს, გაუხეშებულებს ცხოვრებისაგან, სული ისე ამოსდიოდათ, თითქოსდა, მტრედების გუნდი აფრინდა, თეთრი და ნათელი.

ელდა და ტკივილი დაგვიტოვე ჩვენ, შენ კი სინათლედ იქეცი, არჩილ! ამ მტრედისფერ სინათლედ, ან, იქნებ, მიმინოდ, რომელიც უკეთ შეეფერება შენს მკაფიო, მძაფრ გარეგნობას.

ვაი, როგორ გაგვიფრინდი,
ჩვენო ჟღალო მიმინო.

ლია სტურუა

გასკდა გული...

ახალმა ქარიშხალმა ახადა ჭერი ჩვენს სამეგობროს, ეშმა ჩაგვისაფრდა, წავიდა ჩვენგან გამორჩეული კაცი, არჩილ სულაკაური, რომლის პიროვნებასაც ღირსება ადგა გვირგვინად.

ძმაო არჩილ, ხვალ-ზეგ, იქნებ მეც შენი გზა მიწერია, მაგრამ დღეს, როცა ძალიან გამიჭირდა, მომიტევე და საკუთარ თავზეც ვფიქრობ, ნეტა რამდენი კაცი დამრჩა, რომელიც ჩემს გულისთქმას ჩასწვდება?

შენ სხვა კაცი იყავ, შენს გვერდით ვერ გაიხარებდა ამპარტავანი და უსამართლო, შენს ტაძარში ურწმუნო კაცი ვერ ილოცებდა.

ამასწინათ, ამერიკაში, „ამერიკის ხმის" ერთმა კორესპონდენტმა გვკითხა — „ვინ გადაგეკიდათ, რა ხდება საქართველოშიო", „ამაღლდნენ უღირსებიო"უპასუხე შენ და ჩაიცინე... დიახ, ასეა, ამაღლდნენ უღირსები და გასკდა გული, ველარ გაუძლო გულმა, შენი სამშობლოს მტერი შენი მტერი იყო, შენი ძმისა და მეგობრის მტერი შენი მტერი იყო. მერე ადვილი სათქმელია, „კაცო, რა დაემართა, გუშინ ვნახე და კარგად გამოიყურებოდაო", სხვამ კი არა, ერთი გაფიქრება მეც ასე გავიფიქრე, მიტომ რომ ეტყობა ბოლომდე ვერ ჩავსწვდი შენს გულისთქმას. ჩვენ რომ ერთმანეთის გულში უფრო ღრმად ვიხედებოდეთ და ერთმანეთს უფრო ვუფრთხილდებოდეთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

ახლა თავისმართლების დრო არაა, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, ერთი კია, ბოროტებამ იმძლავრა ქვეყანაზე და ამაღალდნენ უღირსები.

მეც ალბათ ისე ვერ გეფერებოდი, როგორც ჩვენს ძმობას შეჰფეროდა, ვერ ვეფერებოდი შენს დიდ შემოქმედებას ისე, როგორც მის მარადიულობას ეკადრებოდა.

წახვედი? მაინც შენი იმედით ვარ...

„ნეტარ არს კაცი, ვისაც უფალი ცოდვას არ ჩაუთვლის და ვის სულშიც არ არის სიყალბე"

ისევ იმ ლექსს შეგახსენებ, 70 წლის ღვაწლმოსილ კაცს რომ მოგიძღვენი.

ცეცხლი

არჩილ სულაკაურს

მამულს გარშემო
ყვავყორანთა გუნდი უვლიდა,
ხოლო წარწერა ცისფერებით
ვნახე ურბნისსა —
როცა უფალი გვედავება
ცეცხლისგულიდან,
რატომღაც ცეცხლის გვეშინია
არა უფლისა.

ბრწყინვალება დააკლდა ქართულ მწერლობას!
მშვიდობით, ძმაო არჩილ!

ჯანსუღ ჩარკვიანი

გაუმხელელი სათქმელი

მათ თქვენ აქ უფრო სჭირდებოდით, აქ ეიმედებოდით.

ბატონო არჩილ, მინდა, გითხრათ გაუმხელელი სათქმელი, სათქმელი, რომელსაც ვერასდროს გიბედავდით. თქვენს გვერდით ყოფნა უჩვეულო სიხარულით მავსებდა, თქვენი ყოველი სიტყვა ბავშვივით მახარებდა, სულგანაბული ვუგდებდი ყურს დინჯ საუბარს, რომელშიც ბევრ ძვირფას ადამიანს აცოცხლებდით. მხიბლავდა თქვენი სისადავე და უბრალოება, თქვენი განსწავლულობა და ღვთითმომადლებული ნიჭი, თქვენი სიხარული, ყველა ნიჭიერი შემოქმედის კარგი ქმნილების წაკითხვით გამოწვეული, თქვენი სიყვარული წინაპრებისა და თანამედროვეებისადმი, თქვენი გულშემატკივრობა სხვათა წუხილისადმი, თქვენი ჩუმი ერთგულება სარწმუნოებისადმი.

ხშირად მახსენდება „თბილისური ჩანახატებიდან". მთაწმინდა მის მჭვრეტელს ყოველთვის სიკეთეს უნერგავს გულში, ოღონდ დიდ ხანს უნდა უცქიროო. ყოველი ასეთი შეხედვისას, ალბათ, მაღლი გადმოიღვრებოდა და ხედავდით იმას, რაც თქვენ დაინახეთ პირველმა და რასაც თქვენის მეოხებით სხვაც დაინახავს: „მთაწმინდა თავის უბეში მდგარი ეკლესიით საოცრად ჰგავს ღვთისმშობელს, რომელსაც კალთაში ყმა იესო უზის".

ამ ღვთაებრივი სიტყვების ავტორისაგან წარმოთქმულმა სხვა მრავალმა ჭეშმარიტებამაც გამახარა. ერთხელაც სარედაქციო თავშეყრის დროს, ერთ-ერთმა მოსაუბრემ ერთი რელიგიის სილამაზეზე ჩამოაგდო სიტყვა. გარინდების შემდეგ უპასუხეთ: თქვენი არ ვიცი, ჩემთვის კი ყველაზე ლამაზი ჩვენი, მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოებაა.

ღმერთსა ვთხოვ, ამ სარწმუნოების მადლმა გაანათლოს თქვენი სული.

დინარა ჩაკვეტაძე

ღმერთო, ეს ხმა რატომ მოგვიშალე!

ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე — ხშირად ორსამჯერაც — ტელეფონის ყურძილიდან მშვიდი ხმა მესმოდა:

— გამარჯობათ, არჩილი ვარ, სულაკაური, თამაზს სთხოვეთ!..

ერთ დღესაც მე გამიბა საუბარი ბატონმა არჩილმა და ისეთი მორიდებით მთხოვა — „დილის" სამ გვერდს თუ დამითმობთო — თითქოს პირველად იბეჭდებოდა!

რასაკვირველია, მივხვდი, კარგახნის წინ ჩვენთვის დაპირებული მოთხრობა დაემთავრებინა და გახარებულმა ვუპასუხე — ჟურნალის მთელი ნომერი თქვენი იყოს-მეთქი!

გაიცინა, არა, ბატონო, ამჯერად სამი გვერდიც მეყოფაო.

ბატონმა არჩილმა მეორე დღეს მოთხრობა გამომიგზავნა ავტოგრაფით — „საჩუქრად განახლებულ და აღორძინებულ „დილას", თქვენი არჩილ სულაკაური". საღამოს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა: — გამარჯობათ, არჩილი ვარ, სულაკაური!..

მე ნაჩუქარი მოთხრობისათვის მადლობის თქმას ვაპირებდი, მაგრამ თამაზმა არ დამაცალა, ყურმილი გამომართვა და ბატონ არჩილს დასავლეთ საქართველოში — დავით კლდიაშვილისა და ჰაიდარ აბაშიძის იუბილეებზე ერთად ნასვლა შესთავაზა...

ალბათ, განგების ნება იყო, სიკვდილის წინა დღეები ბატონმა არჩილმა ერთ მანქანაში, ერთ სასტუმროში და რამდენიმე სუფრაზე ჩემს ძმასთან და ბატონ რეზო ჭეიშვილთან რომ გაატარა...

ბატონო არჩილ!

ჟურნალის ახალი ნომრის მორთმევით მინდოდა მადლობის გადახდა, მაგრამ, ვაი, რომ ახლა მხოლოდ ცრემლებით ვიხდი სამადლობელს...

დოდო წივწივაძე

ჟურნალ „დილის" რედაქტორი

აუნაზღაურებელი დანაკლისი

გოგი შატბერაშვილი რომ გარდაიცვალა გიორგი ლეონიძემ გამოსათხოვარ სიტყვაში თქვა — შენი ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლით მხარი მოგვტეხეო. ნიჭიერი კაცი მუდამ მარჯვედ და ზუსტად გადმოსცემს სათქმელს. არჩილ სულაკაურის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მართლაც რომ მხარი მოგვტეხა მის ახლობლებსა და მეგობრებს, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ, მთელმა ქართველმა ხალხმა.

თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით არჩილ სულაკაური ერთგული იყო ქართული მწერლობის დიდი ტრადიციებისა, მშობელი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავდა. ბოლო თვეებში გამოქვეყნებულმა მოთხრობების შესანიშნავმა ციკლმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო მწერლის ხალასი ნიჭის ძალა, დაგვარწმუნა, რომ მას კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი, და არაერთი ნიჭიერი ქმნილებით გაამდიდრებდა ქართულ მწერლობას. მით უფრო დასანანია მისი გარდაცვალება.

პუბლიცისტურ და პოლემიკურ წერილებში, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, არჩილ სულაკაურს მუდამ სწორი ეროვნული პოზიცია ეჭირა. იგი დღევადნელობის სასიცოცხლო აქტუალურ საკითხებს ეხმაურებოდა, ვერ იტანდა ჩვენში ფეხმოკიდებულ პროვინციალიზმს, მახვილი სატირით საკადრისს მიუზღავდა პროვინციულ კუდაბზიკობას.

წლების განმავლობაში არჩილი ენერგიულად ხელმძღვანელობდა „მნათობს". იგი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობდა და სულდგმულობდა და ამითაც ჭეშმარიტი მონაფე იყო თავისი მოძღვრისა და მასწავლებლისა სიმონ ჩიქოვანისა, რომელსაც მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებდა.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე, ძვირფასი მეგობარი, ოჯახის მოსიყვარულე მეუღლე და მამა. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს.

ვახტანგ ჭელიძე

სიტყვა ნარმოთქმული დაკრძალვის დღეს მწერალთა სასახლეში

კიდევ ერთი გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დაკარგა საქართველომ.

არჩილ სულაკაურმა სრულიად ახალგაზრდამ, სავსებით დამსახურებულად მოიპოვა ნიჭიერი შემოქმედის სახელი, შეუდგა მძიმე, შეიძლება მოსაწყენ, მაგრამ საპატიო გზას, რომლისთვისაც სიკვდილამდე არ ულალატია. იგი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ თაობისა, დიდი რეპრესიები, დიდი და მძიმე ომი რომ გამოიარა. იმ ადამიანებმა საბჭოთა რეჟიმში გაასრულეს კიდეც ბავშვობა და სიყმაწვილეც. იმდროინდელი განწყობილებანი კი საოცარი სიზუსტით, ემოციურობით აისახა მწერლის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაწარმოებში „თეთრი ცხენი" და „ის, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემისო"...

პროზა, პოეზია, საგამომცემლო საქმიანობა და ჟურნალი — შემოქმედება და საზოგადოებრივი მრღვაწეობა — იყო ასპარეზი არჩილ სულაკაურისა, იმ გზიდან არ გადაუხვევია, სხვა საქმიანობა, სხვა ნავთსაყუდელი არ უძებნია.

არჩილ სულაკაური თანამშრომლობდა, მუშაობდა ჟურნალ „მნათობში", უცვლელი მთავარი რედაქტორი იყო ბოლო წლებში. სწორედ ამ ადამიანმა შეუნარჩუნა „მნათობს" აკადემიური სტილი, ქართული პერიოდიკის საფლაგმანო როლი.

არჩილ სულაკაურის ხასიათს, ადამიანურ, კაცურ თვისებებს წინაპართა გენი განაპირობებდა; დედისა და მამის თვისებებს — თუშის შეუპოვრობას, სილაღეს, ერთგვარ სიჯიუტესაც და იმერულ სირბილეს, სისხარტეს, იუმორს — ამჟღავნებდა ხასიათსა და აზროვნებაში. ამის დასტურია „დიდი ანდერძი", ფრანსუა ვიიონის ამავე სათაურის პოემის მიხედვით რომ დაწერა და დედის გვარით გამოაქვეყნა ორიოდე წლის წინ; საზოგადოებას, როგორც იტყვიან, გული მოფხანა და ბევრიც გაანაწყენა. სამაგიეროდ, ქალაქი გამოაცოცხლა უჩვეულო ლიტერატურულმა მოვლენამ. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ დაწერა, ვინაა ეს თევდორაძეო. არჩილს ეღიმებოდა, არ მეგონა, თუ ამოდენა აჟიოტაჟს გამოიწვევდაო.

დასავლეთიდან მომავალს თუ დასავლეთისაკენ მიმავალს, ქუთაისთან მიახლოებისას თუ განშორებისას (რამდენჯერმე განმეორდა ეს მომენტი) ხუმრობით ვეტყოდი ხოლმე: აი, ბალღო, შენი სამშობლო! ამ სიტყვებით (კინოფილმ „თუში მეცხვარის" ასოციაციით) მივანიშნებდი სწორედ მის თუშურ-იმერულ წარმოშობას. შეხსენება არ სჭირდებოდა. იგი ამ დროს უკვე ნაღვლიანი მზერით გაჰყურებდა, კოლხეთის ვაკეს, სოფელ ფარცხანაყანევის სანახებს — დედულეთს.

და მაინც არჩილი მთელი არსებით თბილისელი კაცი იყო, ნაღდი თბილისელი, მტკვრის მარცხენა სანაპიროს წისქვილებთან უმამოდ გაზრდილი. ის იყო დედაქალაქის დედამდინარის, ჩქერების, დიდროობისა და წყალმარჩხობის ჟამთაღმწერელი. ერთეულებს, მხოლოდ ერთეულებს თუ ესმოდათ, ალბათ, მტკვრისა ისე, როგორც არჩილ სულაკაურს ესმოდა. მდინარე სუნთქავს მის შემოქმედებაში და მკითხველიც ამ წყლის ულოგიკო თუ ლოგიკურ ტრაგედიასა და სიხარულს იზიარებს.

ელოდა გადასახლებულ მამას, აწვალებდა მამის კომპლექსი მამის დაბრუნების შემდგომაც; უმამობის, მამობის, მისი თაობის ტკივილის პრობლემას უტრიალებდა. ბოლოდროინდელ სატელევიზიო გამოსვლაში თქვა: ამოვხსენი ეგ საიდუმლოო. მე არა მგონია, დარწმუნებული ვარ, არჩილსაც არ სჯეროდა ბოლომდე საკუთარი განცხადებისა. ეს საიდუმლო, ეს საკითხი სოფოკლეს, შექსპირს, ცხადია, არც არჩილს, არ ჰქონდა ამოწურული. მას კიდევ ბევრის თქმა, ბევრის დაწერა შეეძლო, მაგრამ მოულოდნელად შეწყდა მისი ცხოვრება. გარდაიცვალა შემოქმედების ზენიტში. ბოლოდროინდელი ლექსები რომ წავიკითხე, დაუფარავად ვუთხარი: შემოქმედი სიბერეში მჭლევდება, კარგავს ელვარებას, შენ, პირიქით დაგემართა-მეთქი. მართალი ვუთხარი, სიბერემდე კი, იგი ისე მხნედ გამოიყურებოდა, კარგა ხანი აკლდა.

ადამიანის სიცოცხლე ერთი უთავბოლო სიზმარი და ხანმოკლე მოგზაურობაა; არც ამ მგზავრობის დაწყებას გვეკითხება ვინმე, არც — დამთავრებას. გზა — მოზომილი კი შენ გრჩება და უნდა იარო სწორად, გულმართლად, კაცურად, რათა თქვან: გაიტანაო თავისი სვრელი სწორად, გულმართლად, კაცურად. დავამთავრეო ბოლო თავი (ახალი რომანისა) თქვა თურმე და წაიქცა.

გაასრულა... თუმც სათქმელი არ გამოლევია, საქმენი მხრიდან არ ჩამოუღია.

სულ რამდენიმე დღის წინ წვიმიანში ბათუმიდან ვბრუნდებოდით. ქუთაისთან მიახლოებისას ავტომანქანის სარკმლიდან გაცრიატებულ ვაკეს მიაშტერდა.

აი, ბალღო, შენი სამშობლო! — ვუთხარი.

— მე აქ დავყავდი დედას!..

მეტი აღარაფერი უთქვამს.

მისი დედასამშობლო კი საქართველო იყო.

იგი საქართველოს მოუკვდა.

არჩილ, შენ დღეს მიებარები იმ მიწას, რომელიც ასე გიყვარდა.

მშვიდობით!

რეზო ჭეიშვილი

გამოთხოვება უფროს ძმასთან...

ალბათ, არასდროს არ ვყოფილვარ ისე უმნეო, როგორც ამ გამოსათხოვარის წერისას — ბოლოს ის წერილი მოვძებნე, ოცი წლის წინათ ორმოცდაათი წლისას რომ მივესალმე: „არჩილ სულაკაურის მეგობრებმა იციან: იგი უბადლო მებადურიცაა! არასდროს სწყინდება მას ამ თემაზე საუბარი — ჩვენი ჩანჩქერების ქება, ჩვენი თევზების ბუნებაზე კამათი, ჩვენი ტბებისა და მდინარეების გამო ფიქრი! და დღეს, ორმოცდაათი წლის მებადურს შეუძლია კმაყოფილი იყოს: რა სიმდიდრე მოჰყოლია მის ნასროლ ბადეს — რა ლექსები! რა რომანები! რა ფილმები! რა მეგობრები".

დღეს ეს მეგობრები უკანასკნელ გზაზე აცილებენ ქართული მწერლობის ერთ-ერთ მშვენებას...

მადლობა მას თავისი ლამაზი წუთისოფლისთვის, ლამაზი წიგნისთვის, სამშობლოს ერთგულებისთვის, ძმაკაცების სიყვარულისთვის, სიკეთის სამსახურისთვის, ათასობით გათეული ღამისთვის, გადატანილი და გადაუტანელი ტკივილებისთვის, სამაგალითო ოჯახისთვის, „მნათობის" გადარჩენისთვის, სიმართლის ქომაგობისთვის...

სიკვდილს რაც შეეხება, ადრე თუ გვიან ჩვენ ყველანი წავალთ (ალბათ, იმ თანმიმდევრობით ვერა, როგორც მოვედით), მაგრამ იმის შეგნება, რომ ჩვენს დიდ ძმასთან განშორება არ იქნება ხანგრძლივი, ჭირს გვიმსუბუქებს...

„ახლა ერთხელ სხვამო", გვახსოვს მისი ერთი შედევრის რეფრენი!

მინდა, ის „სხვები", უპირველეს ყოვლისა, მისი მემკვიდრეები იყვნენ — მისი გიგი და ლაშა!

— ნაღდი პოეტი და ნაღდი მხატვარი.

ამის გამო სიხარულს იგი იმქვეყნადაც იგრძნობს!

ამ ცოტა ხნის წინათ არჩილი, გივი გეგეჭკორი და მე ფეხით გავუყევით საბურთალოსკენ. რის ნატვრა მაქვს, ციცითო — ქუჩაში გაგვაჩერა — გაგრაში, რესტორან „გაგრიფშში" ჭიქა იზაბელით აფხაზ ბიჭებთან ჩვენი შერიგების სადღეგრძელო დავლიოო!

ბევრი ნატვრა დარჩა აუსრულებელი! ბევრი წიგნი — დაუწერელი!

ჩვენ დღეს ამასაც ვტირით!

მაგრამ, რაც მოასწრო და შექმნა, იმით არჩილ სულაკაური საქართველოს მარადიული თანამგზავრია!

ტარიელ ჭანტურია

არჩილი

არჩილ! როგორ უნდა მოგმართო, ნეტავ?! ძმა უნდა გინოდო, თუ მეგობარი, თუ ორივეს უნდა „უფროსი" წავუმძღვარო, რადგან 64 თუ 65 წლიდან მოყოლებული, როცა ბედმა შენთან შემახვედრა, შენ ჩემთვის ორივე იყავი — ძმაც და მეგობარიც და ერთდროულად — უფროსი, ისე, რომ არც ძმობას ჩვენსას და არც მეგობრობას ეს არ უგრძვნია, როგორც ნიჩბებს უსვამენ მენავეები, ისე მივდიოდით — შენ შენი დიდი გამოცდილებით, მე, აყოლილი შენს ენთუზიაზმს, რადგან ადრევე მივხვდი ჩემთვის უკეთესს: შენთვის უნდა მესმინა — შენი საუბრებისთვის, შენი თხრობისთვის, — გრძნობებს უნდა ევარჯიშათ და ცოდნას ეომა.

არჩილ! დიდი ადამიანი იყავი და დიდადაც უფრთხოდი ბინს. ძნელი დრო გამოიარე და თუმცა ცხოვრების დუღილისგან გარიდებული არასოდეს ყოფილხარ, წმინდად იარე შენი სავალი, რატომ უნდა წასულიყავი შენ ასე ადრე — ასე საჭირო შენი ქვეყნისთვის, არადა, ამჟამად, როცა ასე სანთლით საძებარია შენი მსგავსი მოღვაწეები — შენი უტყუარი ალღოთი, შენი „მცნობის" ნიჭით, შენი მოუსყიდავი გულით, თვალმოუხუჭავი სიმართლით... იმის მეათედსაც ვერა ვწერ, რასაც ვგრძნობ, რადგან ვერა და ვერ გადავიყარე გულიდან ბრაზი — ბრაზი სიცოცხლეზე, ბრაზი სიკვდილზე, ბრაზი — ბედისწერაზე, ნუგეშად ის მაქვს — რომ მომენატრები, გავისხენებ, ანუ ვიცხოვრებ მოკვდავთა წესით.

არჩილ, ძმაო და მეგობარო! შვილებითაც ძმაო და მეგობარო!

ბესიკ ხარანაული

გემშვიდოგეგი

დიდი ხანი იყო, რაც არ მენახე, ასე მეგონა ხოლმე, როცა მონატრებულები შეხვდებოდით ერთმანეთს. სამოცდაათ წელს მიტანებულები დაუშრეტელი მოგონებებით ვხვდებოდით. უერთმანეთოდ განვლილი ცხოვრების დღენიც გასაოცარი სიცხადით ცოცხლდებოდნენ და ჩვენი სიცოცხლის უწყვეტელ გზას აღდგენდნენ. ასე იყო ამ ათი დღის წინ, ბათუმში შევხვდით ჰაიდარ აბაშიძის იუბილეზე, თბილისიდან ბათუმამდე თითქმის მთელი საქართველო გამოგევლო ავტომანქანით მეგობარ მწერლებთან ერთად, ჯერ დავით კლდიაშვილის სიმონეთი მოგენახულებინა, იქიდან ბათუმში ცოტა დაგვიანებით ჩამოხვედით, პირდაპირ სცენაზე მიგიწვიეს სიტყვის სათქმელად. არასოდეს გჩვეოდა ორატორული ენამზეობა, მაგრამ შენი მოსმენა მუდამ იყო შთამბეჭდავი, ფიქრისა და ბრძნული აზროვნების შედეგი. თეატრის იმ დარბაზში მყოფი შენი მეგობრები, ბათუმელი ინტელიგენტები, შენი ნიჭის თაყვანისმცემლები გისმენდნენ საყვარელ მწერალს, მახლობელ, მუდამ საინტერესოდ მოუბარ ადამიანს, სიბერის ნიშანწყალი არ გეტყობოდა, გარდა ჭაღარისა. მოწიფულ მწერალს, აღიარებულ ოსტატს დაღლილ თვალებში აზრის ნათელი გიკიაფებდა. ერთად იყვნენ ბრძენი ბავშვი და ჭარმაგი ოსტატი. იმ საღამოს ერთად ვუსხედით სუფრას, მწერლის გახსენების საღამო იყო და რაღაც მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი ხმამაღლა გამხელილი ფიქრები, ტკივილიან სამშობლოზე, წუთისოფელზე, ადამიანებზე, მეგობრებზე. ვიცოდი, კარგა ხანია ღვინოს ერიდებოდი. იმ სუფრაზე გულიანად მოილხინე, ყველას გვეფერებოდი, შენს ძველ მეგობრებს, მშვენიერი, დაუვიწყარი საღამო იყო. არსად სიბერისა და დაუძლურების მელანქოლია. მეორე დღესაც მიგიწვიეს ახალ სასტუმროში ზღვის პირას. არასოდეს გჩვეოდა სენტიმენტალობა და მაღალფარდოვნება. ზღვა, სიცოცხლის საოცარი განცდა და მეგობრებთან სიახლოვე რაღაც სხვაგვარ, მანამდე უცნობ ფილოსოფიურსა და იმავდროს რომანტიულ ელფერს ანიჭებდა ჩვენს ერთად ყოფნას და ასე მეგონა იმ წუთებში, არასოდეს დავბერდებოდით, არასოდეს მოვკვდებოდით, როგორც ეს ლურჯი ზღვა და ცისქვეშეთში უთვალავ ფერად გა-

ნაღენილი მშვენიერი და ტრაგიკული ქვეყანა. შენ ბადებდი ჩვენში ამ ფიქრებს, ამ განწყობილებას და სიყვარულს ცხოვრების ძნელ და გრძელგზაგამოვლილი ადამიანი, ჩვენი თაობის ლიდერი მწერლობაში, ბევრის შემქმნელი მხატვარი, რომელსაც თბილისში შენს საწერ მაგიდაზე დაუმთავრებელი ერცელი მოთხრობა გელოდებოდა. ნაშუადღევს გამოგაცილეთ თბილისში და ეჭვადაც არ მიფიქრია, თუ უკანასკნელად გემშვიდობებოდი... და რაღაც ათიოდე დღის შემდეგ მოხდა დაუჯერებელი რამ, შენი უეცარი გარდაცვალება. რა იყო ეს? ულოგიკო, უეცარი ელდა, საბედისწერო შემთხვევა, რომელიც სიცოცხლის ყველა კარებს ერთბაშად კეტავს და არსად ტოვებს დახშულ სიბნელის სამყაროში იმედის მცირედ შუქს. უცებ ვერ აღვიქვით, ვერ გავაცნობიერეთ, დავიბენით. ახლა ჩვენ, ბედისწერის გარდუვალობას შეგუებულები, ვიგონებთ იმ ორ დღეს ბათუმში, ზღვის პირას გატარებულს. თითქოს ქვეცნობიერად ჩაფიქრებულ შენს მოგზაურობას თბილისიდან ბათუმამდე და უკან. რა იყო ეს ყველაფერი? ტკივილიანი, დაძაბული მეხსიერებით აღვადგენთ შენს ცხოვრებას მტკვრის პირას, რიყეში, იმ ძველი სახლიდან, სადაც შენმა ბავშვობამ გაიარა, საიდანაც ძველი აივნიდან შეჰყურებდი მტკვარს, მდინარეს, რომელმაც გასწავლა ფიქრი: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი?" გაჰყურებდი მთაწმინდას და გესმოდა: „ათოვს მთაწმინდას, ათოვს მადათოვს, ათოვს ძველ ლანდებს და მწუხარებას", ვხედავთ იმ ძველი სახლის ნანგრევებსაც, სამტრედეებს, მოშლილ ბუდეებს და იმ ნანგრევებში სხვენზე ნაპოვნ ზღაპრებს სალამურაზე და ჯადოსნურ კაბაზე თუ ცისფერ ირემზე. ვხედავთ ძველ წისქვილებს მტკვარზე, წყალდიდობას რომ გაჰყვა მარადისობაში მეხამრიდებზე დამფრთხალ მტრედებს და იქ ქუჩებში მოჩვენებულ ბარათაშვილს, ფიროსმანს და გალაკტიონს, ცხოვრებას, რომელიც შენ აღმოაჩინე, „დიდი ცხოვრება აღმოვაჩინე, მოდი, შეხედე ჩემი თვალებით". შენი თვალებით შეგვახედე იმ შენსავე აღმოჩენილ ცხოვრებას, ჯერ უნივერსიტეტში, ჩვენს ლიტერატურულ წრეში წაკითხულ და მერე ჩვენსავე ჟურნალში „პირველი სხივი" გამოქვეყნებულ ლექსებსა და პოემებში, შენსავე რომანებსა და მოთხრობებში, დღევანდელ დღემდე, როცა ნათელი შთაგონებით წერდი „თბილისურ ჩანახატებს" და სე-

ფედავლეს ამბავს. შენ გულსა და ცხოვრებაში გაიარა თბილისში ძმათა ომის ტრაგედიამ და ამ ტკივილებით აღსავსე „ანდერძი“ დაგაწერინა. არაფერი გამოგიგონია, საოცარი მეხსიერებით იგონებდი ცხოვრებას მართალი მწერალი. უბერებელი იყო შენი ცხოვრება და შთაგონება. ყველაფერი ამის პატრონს სიკვდილის არასოდეს გეშინოდა, ყოველ ახალ ნაწარმოებს ისე წერდი, თითქოს თავიდან იწყებდი მწერლობას. ამაზე მომავალში უფრო მეტს იტყვიან, რათა საბოლოოდ ამოხსნან შენი დაუმთავრებელი მოთხრობის ბოლოს დასმული მრავალწერტილი.

ძვირფასო არჩილ, ამ იმედითა და რწმენით გემშვიდობები მარადისობაში გადასულს...

გიორგი ხუხაშვილი

არჩილ სულაკაური — უცნაური წყვილია ეს სახელი და გვარი. თითქოს ამ გვარის ფონეტიკური ჟღერადობა მეწამული დაისის ფონზე მშვიდად მიცურავს, მიედინება. სუ-ლა-კა-უ-რი... კეთილი მწყემსივით მიკაფავს სულეთისაკენ მიმავალ გზას, ბინდის სილბოდან რიჟრაჟის სუსხში მშვიდად გადაჰყავს შეშინებული ღრუბლების ფარა.

არჩევანი საიდუმლოა. მით უფრო — სახელის დარქმევის. მშობლის გუმანმა თითქოს საგვარეულო სისხლის დენადობას (სიჩქარეს) გაუსწრო, რომელიღაც უღელტეხილზე, მთავარ არტერიასთან ჩასაფრებულმა, სახლიკაცების წინაშე გერბივით აღმართა შვილის სახელი — არჩილი... გენეტიკური, ისტორიული მეხსიერებით კიდევ ერთხელ გაკრთა პოეტი მეფის შარავანდედი — ეკლის გვირგვინი.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე ძვირად ეკლის გვირგვინი ფასობს, საქართველო ის მხარეა, სადაც პოეტი და მეფე მხოლოდ ამ გვირგვინის გამო უყვართ და სადაც დედებიც კი ამ სიყვარულისთვის იმეტებენ შვილებს.

მე არ ვიცი და არც მაინტერესებს „ცივილიზებული მსოფლიოს" თვალში რა ჰქვია ამ გამეტებას — სულიერი სიმაღლე თუ პარადოქსი. ერთი რამ ვიცი დაბეჯითებით, როგორც ცრემლმა მარილი, ამ განწყობამ ისე შეინახა ჩვენი ერი, ჩვენი მამული-ენა-სარწმუნოება.

***

ერთხელ ბიჭვინთაში, ოთარ ჭილაძეს იქაურმა მეგობრებმა ვეება ხის გობით შემწვარი კალმახი მოართვეს. ცოტა ხანში კარზე მოგვიკაკუნა, მოგვაკითხა და საჩუქარი გაგვიყო. ჩემი გოგონა გადაეკიდა: ეგ თევზები რად მინდა, ოქროს თევზი მაჩუქეო. ოთარ ჭილაძემ ასე დაარიგა ჩემი შვილი: „ანუკი, „ოქროს თევზს" არჩილ სულაკაური მოგცემსო" მთელი კვირა თავგადაკლული ეძებდა „ძია არჩილს", — ოქროს თევზი უნდა მაჩუქოსო. „სალამურას თავგადასავალი" უკვე წაკითხული მქონდა მისთვის და ამიტომ თუ სჯეროდა ბავშვის უტყუარი გუმანით, რომ ამ ფანტა-

სტიური წიგნის ავტორისათვის მოლაპარაკე ოქროს თევზის ჩუქება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

უცნაური მთხრობელია ეს ჯადოსნური მეზღაპრე. მაშინაც კი, როცა ზღაპარს არ თხზავს. მისი თხრობის მანერა ქართული ზღაპრის უმშვენიერეს უვერტიურასავით თრთის, ყოფნა-არყოფნა ბადეშია გახვეული. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მის მიერ დახატული ქვეყნები, საგნები, პეიზაჟები, ფიქრები, კაცები, ბიჭები თითქოს არის და თითქოს არც არის, მშვიდად, ღირსეულად ირწევიან. რწევა — აქ ყოფნის წამიერება, რომლის ხანმოკლეობასაც ქართველებმა ნუთისოფელი დავარქვით; ზმანება, რომლის ეფემერულ მოუხელთებლობას ყოველთვის მყიფე, ხელშესახები ხატი უდევს საფუძვლად, წარსული, რომლის წარმავლობაც იმდენად სჭირდება აწმყოს, რამდენადაც ეს აწმყო თავად უნდა იქცეს წარსულად, წინაპრად, სხვათა სალაღობოდ და განსაქიქებლად.

არჩილ სულაკაურის მხატვრული სამყარო წარმავლობის ხიბლითაა ნაქსოვი ისე, როგორც ჩვენი ამქვეყნიური სიცოცხლე და ცხოვრება. ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე მისი ხელნერა ყოფნა-არყოფნის მიჯნას მიღწეული კაცის სიბრძნეა და ზომიერება. ამ ზომიერების წყალობითაა მისი შემოქმედება მაღალი გემოვნების ნიმუში.

სიბრძნე ჭარმაგობის ჟამს არ მოუპოვებია. ესეც ბედისწერა იყო, რომ ეს სიბრძნე მას „ლუკას" ასაკიდანვე შეეყარა ისე, როგორც მის კბილა გოგო-ბიჭებს — წითელა ბატონები. ოღონდ არჩილ სულაკაურს ბავშვობის სახადივით არ მოუხდია ეს მძიმე წყალობა. სულ თან დაატარებდა, თუ თავად სიბრძნე დაატარებდა, არ ვიცი. ამიტომ გვჯერა, რომ იყო ჩუღურეთი და იყო წისქვილები მტკვარზე, რომლებიც რა ხანია აღარაა. ამიტომ გვჯერა „აბელის დაბრუნება", რომელიც არასოდეს გინახავს, მაგრამ რომელსაც თანაუგრძნობ, რადგან უძღები შვილივით აბელი არსად წასვლას არ აპირებდა. წასვლაც და დაბრუნებაც კაენმა მიუსაჯა. კაენი კი ძმაა აბელის და თავი რომ მოიკლა, ამ ბიბლიურ ფაქტს ვერსად გაექცევი. ამიტომ გენატრება არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი" და დღევანდელი თბილისის ეკზოტიკურად მრავალფეროვანი ძაღლების გვერდით, არანაკლებ ეკზო-

ტიკურ ბიჭებს რომ ვხედავ, სულ მინდა ერთი ჩვეულებრივი ბიჭისა და ძაღლის მეგობრობის ამბავი მოვუყვე მათ.

ექვსიოდე წლის წინ „გადატანილი“ „ომიც“ ნეტავ იმ ომს ჰგავდეს, რომლის დროსაც სახურავზე სამორიგეოდ ასული ნანასა და ლევანის სიყვარულს ასეთი გააფთრებით დარაჯობდნენ ჰოსპიტლის ფანჯრებთან მომდგარი დაჭრილი ჯარისკაცები („მტრედები“)... და ასე რწევა-რწევით, საკუთარი ცხოვრების მოგონებებივით ერთმანეთს ენაცვლებიან საყვარელი მწერლის მხატვრული სამყაროდან წამოსული სურათები, განწყობილებები, პასაჟები....

კიდევ ერთი ღირსეული მწერალი და კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან. გათოშილ თბილისში უშუქო ღამეები იდგა. მის სამუშაო მაგიდაზე სანთელი ენთო და „თბილისური ჩანახატები“ იწერებოდა. თითოეული ეს ჩანახატი თუ პორტრეტი სიყვარულის ოაზისია, რომელიც სულს მოგათქმევინებს უდაბნოდ ქცეულ ქალაქში. რაც უნდა გციოდეს — წაიკითხავ და გათბები... რაც არ უნდა სკეფსისი გხრავდეს, წაიკითხავ და ირწმუნებ, რომ ერთადერთი გადამრჩენი ძალა სიყვარულია... სხვა ყველაფერი დროებითია, წარმავალია, დასავიწყებლად განწირულია...

არჩილ სულაკაური ღირსეული კაცი იყო. დასტური ამის ჩემი თვალით ვნახე სსრ კავშირის მწერალთა ბოლო, გახმაურებულ მერვე ყრილობაზე, როცა კრემლის დიდი დარბაზი თავისი არსებობის მანძილზე, პირველად გახდა უპრეცედენტო აქტის მომსწრე, როცა საკუთარი სამშობლოსა და ღირსების დასაცავად, ქართველმა მწერლებმა (ორიოდე გამონაკლისის გარდა) პროტესტის ნიშნად დარბაზი დასტოვეს... მაშინ პირველი სწორედ არჩილ სულაკაური წამოხტა და ხელჩაკიდებული გავყევი დანარჩენ მწერლებთან ერთად გარეთ (ნეტავი იმ დროს!).

მერე, როცა ჩვენს სამშობლოში ცოდვის კითხვა დატრიალდა, და, როგორც იტყვან, ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა, არჩილ სულაკაურს ცნობიერებამ არ უღალატა, — ზოგიერთი რედაქტორივით რედკოლეგიის „გადასახლება“ არ მოუნდომებია. ქვემეხებსა და ავტომატებს კი გაუდიოდა ბათქა-ბუთქი, მაგრამ „მნათობის“ რედკოლეგიის გრაფაში (სვეტში) ტყვიით ჩაკაბადონებული ნოდარ ნულეისკირის სახელისა და გვარისათვის ხელი

არ უხლია და დაცლილი ვაზნებივით არ მოუსროლია. არჩილ სულაკაური გუმანით გრძნობდა, რომ ე. წ. „დიდ პოლიტიკაზე" მეტად ყოველთვის კაცობა ფასობდა. აი, მისი ზნეობისა და ღირსების დასტური, აი, ამგვარი საქციელებითა და მაგალითებით აინონება კაცი და მისი ღირსებაც და არა „ღირსების ორდენებით", რომლებიც ასე უხვად და მონყალედ რიგდება ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოში.

მაკა ჯოხაძე

დრო ვერას აკლებს...

ქართულმა ლიტერატურამ ამ მოკლე დროის განმავლობაში დაკარგა გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მეტად გულსატკენი იყო გურამ ფანჯიკიძისა და ზაურ ბოლქვაძის მოულოდნელი გარდაცვალება... და ახლა — არჩილ სულაკაური!

ბათუმში ჩამოღწეული არასასიამოვნო ამბავი გულს ტკენს ყველას, მეტადრე — გულწრფელ, მართალ და თავისი ისტორიული ბედის გამო ემოციურ აჭარას.

არჩილი სულ ახლახან სტუმრობდა ბათუმს. იგი ჩამობრძანდა ცნობილ მწერალთა ჯგუფთან ერთად და სიტყვითაც გამოვიდა დიდი საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის ასი წლისთავის იუბილეზე.

ბატონი არჩილი საინტერესო მწერალი და მოღვაწე იყო. მის შემოქმედებას ახლოს იცნობენ და აფასებენ აჭარაში. იგი საგნებისა და მოვლენების შეფასებაში იშვიათად თუ შეცდებოდა. კერძო საუბარშიც კი საქართველოსა და მისი კულტურის უძველესობაზე ლაპარაკობდა. დინჯი და ჭკვიანი მოსაუბრე იყო. ახლახან ბათუმში ყოფნის დროს წამოაყენა წინადადება ქალაქ თბილისში მემედ აბაშიძის ძეგლის დადგმის შესახებ. ეს აზრი დიდი სიყვარულით გაიზიარეს ბათუმელმა და თბილისელმა კოლეგებმა, განსაკუთრებით კი — ბატონმა თამაზ წივწივაძემ, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს.

ყოვლის წამშლელი დრო ვერას აკლებს კეთილ საქმესა და ნიჭიერი მწერლის სახელს. ერთი ასეთთაგანია არჩილ სულაკაური.

ჯემალ ჯაყელი

***

ერთხელ რუსუდანმა „გამოგვიცხადა“: ხვალ ლეჩხუმურ ღვინოს და ლორს მოვიტანო. — მაშინ მე მჭადს და ლობიოსო, — უთხრა მერიმ. ლალი კომახიძემ ხაჭაპური ითავა. მეორე დღეს, ყველამ რაღაც შევმატეთ საუზმისათვის გაშლილ სუფრას და ისეთი პურ-მარილი გამოგვივიდა, რომ იტყვიან: ჩიტის რძე არ აკლდაო. როგორც წესი, მიცვალებულთა მოსაგონარი სასმისები შეივსო. ყველა მოვიგონეთ, არჩილმა რედაქციაში ედიშერის ბოლო მოსვლა გაიხსენა: — თითქოს კარგად იყო, მეგონა, გამოკეთდა, ორშაბათიდან გამოვალო მითხრა და... წუთით დუმილი დაგვეუფლა. ეს ჭიქა ქალებმაც შევსვათო, — გვთხოვა გოგუცამ.

ენაკვიმატი და მუდამ იუმორით დამუხტული ბესიკ ხარანაული უცებ ციალას მიუბრუნდა და მოგონილი სერიოზულობით ცოტა ხმამაღლა უთხრა: — რა დაგემართათ, „გოგოებო!“ რა მაგრად ზიხართ, გახსენით რა, „სეზონი“, ახლა თქვენ ნადით! — ციალამ, თითქოს ენის წვერზე ელაგა სიტყვები, არც აცივა, არც აცხელა და მიახალა — ბესიკა სასიკვდილე, ჩვენ რომ მოვკვდეთ, შენ ვიღა გიტირებსო. რა თქმა უნდა, ვიცინეთ, ჯანსაღმა ხუმრობამ სევდიანი განწყობილება შეცვალა. არჩილმა გახედა ციალას და თავისებური სიდინჯით უთხრა, „ყოჩაღ, ციალა, კარგად გამოგივიდა“.

დიდი ხანი გავიდა ბესიკის ხუმრობიდან და... ქალბატონმა თამარ ანდღულაძემ „გახსნა სეზონი“ რატომღაც მგონია, უკანასკნელ წამს მოაგონდებოდა ბესიკის ნათქვამი და დალოცავდა თავის „გოგოებს“ ჩვენი ლამაზი, ქალბატონი თამარი.

სულ მალე, ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ დაგვამწუხრა მისი ყოფილი თანამშრომლები. არ დამავიწყდება მზია შატბერაშვილის სევდიან თვალებში ჩამდგარი ცრემლი, რომელიც მხოლოდ „მნათობის“ ყოფილ რედაქტორს კი არა, საყვარელი მამის, ძმასავით ახლობელ ადამიანს ეკუთვნოდა.

***

სამოციან წლებში „მნათობში“ ბატონ გრიგოლ აბაშიძის რედაქტორობისას, არჩილი პროზა-პოეზიის განყოფილებას განაგებდა.

მეგობარმა თავისი თარგმანი, ბუნინის „კავკასია“ გამატანა არჩილთან და მთხოვა: ვიდრე არ წაიკითხავს, ნუ ეტყვი ვისიაო. ასეც მოვიქეცი. მივუტანე და ვთხოვე: — არჩილ, თუ ძმა ხარ, როცა მოიცლი, მაშინ წაიკითხე და ვისია, მერე გეტყვი-მეთქი. — რატომო, ცოტა გაკვირვებულმა მკითხა, მაგრამ იქვე დასძინა: — თუმცა, რა მნიშვნელობა აქვსო. მეორე დღეს მეუბნება: — ის მოთხრობა უახლოესი ნომრისთვის გავამზადე და მთარგმნელის გვარს ხომ არ მეტყოდიო. დავიბენი, ნათქვამი ხუმრობას არ ჰგავდა, მაგრამ არც სერიოზული მეჩვენა და ვკითხე:

-- როგორ, უკვე წაიკითხე? — გუშინვე. — მოგეწონა? — ძალიან. მოკლედ მითხრა, მაგრამ ეს ერთი სიტყვა ისეთი მახვილით იყო წარმოთქმული, რომ ბევრ სათქმელს სჯობდა. მით უფრო, იქვე მოაყოლა: — ეტყობა, კარგი ქართული რომ იცისო, — რაკი ასეა ახლა გეტყვი: — მთარგმნელი ნანული ცაგარეიშვილია, ედუარდ შევარდნაძის მეუღლე.

— მართლა? მით უკეთესი. — რა არის უკეთესი-მეთქი? — თავმდაბალი ყოფილაო.

***

გუშინდელ დღესავით მახსოვს. ოთახიდან გამოვედი და ჩვენი რედაქციის გრძელი დერეფნის კედელთან ძირს ჩამომჯდარი ახალგაზრდა შევნიშნე. ორივე ხელი წვივებზე შემოეჭდო და ნიკაპით მუხლებს დაყრდნობოდა. მინდოდა მეკითხა, ცუდად ხომ არა ხართ... და ვის ელოდებით-მეთქი, — ვკითხე. — არჩილ სულაკაურსო. — მისაღებში სკამზე დაბრძანდით, შევთავაზე. შევიდა. მერე, არჩილს რომ ვუთხარი, ასე იყო-მეთქი, გაეღიმა — მინის მონატრება ექნებოდაო და მითხრა: — ეგ ყმაწვილი გოდერძი ჩოხელია... კარგად აზროვნებს, გამოჩნდება.

ამ ცოტა ხნის წინ, დღეს მართლაც გამოჩენილმა გოდერძი ჩოხელმა სინანულით და სიყვარულით მითხრა: პირველად ცივი მეჩვენა ბატონი არჩილი, მაგრამ მერე დიდი სითბო მანახაო.

***

არჩილმა რედაქციაში თავისი ოთხი წლის შვილიშვილი მოიყვანა. ზრდილი, ლამაზი ბიჭუნა თავის ასაკთან შედარებით მეტის მცოდნე იყო და ძალიან მოგვხიბლა. ბავშვმა ყველას რაღაც დაუხატა და მე მკითხა: — თქვენ რა დაგიხატოთო, — მანქანა-მეთქი. დამიხატა და საკმაოდ კოხტად გამოყვანილი ასოებით გაფანტულად დაწერა: გიორგი სულაკაური, 1980 წელი, 4 იანვარი. მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: — ამას შევინახავ და დიდი რომ გაიზრდები, მაშინ განახებ-მეთქი.

— დიდი რომ გავიზრდები, ნამდვილ მანქანას გაჩუქებთო.

არჩილმა გაიკვირვა: — მართლა ეგრე გითხრაო? „გოგოები" დამემოწმნენ. ბაბუას გაუხარდა შვილიშვილის შემართება, თვალები აუციმციმდა, ბავშვს კოკროჭინა თავზე უხმოდ გადაუსვა ხელი და ვითომ ამაყად ჩაილაპარაკა: — უკვე პიროვნებაა.

***

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (1985, 14/11) არჩილის ლექსებს მთელი გვერდი ჰქონდა დათმობილი. ბოლო უსათაურო ლექსი ასეთი იყო: — „თამაზ ჩხენკელმა ამას წინათ ხუმრობით მითხრა: — დროა, ბებერო, განემზადო ჯოჯოხეთისთვის! ვინ დაადგინა მართლისა და ხუმრობის ზღვრები? მეც ვემზადები, უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე, ცეცხლს ვეფიცხები, ვეფერები, ვეპირფერები".

ვიცოდი, რომ არჩილი და თამაზი თითქმის ტოლები იყვნენ. გამეღიმა და გაზეთის გვერდზე მივაწერე: მართლაც, ვინ დასდო „მართლისა და ხუმრობის ზღვრები?" თავად „ბებერი" თამაზ ჩხენკელი, რას გელიზღება?.. და ოდეს წახვალ, ჯოჯოხეთში რაისთვის აბა? სამოთხის კარი გაგეხსნება ვითარცა საბას. ვაჩვენე არჩილს და ვთხოვე, თამაზს არ უთხრა — ეწყინება-მეთქი. გაიცინა, არ ეწყინებაო, მაგრამ არ ვეტყვიო — დამპირდა.

ახლა, ბატონი თამაზი მომიტევებს, ალბათ, დიდი ხნის წინანდელ ნათქვამს.

რამდენი რამ მომაგონა ფიქრს ადევნებულმა ფიქრმა და... ისევ არჩილის სტრიქონები: ...„უკვე არ ვიცი, ვის ვახსოვარ, ვის დავავიწყდი“

თხუთმეტ თებერვალს სამოცდათერთმეტი ნლის გახდებოდა ბატონი არჩილი, ჩვენი არჩილი.

თხუთმეტ თებერვალს, როგორც ყოველთვის, „მნათობელები“ მის სახელზე გაშლიან სუფრას, ლეჩხუმურ ღვინით შეავსებენ პატარა ჭიქებს, დაულოცავენ ლამაზ ოჯახს, ცოლ-შვილს და ნაგრამს... და მერე... მერე, ნუთიერი დუმილის მერე... არდავიწყების სასმისს შესვამენ მისივე სიტყვებით: „სადაც წახვედი, იქ სადაც ცხოვრობ, იქნებ დუმილი და სიბნელე არ არის მხოლოდ...“

ნაზი თარგამაძე

ერთი მოგონება

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, აღარც კი მახსოვს როდის. ერთ ოჯახში ვიყავით ხალხმრავალ სერობაზე, ცოტა ზედმეტად პომპეზურზე და არასაჩვენოზე. ჩემს წინ არჩილ სულაკაური იჯდა. გადმომჩურჩულა, არ მოგბეზრდაო? თავი დავუქნიე. შეთქმულებივით უსიტყვოდ წამოვდექით და გამოვიპარენით. ნასვამები ვიყავით. შევატყვე, შინ წასვლა არ ეჩქარებოდა და შევთავაზე: წამო, ჩემთან წავიდეთ, შინ ნაღდი ღვინო, შენი მიწა-ნყლის გუდის ყველი, ქოთნის ლობიო და წნილი მეგულება-მეთქი. აგაშენა ღმერთმაო, მითხრა და შევუდექით მთანმინდის აღმართს.

არჩილ სულაკაურს მანამდეც კარგად ვიცნობდი უნივერსიტეტიდან, თამაზ ჩხენკელთანაც ხშირად ვხვდებოდით ხოლმე, მაგრამ ჩემს ოჯახში არ იყო ნამყოფი. ამიტომ საგულდაგულოდ ჩამოუარა კედლებს, ყოველ სურათზე მეკითხებოდა, ვინ ვინ იყო, ვისი დახატული იყო, როდის და რა ვითარებაში. ერთი სიტყვით, მასპინძელს რომ ეამება ისეთ ინტერესს იჩენდა ყველაფრისადმი. განსაკუთრებით მამაჩემის ნახატებმა და ქანდაკებებმა გააოცა: არ მეგონა თუ ბატონი ვახტანგი ფუნჯისა და საჭრეთლის ასეთი ოსტატიც იყოო.

შემდეგ სუფრას მივუსხედით და წელში გამოყვანილი ჭიქებით ნელ-ნელა შევუყევით კაცურ მასლაათს. ხან მთისა ვთქვით ხან ბარისა, წყეული ოცდაჩვიდმეტიც გავიხსენეთ და ომიანობის სიდუხჭირეც, ცოცხლებისაცა ვთქვით და მიცვალებულებსაც ნავუქციეთ ჭიქა. ლამის გათენებამდე გასტანა ჩვენმა ჭუკჭუკმა. არჩილის „ეღალი მიმინო“ სულ თავს დაგვტრიალებდა მთელი ღამის მანძილზე.

ბოლოს წამოვდექი, გადმოვიღე თაროდან „სახარების“ ორიგინალური გამოცემა, ცალ-ცალკე, პატარ-პატარა წიგნებად დასტამბული მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, რომლებიც 1960 წელს ვარშავაში მქონდა შეძენილი და საბჭოთა „ქაჯეთის ციხეში“ მალვით შემოტანილი. ეს წიგნები არჩილს დავულაგე წინ და ვუთხარ: წესად მაქვს, ჩემს ოჯახში პირველად მოსულ კაცს უსაჩუქროდ ვერ ვისტუმრებ ხოლმე და ეს „ოთხთავი“ შენია-მეთქი.

აბობოქრდა: შენ იცი, რასა მჩუქნიო! პირჯვარი გადაისახა და

სათითაოდ ემთხვია. მე დავამშვიდე. — ვიცი და შენც რომ იცი, სწორედ მაგიტომ შენთვის მემეტება-მეთქი.

როგორი მართალი აღმოვჩნდი, ჩემო არჩილ, მაშინ. შენ მართლაც წმინდა წერილის ღირსი იყავ შენი კაცური არსებობითა თუ ჭეშმარიტი შემოქმედებითი ცხოვრებით. მე მჯერა, იქ, უზენაეს სამსჯავროზეც იმ წიგნებჩახუტებული წარსდექ და დაიმკვიდრე სასუფეველი შენს ღირსეულ საძმოს შორის, ვისკენაც სულმა გაგიწია.

ჩვენ კი, შენს მეგობარ „აივნელებს", ერთი ფეხზეწამოსადგომი სადღეგრძელო შეგვმატე, სხვას რაღას ვიზამთ, ზოგჯერ დაგირღვევთ ხოლმე მარადიულ მდუმარებას ჩვენი უსუსური მონატრებითა და ცალმხრივი შეძახილებით.

ნათელში გამყოფოს ზეციურმა. ამინ!

ვახუშტი კოტეტიშვილი

დაგვიანებული სამადლობელი

1992 წლის მაისი იწურებოდა, ლაღიძის წყლებთან ბატონი არჩილი შემხვდა. მისალმებისთანავე მითხრა: — ხომ ხედავ, ნანვიმარზე მზემ დააჭირა, რუსთაველზე კი ნახშირისა და ნაცრის სუნი ტრიალებს... ეს რა ქნეს, რა ჩაიდინეს!

— რას შვრებით, სადა ხართ? — ვკითხე მე.

— ქუჩაში, მეც და „მნათობის" რედაქციაც. დავდივარ მინისტრთა საბჭოში. მპირდებიან დღეს, ხვალ... აგერ ნახევარი წელიწადი გადის და შედეგი ჯერ არსაიდან არა ჩანს. ჟურნალის რედაქციისათვის თავშესაფარი ვერა და ვერ გამოინახა. „მხედრიონელები" კი მე არა მყავს...

— ბატონო არჩილ, იქნებ დროებით ჩვენს სამსახურში (მაშინ ჯერ კიდევ მთავლიტი ოფიციალურად გაუქმებული არ იყო) მოვიფიქროთ რამე. — გაკვირვებულმა საოცრად მეტყველი თვალებით შემომხედა. — როგორ? როგორ და ჩვენ შევვიწროვდებით, გაგვიჭირდება, სამაგიეროდ ერთად ვიქნებით, ერთად შევეჭიდებით სიძნელეებს; აბა „მნათობი" ქუჩაში ხომ არ დარჩება?!

ასეც მოხდა. ბატონმა არჩილმა მინისტრთა საბჭოს სახელზე წერილი მოამზადა. მე კი წავიღე, ხელისუფალთ შესატყვისი რეზოლუციაც გავაკეთებინე. გამოვათავისუფლეთ ოთახები, გამოვნახეთ საწერი მაგიდები, კარადები, ტელეფონები. თითქოს ხელახლა გაიმართა ჟურნალის რედაქცია. ხარობდა ბატონი არჩილი, რომ გადაარჩინა ჟურნალი „მნათობი".

ეს იყო ხუთი წლის წინათ.

ამ ხნის განმავლობაში ბატონი არჩილი მუდამ გამოხატავდა მადლიერებას ხან სიტყვით, ხან კალმით, ხან კი მრავლისმეტყველი თვალებით. ამით მე ვგრძნობდი მის დიდ შინაგან ღირსებას. ბატონი არჩილი ამით ხაზს უსვამდა არა ერთეულ მოვლენას, არამედ ზოგადს. კერძოდ, ცხოვრების გამოცდილებით, მწერლის გონების თვალის დაკვირვებით იცოდა, რომ კეთილ საქმეს ხშირად, თან ახლავს უმადურობა, დაუნახაობა!..

დღეს, კვლავ, როგორც ცოცხალს მოგმართავ: ჩემო არჩილ ბატონო, თქვენი შემოქმედების ყოველ სტრიქონში თაფლივით წვეთავს სიკეთე, სანთელივით კიაფობს ნათელი. სიჭაბუკეში შო-

რიდან გაგიცანი ლექსით „ჩემს ტოლ ამერიკელს“. ახლა კი გულისტკივილით გიგოსებ; ხან კიდევ ფიქრებში გესაუბრები „სეფედაკლეზე“ დრო უშენოდ გადის. ვწუხვარ, ცოცხალს ვერ გითხარი სამადლობელი, რომ შენთან ურთიერთობით გამამდიდრე. მაგრამ უნდა გისაყვედურო, უშენობით გამაღარიბე.

გიორგი ნაჭყებია

რა დამავიწყებს

1. ზურმუხტოვანი ჯვარი

მოსკოვში, ჩაიკოვსკის დარბაზში გამართულმა ქართული პოეზიის საღამომ, როგორც იტყვიან, წარმატებით ჩაიარა. საღამოს მომწყობნი და მონაწილენი, „მოსკოველმა ქართველებმა" რესტორან „სოვეტსკაიაში" მოგვიწვიეს, დიდებული ნადიმი გაიმართა. სხვა სიკეთესთან ერთად, ლხინს, არც ბოშათა გუნდის ცეკვა-სიმღერა დაკლებია. პოეტი ბელა ახმადულინა, მისი მეუღლე მხატვარი ბორის მესერერი და არჩილი სუფრის ერთ მხარეს ისხდნენ, ხოლო მათ წინ, სუფრის მეორე მხარეს, დეპუტატის დროშებით მკერდდამშვენებული ჩვენი სასიქადულო პოეტები გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, შოთა ნიშნიანიძე და ნოდარ დუმბაძე ისხდნენ. კარგად რომ შევზარხოშდით, სიტყვა ბელა ახმადულინამ ითხოვა, ფეხზე წამოდგა, ღვინით სავსე ფუჟერი მოიმარჯვა, მარცხენა ხელი ასწია, გრძელი ლამაზი თითები მოხდენილად გაშალა და მისთვის ჩვეული ოდნავ მოკანკალე ხმით წარმოთქვა: -- მე მიყვარს საქართველო! მე მიყვარს სვეტიცხოველი, სადაც ჩემმა ქართველმა მეგობრებმა მართლმადიდებლობას მაზიარეს! მე მიყვარს ქართული პოეზია! მე მიყვარს ბატონი გრიგოლი, ბატონი ირაკლი, ჩემი ნოდარი, შოთა... მე გულწრფელად მახარებს მათი დიდი წარმატება, მათი დეპუტატობა, მათი სოციალისტური შრომის გმირობა, მათი ლაურეატობა, მათი მაღალი ტიტულები. მჯერა, რომ ეს ყველაფერი მათ მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რათა ჭეშმარიტ პოეზიას გამოექომაგონ, რათა გამოადგნენ ნამდვილ მწერლებს, რათა გამოადგნენ ჩემს საყვარელ ლამაზ საქართველოს. მაგრამ, ახლა, მე მსურს ყველას გვერდი ავუარო და მხოლოდ არჩილ სულაკაურის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. მართალია არჩილს არავითარი რეგალია არ გააჩნია, მაგრამ იგი უამისოდაც დიდებული შემოქმედია. მე უაზღვროდ მიყვარს არჩილი! ამიტომ ყველა თქვენგანის „ჯიბრზე", მე მინდა გადავცე მას ჭეშმარიტი ჯილდო -- ზურმუხტის თვლებით გალამაზებული ჩემთვის ძვირფასი ჯვარი! ჯვარი, რომელიც ჩემმა თბილისელმა მეგობრებმა მისახსოვრეს! მისახსო-

ვრეს ჩემი ნათლობის დღეს! მისახსოვრეს ჩემს საყვარელ მცხეთაში. ჩემს საყვარელ სვეტიცხოველში! — ამ სიტყვებზე, ბელამ, გრძნობით შობილი სასოების ცრემლი შეიმშრალა, ღვინით საკვესე ფუჟერი ბოლომდე დაცალა, ზურმუხტოვანი ჯვარი ყელიდან გარდამოიხსნა და არჩილს თავისივე ხელით ყელზევე ატვირთა. ეს დაფასება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ტაშმა იგრიალა. მერე ყველანი ფეხზე წამოვუდექით არჩილს და მისი სადღეგრძელო დიდი მოწიწებით შევსვით.

2. კეფალი

ნოდარ დუმბაძის აგარკს, არჩილი სექტემბრის ბოლომდე შემორჩა. იმ დროს მეც გულრიფშში გახლდით. თბილისში წასვლის დღეს, ვიდრე მანქანის საჭეს მიუჯდებოდა, ნოდარმა გარაჟიდან სასროლი ბადე გამოიტანა: — არ გეწყინოს, არჩილ, გარაჟის კარი უნდა ჩავრაზო და ეს ბადე ჯობს გარეთ იყოს. ვიცი მოგშივდებათ უჩემოდ შენ და შენს ოღიას, მტკვრის პირას ხარ დაბადებული, ბავშვობაში მოსაცვლელი კბილები სასროლ ბადეზე გაქვს შეტოვებული... ჰოდა, აგერაა ახლოს კოდორი. წაიღე ბადე, ამოყარე თევზი, მოხარშეთ „უხა", არყის ფული უკვე წინასწარ გადავუხადე გვაზავებს. გამოართვით „ვოდკა", დაპატიჟეთ რუსის ქალები და დალიეთ ჩემი სადღეგრძელო.

ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გადაიგდო არჩილმა მხარზე ნოდარის დატოვებული ბადე, მეც მომაჩეჩა ხელში სათევზაო ვედრო და კოდორს მივაშურეთ. გზად, ვინც კი შემოგვხვდა, ყველამ დაგვლოცა: „ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, საღამოს თქვენი სტუმრები ვართ, თევზი თქვენი, დანარჩენი ჩვენი!".

კოდორი მთაში მოვარდნილი თქეშის გამო ამღვრეული დაგვხვდა. ამიტომ შინ ხელმოცარულები დავბრუნდით, არჩილი საშინელ გუნებაზე დადგა. ვედროში ათიოდე ლიფსიტა ღაფავდა სულს, ჩვენი გზის დამლოცველები ნოდარის ჭიშკართან შემოგვეგებნენ.ცარიელი ვედრო და უგუნებოდ მყოფი არჩილი რომ დაინახეს, შეცბნენ, მაგრამ იხტიბარი არ გაგვიტეხეს: არა უშავს „უხას" გარეშეც იოლას გავალთო, — გვითხრეს, — მთავარია საღამო ერთად გავატაროთო, — ესეც დასძინეს და იქვე, გზისპი-

რას „ლავკაზე“, ანუ მერხზე ჩამოსხდნენ. არჩილმა კოდორის მღვრიე ტალღებიან ნაბრძოლი ბადე გასაშრობად გაფინა. მე ზღვას მივაშურე, ცოტას გავიცურავებ-მეთქი, ვიფიქრე. უცებ, ზღვის ნაპირს კარგა მოზრდილი თევზი მოაწყდა. არჩილთან მივირბინე, ვუთხარი, რაც ვნახე. არჩილი სასწრაფოდ სწვდა ბადეს, ზღვასთან მიირბინა, დაზვერა ტალღები, მერე ბადე მოიმარჯვა, ისროლა და... ჰოი, საოცრებავ?! — ზღვიდან უშველებელი კეფალი ამოიყვანა. თევზი იმდენად დიდი იყო, რომ ვედროში ვეღარ ჩავატიეთ, ნახევარი ვედროს კიდეს გადმოეკიდა.

მებადური ტაშით დააჯილდოვეს.

— ყველაფერი მინახავს, მაგრამ ამხელა ღლავის ზღვიდან სასროლი ბადით ამოყვანა მოყოლითაც არავისგან გამიგონიაო, — თქვა ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ ცნობილი ფოტორეპორტიორის ბალტერმანცის სიძემ ვალოდიამ და სიმამრს გადახედა.

არჩილი გამხიარულდა.

— ეს კეფალი სტავრიდებს გამოექცა, — თქვა მან, — იფიქრა ნაპირამდე აღარ გამომედევნებიანო. ის კი ვეღარ გაიაზრა, რომ, მტაცებლებს გამორიდებული, ცოტა ხნის მერე არანაკლები მტაცებლების, ბალტერმანცების მშიერ კუჭში ამოყოფდა თავს.

ყველას გაგვეცინა.

ამასობაში დაღამდა კიდეც. ვალოდიამ შინიდან შავი დღისთვის გადანახული უკრაინული „ჰარილკა“ მოარბენინა, „უხაც“ მალე მოიხარშა და ყველანი სუფრას მივუსხედით.

ჩინებული მებადური გახლდათ არჩილი.

3. ანგორის კატა

არჩილმა საზღვარგარეთ წიგნი გამოსცა. ჰონორარი, მოსკოვში სერთიფიკატებით მიიღო. თანხა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ წინ რაგინდ ქებული გურმანის მიერ გაწყობილი ასკაციანი ძვირფასი სუფრაც ვერ დაუდგებოდა. მივყავით ხელი სერთიფიკატების „ფლანგვას“ მოსკოვის რესტორნები რომ ვეღარ მოვიყირჭეთ, სიამოვნების გასაგრძელებლად შინ მატარებლით დაბრუნება გადავწყვიტეთ. „საერთაშორისო ვაგონი“ ვერ გავახერხეთ, რაღას ვიზამდით, „რბილითაც“ დავკმაყოფილდით. ოთხსაწოლია-

ნი კუპე დავიკავეთ. ოთხნიც ვიყავით - არჩილი, პოეტი გივი გეგეჭკორი, გივის ვაჟი და მე. კარგად რომ „დავბუნაგდით“, დაღამდა კიდეც და მატარებელიც დაიძრა. ვახშამს შევუდექით. მოსკოვური „დელიკატესები“ საკმარისად გვქონდა წამოღებული. ამიტომ ვახშამიც გვიანობამდე გაგვიგრძელდა და ცოტა რამ მეორე დღისთვისაც შეშოგვენახა. გათენდა. ზამთრისპირი იდგა - დღემ მალე გაიარა და ისევ მოსაღამოვდა. მატარებელი კაზაკთა რომელიღაც სოფელში შეჩერდა. აღარ მახსოვს ბელორეჩინსკი იყო თუ ივლიევკა. ადრე, ამ სადგურებზე, მოხარშული ვარიები, „ხუტორის ყველი“, კვერცხი, ვედროებით ვაშლი და სხვა უგემრიელესი სანოვაგე იყიდებოდა. ახლა კი, ნურას უკაცრავად, აზელილი კარტოფილით ნახევრამდე შევსებულ ცელოფნის პაწია პარკებში ჩატანებულ მჟავე კიტრის გარდა, ველარაფერს მოვკარით თვალი. იძულებული შევიქენით ვაგონ-რესტორნისკენ აგვეღო გეზი. რესტორანს რომ მივადექით. ჩვენი ყურადღება ტამბურში ატუზული კატის „მიაუმ“ მიიქცია, კატა ღიათამბაქოსფერი იყო. ყურები აწვეტილი ჰქონდა, „ანგორისას ჰგავს“ — გავიფიქრე მე.

— ჯიშიანია. — თქვა არჩილმა.

— ეტყობა ვაგონ-რესტორნისაა. — ჩაილაპარაკა გივიმ.

ვიდრე მაგიდას მივუსხდებოდით, არჩილმა ოფიციანტ ქალს კატის „ვინაობა“ ჰკითხა.

— სადაა კატა?! ჩვენ არ გვყავს კატა?! — გაიკვირვა ქალმა.

— იქ, არის, ტამბურში. — ვუთხარი მე.

— ჰო, ალბათ ლტოლვილია. — თქვა მან და კატა რესტორანში შემოიყვანა, თან ესეც დასძინა: — ისე დაიმშა აქაურობა, რომ კატები გაქცევით შველიან თავს.

— საიდანაც კატები გარბიან, იქ ქვეყანას ხეირი არ დაადგება. — დაასკვნა არჩილმა.

თბილისში რომ ჩამოვედით, არჩილმა ვაგონ-რესტორანს მიაკითხა, ლტოლვილი კატა „გამოიხსნა“, უბეში ჩაისვა, უნდა ვიშვილოო — თქვა და თან წამოიყვანა.

— ნამდვილად ანგორისაა. — ვთქვი არჩილის კეთილშობილებით მოხიბლულმა.

— არც ეგ არის გამორიცხული, — ღიმილით მითხრა ნაშვილები კატის ქებით წახალისებულმა არჩილმა.

ჩემი მეუღლის მამიდა, ცნობილი ქართველი ფსიქიატრი, პროფესორი ლილი ნაკაშიძე რომ გარდაიცვალა, ჩვენი ვაჟი, ლევანი ორიოდე თვისაც არ იქნებოდა. გვირჩიეს: კარგს იზამთ თუ ჩვილს პაპიდას დაკრძალვამდე მონათლავთო. რჩევა მივიღეთ, თან, ისიც გადავწყვიტეთ, რომ ვინც მიცვალებულის ნათესავებსა და მოყვრებს შორის უნათლავი იყო, ყველას ერთბაშად გვეღო ნათელ-მირონი. ჩემმა მეუღლემ ეს ღვთისნიერი საქმე თავის მეგობრებს შესთხოვა, მე კი ნათლიებად ჩემი მეგობრები, არჩილი, ედიშერ ყიფიანი, მანანა ბარათაშვილი და რეზო ჭეიშვილი დავიგულე. დადგა ნათლობის დღე. მივაშურეთ ეკლესიას. ვინც უნათლავნი ვიყავით, მღდელმა ფეხზე გახდა, შარვლების დაკაპიწება, და ნაკურთხ წყალში ჩადგომა გვიბრძანა, ხოლო ნათლიებს სანთლები მიაწოდა... ვიდრე ჩვენ მოსანათლად ვემზადებოდით, ეკლესიაში ორი უცხოელი, მათი მხლებელი და თარჯიმანი ქალიშვილი შემოვიდნენ. უცხოელების მხლებელმა არჩილი რომ შენიშნა, მიეახლა, ხელი ჩამოართვა, თარჯიმანის საშუალებით სტუმრებსაც ნარუდგინა და ჰკითხა: „რა გინდა, აქ, არჩილ, რას აკეთებ?!“

— არაფერს. — აგდებულად უპასუხა არჩილმა, — ხომ ხედავ, შენისთანა ურჯულოებს, ათეისტებსა და კომუნისტებს ვნათლავ. თუ გინდა შენც მოგაქრისტიანებ. მაგრამ ჯერ ალბათ ადრეა, საამისოდ არ ხარ მომნიფებული.

ნათლობა რომ მომთავრდა, არჩილს ვკითხე: — ვინ იყო ის კაცი, უცხოელებს რომ ახლდა?

— ვინ იქნებოდა, ტეკას ინსტრუქტორი იყო, კულტურის განყოფილებაში მუშაობს. ვერ შეატყვე, შტერი რომაა?

***

დღეს არჩილი ჩვენს შორის აღარაა. ო, რარიგ გულდასანყვეტია ეს შავი ამბავი. არჩილის ახლობლებსა და მეგობრებს ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა და უფალი ჩვენი ამ ქვეყნადაც და იქაც არჩილს უკვდავების მარადიული ნათლით შემოსავს!

ანზორ სალუქვაძე

ერთი წერილის ამბავი

1988 წელს მამამ დაწერა წერილი „ჩვენი ზნეობრივი ღირებულებანი", რომელიც 6 აპრილს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში". ეს წერილი 13 აპრილს გადმობეჭდა გაზეთმა „კომუნისტმა", ხოლო მესამედ დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკაში" 17 აპრილს. მე რამდენადაც მახსოვს, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მამამ სპეციალურად „პრავდისთვის" დაწერა წერილი. ამ წერილის დაწერა კი ფაქტიურად განაპირობა ჟურნალ „ოგონიოკ"-ის დამატება „ისკატელში" გამოქვეყნებულმა ვ. მეგიცკის მოთხრობამ, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

1988 წელი ის დროა (ცხადია, ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში), როცა პრესასა თუ ტელევიზიაში, ცაში, ზღვასა თუ ხმელეთზე ფართო ბრძოლაა გაჩაღებული კორუფციის, მომხვეჭელობისა და საერთოდ ნებისმიერი ნეგატიური მოვლენების ნინააღმდეგ. უძრაობის პერიოდში აკრძალულ თემებს საბჭოთა მთავრობამ ტაბუ ახსნა და კომუნისტური მასები შესაშური კომუნისტური ენერგიით შეუდგნენ ნეგატიური მოვლენების მხილებას თუ გაშუქებას. ცოტას ვაჭარბებ, ალბათ სულმთლად ასეც არ იყო საქმე, მაგრამ მაინც ამ საერთო ჟრიამულში რთული გასარკვეი შეიქმნა ვინ რისთვის იღვწოდა; ვინ სიმართლისთვის, ვინ ენის მოსაქავებლად, ვინ მთვარობის საამებლად. ესეცაა, რომ 70 წლის განმავლობაში პირში ბურთჩაჩრილ ხალხს პირველად მიეცა თავისი სატკივარის თქმის უფლება, ხალხი თავის საწუხარს ამბობდა. ასეთ ვითარებაში დაიწერა მამას წერილი — „ჩვენი ზნეობრივი ღირებულებანი", თანაც ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც, ასე ვთქვათ „თამამ" თემებზე დაწერილი წერილებით გადაჭრელებული იყო ჟურნალ-გაზეთები.

მამა ყოველთვის განიცდიდა სხვა ერთა კულტურის მიმართ გამოვლენილ აგდებულ, ზერელე დამოკიდებულებას. თვითონ ზედმინევნით კარგად იცნობდა საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურას, მათ მწერლებს და საერთოდ მათ კულტურას (საზღვარგარეთის ქვეყნებზე არაფერს ვიტყვი) და მითუმეტეს სხვას (ცხადია, ვისაც მოეკითხებოდა) არასგზით აპატიებდა ქართული კულტურის მიმართ გამოჩენილ უმეცრებას. ხშირად ყოფილა, რომ მე, მხატვარ

კაცს, მეუბობელი ქვეყნების მხატვრების შესახებ რაიმე დამჭირვებია, წიგნების მოძიება, წიგნებში ქექვა დამზარებია და მამასთვის მიკითხავს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამომწურავი პასუხი არ მიმეღო, ‘ხოგჯერ ისეთი ცნობებით შეზავებული, რომელთაც ვერცერთ წიგნში ვერ ნახავს ადამიანი (თავისი არაოფიციალური ხასიათის გამო). მამას ნათქვამს შემოწმება არ ჭირდებოდა, მისი ნათქვამი მუდამ უტყუარი იყო. რა თქმა უნდა, ასეთ კაცს არ შეეძლო დამშვიდებით ეცქირა გონებაშეზღუდული, თავის ნაჭუჭში შეკეტილი ვთქვათ, რუსი მწერლისთვის. ასეთ მწერალს ხშირად საკუთარი კულტურის უცოდინარობაში ამხელდა ხოლმე, რადგან თვითონ უკეთ იცნობდა მისსავე კულტურას. მეგიცკის სახით კიდევ ერთი ამგვარი „მამლაყინწა“ მწერალი მოევლინა ქვეყანას. როგორც ეხლა ვხედავ, მეგიცკის მოთხრობა უბრალოდ საბაბი შეიქნა მამასთვის, რათა ყველას გასაგონად ეთქვა ის, რაც, როგორც ჩანს სულ აწუხებდა, რასაც მანამდე ალბათ პირად საუბარში იტყოდა, ან იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე „მეგიცკი“ თავისი ხელით გამოიჩიჩქნიდა დასაკლავ დანას. მამა ამგვარ პაექრობებში საკმაოდ დაუნდობელი და პრინციპული იყო, მაგრამ იმ იშვიათ უნარს ფლობდა, როცა დამარცხებულ ფსევდო-მეგიცკებს ბოლმა არ ახრჩობდათ (გამონაკლისებიც იყვნენ, რაღა თქმა უნდა), პირიქით, გრძნობდნენ მამას უპირატესობას, იმასაც, რომ მამა „მტერს“ ღირსეულად ეპყრობოდა, მათ კულტურას გულწრფელად აფასებდა და მისდამი პატივისცემით განეწყობოდნენ, ხშირად უმეგობრდებოდნენ კიდეც და რჩევებსაც ეკითხებოდნენ თავიანთი შემოქმედების შესახებ. ურიცხვ ამგვარ კამათს მოვსწრებივარ, განსაკუთრებით გაგრაში იყო ამგვარი შეხვედრებისთვის ხელსაყრელი გარემო. იქაურ „ლიტფონდში“ ზაფხულობით თავს იყრიდნენ საბჭოთა კავშირის ნებისმიერი კუთხიდან ჩამოსული მუზის მსახურები, მსერლები, რეჟისორები და სხვები. მზე გადაიხრებოდა, მსუბუქი ბრიზი დაუბერავდა, ნყლის სუნს გამოიყოლებდა და ჩვენ გაგრის ცნობილი „ბზის ჩასვლის“ საცქერლად განვეწყობოდით, ან აივანზე დაგვახლდებოდით, ან ომარასთან, „ლიტფოსდის“ ერთ ციცქნა ბნეანდ შეღებილ ბარში, ჩაწნულ-ჩახლართული გლიკინიებით გარშემორტყმულ მაგიდასთან. თითო ჭიქა კონიაკს დაგიდგამდით და საუბარიც ხელ-ნელა გაჩაღდებოდა. ამ საუბრების დროს ბევრი კა-

რვი ადამიანიც გავიცანი და, რაღა თქმა უნდა, მათ შორის ფსევდომეგიციკებიც ხშირად გამოერეოდნენ ხოლმე, ცხადია. სწორედ იქიდან ვიცნობ ამ მოდგმას.

როცა ნამდვილი ვ. მეგიციკის მოთხრობა წავიკითხე, ძალიან გაკვირვდი – თავის მოთხრობაში „უსიამოვნებანი შუადღისას იწყება", მეხანძრე გმირისთვის ავთანდილ რუსთაველი დაერქმია. ვიცოდი მამა რომ აპირებდა პასუხის დაწერას და როცა მუშაობა დაიწყო, მის კაბინეტს შორიახლო ვუტრიალებდი. მოთმინება მელეოდა, წარმოვიდგენდი ხოლმე ბეჭებზე დადებულ მეგიციკის და მეღიმებოდა, ჩემი ვარაუდით საქმე ძალიან ცუდად უნდა ჰქონოდა. როცა მამამ წერილი დაასრულა (სხვათა შორის კარგა ხანს წერდა), ცოტა არ იყოს გულნაკლული დავრჩი, საკმაოდ ვრცელ წერილში ეს მოთხრობა თითქმის გაკვრით ჰქონდა მოხსენებული. თუმცა მალევე მივხვდი, მამა ცამდე მართალი იყო. მეგიციკის ბეჭებზე დადებას რა დიდი საქმე უნდოდა, ისეთი „სატოპკე" ჰქონდა აგდებული! მაგრამ ამით აბა რა შეიცვლებოდა? ამ მოვლენის არსი სხვაგან იყო საძიებელი. მოვიყვან ციტატას მამას წერილიდან: „...წინასწარ გეტყვით, მოთხრობა დაწერილია ფრიად კეთილი განწყობით საქართველოსადმი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი კულტურის ელემენტარული უცოდინარობის გამო, ავტორი თავისდაუნებურად უტაქტობას იჩენს... თავად განსაჯეთ, ერთ-ერთ თავის გმირს, რომელსაც ცხვარი მიჰყავს ქორწილში, მან დაარქვა ავთანდილ რუსთაველი(!) „მე რუსთაველი, მე ავთანდილ რუსთაველი გახლავართ, — ამბობს იგი, — პროფესიით მეხანძრე, მონოდებით თამადა". დავუშვათ, ავტორმა არ იცის, რომ ასეთი გვარი — რუსთაველი საქართველოში არ არსებობს, რომ ეს ფსევდონიმია და ეკუთვნის მხოლოდ ერთ კაცს — უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსანის" გენიალურ შემქმნელს, მაგრამ ხომ უნდა ესმოდეს, რომ ეს, თანაც რუსთაველის წმინდა სახელის ასეთი კონტექსტით, შეურაცხმყოფელია არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ყოველი კულტურული ადამიანისათვისაც..." იმ ჩემი ცოდვით სავსე მეგიციკის შესახებ მხოლოდ ეს დაეწერა. მთლიანად კი წერილს გულისტკივილისა და რაღაცნაირი უჩვეულო სინრფელის ბეჭედი ესვა... მაინც როგორ მოვახერხეთ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთის კულტურის შესახებ არაფერი გვცოდნოდა, საერთოდ არ დავინტერესე-

ბულიყავით ერთმანეთით?! წერილში არსად არის ნათქვამი, მაგრამ თვალნათლივ ჩანს, რომ ამ მოვლენას მამა უზნეობად მიიჩნევდა, ხოლო ზნეობრიობისაკენ გადადგმული ნაბიჯი გამოიხატება კულტურის აყვავებით, ამ გზაზე დიდი როლი ლიტერატურას ენიჭება: „ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლა არის და იქნება ლიტერატურის უზენაესი ამოცანა", წერს ამ წერილში. დღევანდელი თვალსაზიერიდან უკეთ ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის ე. ნ. „ნამცეცების" კულტურა და მათი ეროვნული ფასეულობანი შეუსწავლელი, იგნორირებული და ინტერესმოკლებული რჩებოდა. კიდევ ერთი ციტატა: „ერთაშორისი ურთიერთობები აუცილებლად მოითხოვს საფუძვლიან ანალიზსა და შესწავლას... ის, თუ რა კოლოსალური დამახინჯებანი და შეცდომები მოჰყვა მოჩვენებითი კეთილდღეობის ვითარების შექმნას, თვალნათლივ ჩანს ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცხო ეროვნებათაშორისი კონფლიქტების დღევანდელი მაგალითებიდან". მამა თავის წერილს ასე ამთავრებს: „ეს შენიშვნები მინდა დავამთავრო ცნობილი სიტყვებით: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაოცებული ვიყავი, ისეთი გამოხმაურება მოჰყვა მამას წერილს. ძითუმეტეს, რომ ეს არ იყო ხალხთა მეგობრობის პათოსით გაჟღენთილი წერილი. მახსოვს, გულუბრყვილოდ მიკვირდა, ეს ხალხი ჩვენს მისამართს საიდან გებულობს-მეთქი. ისიც მახსოვს, მაშინ ვიგრძენი, რომ ხალხს თურმე შეუძლია გულისხმიერი იყოს, თუკი თვალში ნაცრის შეყრას არ დაუწყებ და წრფელ სიტყვას ეტყვი. საიდან აღარ მოდიოდა წერილები! აი, ის ქალაქები, რაიონები თუ დაბები: კამენსკ-ურალსკი, ნოვოკუზნეცკი, ბაქო (3 წერილი), დონეცკის მხარე — არტემოვსკის რაიონი, ქალაქი სევერსკი, კრასნოდარის მხარე, დასახლება ოლსკი, მოსკოვი, კიევი, ომსკის ოლქი, სოფ. გლუხოვო, ტამბოვის ქალაქი ჩირჩიკი, კვლავ მოსკოვის ოლქის რაღაც სოფელი, სახელის გარკვევა ვერ მოვახერხეთ და ასე შემდეგ. მოვიყვან ციტატებს ზოგიერთი მათგანიდან: Меня очень взволновала ваша статья „Кто себе не ищет друга", ...знаете почему мы враждебно друг к другу относимся? мы плохо знаем историю друг друга. Сибиряне не знают, как живут грузины, русские, которые живут в европейской части оскорбляют сибиряков. Я очень хочу изучить

(достать, обменять) где-нибудь историю Грузии... Меня огарчает, что не знаю о репресиях в Грузии, поэтому у определенной части населения создается впечатление, что во всем виновен не только Л. П. Берия, а и весь грузинский народ... И к сожалению, я не знаю сколько погибло в грузии в 1937-38 г.г."

Виктор Пешин 23 года

კიევიდან: „Восхищен вашей об'ективностью и социальной справедливостью"

Стаценко П. А.

ბაქოდან: „Благодарю вас за статью... Этой статей вы принесли огромную пользу делу воспитания людей"

Э. Фархадова

ბაქოდან: „Мы всех русских поэтов и писателей знаем, а они — ихние школьники и даже масса людей обсолютно не знают никого из наших поэтов и особенно историю. На улице больших городов спроси у любого — кто такой Руставели, Низами, Омар Хайам, они не будут знать. А если спросим — кто такой А. Дюма, Шиллер — сразу ответят, потому что их изучают... такие статьи, как ваша сближают нас"

Д. Исмаилоглы

კამენსკ-ურალიდან: „Я русский человек, в моих жилах течет кровь уральских казаков, горжусь и тем и другим. Руставели оказал на меня сильнейшее нравственное влияние. Может быть отчасти благодаря и ему я не сломался „годы застоя" Его книга убедительно учит юного человека мужеству, благородству, верности любви и дружбе, и при том в высочайшей художественной форме"

В. Балаев

ისევ ბაქოდან: „ Ваша статья „Кто себе не ищет друга" написана на высочайшем уровне и очень умно, как вы виртуозно, не называя имени, высекли всеми нами уважаемых

братьев!!! Статья меня восхитила, я получила высочайшее наслаждение“

Л. Керимова

დასახლება ოსლიდან: „Кому-кому, но работникам публицистики такие промахи не простительны. Даже вредно целому народу. Как мог В. Мегицкий такую глубочайшую ошибку допустить, назвать человека с мировым именем Автандилом Руставели, хотя почти вес мир знает имя гениального Шота Руставели. Хотя таких мегицких, к сожалению в последнее время их стало много... Вы человек чистой совести и справедливо болеете за свой народ, за культуру, традиции, по больше бы таких людей как вы. Большое спасибо вам за это...“

А. Макоян

კემეროვსკის ოლქიდან: „Ваша статья взволновала меня до глубины души, прочитал ее несколько раз, поднятые в ней вопросы настолько актуальны и своевременны а может быть чуть поздно... Огромное вам спасибо за эту статью.“

П. Нагибин

(ეს წერილი თავიდან ბოლომდე დაიბეჭდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1988 წ. 4 აპრილის ნომერში რუბრიკით „Письма в Грузию“ და მთლიანად ეძღვნება ავტორის ქართველი ძმადნაფიცის ალ. გულისაშვილის ხსოვნას).

ციტატებს ყველა კორესპონდენციიდან ცხადია, აქ ვერ მოვიყვან, ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა, — თითქმის ყველა წერილი მადლიერებისა და მონიწების გრძნობითაა განმსჭვალული. უბრალოდ, შეულამაზებლად ყვებიან თავიანთ ყოფა-ცხოვრებაზე, გასაჭირზე, ეკითხებიან მწერალს რჩევას და ა. შ. ყოველი მათგანი საოცარი გულწრფელობით არის გამთბარი. ეხლა ვხედავ, როგორი საჭირო იყო იმ დროს ასეთი სტატიის დაწერა.

მოგონებას ვამთავრებ მოსკოვიდან მიღებული მარლენ კორალოვის დეპეშით:

„Умница Арчил, молодец, будь здоров — читатель Правды“

ლაშა სულაკაური

ხედავ, ღამდება...

შეუძლებელია, მახლობლის, ნათესავისა თუ საყვარელი მეგობრის გარდაცვალებით გულდამძიმებულმა კაცმა საზოგადოებისათვის საგულისხმო რაიმე აზრი წარმოაჩინოს. ვაება ძვირფასი მკვდრის გამო ყველასათვის ერთია, ხოლო ლიტერატურისათვის უფასურია. არჩილ სულაკაურს სისხლხორცეულად უყვარდა ლიტერატურა და სძულდა ამიკოშონური სენტიმენტები. ამიტომ დღეს, ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრის საეტაპო თარიღებისადმი მიძღვნილი წერილებით მინდა ერთხელ კიდევ გავახსენო საზოგადოებას მისი პიროვნებისა და მწერლური მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე.

***

1963 წლის ზაფხულში არჩილ სულაკაურმა თუშეთში სამოგზაუროდ მიგვიწვია ნოდარ ებრალიძე, სარგის ცაიშვილი და მე. ეს იყო ამაღელვებელი და მძაფრი შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზაურობა. პირველი საოცრება იყო შავი ფიქალით აწყობილი დართლო... ჩვენ ვერ ვმალავდით აღტაცებას და მაშინ არჩილმა ღიმილით გვითხრა: ახლა მაინც მეცით პატივი, ხომ ხედავთ, რა კუთხის შვილი ვარო.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ არჩილ სულაკაურისთვის ყოველთვის უცხო იყო კუთხური მიკერძოების გრძნობა. მეტიც, იგი ათვალისწუნებით შენიშნავს ამგვარი მიკერძოების უმცირეს გამოვლინებასაც კი, რაშიც სავსებით სამართლიანად, ეროვნული და ინტელიგენტური უმწიფობის ნიშანს ხედავს. მე ვფიქრობ, ასეთი თვალსაზრისი, როგორც ბუნებრივი განცდა, ჩვენი დროის მონაპოვარია, იმ ხალხის მონაპოვარი, რომელიც საქართველოს დედაქალაქში ჩამოყალიბდა გარკვეული მოქალაქეობრივი მრწამსისა და ეროვნული თვითცნობიერების მატარებელ თაობად.

მე კარგად მახსოვს მისი ძველი სახლი მტკვრის პირას, ერთმანეთზე მიჯრილი კიბეებით და ღია აივნით, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა. ამ აივნიდან კარგად ჩანდა მთაწმინდა. ბინაში შესვლისას კედელზე კარლო სულაკაურის გაკეთებული ორკუზიანი აქლემის ბარელიეფს დაინახავდით. ეს იყო ჩემი სიჭაბუკის

ამ მშობლიური სახლის გერბი, ამ ოჯახის უფროსთა გამძლეობის, ხოლო მათი შვილების ჭირთა მძლეობის სიმბოლო. მეორე ოთახში იდგა საკმაოდ დანჯღრეული დივანი, რომელზეც არა ერთი და ორი ღამე ტკბილად გამითევია. აქვე იმართებოდა ჩვენი დაუმთავრებელი საუბრები პოეზიაზე, კაცთა რაობაზე, მომავალზე. აქვე ვისმენდი არჩილის მომნუსხველ „მოთხრობებს" მისი უბნის უცნაურ ნაცნობებზე.

აშკარაა, რომ არჩილ სულაკაურის ზოგიერთი მოთხრობა ამ ძველი პერიოდის შთაბეჭდილებების ნაჟურია. მაგრამ ჩემთვის ისიც ცხადია, რომ ეს შთაბეჭდილებები უაღრესად ძუნწად, შთაგონებისა თუ განსჯის ხანგრძლივი გვირაბების გავლით ჩაიწურა პროზაიკოსის ნაწერებში, რომელთაც იმდენადვე ამჩნევია პირვანდელ ხილვათა კვალი, რამდენადაც საკუთრივ შემოქმედის ფანტაზიისა და ფიქრის ტვიფარი, არჩილ სულაკაურს მახვილი თვალი აქვს. ეს თვალსაჩინოა მის პროზაში, სადაც საგანთა და სიტუაციათა დეტალები უჩვეულო დაკვირვებით არის გაცოცხლებული. სწორედ დაკვირვების ამ განსაკუთრებულმა მიდრეკილებამ მიიყვანა არჩილი პროზასთან.

პროზა, როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს, პოეზიასთან თავაზიან ბრძოლაში იბადება. „ბრძოლის" ამ ხელოვნებას შესანიშნავად ფლობს არჩილ სულაკაური, რომელსაც ერთსა და იმავე დროს მოპირისპირე „ლაშქართა" მეწინავეთა შორის ვხედავთ ხოლმე. „თავის დროზე იგი ერთიანად განუდგა პოეზიას, ოღონდ ლექსი ყოველთვის ცოცხლობდა მის გულში რაღაცნაირი მეტაფიზიკური სიჯიუტით", წერდა ოტია პაჭკორია. 1975 წელს არჩილმა გამოაქვეყნა თავის ლირიკულ კრებულთაგან საუკეთესო — „ოთხივე მხრიდან", რაც მისი ნიჭის ცხოველმყოფელობასა და აღმავლობას გვიდასტურებს. ამ წიგნიდან გვიქცერის სერიოზული და ოდნავ დაღვრემილი სახე პოეტისა, რომელიც თვით უკიდურესად პირქუში ხილვების წიაღშიც ინარჩუნებს მამაკაცურ სილბოს, ნებისყოფას და ქმედების ხალისს...

50 წელი არ არის ცხოვრების შუადღე, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე „უპასუხისმგებლო ოპტიმიზმით გამსჭვალულები". შემოქმედისათვის ეს ხანა ხვავრიელი შემოდგომის ალოა, უკან არის მოტოვებული შრომით, წვალებითა და აღგზნებული ფი-

ქრით გაბრნყინებული სიჭაბუკე, ხოლო წინ უკვე ძალიან ახლოს მომდგარი თოვლიანი მწვერვალებია.

მე მინდა დავამთავრო იმით, რითაც დავიწყე. თუშეთში მოგზაურობისას, ეღოში თოვლიან ფერდობზე არჩილმა იპოვნა პანანკინტელა მცენარე, აღელვებულმა დაგვიძახა და დიდხანს ათვალიერებდა ქათქათა სითეთრეში ცისფრად მოკიაფე ამ ერთიბენო ყვავილს... ეს ხილვა იყო შენი მომავალი ძიებებისა და გამარჯვების თანამგზავრი, ჩემო მეგობარო!

1977

***

უნივერსიტეტის პირველ კურსზე, 1945 წელს არჩილ სულაკაურის ერთ რვეულად აკინძული ლექსები წავიკითხე. მაშინ გავიცანი არჩილი. მომდევნო წელს „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. ერთი სტრიქონი „ავალ მთაწმინდას, დავეყრდნობი იდაყვით მთვარეს, ვით ნაომარი აქილევსი ფარს ეყრდნობოდა", ბევრს ჩარჩა მეხსიერებაში, და უკვე ამ ლექსით იყო გამეულავნებული არჩილ სულაკაურის, როგორც პოეტის, დამოკიდებულება ტრადიციისადმი, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა კლასიკური ფორმებისადმი და ცხადი პოეტური აზროვნებისადმი ერთგულებას. თავისი მსოფლშეგრძნებით იგი პირნმინდა ურბანისტია და ამ აზრით მის თუშურ წარმომავლობაზე ლაპარაკი უადგილოა. არჩილი არა მარტო თბილისელია, არამედ დედაქალაქური ღირსებით მორჭმული კაცი. კუთხური მიკერძოებისადმი მას საშინელი ალერგია აქვს. და ეს ჩვენი თაობის უპირველესი ნიშანთვისებაა.

დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ არჩილ სულაკაურის ნახევარსაუკუნოვანი გზა ლიტერატურაში მართალი და თავდადებული მსახურებით არის გამსჭვალული. ამნაირმა სულისკვეთებამ მიიყვანა იგი „მნათობში" და დაამეგობრა სიმონ ჩიქოვანთან, რომლის რედაქტორად ყოფნისას იკვალებოდა ქართული ლიტერატურის ახალი გეზი. მაშინ დიდი რისკის ფასად „მნათობში" ქვეყნდებოდა ნაწარმოებები, რომლებიც არღვევდნენ მაშინდელი ცრუ და გახევებული ესთეტიკის ჩარჩოებს და საფუ-

ძველს უყრიდნენ ახალგაზრდა ლიტერატორების თავისუფალ შემოქმედებას. ამ პროცესში არჩილ სულაკაური თვითონ იღებდა მონაწილეობას არა მარტო როგორც „მნათობის" მუშაკი, არამედ, როგორც ახალი ტენდენციების მატარებელი მწერალი.

„ნაკადულის" დირექტორად დანიშვნის პირველსვე დღეს არჩილმა კრებაზე მოიწვია თანამშრომლები. სხდომათა ისტორიაში ეს იყო, ალბათ, ყველაზე ხანმოკლე სხდომა. დირექტორმა ბრძანა: განთავისუფლებთ ენის მოტანისაგან, არცერთ დაბეზღებას არ მოვისმენო და... კრება დახურულად გამოაცხადა. მას მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ მწერლურ დაწესებულებაში შეუწყნარებელია რამენაირი ადმინისტრირება. ამ თვალსაზრისზე იდგა „მნათობის" რედაქტორად ყოფნის დროსაც. „ნაკადულში" ყოფნისას მან გამოსცა ქართული პოეზიის 17-ტომეული. ეს იყო დიდი და შრომატევადი საქმე, რასაც არჩილმა დიდი ენერგია შეალია. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კულტურული მოვლენა დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული.

ერთხელ „ნაკადულში" რომ მივაკითხე, გამაოცა მისმა პირქუშმა გამომეტყველებამ — რა სახე გაქვს, გააგიჟებ კაცს! — ოთხი საათი იჯექი რაიკომის ბიუროს სხდომაზე და ნახავ რა სახეც გექნებაო (გამომცემლობის დირექტორს ევალებოდა ბიუროს სხდომაზე დასწრება). და აქაც კარგი საქმე აქვს გაკეთებული. ერთ ჩვენს მეგობარს, ცნობილ ფსიქიატრს, უპატიოსნეს და განათლებულ ინტელიგენტს, მაქინატორთა წყალობით ისე ნაუვიდა საქმე, რომ ლამის დაპატიმრება ემუქრებოდა. ბიუროზე არჩილის სიტყვამ შემოაბრუნა საქმე და გადაარჩინა უდანაშაულო კაცი.

ხანგრძლივი მეგობრობა ბევრ საიდუმლოს ინახავს, მაგრამ უფრო მეტს ამჟღავნებს. სწორედ ეს გამჟღავნებული აკრიალებს დროთა მდინარეს, რომელიც ყველაფერ წვრილმანს და შემთხვევითს შლამში მარხავს. არჩილ სულაკაურის მოქალაქეობრივ-ლიტერატურული პოზიცია, რაც თავი მახსოვს, ურყევია. გარემომცველთა მიმართ მისი დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა შელახული აფექტური რეაქციებით. მეგობართა იმ წრეში, სადაც მე ვტრიალებდი, მან უფრო მეტი იცოდა და უფრო სწორად განსაზღვრავდა სიტუაციას, ვიდრე ჩვენ, რის გამოც მის სიტყვასა და რჩევას ნდობით ვეკიდებოდით. კეიმატი იუმორი ემარჯვებოდა

და სწვებისაგანაც გაუღიზიანებლად იღებდა ასეთსავე „შემოტევას“. ამ ათი-თორმეტი წლის წინათ დაბადების დღეზე მანდელშტამის წიგნი ვუძღვენი „რაზგოვორ ო დანტე“ წარწერით: „ბებერო, ემზადე ჯოჯოხეთისთვის“. ჩაელიმა და მითხრა: ჰერმან ჰესე ფოთლებს წვავდა ბაღში და გამვლელ დედაკაცს უთქვამს, კარგია ცეცხლს რომ ეჩვევი, ყველას გველოდებაო. ცუდი ის არის, რომ ეს ინფერნალური ცეცხლი სამზეოში დაინთო და სამწუხაროდ, დღესაც კვამლი ასდის. ამ კვამლის გაფანტვას და გახარებული საქართველოს ნახვას გისურვებ, ჩემო არჩილ. დრო ჯერ კიდევ არის!

***

მაგრამ დრო მოულოდნელად ამოიწურა. მოულოდნელად? შეიძლება, არც ისე მოულოდნელად. ამ ორი თვის წინ მეტროდან ამოვედით. ვსაუბრობდით. მერე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. გზაზე დამდგარი უცებ მომიბრუნდა და ხმადაბლა მომიგდო: მივდავარ — რა!.. ზედმეტი სიტყვის თქმა არ იცოდა და ასეთი რამეც არასოდეს უთქვამს. რა უნდა მეთქვა, ან ახლა რა უნდა ვთქვა?

1949 წელს მისდამი მიძღვნილი ლექსის ბოლო სტრიქონები:

ხედავ ღამდება,
შენ ძმაო და მოყვასო ჩემო,
ხედავ, ღამდება ყრუდ, უსასოდ და შემზარავად!

თამაზ ჩხენკელი
1997

არჩილ სულაკაურს

დღეს მე პირველად, ძვირფასო არჩილ,
მოვართვი ლექსი უშენო „მნათობს",
თითქოს უშენოდ მე გარეთ დავრჩი,
და უშენობა მაწვიმს და მათოვს.

სიმღერად მიჩნდა სიკვდილი, ვფიცავ,
და სიცოცხლესაც ხომ იმად ვუძელ,
რომ შენი ხელით მოყრილი მინა
დამეყრებოდა ვარდებად გულზე.

არა, არ იყო ჯერ შენი ჯერი,
რამ აგაჩქარა, სათნოვ და დინჯო, —
ვილას ეტკინოს სიკვდილი ჩემი,
თუ ყველამ ასე დამასწრო, ბიჭო?!

მაგრამ მე ვიცი, მოგკლა რა სენმაც:
სამშობლოს ჭირმა გაგხვია ალში, —
შენ გაგაცილეს ლექსებმა შენმა
და მწუხარენი დაბრუნდნენ სახლში...

მარი აბრამიშვილი

„ნიანგის“ სალაღობო სტრიქონები არჩილ სულაკაურს

შენა ხარ არჩილ ბრწყინვალე, მწერალი წარჩინებული,
„მნათობის“ გამბრწყინებელი, მნათობად გაბრწყინებული!
„ჯერ საქართველო, გიორგი, ჯერ საქართველო ვახსენოთ,
რისთვისაც სული გვიდგას და ქვეყნად რისთვისაც ვარსებობთ!“
სულ გლოცავ, სულაკაურო არჩილ, ამ სტროფის დამწერო!
საქართველოთი ინთები, მის მოქმედ ვულკანთან დგები,
მის დიდ გუშაგად ითვლები, ავტორო „ნუ გათათრდების“!
ერთადერთ ღმერთად უკვდავი ქართველი ხალხი გეგულვის,
იმისთვის იბრძვი, რომ იყოს ეს ხალხი დალხინებული!
მართალი სიტყვის რაინდო, მართლის მთქმელი და
მქმნელი ხარ,
ამშვენებ სიმართლისათვის მებრძოლ მწერალთა ელიტას!
ქართული პროზის ფენომენს შენც მოაფინე ნათელი!
ნინ უსწრებს „მონანიებას“ (ფილმს) „დაბრუნება აბელის“!
შენ საკადრისი პასუხი გაეც ზოგ-ზოგ დემაგოგს
და კიდევ უფრო ამაღლდა შენი ეღო და შენაქო!..
დირექტორობდი „ნაკადულს“, გაზარდე, გაამდინარე,
ერს მოუზღვავე წიგნები — საჭირო, შუქთამფინარე!
ქმნი ულამაზეს სამყაროს: მტრედებს მიმინო აძინებს!..
ძაღლი და ბიჭი აჭმევენ საჭმელს თავნება ბაჭიებს!...
უბრძანებ — მიისწრაფვიან ნაპირისაკენ ტალღები!...
ოქროს თევზს ეალერსები თეთრ ცხენზე ნანავარდები!...
ანთებ სატირას, იუმორს მზის მხურვალებით, მზის
ბრწყინვით
და „სალამურა“ სავსეა სიბრძნის მთესველი სიცილით!
უქრობი ცეცხლი გიზგიზებს შენს ჩუღურეთულ ბუხარში
და იწვის (შეშის მაგივრად) შიგ კინტოს კულტი უხამსი!...
სასიქადულოდ ააგე შენ შენი სვეტიცხოველი! —
მე ჩემი აზრი გითხარი, თავის აზრს გეტყვის ნობელი!
გაქვს უკვდავების საგზალი, დინჯად ადიხარ ოლიმპზე,
ოთხივე მხრიდან გვინათებს ჩვენ შენი შემოდგომის მზე!

მადლობას გიხდი დიდებულ პოეტს, ბელეტრისტს,
პუბლიცისტს
მამულით გადაღარული, გადადაფნული შუბლისთვის!
ბიროტზე გამარჯვებული ხარ ღმერთმოსილი არჩილი,
მე შენი შემოქმედება მგვრის სიხარულს და სიამეს!
შენ ჩემი თავი მოგიკვდეს! — მილოცვა დაგიგვიანე!

ზაურ ბოლქვაძე
1987 წ.

არჩილ სულაკაურს

ვისწავლე სევდა, ახლა თან მდევს სევდის აჩრდილი —
მე წავიკითხე ლექსები და პროზა არჩილის.
დარჩეს ეს გრძნობა, რახან კაცი მაინც ღონდება,
ამ ნასწავლ სევდით მე არჩილი მომაგონდება.

და ეს ლექსები და ეს პროზა მოაკეტინებს
ყველა უღირსსა და უმეცარს, ბრიყვებს, კრეტინებს,
რადგან ბასრია ხანჯალივით, — გულში გაჩრილი, —
რაც წავიკითხე ლექსები და პროზა არჩილის.

თვით უკვდავებას გვაზიაროს, გვიყაროს წილი
ისევ და ისევ ლექსებმა და პროზამ არჩილის.
მინდა, რომ მთელი დედამიწა გადაარჩინო
შენი პროზით და შენი ლექსით, ჩემო არჩილო!

ევგენი ევტუშენკო
1983 წ.

კიდევ ერთი იარა

ჰა, გამოხდა ჟამი შენი,
უფლის კარი გაიღო,
ამ ცხოვრების საიდუმლო
იქნებ ახლა გაიგო...

სიტყვის მადლი თან მიგყვება, —
ლექსით ითქვა სათქმელი, —
გადმოხვედი ალავერდად
თასი — სევდის სასმელი...

ის მიმინო გაგვიფრინდა,
ცხრა მთა გადაიარა,
დაგვიტოვა მოგონებად
კიდევ ერთი იარა...

გიორგი ეკიზაშვილი

კომანდორი

არჩილ სულაკაურს

მე რომ მყოლოდა კომანდორად ცისფერი რემბო,
მე რომ მეცხოვრა ნამებულის, ტანჯულის ბედით,
განათდებოდა სისხლი ჩემი, — მზის ცხელი კვეთით,
აღვივსებოდი ანგელოზის ნარნარი ხმებით.

სამყაროს განძი, დიადემა, სამების ლავრა,
ის, რაც კაცთათვის ზურმუხტისფერ ოცნებად იქცა,
გაიშლებოდა, ვით მაისის ნაკურთხი მიწა,
ვით დაისჩაღვრილ ბალახებში დაყრილი ქარვა

და ოთხი კუთხით განფენილი ლაჟვარდის სული
ფრთებს შემასხამდა, სივრცეებში გაფრენის სურვილს
გამიმძაფრებდა ალაზანზე გაჭრილი ქორი.

ორმოცი წელი, ორმოცი დღე, ორმოცი ღამე,
იქ დავდგებოდი, სადაც იდგნენ აზნანი ადრე,
იქ, სადაც უფლის საყდარია და დაფნა შორი.

გენო კალანდია

დაოგლეგული ოთახი

არჩილ სულაკაურის ხსოვნას

ცივ, უკაცრიელ ნაპირზე დარჩი,
მაფრთხობს დუმილი შეკრულ ბაგეთა...
მარადი ძილით სად გძინავს, არჩილ,
სავალი შენი რამ გადაკეტა?!.

ავი სიზმრები ველარ აგრეევენ,
ხელს ვინ შეავლებს შენს ავგაროზებს,
ნიჟარებს თეთრებს, შენ რომ აგროვე,
მოუწყენიათ მყუდრო თაროზე.

ემზარ კვიტაიშვილი
08.11.97

არჩილ სულაკაურს

დღეს ჩემი სახლის მერცხალმა შენი ჩამოსვლა მახარა,
მისალოც ლექსად მაისმა ვარდები გადმომაყარა.
თბილისის აკვნით გაზრდილი მაინც ჩვენს შვილად გიცანით,
შენდამ ტრფიალით ირხევა დღეს ჩემი მკერდის ფიცარიც.
შენ ძმა ხარ, ძმებთან მოსული, ჩვენი სტუმარი კი არა.
შეხვედრის ეშხმა გაათბო დღეს ტკბილი სევდის იარა.
შვილი მშობელთან მოსულხარ, დღეს ჩვენთან სტუმრად კი არა
დღეს მაღალ მთების არწივმა სხვა ცეცხლით გადმოიარა,
შენ თუშეთმა და თბილისმა არჩილ გაგზარდეს ზიარად.
ალვანო შვილი დალოცე, შორი სტუმარი კი არა.
შენ ხომ ლექსების ღვარს გევხარ, ჭეშოს ხევებში ატეხილს,
შენ ხომ ქომიტოს სუნთქვა ხარ და ფარსმის კლდეთა ნატეხი.
შენს ლექსში ლეგენდარული ჰელოს პირიმზე ჰყვავასა
შენს ლექსში ჭრიალი ისმის კოხტა თუშეთის კარების,
შენს ლექსში ჟივილი ისმის ჩვენი ქათქათა ფარების.
შენს ლექსში მწყემსის სიმღერა ლაღი ხმით არის ჩართული,
მიიწევ მწვერვალისაკენ შეთესებრ ხმალშემართული
უკვე დაიპყარ მწვერვალი, დიდი შოთაის სახელის,
ამ საოცნებო მაღლობზე ლექსის ფარ-შუბით ახველი.
მუდამ გიჭრიდეს კალამი მზის დისკოსაებრ ელვარე,
იპყრობდე, ცეცხლით ქართულით სულ ახალახალ მწვერვალებს;
კვლავაც გადიდდი სახელით, ისე იდიდე, იარე.
როგორც დიდდება მთებიდან ძირს დაშვებული მდინარე
ამ ქვეყნად ყველგან ისმოდეს შენი ფარ-შუბის ჯახანი
და ჩანდე კალმოსნებს შორის ქომიტოს მთისებრ მაღალი.
ლექსი გიგავდეს არწივსა ფარსმის მთებიდან აფრენილს
გაშლილი გქონდეს ყოველთვის ქართულ სიმღერის აფრები.
არ თმობდე ოქროს უღელსა უშიშარ ქართველ მგოსნების,
უკვდავების ცეცხლს ანთებდეს შენი მერანის ფლოქვები!

იოსებ ლონგიშვილი — თუში მელექსე
ზემო ალვანი

არჩილ სულაკაურს

ვარსკვლავს მივდევდი, ბედი კი
მხედნიდა ურჩი მთა-გორით,
არისტოკრატულ ეთიკით,
ნატიფ მტევანზე ამბორით.

ჯენლტმენის წესი თანდათან
ველურმა გზნებამ აოტა,
ჰალსტუხზე გაინავარდა
გარეკახურმა ზაოტმა.

აწ მარტოობის სამსალას
ვსვამ ვინმე მგლების არჩივი,
სულაკაური ფარსმადან
მაესტრო, ძია არჩილი

იტყვის, უფლება სჭირდება
მარტოკაცობას საგზალად,
ძიავ, დამკაწრეს ფიქრებმა,
უფლება მე ვინ მაცალა.

კაი ყმის ცუდის მყოფელმა
ლულას გახედა ცალთვალად,
ადგა და ნუთისოფელმა
ოთხი ფიცარი გათალა.

საფლავით ისმა ქადილი,
უფალმა ასე განაგო:
ესროლა ქვრივმა მანდილი
ყვავ-ყორნებს საამბანაგოდ.

დათო მაღრაძე

ბიჭი და მტკვარი

არჩილ სულაკაურს

იგი მტკვრის პირად ცხოვრობდა
            და იზრდებოდა მტკვრის პირად,
სხვამ ვერაფერმა, ის მხოლოდ
            მდინარემ გადაიბირა.
სწორედ იმ დღიდან გაუჩნდა
            ბავშვს საფიქრალი ათასი,
დედის კალთა რომ დატოვა
            და მტკვარს ჩაუჯდა კალთაში.
მტკვარს მუდამ რაღაც მოჰქონდა,
            მტკვარს მუდამ რაღაც მიჰქონდა,
პირველად მტკვარზე აფრინდა
            გუნდი პოეტის სტრიქონთა.
პირველად მტკვარში იხილა
            ცა, მთვარე და ვარსკვლავები,
მტკვარში დალანდა ის ნიმფაც,
            იმ ნიმფას დალალ-კავებიც.
მტკვარმა ასწავლა ბორგვა და
            სიმშვიდეც მტკვარმა ასწავლა,
მან გაუფხავა გუმანი —
            ერთთავად სულ წინმასწარა.
სულ წვრთნიდა, წყალდიდობისას
            ჩქარ დინებაში ითრევდა,
ომს ასწავლიდა მომავალ
            ცხოვრების მღელვარ ზვირთებთან.
სამოცისაა ახლა ის
            ბიჭი
                მტკვარმა რომ გაზარდა
და მაღლა იწევს სულ მისი
ფრთიანი სიტყვის მაზანდა.

ტაგუ მებურიშვილი

ექსპრომტად არჩილ სულაკაურს

(მისივე ხმაზე)

სულ ჩვენებური, სულ აქაური,
სულმთლად პოეტი, აგერ აქვეა,
რომ გვხიბლავს არჩილ სულაკაური,
არ ვიცი, ამას ნეტავ რა ჰქვია.

აგე კახეთი! აგე მტკვარია!
მთლად საქართველო მასში ანთია,
და რომ მისი ხმა აგრე მტკბარია
არ ვიცი, ამას ნეტავ რა ჰქვია.

სულ ახლოს არის მამულ-დედული,
აქ ალაზანი, იქ არაგვია,
და მათ რომ შესტრფის ჰანგი ქებული
არ ვიცი, ამას ნეტავ რა ჰქვია.

ქართული სიტყვის ჯავარს და ძალას
მან ჯადოსნური სხივი აფრქვია,
რომ ვლოცავ იმის მადლიან კალამს,
არ ვიცი, ამას ნეტავ რა ჰქვია.

სტეფანე მხარგრძელი

მამაშენი

არჩილ სულაკაურს

დღემდე შემომრჩა დაუვიწყარ,
წარუშლელ წამად,
თუმცა მას შემდეგ ბევრმა წელმა გადიგრიალა, —
ნაგოლგოთარი ქრისტეს თვალით გიმზერდა მამა
და ფართო შუბლზე უქრებოდა გულის იარა.
შენ ტრიბუნასთან იღვრებოდი ხმაცინცხალ ლექსად,
გიმზერდა მამა,
შეგყურებდა ღელვით და თრთოლვით,
ალბათ ფოცხვერი თუ შეჰყურებს თავის ლეკვს ასე,
ასე არწივი თავის მართვეს გაჰყურებს შორით.
გიმზერდა მამა,
ნარეკლიან გზებზე დაღლილი,
ავი თვალისგან გათვალული,
განაწამები;
რჩეული შვილი წინ ედექი ბაირაღივით,
სახეს ღიმილად აჩნდებოდა ლექსის პწკარები.
მას შემდეგ ხშირად შევხვედრივარ,
მინახავს ხშირად
და ის ღიმილი ამშვენებდა განუშორებლივ;
ღმერთო, უმრავლე საქართველოს ისეთი შვილი,
ვინც თუნდა წუთით გააქარვა ჭმუნვა მშობელის.

ნოდარ შამანაძე
1977 წ.

***

არჩილ სულაკაურს

დღეს რა მჭმუნვარე საღამოა, ცათა მეუფევ,
როგორი ჩუმი;
და ფოთლოვანში დასავლეთის ცა გამოსჭვივის
მშვიდი და ჩუმი;
და ფრინველებიც არ გალობენ — მოყვასო ჩემო,
ხედავ ღამდება,
ჯერ მჭმუნვარე საღამო თუა, —
ხედავ ღამდება ყრუდ, უსასოდ და შემზარავად!..
ვზივარ და გელი და მღიმარი მოხვიდე ნეტავ
და მე შემოგხვდე შენ, ძმაო და მოყვასო ჩემო.
მოდი, დღეს დიდი მჭმუნვარების საღამო თუა,
მოდი, ვუჭვრიტოთ და ჩუმი ხმით ვთქვათ ნუგეშინი...

ცათა მეუფევ, დღეს რა ჩუმი ფიქრი მიბოძე!
და ფოთლოვანში დაფიონის ღრუბლით შემკული
საღამოც ჩაქრა, მჭმუნვარე და ჩუმი საღამო,
და ფრინველებიც არ გალობენ, — მოყვასო ჩემო,
ხედავ ღამდება,
შენ, ძმაო და მოყვასო ჩემო,
ხედავ ღამდება ყრუდ, უსასოდ და შემზარავად!

თამაზ ჩხენკელი
1949 წ.

მირაჟები ოქროვან დღეთა

არჩილ სულაკაურის ხსოვნას

ო, ისე, როგორც მუხლუხა მატლი,
სულში მოცოცავს ჯიღაც ახვარი,
თუმც ჩავლილია დღეები ნატვრის
მაინც ვერ მითქვამს, ძმაო, ნახვამდის.

და ჩემს სატირალს ვიღაცა ტირის,
ჩემი საგლოვიც სხვებმა იგლოვეს,
დაშლილი არის ის ოქროს ტივიც,
ვერ მოვიხილავთ უკვე იმ გორებს,

რომლებიც ასე გვწამდა, გვიყვარდა,
დანისლულია შენი თუშეთიც
და მწუხრისფერი შრიალებს ფარდა,
გახლეჩილ გულსაც ვერვინ უშველის.

და ოქტომბერის ოქროვან დღეთა,
მე მირაჟები ხელში შემადნა,
რუსთველს ვერასდროს ჩავივლით ერთად,
ვერ გავიხსენებთ იმ ჩვენს ელადას.

სხვები მღერიან სხვა გახელებით
და ცეცხლს მიბჟუტულს ურცხვად მიქრობენ,
სხვები ტირიან ჩემი ცრემლებით,
სხვები ძარცვავენ ძვირფას სტრიქონებს.

შემომცვეთია სამოსი ბებერს
და უფსკრულში ვჭვრეტ სისხლის ნოემბერს,
ცრემლი არა აქვთ, ვით იტირებენ,
გული არა აქვთ, ვით იგლოვებენ.

დამრეცს გრიალით დაჰყვა მეწყერი,
რა ლამაზ წელთა წავიდა წყება?!
გაქცეულ დღეებს ვეღარ ვეწევი
და ჩემს საფლავშიც ვიღაც სხვა წვება.

და ისე, როგორც მუხლუხა მატლი,
სულში მიცოცავს ვიღაც ახვარი,
გაჭრილი არის სუყველა კარტი
და გაჩრილი მაქვს გულში ლახვარი.

ჯანო ჯანელიძე

სარჩევი

წერილები

გურამ გელერდწითელი — ჩუღურეთიდან გადმოღვრილი სინათლე 3
ლილი გოგობია — ფიქრის კაცი 51
მურმან თავდიშვილი — ჰორიზონტი და მწვერვალები 55
პავოლ კოიში — რეალობა და რომანტიკა 59
გიორგი მარგველაშვილი — არჩილ სულაკაურის სამყაროში 63
ოტია პაპკორია — არჩილ სულაკაური 71
ზდენეკ პეხალი — არჩილ სულაკაურის მოთხრობები 77
ედიშერ ყიფიანი — მზეთუნახავი ეგებება მზეს 79
აპოლონ ცანავა — წლის საუკეთესო ლექსი 86
დოდო ჭიჭინაძე — ღია წერილი არჩილ სულაკაურს 87
ნიკოლოზ ჯანელიძე — წერილი შორიდან 89

საიუბილეოდ თქმული დაბადების 50 წლისთავზე

გურამ ასათიანი — ნირშეუცვლელად! 91
გივი გეგეჭკორი — „როცა აქვეა მტკვარი" 95
ნოდარ დუმბაძე — გმადლობთ, არჩილ 96
ანა კალანდაძე — კვლავ მშვიდობის მაცნედ 98
სერგო კლდიაშვილი — ბედნიერი თარიღი 100
ოტია პაპკორია — პირველთაგანი თანატოლთა შორის 101
ავთანდილ ჩხიკვიშვილი — ოთხივე მხრიდან 102
სარგის ცაიშვილი — ნიჭი მამულის სიყვარულისა 103
კოსტა ქააძე — პატივცემულო არჩილ! 107
თამაზ ჭილაძე — მკათათვის პირველი დღე 110

დაბადების 60 წლისთავზე

„ცისკრის" რედაქცია — საქმითმეტყველი 112
თენგიზ ბუაჩიძე — სიტყვა არჩილ სულაკაურზე 115
თამაზ ბიბილური — ერთი ლექსის ნაკვალევზე 118
ჯანსუღ ჩარკვიანი — გამარჯვებას ვუსურვებ 121

დაბადების 70 წლისთავზე

ნატი სიტყვისა — „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია 123
ასლან აბაშიძე — ბატონო არჩილ! 124
მარი აბრამიშვილი — სანთლად ანთებული სული 125
ჭაბუა ამირეჯიბი — სადღეგრძელო 127
ემზარ კვიტაიშვილი — გვახარებს, გვეამაყება 128

გურამ ფანჯიკიძე — ძვირფასო ძმაო არჩილ 130
ედუარდ შევარდნაძე — ბატონო არჩილ 131
ჯანსუღ ჩარკვიანი — შენ არჩილ სულაკაური ხარ 132
ბესიკ ხარანაული — სათქმელის შესავალი 134

გამოსათხოვარი

ედუარ შევარდნაძე — არჩილ სულაკაურის ხსოვნას 137
მთავრობის სამგლოვიარო წერილი 139
მწერალთა სამგლოვიარო წერილი 140
„ოტარიდი" — თავისუფლების კულტის მსახური 144
ცისკრელები — ღმერთო ძლიერო, უბოძე ძალა 146
ნაკადულელები — ჩინებული მწერალი და ჩინებული კაცი 148
„კავკასიონი" — „არილი" — გამოსათხოვარი 150
ზაზა აბაშიძე — „ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ყღალი მიმინო" 151
ჭაბუა ამირეჯიბი — გმადლობთ, ძმაო არჩილ! 153
რეზო ამაშუკელი — გემშვიდობები 155
გურამ ბენაშვილი — დიდი მიზეზი მწუხარებისა 157
ბაჩანა ბრეგვაძე — ამაგდარი 159
გურამ გვერდწითელი — რა გაძლებს! 160
გივი გეგეჭკორი — ერთადერთი გზა 162
ზაზა გოგია — სულ შენგანა მაქვს 163
ქეთინო დუმბაძე — „ვიღაცას, ალბათ! არ ჰყოფნის
სითბო, ან არ ენდობა ამ მზიან ამინდს"... 165
ანა კალანდაძე — მწარე სინამდვილეა! 166
ემზარ კვიტაიშვილი — ილიას კვალზე მავალი 167
გენო კალანდია — მშვიდობით, მაესტრო! 170
მურმან ლებანიძე — მშვიდობით, ძმაო არჩილ! 171
თეიმურაზ ლანჩავა — ვწუხვართ! 172
ელგუჯა მაღრაძე — სიკვდილი ვერ გაახუნებს 173
ტაგუ მებურიშვილი — მაღალი ნიჭით ცხებული 176
იზა ორჯონიკიძე — ჯვართან ძისული სურო 177
ლია სტურუა — ელდა და ტკივილი დაგვიტოვე 179
ჯანსუღ ჩარკვიანი — გასკდა გული 180
დინარა ჩაკვეტაძე — გაუმხელელი სათქმელი 182
დოდო წივწივაძე — ღმერთო, ეს ხმა რატომ მოგვიშალე! 183
ვახტანგ ჭელიძე — აუნაზღაურებელი დანაკლისი 184
რეზო ჭეიშვილი — სიტყვა წარმოთქმული დაკრძალვის
დღეს მწერალთა სასახლეში 185
ტარიელ ჭანტურია — გამოსათხოვარი უფროს ძმასთან 188
ბესიკ ხარანაული — არჩილი 190
გიორგი ხუხაშვილი — გემშვიდობები 191

მაკა ჯოხაძე — იეტავ იმ დროს 194
ჯემალ ჯაფელი — დრო ვერას დააკლებს 198

მოგონებები

ნაზი თარგამაძე — არდავიწყება 199
ვახუშტი კოტეტიშვილი — ერთი მოგონება 203
გიორგი ნაჭყებია — დაგვიანებული სამადლობელი 205
ანზორ სალუქაძე — რა დამავიწყებს 207
ლაშა სულაკაური — ერთი წერილის ამბავი 212
თამაზ ჩხენკელი — ხედავ, ღამდება 218

მიძღვნილი ლექსები

მარი აბრამიშვილი — არჩილ სულაკაურს 223
ზაურ ბოლქვაძე — „ნიანგის" სალაღობო სტრიქონები
არჩილ სულაკაურს 224
ევგენი ევტუშენკო — არჩილ სულაკაური 226
გიორგი ეკიზაშვილი — კიდევ ერთი იარა 227
გენო კალანდია — კომანდორი 228
ემზარ კვიტაიშვილი — დაობლებული ოთახი 229
იოსებ ლონგიშვილი — არჩილ სულაკაურს 230
დათო მაღრაძე — არჩილ სულაკაურს 231
ტაგუ მებურიშვილი — ბიჭი და მტკვარი 232
სტეფანე მხარგრძელი — ექსპრომტად არჩილ სულაკაურს 233
ნოდარ შამანაძე — მამაშენი 234
თამაზ ჩხენკელი — არჩილ სულაკაურს 235
ჯანო ჯანელიძე — მირაჟები ოქროვან დღეთა 236

შეკვეთა №40

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერანი"-ის სტამბა რუსთაველის 42 თბილისი 1998